N7 (558) 17/II-23/II-2011 ფასი 1 ლარი

1168
2011

# გზა

ქართული პროზის ბიბლიოთეკ

**ტომი №51**

**ეკატერინე გაბაშვილი**

შეგიძლიათ შეიძინოთ „გზის" ამ ნომერთან ერთად!

წიგნი და „გზა" ერთად 4 ლარი ღირს

შემდეგი ტომი
**გრიგოლ რობაქიძე**



## სიყვარულის „სახელით" ჩადენილი მკვლელობა

ექსკლუზიური ინტერვიუ
ტრაგედიის ერთადერთ მოწმესთან



## ხევსურების გმირობა რუსეთ-იაპონიის ომში



დაბანგული ხევსურები ბადრაგმა მატარებელში ჩასხა და შორეული აღმოსავლეთისკენ გაისტუმრა

## „გზა" – ყველაზე მაღალტირაჟიანი ჟურნალი საქართველოში!



ვალერი
ელაძემ
ართველობა
დაიწყო



როგორ დაკარგა რევაზ ჩელებაძემ ნახევარი მილიონი დოლარი

„არბიტრს ძალიან ცუდი რამ გავუკეთე"...



„მინდა, რომ 7 შვილი მყავდეს"

როდის „ფუჭდება" ქეთა ლორთქიფანიძე

www.britishcentre.ge

# BRITISH CENTRE



**ირინა ონაშვილი:**

„პირველივე გაკვეთილიდან მივხვდი, რომ ზუსტად იქ მოვხვდი, სადაც საჭიროიყო. საოცრად კარგი გარემოა, თბილი ატმოსფერო, ამასთან ერთად უმაღლეს დონეზეა დისციპლინა. ძალიან ხშირად მიწევს უცხოელ მეგობრებთან ურთიერთობა და ვატყობ, რომ ჩემი ინგლისური საოცრად დაიხვეწა. კომპლექსი არასდროს მქონია და რა დონეზეც ვიცოდი, ისე ვლაპარაკობდი, მაგრამ ახლა უკვე ვამაყობ ჩემი ინგლისურით. აუცილებლად ვაპირებ სწავლის გაგრძელებას ბრიტანულ ცენტრში და ამ დონეზე არ გავჩერდები."



**ნიკო კეჟერაშვილი:**

"ბრიტანულ ცენტრში" მეგობრების რჩევით მოვედი და მან ჩემს ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. სასიამოვნო ატმოსფერომ და ჯგუფურმა გაკვეთილებმა გამიადვილა ენის შესწავლა და ახლა დაბრკოლებების გარეშე შემიძლია ინგლისურად საუბარი. პროგრამის ბოლო საფეხურზე გულიც კი მწყდება, დარგან დასასრულს მივუახლოვდი. ჩემი მიზანია TOEFL-ის ან Cambridge-ის სერტიფიკატიავილო და ახლა უკვე მზად ვარ გავიდე ტესტირებაზე.

ქ. თბილისი: რუსთაველის 36; ტელ: 933 878; 989 999; 934 000
ალმაშენებლის 189; ტელ: 941 111; 952 222
ფალიაშვილის 60; ტელ: 221 915ვაჟაინის 9; ტელ: 332 557; 514 143
ქ. ბათუმი: იმნაძის ქ. №2 (ყოფილი ბლაგოევგრადი)
ტელ: 7 31 22

www.britishcentre.ge

# არც ერთი ზედმეტი ბეწვეწი!

სხეულიდან ზედმეტი თმის მოცილება მეტად ინტიმური საქმეა. თითოეული ქალბატონი თავად აკეთებს არჩევანს, რა გზით მოუაროს „პრობლემურ" ზონებს სხეულზე. დღეს ძნელია, გვერდი აუარო მოზღვავებული რეკლამის ქადაგებას, რომელიც მუდმივად გვახსენებს, რომ თანამედროვე ქალს აუცილებლად გლუვი და თმისგან თავისუფალი კანი უნდა ჰქონდეს.

სხეულზე თმის რაოდენობა და ხარისხი მკაცრად ინდივიდუალურია და არაერთ ფაქტორზეა დამოკიდებული. ერთ-ერთი ასეთი ფაქტორი ადამიანის წარმომავლობაა. სამხრეთელ და აღმოსავლეთელ ქალბატონებს ხელებსა და ფეხებზე მუქი ფერის თმა, სახეზე კი მსუბუქი ღინღლი ეზრდებათ. კიდევ ერთი ფაქტორი სქესობრივი ჰორმონების დონეა.

მაგრამ საყურადღებოა, თუ თმამ მოულოდნელად იწყო ზრდა სახეზე, ზურგზე, მკერდზე, თუნდაც მცირე რაოდენობით. ეს სიმპტომი, არტერიული წნევის დარღვევასთან ერთად, შესაძლოა, თირკმელზედა ჯირკვლის სერიოზულ დაავადებებზე მეტყველებდეს. ამიტომ ასეთ დროს უმჯობესია, ენდოკრინოლოგს მიმართოთ.

ყველა დანარჩენ შემთხვევაში დეპილაციის მეთოდები გამოიყენება ... ვის საკმარისზე მეტია. არჩევანი კეთდება ამტანობის, მოსალოდნელი ეფექტების და, რაღა თქმა უნდა, პროცედურის ღირებულების მიხედვით. ყველაზე იაფფასიან მეთოდად ძველებურად პარსვა რჩება — სწრაფად, იაფად, სახლში. მხოლოდ მისგან მიღებული ეფექტია არასაკმარისი: 2-3 დღეში თმა ისევ ამოდის.

შესაძლებელია თუ არა ჭარბთმიანობისგან გათავისუფლება მაქსიმალურად დიდი ხნით?

საერთაშორისო სამედიცინო კლინიკა „ოქსფორდ მედიქალ ჯორჯიას" ექიმებს ამ კითხვაზე ცალსახა პასუხი აქვთ. დღეისათვის მსოფლიოში ყველაზე თანამედროვე ELOS ტექნოლოგიით ჩატარებული ეპილაციის პროცედურების პრაქტიკა მოწმობს, რომ ეს შესაძლებელია. უიშვიათესი გამონაკლისების გარდა, ELOS ეპილაციის პროცედურა საოცარ ეფექტს იძლევა — 7-9 პროცედურა საკმარისია, რომ პაციენტი სახეზე, ზურგზე, ფეხებზე, ბიკინის მიდამოებსა თუ იღლიებში არასასურველი თმიანობისგან გათავისუფლდეს.

პროცედურა ემყარება მაღალხარისხიანი სინათლის იმპულსის და დარტყმის ერთდროულ მოქმედებას, რაც თმის ფოლიკულას შლის.

... ყოფს სუფთა, გლუვი და ნაზი კანის საოცარ და მდგრად ეფექტს. ყოველი მომდევნო პროცედურა ერთთვიანი, თვენახევრიანი ინტერვალით კეთდება. თმა ციკლების მიხედვით იზრდება და ყოველი მომდევნო სეანსი მიმართულია სწორედ იმ თმის მოსაცილებლად, რომელიც მოცილებისთვის საუკეთესო ფაზაში იმყოფება. სეანსების რაოდენობა სხეულის ნაწილზეც არის დამოკიდებული.

აპარატი, რომლითაც ეპილაციას „ოქსფორდ მედიქალ ჯორჯიაში" აკეთებენ, ორმაგი დაცვითაა აღჭურვილი. ასე რომ, კანი სრულიად დაცულია დამწვრობისა და დაწითლებისგან.

ELOS ეპილაცია თმის მოცილების ყველაზე თანამედროვე, ეფექტიანი და უსაფრთხო სისტემაა. ჩვენ მოხარული ვართ, ეს ტექნოლოგია წარმოვადგინოთ თბილისში ქართველი ქალბატონების სამსჯავროზე.

„ოქსფორდ მედიქალ ჯორჯიაში" შემოგთავაზებენ ასევე მეზო-თერაპია (ბიორევიტალიზაცია, ლიფტინგი, ლ... პოდისტროფია, თმის სტრუქტური... აღდგენა და მკურნალობა) სახე... და სხეულზე; ჰომეოთერაპიას დ... აუტოჰომოთერაპიას;

კონტურულ პლასტიკას ჰიალუ... რონის გელით; აკნეს მკურნალობა... სახის კანის გაახალგაზრდავებას ნატ... ურალური პროდუქციის გამოყენებით... ბოტულოქსინის ინექციური მეთოდი... სახეზე ნაოჭების გასწორებას.

კლინიკა „ოქსფორდ მედიქა... ჯორჯია" მუშაობს ყოველდღე, შა... ბათ-კვირის ჩათვლით.

დამატებითი ინფორმაციის მიღე... ბა და ვიზიტზე ჩაწერა შეგიძლია... ტელეფონებზე: 29 00 66; 29 47 4...



Oxford MEDICAL PRIVATE CLINICS
მიღებაზე 29 00 66
ჩაწერა: 29 47 47

ELOS ეპილაცია – თმის მოცილება სწრაფად და ხარისხიანად
ყველაზე თანამედროვე და ეფექტური მეთოდი

# დე-ნოლი® უშუალოდ მოქმედებს წყლულოვანი დაავადებისა და გასტრიტის წარმომშობ მიზეზებზე

ბისმუტის ტრიკალიუმის დიციტრატი




✔ ანადგურებს ჰელიკობაქტერიას

✔ ხელს უწყობს კუჭის ლორწოვანი გარსის შეხორცებას

astellas
Leading Light for Life

მოზრდილებსა და ბავშვებში 12 წლის ზემოთ ინიშნება 1 ტაბ. 120 მგ 4-ჯერ დღეში ან 2 ტაბ. 2-ჯერ დღეში. 4-დან 12 წლამდე ინიშნება დოზით 8 მგ/კგ-ზე, გაყოფილი ორ მიღებაზე. პრეპარატი მიიღება ჭამამდე 30 წთ-ით ადრე. ხანგრძლივობა - 4-8 კვირა. შემდეგი 8 კვირის განმავლობაში არ არის რეკომენდებული ბისმუტის პრეპარატების მიღება. შესაძლებელია განავლის შავად შეფერვა, რაც არ საჭიროებს პრეპარატის მოხსნას. გვერდითი ეფექტები: შესაძლებელია გამოვლინდეს გულისრევა, ღებინება, დიარეა, ყაბზობა, კანის გამონაყარი, ქავილი. არ გამოიყენება თირკმელების მძიმე უკმარისობის, ორსულობის, ლაქტაციის და პრეპარატის ინდივიდუალური აუტანლობის დროს.

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

დისტრიბუტორი " ავერსი ფარმა" აღმაშენებლის 148/2


## რა იმალება გასტრიტის დიაგნოზის მიღმა?

გასტრიტი – კუჭ–ნაწლავის ტრაქტის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადებაა. გამოკითხული 10 რესპოდენტიდან სავარაუდოდ ათივე გვიპასუხებს, რომ გასტრიტის მიზეზია არასწორი კვება, განსაკუთრებით კი ჩვენი „გასტრონომიული სისუსტეები"–მშრალი, მჟავე და მწარე საკვები. მე–20 საუკუნის 80–იანი წლების დასაწყისში მეცნიერულად დადასტურდა, რომ გასტრიტის ძირითადი გამომწვევია ბაქტერია ჰელიკობაქტერ პილორი (Helicobacter pylori). ავსტრალიელი მეცნიერების ამ აღმოჩენამ ნამდვილი რევოლუცია მოახდინა გასტროენტეროლოგიაში. H.P. აზიანებს კუჭის ლორწოვან გარსს, იწვევს მარილმჟავას დიდი რაოდენობით გამომუშავებას, რაც ნეგატიურად მოქმედებს კუჭზე. შედეგად ვითარდება ანთებითი პროცესი –ქრონიკული გასტრიტი.

კიდევ ერთი არასასიამოვნო „სიახლე"– H.P.–ით ინფიცირება ხდება პირადი ჰიგიენის საგნებით და ნერწყვით, რაც ავადმყოფობის ოჯახური კერების ფორმირებას უწყობს ხელს.

ამავე დროს, ქრონიკული გასტრიტი შეიძლება სიმსივნის განვითარების მიზეზი გახდეს. ხანგრძლივად მიმდინარე H.P.–სთან ასოცირებული ქრონიკული გასტრიტის დროს 6–ჯერ იზრდება კიბოს განვითარების რისკი. მდგომარეობას ისიც ამძიმებს, რომ „გასტრიტის" დიაგნოზის შემთხვევაში პაციენტები ხშირად მიმართავენ თვითმკურნალობას მჟავიანობის დამწევი პრეპარატებით. თავიდან ეს მართლაც „შველის", მაგრამ დაქვეითებული მჟავიანობის პირობებში H.P. აქტიურად ვრცელდება კუჭის მთელ ლორწოვან გარსზე, რაც პროცესის გაქრონიკულებას იწვევს.

გასტრიტის სწორი მკურნალობა 2 მიმართულებით უნდა წარიმართოს: გამომწვევის, ანუ H.P. –ის განადგურება და კუჭის დაზიანებული ლორწოვანი გარსის აღდგენა. ამ მხრივ პრეპარატი **დე-ნოლი** თავისი უნიკალური თვისებების გამო შეუცვლელი კომპონენტია გასტრიტის მკურნალობის თანამედროვე სქემებში. **დე-ნოლი** წარმატებით ებრძვის H.P.-ს და ანადგურებს მას, აფერხებს მის გავრცელებას კუჭის ლორწოვანზე, ამავდროულად ხელს უწყობს დაზიანებული ლორწოვანი გარსის აღდგენასა და შეხორცებას. H.P.-ს არ გააჩნია მდგრადობა **დე-ნოლის** მიმართ. **დე-ნოლი** არ მიეკუთვნება ანტიბიოტიკების ჯგუფს, არ ახდენს გავლენას ნაწლავის ნორმალურ მიკროფლორაზე. სწორედ ამ უნიკალური თვისებების გამო, გასტრიტის გამწვავების დროს, ექიმები რეკომენდაციას უწევენ **დე-ნოლს**.

ავერსის კლინიკა
AVERSI CLINIC



# "ავერსი" ექიმთა უწყვეტ სამედიცინო განათლებაზე ზრუნავს

## ჟურნალ "საექიმო პრაქტიკის" კონკურსი გრძელდება

29 იანვარს ჟურნალმა "საექიმო პრაქტიკამ" კონკურსში გამარჯვებული 16 ექიმი საზეიმოდ დააჯილდოვა.

"საექიმო პრაქტიკა" სამედიცინო განათლების მქონე მკითხველისთვის განკუთვნილი ჟურნალია. ის მთლიანად მტკიცებულებით მედიცინას ეფუძნება და შეიცავს უახლეს ინფორმაციას, რომელიც ძალზე მნიშვნელოვანია პროფესიულ ზრდაზე ორიენტირებული ყოველი მედიკოსისთვის.

კონკურსი 2008 წელს, ჟურნალთან ერთად დაარსდა. იდეა კომპანია "ავერსის" დამფუძნებელს, ჟურნალ "საექიმო პრაქტიკის" გამოცემის ერთ-ერთ ინიციატორს პაატა კურტანიძეს ეკუთვნოდა.

ჟურნალი კომერციულ მოგებაზე იმთავითვე არ ყოფილა გათვლილი. მისი გამოცემის მთავარი მიზანი ექიმთა უწყვეტი პროფესიული განათლების ხელშეწყობა და წახალისება გახლდათ. ამავე მიზნით დაფუძნდა კონკურსიც, რომელში მონაწილეობაც საქართველოში მცხოვრებ ყველა პრაქტიკოს ექიმს შეუძლია.

ჟურნალმა, ისევე როგორც კონკურსმა, მოკლე ხანში მოიხვეჭა პოპულარობა, რაც სრულიადაც არ ყოფილა მოულოდნელი, თუ გავითვალისწინებთ, რომ მისი ანალოგი ქართულ მედიასივრცეში არც ისე ბევრია, ხოლო ამ ტიპის კონკურსებით საქართველოს სამედიცინო საზოგადოება, რბილად რომ ვთქვათ, განებივრებული არ არის.

ჟურნალის ყოველ ნომერს ერთვის კითხვარი და ინსტრუქცია, სადაც კონკურსის წესები და პირობებია მითითებული. გამარჯვებულებს მთელი წლის განმავლობაში დაგროვილი ქულების საფუძველზე გამოავლენენ.

კონკურსის საპრიზო ფონდი 49 000 ლარს შეადგენს. საუკეთესო შედეგისთვის 10 000 ლარია დაწესებული, მეორე ადგილის ორი მფლობელი 5000-5000 ლარს მიიღებს, ხოლო მესამე ადგილზე გასული სამი მონაწილე - 3000-3000 ლარს. ათი მონაწილისთვის კი დაწესებულია წამახალისებელი პრიზი, რომლის ოდენობა 1000 ლარია.

პირველი საზეიმო დაჯილდოება 2009 წლის თებერვალში გაიმართა. წელს "ავერსის კლინიკამ" დაჯილდოების ცერემონიალს უკვე მესამედ უმასპინძლა.

პირველი პრიზი თელავის ბავშვთა ჯანმრთელობის ცენტრის ექიმმა **ელენე ბოჭორიძემ** მიიღო. ელენე კონკურსში პირველად მონაწილეობდა, თუმცა "საექიმო პრაქტიკას" დიდი ხანია ადევნებს თვალს. "ჟურნალი ძალიან მომწონს და ყოველთვის დიდი ინტერესით ვკითხულობ, - გვითხრა მან, როცა ლონისძიების დასასრულს შთაბეჭდილებათა გაზიარება ვთხოვეთ, - მაგრამ კიდევ უფრო საინტერესო აღმოჩნდა კონკურსში მონაწილეობა: ინფორმაციის მოძიება, შეჯერება, სხვადასხვა წყაროს მეშვეობით გადამოწმება... სწორედ ამ პროცესში დავრწმუნდი, რომ "საექიმო პრაქტიკა" ნამდვილად უახლეს და ძალზე სარწმუნო ინფორმაციას გვაწვდის, რაც ჩვენთვის, რეგიონის ექიმებისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია".

**თამარ თხლაშიძემ** - კონკურსის მეორე პრიზი უკვე მეორედ მოიპოვა. "საქართველოში "ავერსი" წინსვლის, შრომისმოყვარეობისა და პროფესიონალიზმის სიმბოლოა, - გვითხრა მან, - არ მიკვირს, ასეთი კარგი ჟურნალის გამოცემა რომ შეძლო. "საექიმო პრაქტიკა" მართლაც ძალზე დახვეწილი და თანამედროვე ჟურნალია.

კონკურსზეც, ცხადია, კარგის მეტს ვერაფერს გეტყვით - ის ჩვენ, პრაქტიკოს ექიმებს, ცოდნის გაღრმავებისა და საკუთარ შესაძლებლობათა წარმოჩენის სტიმულსა და ასპარეზს გვაძლევს".

მეორე ადგილის მეორე მფლობელი, **მარიკა ზარნაძე,** ოზურგეთის ბავშვთა სამკურნალო ცენტრის მიმღები განყოფილების გამგეა. "საექიმო პრაქტიკა" ჩემი ყოველდღიური საკითხავია.

- ყველა ექიმს ვურჩევ, ის სამაგიდო ჟურნალად გაიხადოს".

**მანანა კახიანმა,** ქუთაისის ენდოკრინოლოგიური დისპანსერის ექიმმა კარდიოლოგმა, კონკურსში მეორედ მიიღო მონაწილეობა, თუმცა შარშან წამახალისებელ პრიზს დასჯერდა, წელს კი მესამე პრიზის მფლობელი



გახდა. "ჟურნალი ძალზე საინტერესოა, - სიამოვნებით ვავსებდი კითხვარს. მიხარია, რომ ცოდნა დამიფასდა. დიდი მადლობა კომპანია "ავერსის" მესვეურებს და ჟურნალის რედაქციას".

შარშანდელი გამარჯვებული, ფოთის ბავშვთა პოლიკლინიკის ექიმი, პედიატრი **შორენა ზარნაძე,** წელს მესამე ადგილს დასჯერდა, თუმცა, როგორც თვითონ გვითხრა, მისთვის მოგებას იმხელა მნიშვნელობა არ ჰქონია, რამხელაც თავად კონკურსში მონაწილეობას: "მეორედ ვესწრები დაჯილდოებას და უკვე ისეთი განცდა მაქვს, თითქოს თვითონაც ავერსელი ვიყო. - მიმაჩნია, რომ დღესდღეობით ეს არის საუკეთესო გზამკვლევი იმ ქართველი ექიმებისთვის, რომელთაც სურთ, უახლეს სამედიცინო ცოდნაზე მიუწვდებოდეთ ხელი. ინტერნეტში ზღვა ინფორმაციაა, მაგრამ მისი დიდი ნაწილი სარწმუნო არ არის, "საექიმო პრაქტიკა" კი კომპაქტურად და, რაც მთავარია, მშობლიურ ენაზე გვაწვდის სანდო ინფორმაციას".

თელაველი ექიმი, შპს "მკურნალის" თანამშრომელი **ცისანა იმერლიშვილი,** რომელიც კონკურსში დაარსების დღიდან მონაწილეობს, იგი მესამე პრიზით - 3000 ლარით ხელდამშვენებული დაბრუნდა შინ. "ეს კონკურსი რწმენას გვმატებს, რომ სამართლიანობა არსებობს, რომ ცოდნა და მონდომება ფასდება", - მადლიერებით აღნიშნა მან.

**მანანა იორდანიშვილმა,** თელავის ბავშვთა ჯანმრთელობის ცენტრის ჩვილ ბავშვთა განყოფილების გამგემ, წლევანდელ კონკურსში წამახალისებელი პრიზი დაიმსახურა. "არ მეგულება საქართველოში მეორე ჟურნალი, სადაც ასე ამომწურავად, ასე კომპაქტურად იყოს თავმოყრილი უახლესი სამედიცინო ინფორმაცია, - თავს უფლებას მივცემ და ვიტყვი, რომ ჩემთვის და ჩემი კოლეგებისთვის "საექიმო პრაქტიკა" უწყვეტი სამედიცინო განათლების ძალზე მნიშვნელოვანი ელემენტ[ი]", გვითხრა ქალბატონმა მანანამ.

თელაველმა ექიმმა, შპს "მკურნალ[ის]" თანამშრომელმა, ალერგოლოგმა **ნათ[...] წიქარაძემ** კონკურსში წელს პირველად მი[იღო] მონაწილეობა და პრიზიორებს შორის მოხვედ[რა] მისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა.

თერაპიის ეროვნული ცენტრისა [და] სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტ[რის] "მედპლიუსის" თანამშრომლის [...] **ხახუტაიშვილის** და ოზურგეთის ბავშ[ვთა] სამკურნალო ცენტრის ექიმი **ნონა კუკულა[...]** აზრით "საექიმო პრაქტიკა" უდავოდ ძალ[ზე] საინტერესო და სასარგებლო ჟურნალია,

**მაია ბიწკინაშვილმა,** თერაპიის ეროვნ[ული] ცენტრის კარდიოლოგმა, წამახალისებ[ელი] პრიზი მესამედ მიიღო. "ამ ჟურნალ[ის] მეშვეობით უამრავ სასარგებლო ინფორმაც[ია]ს ვიღებ და როგორც ექიმი, ვიზრდები, - აღნი[შნა] ქალბატონმა მაიამ, - ამ სამი წლ[ის] განმავლობაში ცოდნაც შევიძინე და არცთუ მცირე თანხაც მოვიგე. ულრმესი მადლობა".

**ლიანა კარდენახიშვილმა,** გურჯაა[ნის] ფრანგულ-ქართული სამედიცინო ცენტ[რის] "კახეთი-იონის" ექიმმა, ასევე 1000 ლ[არი] დაიმსახურა. "მადლობის მეტი რა მეთქმის, გვითხრა ქალბატონმა ლიანამ, - მეძლ[ევა] საშუალება, ჩემი ცოდნა გამოვავლინო".

წამახალისებელ პრიზს დასჯერდა ოზურგე[თის] რაიონის სოფელ მელექედურის ამბულატორ[იის] ექიმი **თამარ ცელაძეც** - 2008 წელს იგი 10[...] ლარის პრიზიორი გახლდათ. - ჟურნა[ლი] უწინდებურად ძალიან მოსწონს და კონკურ[სში] მონაწილეობას სამომავლოდაც აპირებს.

წამახალისებელი პრიზის მფლობელებს შო[რის] მეორედ მოხვდნენ თერაპიის ეროვნ[ული] ცენტრის ექიმი, ექოსკოპისტი **ნანა ზაქაიძე** [და] მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალ[ური] საავადმყოფოს ექიმი, პედიატრი **თინა[...] აფციაური,** ხოლო გურჯაანის პოლიკლინ[იკის] ექიმმა **მარეხ ჯავშანაშვილმა** კონკურ[სში] მონაწილეობა წელს პირველად მიიღო.

საქველმოქმედო და სამეცენატო საქმია[ნობა] დიდი ხანია "ავერსის" ტრადიციად იქცა, მაგ[რამ] ექიმებისთვის განკუთვნილი ეს კონკუ[რსი] თვისებრივად განსხვავდება ყველა [...] პროექტისგან, რომელიც კი კომპანიას თა[...] თექვსმეტწლიანი ისტორიის განმავლო[ბაში] განუხორციელებია. პრაქტიკოს ექ[იმთა] პროფესიონალიზმის ამაღლება, უწყ[ვეტი] პროფესიული განათლება ის არის, რაც ქარ[თულ] მედიცინას მსოფლიო სტანდარტის მიღწევას[ა და] შენარჩუნებაში დაეხმარება. რა შეიძლება [...] ამაზე მნიშვნელოვანი?

**"საექიმო პრაქტიკის" კონკურსი გრძელ[დება] ეწევით საექიმო პრაქტიკას? - ჩაერ[თეთ] კონკურსში, მიიღეთ უფრო მეტი ცოდნ[ა და] მოიგეთ სოლიდური თანხა. წარმატ[ებას] გისურვებთ!**

მისამართი: ვაჟა-ფშაველას ქ. №27ბ

☎ 39 83 67; 39 48 53
967-227

WWW.AVERS[...]

კვირის პალიტრა
გზა
№7 (558)
17 – 23 თებერვალი, 2011 წ.
ფასი 1 ლარი

## ქვეყანა



# ტრაგედიად ქცეული სიყვარულის ამბავი

„ქეთი ჩემზე ორი წლით უფროსი იყო... მიჭირს მასზე წარსულში ლაპარაკი. ძალიან ლამაზი გოგო იყო, ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდა. მუდამ მხიარული, დაუღალავი, ენერგიული ადამიანი იყო".

7


■ მინიატიურები 5
ვყიდი გარაჟს ანუ „მოდი, გამახარე!.."
■ ჭრელი მსოფლიო 6
■ ფაქტი და კომენტარი 7
■ ეკრანს მიღმა 10
ქართული პოლიციის დადებითი და უარყოფითი მხარეები
■ სამართალი 12
■ ტრაგედია 14
ტრაგედიად ქცეული სიყვარულის ამბავი
■ პოლიტიკა 16
■ ამპლუა 18
5-შვილიანი მსახიობის აქტიური ცხოვრება
■ ემიგრანტი 20
გაქართველებული ვალერი მელაძე, ქართულად მაგინებელი „ა სტუდიო" და აჩი ფურცელაძის მოსკოვური ცხოვრება
■ ფსიქოპორტრეტი 22
„ხაჭაპურის ცომში ხელებჩაყოფილს ვერასდროს მნახავთ"
■ ოჯახი 24
„ერთმანეთის გაოცებას დღემდე ვახერხებთ"
■ დასტაქარი 26
გული ანუ რამდენიმე ეპიზოდი ცნობილი კარდიოლოგის ცხოვრებიდან
■ ნამდვილი ამბავი 29
ნუდიზმი რაჭულად
■ დროni 30
პრეზიდენტი, რომელმაც „წითელი ჭირი" — „ბოროტების იმპერია" დაამარცხა
■ თემა 33
მშობლებისგან დაჩაგრული და ძალადობით დაღდასმული მცირეწლოვნები


## სახე





# აჩი ფურცელაძის მოსკოვური ცხოვრება

„რამდენიმე ხნის წინ, ძალიან ხმაურიანად გამოვჩნდი: მაშინ 6 თვით „დასასვენებლად" გამიშვეს ციხეში. მახსოვს, ყველა და ყველაფერი ჩემს ამბავს აშუქებდა".

18

## ცხოვრება

# რამდენიმე ეპიზოდი ცნობილი კარდიოლოგის ცხოვრებიდან



„ერთხელ მორიგე ვიყავი. სალამო ხანს შემოსასვლელში ერთი ალიაქოთი ატყდა. ნაცნობი ხმა ჩამესმა: — არ მინდა, აქ რატომ მომიყვანეთ? აქ არ დამტოვოთო. ოთახიდან გამოვედი და ვხედავ — სესილია თაყაიშვილი მოჰყავთ გორგოლაჭებიანი საკაცით".

26

## გზა ვნილები

# „ისიც ძმად უნდა მიგელო..."



„ჩემო პატარავ, თუ გინდა, ბედნიერი იყო, შენს წილ სიყვარულზე უარი არასდროს თქვა. დაფიქრდი და მიზნის მისაღწევად იბრძოლე!"

76

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

■ ბიზნესი 36

ელექტრონული ფოსტით მიღებული ნებართვა და ქართულ-ახალზელანდიური ოჯახის 3 ენაზე ამეტყველებული შვილები

■ ქართული სპორტის ლეგენდები 38

კალათში ბურთის ჩაგდების კორიფეები

■ ავტო 41

■ ისტორიის ლაბირინთები 42

ხევსურების გმირობა რუსეთ-იაპონიის ომში

■ საკითხავი ქალებისათვის 45

■ ეს სამყაროა 46

■ ანტიდეპრესანტი 48

■ ასპარეზი 48

■ ტაძარი 51

იგავი „ორგულ მნეზე“

■ ჯანმრთელობა 52

შვიდი მცდარი შეხედულება ასთმაზე

■ მისია 54

ამბები ჯუგაანელ ბიჭებთან დომინოს თამაში „დაკარგული“ ამერიკელისა, რომელიც სიღატაკემ კაცად აქცია

■ საზღვრებს მიღმა 56

ქართულ სიმღერაზე გულაჩუყებული რუსული პოლიტელიტა

■ თინეიჯერული პონტები 59

ვინ რას კითხულობს ანუ რატომ აკრიტიკებენ წიგნიერ თაობას

■ წვეთი პოეზია 62

■ საგანძური 63

■ რეალური 65

მორიგანი — აჩრდილთა დედოფალი (გაგრძელება)

■ ქართული დეტექტივი 68

რუსუდან ბერიძე. ანტიკვარი (გაგრძელება)

■ რომანი 72

სვეტა კვარაცხელია. ნაადრევი ენძელები (გაგრძელება)

■ გზავნილები 76

■ ყველა ერთისათვის 80

■ მობილიზაცია 82

■ მოზაიკა 90

■ ერუდიტი 92

■ გასართობი 94

■ ასტროლოგია 96

■ სკანვორდი 97

■ საფირმო კროსვორდი 98



საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია**
პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**
მენეჯერი: **მათე კბილაძე**

დიზაინი: **ნანა გიგოლაშვილი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი**

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@palitra.ge
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.


## სამყარო



# როგორ დაკარგა რევაზ ჩელებაძემ ნახევარი მილიონი

„მიხდება ჩემი წონის, 150 კილოგრამის აქეთ-იქით ტარება. მწვრთნელი მე ველარ გავხდები, მით უმეტეს, რომ რიგითი მწვრთნელობა არ მსურს, ხოლო გენიალურები ერთეულები არიან“.

36

## ადამიანი



# რატომ აკრიტიკებენ წიგნიერ თაობას

„ინტერნეტში „ჰარი პოტერი“ წავიკითხე, რადგან მის შესაძენად ჩემს მშობლებს ფული არ ჰქონდათ და სიმართლე გითხრათ, ამ პროცესით დიდად ვერ მოვიხიბლე“.

54

## ბიბლუსი



## ანტიკვარი



— ეტყობა, ამ გზით ვიღაც გავლენიანს სურს ნამუშევრის ხელში ჩაგდება. ასე რომ, თუ კიდევ ვინმემ შეგაწუხა, შეგიძლია, ძალიან შორს გაგზავნო.
— ასეც მოვიქცევი.
— ოღონდ, გაითვალისწინე, რომ კორძაძეს სასამართლოში ჩივილიც შეუძლია.

62

## ტაიმ-აუტი



# „წიგნებისადმი ინტერესი დღემდე არ გამნელებია“

ის „ერუდიტში“ სტუმრობაზე სიამოვნებით დამთანხმდა, ინტერვიუს ჩასაწერად მისულს კი მითხრა: „ჩემს მოსწავლეებს ვეუბნები — ასაკში შესვლას ერთი უპირატესობა აქვს, გამოცდებზე აღარ გავდივართ-მეთქი. დღეს ამ უპირატესობით, როგორც ჩანს, ვერ ვისარგებლებ“.

88



# ვყიდი გარაჟს ანუ „მიდი, გამახარე!..“

**შესავლის ნაცვლად** გუშინ (თქვენთვის — უკვე სამი დღის წინ) იყო ვალენტინობა და ხელისუფლებამ, როგორც სჩვევია, უსაჩუქროდ არ დაგვტოვა: 20-ლარიან ენერგოვაუჩერს 30-ლარიანი სასურსათო ვაუჩერი მოაყოლა: თუ გრიალია, გრიალი იყოს — ბარემ დაიმხეთ თავზე ყველაფერი, ამის მეტი რა შეგვრჩებაო! — მიშამ და თვითონ პირველი გაიქცა ბანკში ვაუჩერის გასანაღდებლად!

მაგარია: გადაიხდი დენის და გაზის ფულს ენერგოვაუჩერით — აანთებ შუქს, ჩართავ გაზქურას, შემოდგამ ზედ ქვაბს, ჩაყრი სასურსათო ვაუჩერით ნაყიდ მაკარონს და...

აეეეეე!!! ქეიფს ვიწყებ დილიდააააან!!!
ვიქრავებ დილიჟააააანსს!!!!!
მიშა მაგარიააააააააააა!!!!!!!!!

კაცო, სიმღერაზე გამახსენდა, ეს რუსული სიმღერები რომ აუკრძალავთ, როგორღა ვიქეიფოთ?..

სამაგიეროდ, ნაცნობი მყავს ერთი, „გიჟ-პოეტას“ რომ ეძახიან, ეგეთია, შემხვდა ამას წინათ ხელების ფშვნეტით: ჩემს ქუჩაზეც მოვიდა „პრაზდნიკი“ კი არა და, ზეიმიო — ვთარგმნი ახლა პოპულარული რუსული სიმღერების ტექსტებს და რესტორნის ფანოლებს მივყიდიო! ერთი-ორი იქვე წამიმღერა:



„მილიონ, მილიონ, მილიონ წითელ ვააააარდს,
ფანჯრიდან, ფანჯრიდან, ფანჯრიდან ხედავ შეეეეეენ...“

კიდევ: „თბომავალზე მუსიკა უკრავს და
შენ კი დგახარ, დგახარ ნაპირზეეეე...“

იქნებ ვინმეს გაეცინოს კიდეც ამ უკბილო ამბავზე, მაგრამ რატომ მოვყევი, იცით?.. მთავრობამ რომ მონაცემები გამოაქვეყნა, უმუშევრობა 17%-ია საქართველოშიო, იქ თურმე დასაქმებულებში ის ხალხიც იგულისხმება („თვითდასაქმებულებს“ ეძახიან ასეთებს), ნაგავში ბოთლებს რომ ეძებს, აბარებს და ფულს „შოულობს“.

ჰოდა, ეს ჩემი ნაცნობიც ხომ დასაქმდა ახლა ამ სიმღერების ტექსტების თარგმნით?! ანუ უმუშევრობა საქართველოში უკვე 17%-ზე ნაკლებია! გიხაროდენ!

ისე, რა მაგის პასუხია და, ახლა რომ გვყავს კი არა, მაგის წინ რომ „პირველი ლედი“ გვყავდა, გახსოვთ, რა ამბავი დააწიეს დღევანდელმა ხელისუფლებმა და მაშინდელმა ოპოზიციონერებმა?! 14-ლარიანი პენსიით ერთ კარგ სუფრას გაშლიო, — თქვა ცხონებულმა და ატეხეს გნიასი! არადა, ახლა რომ ვანგარიშობ, მგონი, ის 14 ლარი მეტი იყო, ვიდრე ეს 30 ლარი და ზედაც ენერგოვაუჩერი.

ჰმ, ხუმრობა იქით იყოს და, ერთი მანახვა, პრეზიდენტი მაღაზიაში რომ შევა და 30 ლარად სანდრას სადილის „პრიპასებს“ რომ უყიდის!

ჯანდაბას, „ნაჩუქარ ცხენს კბილებს არ უსინჯავენო“! „სიყვარულის დღეს“ დაამთხვია საჩუქარი, ჩვენც სიყვარულით მივიღოთ და სხვა თემაზე გადავიდეთ.

მაგალითად, პრეზიდენტის სტუმრობაზე პარლამენტში... არა, არა, არ მინდა — „მაგდენს ვერ დავლევ“! ყველაზე მეტად რა მომეწონა, იცით? გარაჟები აღარ არის საჭიროო, — რომ თქვა.

ჰოდა, ვყიდი გარაჟს — 10 სასურსათო და 25 ენერგოვაუჩერად. თუკი ვინმე ჩემს მანქანას ეზოში გაფხაჭნის ან რადიატორი გაიყინება, „ატვეჩაი“ შენ ხარ, მიშა!

ერთი კითხვა მინდა დავუსვა გოკა გაბაშვილს (რა საყვარლად ხუმრობდა, მიშამ იმდენი იცინააააა): ბატონო გოკა, კემბრიჯის საერთაშორისო ბიოგრაფიულ ცენტრს დავით ბაქრაძე „21-ე საუკუნის 2000 გამოჩენილი ინტელექტუალის“ სიაში რომ შეუყვანია და თქვენ რომ დიდი ამბით მიულოცეთ, ეგ სია თუ „ნაღდია“, ე.ი. რა გამოდის — თქვენი პრეზიდენტი ამ ერთი ციცქნა დედამიწის პირველ 2000 კაცშიც კი არ არის?! მგონი, იაღლიში მოგივიდათ, ბაქრაძისთვის კი არ უნდა მიგელოცათ, მაგ სიაზეც ისევე „მაღალმხატვრულად“ და „ზეინტელექტუალურად“ უნდა გელადავათ, როგორც თარგამაძეზე.

კიდევ რა?.. ჰო, კალმახელიძემ გაგვახარა; ჯერ პრეზიდენტი გაახარა — ზუსტად იმ დღეს, საკაშვილი პარლამენტს რომ სტუმრობდა და გაბაშვილი „ოსტრობდა“, დაბადების დღე ჰქონდა და მიშამ სრულწლოვნება მიულოცა; იმან კიდევ, ახალი ინიციატივა გაგვაცნო საღამოს — პატიმრები, სასჯელის მაგივრად, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას გასწევენო ანუ — მუქთად იმუშავებენო! მიშას გაუხარდა — ბიუჯეტში დაზოგილ ნებისმიერ ლარს ხომ „სუნი არა აქვს“...

**P.S.** ამ კალმახელიძეზე ისევ ვალენტინობა გამახსენდა... არა, არა, ცუდი არაფერი იფიქროთ, მე სხვანაირი ქალები მომწონს, თანაც ეგ პატარაა — სრულწლოვანი გუშინ გახდა, — სულ სხვა რამე ვიგულისხმე: ახლა წავიკითხე ამ მესამე საუკუნის წმინდა ვალენტინის ამბავი: რომის მმართველმა რომ გაუგო, მისგან უჩუმრად რა საქმეებსაც „აიმასქნებდა“, ციხეში ჩასვა და იქ ამ ჩვენს მღვდელ ვალენტინს ციხის მეპატრონის ქალიშვილი შეჰყვარებია! ციხის მეპატრონის, გესმით?! ანუ ციხეები რომში კერძო საკუთრებაში ყოფილა! ხომ არაერთხელ ახდა ჩემი პროგნოზი და ახლა ვისაც უნდა, ნაძლევს ვთავაზობ: მაქსიმუმ ამ წლის ბოლომდე კალმახელიძე კიდევ „გაახარებს“ მიშას: ინიციატივით შემოვა ციხეების განკერძოების შესახებ!

P.P.S. **პატარა, ახალფეხადგმულ ბავშვს რომ დაუძახებენ დიდი ბიძიები: „გამახარე, გამახარე, გამახარე...“ და ისიც რომ მობაჯბაჯებს საყვარლად და გაშლილ მკლავებში ეხუტება... რა ვიცი, რატომ გამახსენდა...**

*პროვოკატორი*

ავტორს შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ ელფოსტით:
provokatori67@gmail.com

# აინშტაინმა საკუთარი მემკვიდრე მშიერი დატოვა



ალბერტ აინშტაინის შვილიშვილი — ეველინ აინშტაინი ავტომობილში ცხოვრობს და სანახევროდ შიმშილობს. მეცნიერი წინაპრის ახირების გამო ვერანაირ სარგებელს ვერ იღებს იმ პროდუქციის გაყიდვიდან, რომლის მწარმოებლებიც აინშტაინის სახელს იყენებენ. საქმე ის გახლავთ, რომ გენიოსმა ფიზიკოსმა სიკვდილის წინ, 1955 წელს თავის ყველა ნაშრომზე ლიტერატურული უფლება, ასევე მთელი ინტელექტუალური საკუთრება, რაც მისი სახელის გამოყენების უფლებასაც მოიცავდა, იერუსალიმის ევროპულ უნივერსიტეტს გადასცა. აინშტაინის 69 წლის შვილიშვილს, ეველინს ცოტა ხნის წინ ონკოლოგიური ოპერაცია გაუკეთეს. ახლა ის სარეაბილიტაციო კურსს გადის. ეველინი დიდი ფიზიკოსის მრავალრიცხოვან მემკვიდრეებს შორის პირველია, ვინც დიდ წინაპარს საჯაროდ დაუწუნა საქციელი. ■

# ინდოელმა მინისტრმა გაეროს სხდომაზე პორტუგალიელი კოლეგის სიტყვა წაიკითხა




ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, სომანაჰალი მალაია კრიშნამ გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე შეცდომით, პორტუგალიელი კოლეგის სიტყვა წაიკითხა. სხდომაზე უსაფრთხოებისა და განვითარების საკითხები განიხილებოდა. კრიშნა პორტუგალიის საგარეო საქმეთა მინისტრის, ლუის ამადოს შემდეგ გამოვიდა. თავიდან მინისტრმა მოცემულ საკითხებზე ზოგად საუბარს მიჰყო ხელი და მისმა შეცდომამ არავის მოსჭრა ყური, მაგრამ რამდენიმე წუთში, როდესაც ამაყად განაცხადა, — ბედნიერი ვარ იმის გამო, რომ გაეროში ორი პორტუგალიურენოვანი ქვეყანა შევიდაო, — ცხადი გახდა, რომ სხვის ტექსტს კითხულობდა. „ჩემ წინ იმდენი ქაღალდი იდო, რომ შემეშალა და სხვისი ავიღე“, — აღნიშნა მოგვიანებით, ჟურნალისტებთან საუბრისას სომანაჰალი მალაია კრიშნამ. ■

# მუზეუმების კონგლომერატი ინტერნეტში

კომპანიამ „გუგლ“ და მსოფლიოს 17-მა უდიდესმა მუზეუმმა მასშტაბური პროექტი განახორციელეს — ამიერიდან მსურველებს ინტერნეტის მეშვეობით, პლანეტის ნებისმიერი ადგილიდან შეეძლებათ დარბაზებში მოხვედრა, ხელოვნების ნიმუშების, სურათების დეტალური დათვალიერება და მხატვრების ბიოგრაფიების გაცნობა. ლონდონის Tate-ის გალერეა, ნიუ-იორკის „მეტროპოლიტენ მუზეუმი“, პარიზის ვერსალი, ერმიტაჟისა და ტრეტიაკოვის გალერეები — ეს მხოლოდ რამდენიმე მუზეუმია, რომელმაც საკუთარი კოლექცია „გუგლის“ ტექნოლოგიებს დაუკავშირა. როგორც კომპანიის წარმომადგენელმა, ნელსონ მატოსმა განაცხადა, პროექტი არაკომერციულია და კომპანიისთვის მოგება არ მოაქვს. ■



# საწერი ალჭურვილობა, რომლითაც ჰიტლერმა ჩეხოსლოვაკია გაყო...

ანტიკვარიატის ამერიკელმა სპეციალისტმა, კრეიგ გოთლიბმა გასაყიდად, ადოლფ ჰიტლერის სამელნე გამოიტანა. როგორც გოთლიბი ამბობს, ფიურერმა სწორედ ამ სამელნის კალმით მოაწერა ხელი 1938 წელს მიუნხენის შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც ჩეხოსლოვაკიის ნაწილი რაიხს გადაეცა. სამელნე, რომელიც ბრინჯაოსგან არის გაკეთებული და 23 კგ-ს იწონის, მილიონ დოლარადაა შეფასებული. რელიკვიის მფლობელი მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ჯეკ მაქკონია. მან ჰიტლერის სამელნე 1945 წელს მიუნხენში, ფიურერის სახლში — „ფიურერბაუში“ აღმოაჩინა. სწორედ იქ მოაწერეს ხელი მიუნხენის შეთანხმებას საფრანგეთმა, დიდმა ბრიტანეთმა, იტალიამ და გერმანიამ.




კრეიგ გოთლიბსა და ჯეკ მაქკონს იმედი აქვთ, რომ რელიკვიას ვინმე მეცენატი იყიდის, რომელიც შეძენილ ნივთს მუზეუმს გადასცემს. გოთლიბს ყველაზე მეტად იმის ეშინია, რომ ნივთი რუსეთში შეიძლება მოხვდეს. ■

*გამოყენებულია ინტერნეტპორტალ ambebi.ge-ს მასალები*

*რუბრიკა მოამზადა*
***ხათუნა ბახტურიძემ***



# ქვეყანა

# ღარიბების ფულით დარიგებული ვაუჩერები და მასხრად აგდებული ოპოზიცია




**პრეზიდენტ სააკაშვილის წლიური ანგარიში პარლამენტში და მისი ახალი ინიციატივა კვების პროდუქტების ვაუჩერების შესახებ — ის საკითხებია, რომლებზეც ბოლო ერთი კვირის განმავლობაში საზოგადოების თავშეყრის ადგილებში ყველაზე ხშირად საუბრობენ. სახელმწიფოს მეთაურმა პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას აღიარა, რომ დღეს ქვეყნის მოსახლეობის ყველაზე დიდი პრობლემა — გაზრდილი ფასები და გაძვირებული ცხოვრებაა. მან დეპუტატებს ურჩია, წარმოიდგინონ — როგორ თენდება დილა დედისთვის, რომელსაც ყოველი თეთრი აქვს გათვლილი, რათა ოჯახი არჩინოს და უცებ გაიგებს, რომ შაქარი 3 ლარამდე გაძვირდა, ზეთი კი — 4 ლარამდე; ან — უმუშევარი კაცისთვის, რომელმაც არ იცის, რა უთხრას ცოლს, შვილებს, მით უმეტეს, რომ ხვალ შინ მისატანი პური შეიძლება, კიდევ უფრო ძვირი დაუჯდეს... პრეზიდენტმა პირობა დადო, რომ ყველაფერს გააკეთებს საკუთარი ქვეყნის მოქალაქეებისთვის იმედის დასაბრუნებლად; ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი უკვე გადადგა — მოსახლეობას ელექტროენერგიის 20-ლარიანი ვაუჩერების შემდეგ, სურსათის 30-ლარიანი ვაუჩერების დარიგებას დაჰპირდა.**

*ხათუნა ბახტურიძე*

**ვალერი სინჯიკაშვილი,** *ოპერატორი:*

— ოპოზიცია რა „ფარჩაკიც" ქუჩაშია, ისეთივეა პარლამენტშიც. ნახეთ, რა უქნა პრეზიდენტმა გურამ ჩახვაძეს?! დიდი რიხით დაიწყო ლაპარაკი ელიტურ კორუფციაზე, მაგრამ მოსთხოვა თუ არა სააკაშვილმა, კონკრეტული კორუმპირებული ჩინოვნიკები დაესახელებინა, კინაღამ ტრიბუნაში ჩაძვრა; სულ „ბოდიშები" იხადა. თუ კომპრომატები არ ჰქონდა, რა ალაპარაკებდა?!

**თენგიზ ვაშაკიძე,** *ეკონომისტი:*

— პრეზიდენტმა პარლამენტში გამოსვლისას თქვა, რომ ფასები მხოლოდ საქართველოში როდი იზრდება და ამ პრობლემამ მთელი სამყარო მოიცვა. მან რატომღაც არაფერი თქვა იმის შესახებ — იმ ქვეყნებში, სადაც ფასები იზრდება, რიგით მოქალაქეებს არც ჩვენსავით დაბალი ხელფასები აქვთ და არც დასაქმების პრობლემა. არ ვგულისხმობ ერაყის მსგავს ქვეყნებს, სადაც მოსახლეობა სიღატაკის ზღვარს მიღმა იმყოფება. იქ რევოლუციის უმთავრესი მიზეზი სწორედ სიღატაკე იყო. იმედია, ჩვენი ხელისუფლება ეგვიპტელებივით არ დაგვამშევს...

**ნინო გასიშვილი,** *მკერავი:*

— ეს 20 და 30-ლარიანი ვაუჩერები — მასხრად აგდებაა და მეტი არაფერი. გაზრდილი ფასების წყალობით, კვების 30-ლარიანი ვაუჩერით ორი დღე შეიძლება გამოკვებო ოჯახი. მერე რა ვქნათ, რა ვჭამოთ?! პრეზიდენტმა გულაჩუყებულმა მოუწოდა დეპუტატებს, რომ ჩვენი — გაჭირვებული ხალხის ადგილზე წარმოიდგინონ თავი, მერე კი თავი იმართლა, — რა ვქნა, ფასების ზრდა გლობალური პრობლემა არისო. იცით, როგორ გამოუვიდა? შევდივარ თქვენს მდგომარეობაში, მაგრამ უადგილობის გამო, ისევ უკან გამოვდივარო, ესაო, ისაო, თქვენი დიდი ხათრი მაქვს, მაგრამ ვერაფერს გშველითო...

— **რატომ? პრეზიდენტმა ისიც ხომ თქვა, რომ არ აპირებს, ყველაფერი გლობალურ პროცესს დააბრალოს და საქართველოს მთავრობა პრობლემის მოსაგვარებლად, საჭირო მონეტარულ-ფისკალურ პოლიტიკას ახორციელებს...**

— მერე რა, რომ თქვა?! ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები


რადიო თავისუფლება

უსმინეთ პროგრამას
„თავისუფლების 10 წუთი"!

რადიო თავისუფლება
— რადიო პალიტრის ეთერში!

ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა,
საღამოს ათის ნახევარზე.

radiotavisupleba.ge

ბევრ რამეს ამბობენ და ბევრ რამეს გვპირდებიან, მაგრამ მაგათ გაკეთებულ საქმეს ვერ ვხედავ. ამოგვიყვანეს ყელში ეს უხარისხოდ დაგებული გზები, წითელ-ყვითლად შეღებილი კორპუსები და შადრევნები!.. იქნებ ჩვენთვისაც ეკითხა ვინმეს, რა გვირჩევნია — თვალის გასახარი სან-

უსამართლოდ მოექცა ვეტერანებს და დევნილებს. შეიძლება, მეომარი ხალხის ასე „გაფარჩაკება"?! ან საბრალო დევნილებს კიდევ აწიოკება უნდოდათ?! ამას წინათ თქვენს ჟურნალში წავიკითხე, რომ თურმე ტუ-



## ეს 20 და 30-ლარიანი ვაუჩერები — მასხრად აგდებაა და მეტი არაფერი

ახაობების მოწყობა თუ ადამიანური ხელფასები?!.

**ბესო ფარცვანია,** *მუსიკოსი:*

— ძალიან დამაიმედებელი მომეჩვენა პრეზიდენტის გამოსვლა პარლამენტში. დარწმუნებული ვარ, შექმნილი პრობლემიდან გამოსავალს აუცილებლად ნახავს. 2008 წელს მთელ მსოფლიოში მძვინვარებდა კრიზისი, საქართველო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც პრობლემიდან გამოსავალი მალევე იპოვა.

— **მაშინ გამოსავალი იმიტომ ვიპოვეთ, რომ დასავლეთი დაგვეხმარა...**

— მერე რა?! მაგასაც შნო უნდა. ყველას კი არ ეხმარება დასავლეთი. ასეა თუ ისე, დღეს საქართველოში ხალხს არ შია. თუ ვინმე ხელს გაანძრევს, პირდაღებული არ დაელოდება, როდის ჩაუვარდება პირში ხიდან ჩამოვარდნილი ნაყოფი, შიმშილით არ მოკვდება.

**მამუკა ბარბაქაძე,** *მძღოლი:*

— ძალიან მაგრად დაარტყა პრეზიდენტს ახვლედიანმა, მაგარი გამოსვლა ჰქონდა. პირდაპირ მიახალა, რა

ნისში რევოლუცია იმიტომ მომხდარა, რომ ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დაჩაგრულ მოქალაქეს თავი დაუწვავს. ასეთი რამ აქაც ხომ მოხდა?!. თავის დაწვა და სხვა განწირული ნაბიჯების გადადგმა აწი ნახეთ, თუ ფასების ზრდა არ შეჩერდა. მე ტაქსის მძღოლი ვარ. საწვავი გააძვირეს, მგზავრებს მომსახურებისთვის მომატებული ფასის გადახდა არ უნდათ (არა აქვთ

ლური რეფორმებით ქვეყანას თავზე გვანგრევენ. მაღალჩინოსნებს ჰგონიათ, თუ ტრიბუნიდან გვეტყვიან, ქვეყანა აღმავლობის გზას ადგას და ყველაფერი კარგად არისო, ჩვენც აუცილებლად დავიჯერებთ?! არ მჯერა მე იმ ხელისუფლების, რომელსაც ხალხი მშიერი ჰყავს, თავად კი ფუფუნებაში ცხოვრობს, რომელსაც გაჭირვებული

## არა მგონია, კარგი იყოს, რომ სახელმწიფო თავის ფულს მილიონერსა და ღატაკს ერთნაირად ურიგებს

და რა ქნან, მაგათიც მესმის); მე რაღა ვქნა, რითი გამოვკვებო ცოლშვილი?! ჩემნაირებით კი სავსეა ეს ქვეყანა.

**ნიკა სალარიძე,** *სტუდენტი:*

— ძალიან მოშეწონა თარგამაძის გამოსვლა. მე ეგ პოლიტიკოსი სულაც არ მესიმპათიურება, მაგრამ პარლამენტში კარგი გამოსვლა ჰქონდა მასაც და ახვლედიანსაც. მართალია, რომ ამბობენ, — საქართველო ბოლო წლების განმავლობაში, გაუგებარი ექსპერიმენტების არეალად გადააქციესო. გაუგებარი და სულე-




ადამიანები არ ეცოდება და ქუჩაში ყრის, რომელიც საკუთარ მოქალაქეებს ცილს სწამებს, დასცინის... მე გამაოცა პარლამენტში მოწყობილმა შოუმ. იმის მაგივრად, რომ ხელისუფალთ შერცხვენოდათ იმის, რომ პენსიონერის შემოსავალი ორჯერ ნაკლებია სახელმწიფოს მიერ დადგენილ საარსებო მინიმუმზე, და ადამიანები დღეგამოშვებით ჭამენ საჭმელს, მათ მასხრობა დაიწყეს, თარგამაძეს ასლან აბაშიძისა და ბადრი პატარკაციშვილის სურათები გამოუფინეს!.. თარგამაძეს სუფთა წარსული რომ არა აქვს, ეს დაგვამშვიდებს და იმის კომპენსაციად გამოგვადგება, რომ ამ მთავრობის ხელში ცხოვრება 70%-ით გაძვირდა, ადამიანების უფლებები და ღირსებები ილახება?!. პარლამენტში უმრავლესობისა და უმცირესობის წარმომადგენლებმა კარგად იხალისეს, „კრება დარჩა მხიარული" — მაგათ რა ენაღვლებათ?!

## პრეზიდენტის ანტიკრიზისულ პროგრამას გადაუსვა წითელი ხაზი, თავად თუ აქვს რაიმე ისეთი პროგრამა

**მარინა აბუაშვილი,** *მცირე მეწარმე:*

— ძალიან გამიკვირდა, პრეზიდენტმა გადასახადების გამარტივებაზე რომ ილაპარაკა. რა შეღავათებზეა ლაპარაკი?! ვინც გადასახადებისგან დახრჩობას გადავურჩით, ჯარიმებით გვხდიან სულს: ყოველდღე შიშის კანკალი მაქვს, „კლაუზნიკმა“ კონტროლიორებმა რამე წვრილმანის გამო ჯარიმა არ დამაკისრონ... ეს ვაუჩერების ამბავი ძალიან სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. დენის ვაუჩერი კიდევ რაღაც შეღავათია, მაგრამ 30-ლარიანი კვების ვაუჩერი რა უბედურებაა? გაზრდილი ფასების „წყალობით“, ბაზარში ერთხელ წასვლისას ან გეყოფა, ან — არა.

**გია ნასყიდაშვილი,** *ბიოლოგი:*

— რა მაინტერესებს, იცით? გიორგი თარგამაძემ პრეზიდენტის ანტიკრიზისულ პროგრამას გადაუსვა წითელი ხაზი, თავად თუ აქვს რაიმე ისეთი პროგრამა, რომლის საშუალებითაც ქვეყანაში არსებული სოციალური პრობლემის მოგვარება იქნება შესაძლებელი?! მართალი თქვა პრეზიდენტმა — სწორედ ოპოზიციის სინდისზეა, 2009 წელს ეკონომიკაში პრობლემები რომ შეიქმნა: მათმა უაზრო საპროტესტო აქციებმა ქვეყანა კინაღამ დააქცია.

— **საპროტესტო აქციების დაწყებამდე ქვეყნის ეკონომიკაში პრობლემები არ იყო?**

— კი, მაგრამ მანამდე იყო ომი, მსოფლიო კრიზისი და სხვა უამრავი პრობლემა. მსოფლიოში ახლაც კრიზისია... რა ქნას ხელისუფლებამ? პრობლემის გამოსასწორებლად რაღაც ნაბიჯები გადადგა — ვაუჩერების დარიგებას ვგულისხმობ.

— **ფიქრობთ, რომ ვაუჩერების დარიგება პრობლემას მოაგვარებს?**

— პრობლემას მთლად ვერ მოაგვარებს, მაგრამ გაჭირვებულ ადამიანებს რაღაც შეღავათს ხომ მაინც მისცემს! ვინც იმას ამბობს, 20 და 30-ლარიანი ვაუჩერი რაში გვეყოფა, რა ჯანდაბად გვინდაო, იმათ არ უჭირთ, თორემ 5-ლარიანიც გაუხარდებოდათ.

**ნანა სარიშვილი,** *პედაგოგი:*

— რატომ უნდა გამიხარდეს 5-ლარიანი ვაუჩერი? მათხოვარი ვარ?! ან რატომ უნდა მიჭირდეს ძალიან და რატომ არ უნდა მქონდეს ღირსეული ხელფასი — განათლება არა მაქვს თუ რა?! პრეზიდენტი ხომ ამბობს, — მასწავლებლის პროფესია ყველაზე ღირსეულიაო! ღირსეულ ხელფასს რატომ არ გვაძლევენ? ვის სჭირდება მაგათი გადმოგდებული „კაპიკები“?! თავად, დღეში მაინც თუ ჰყოფნით 20 ან 30 ლარი?

**სერგო გამულაშვილი,** *სპორტსმენი:*

— როგორც ვიცი, ვაუჩერებს ყველასურიგებენ. კი, მაგრამ რად უნდათ 20 და 30-ლარიანი ვაუჩერი თანამდებობის პირებს?! არა მგონია, კარგი იყოს, რომ სახელმწიფო თავის ფულს მილიონერსა და ლატაკს ერთნაირად ურიგებს. მე თუ მკითხავთ, ეს სახელმწიფოს მხრიდან ფულის დანაშაულებრივი ფლანგვაა. ბიუჯეტი ხომ ღარიბებიდან ამოღებული ფულითაც ივსება! როდესაც ღარიბისგან წამოღებული ფულით მილიონერს დენის ფულით ასაჩუქრებ, ეს პარადოქსული სიტუაციაა. ■



# ქართული „პოლიციის“ დადებითი და უარყოფითი მხარეები

**შს სამინისტროს მიერ პირველი ქართული თამაშის შექმნის შესახებ ინფორმაცია ჯერ კიდევ შარშან ზაფხულში გავრცელდა. ინტერნეტ-მომხმარებლები ინტერესით ელოდებოდნენ „პოლიციის“ გამოჩენას... მაშინვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ თამაშის შექმნისთვის შსს-მ 20 მილიონი დოლარი დახარჯა და 10.000 დოლარის ღირებულების ტექნიკა ჩამოიტანა, მათ შორის Nvidia Quadro-ს გრაფიკული ფირები... საქმეში ჩართული იყო რამდენიმე ცნობილი უკრაინელი დიზაინერ-გრაფიკოსი. თამაშის შექმნაში კომპანიები STALKER და Metro 2033 მონაწილეობდა. შს სამინისტროს დაკვეთით, თამაშის შექმნაში Delta Systems-საც დიდი წვლილი აქვს შეტანილი...**

ლალი პაპასკირი

*თამაშში მოქმედება თბილისის სხვადასხვა ქუჩაზე ხდება, რასაც მანქანების პარკირების სურათითაც მიხვდებით. როგორც სტაჟიანი მოთამაშეები ამბობენ, ის რეალობასთან არის მიახლოებული, მაგრამ ყველასთვის ხელმისაწვდომი არ იქნება, რადგან საკმაოდ დიდი სისტემური მოთხოვნებით გამოირჩევა...*

*ფსიქოლოგი ლელა გაფრინდაშვილი მიიჩნევს, რომ ასეთი თამაშის შექმნა საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი მოზარდებში აგრესიის დონეს გაზრდის, მით უმეტეს, იმ ვითარებაში, როდესაც შემეცნებითი თამაშები არ არსებობს. სამინისტროს IT სამმართველოს უფროსის მოადგილის, გიორგი ლუაშვილის თქმით, თამაშის მთავარი გმირი იქნება პოლიციელი, რომელსაც ყველა დეპარტამენტში, სხვადასხვა თანამდებობაზე მოუწევს მუშაობა და კარიერულ წინსვლას ყველაზე დაბალი საფეხურიდან დაიწყებს. როგორც სამინისტროს თანამშრომელი აღნიშნავს, მასში რეალურად მომხდარი დანაშაულების გამოძიება, ბოროტმოქმედთა დევნა, დაკავება და სხვა ამგვარი ამბები აისახება. ეს თამაში კომერციულ მოგებას არ ითვალისწინებს — იგი საქართველოში IT ტექნოლოგიებისა და თამაშების ინდუსტრიის განვითარებას ისახავს მიზნად.*




**უკეთესის გაკეთებაც შეეძლო... თუმცა ეს თამაში საზოგადოების ინტერესს მაინც გამოიწვევს**

*პირველი ქართული 3D ფორმატის მულტფილმის შემქმნელი,* **შალვა რამიშვილი** *პირველი ქართული თამაშის შემქმნელებს კრეატივსა და დრამატურგიას უწუნებს.*

— ჩემი ინფორმაციით, ამ თამაშის შესაქმნელად, შს სამინისტროს ძალიან დიდი რესურსი აქვს დახარჯული და უკეთესის გაკეთებაც შეეძლო... თუმცა ეს თამაში საზოგადოების ინტერესს მაინც გამოიწვევს, ვინაიდან უფასოდ რიგდება და თან — პირველი ქართული კომპიუტერული თამაშია... რაც შეეხება ხარისხს, — არ არის კრეატივი, სქემატურია და გახმოვანების მხრივაც არის პრობლემები... სხვების არ ვიცი, მაგრამ მე მას არ ვითამაშებდი.

— **რატომ?**

— იმიტომ, რომ თუ ჩვენ კომპიუტერული ანიმაციის ხარისხით უცხოელებს ვერ გავუსწრებთ, მაშინ ჯობია, ქართული რაღაცები მაინც დავამატოთ... თამაშის მთავარი გმირი ეტაპობრივად, ლახავს ბარიერებს და თანამდებობებსაც „იმაღლებს“, მაგრამ ამჟამად მხოლოდ ერთი დონე აქვთ გაკეთებული — მეტი ჯერ-ჯერობით არ არის შექმნილი... რაც შეეხება იმას, რომ ეს საზოგადოებაში აგრესიას გაზრდის, — ამ აზრს არ ვიზიარებ. ეს მსოფლიოში დამკვიდრებული აზრია, მაგრამ აგრესიის გამოსაწვევად, ასეთი ტიპის თამაში სულაც არ არის აუცილებელი — შეიძლება, ნებისმიერმა გარემო ფაქტორმა გამოიწვიოს და მაშინ უნდა გავეცალოთ სამყაროს და სადმე განმარტოებით, კუნძულზე დავსახლდეთ.

**დავით კოსტავა,** *იურისტი:*

— ამ თამაშის გარშემო ისეთი ამბები იყო ინტერნეტფორუმებზე ატეხილი, რომ ერთი სული მქონდა, როდის დადებდნენ პოლიციის საიტზე. მგონი, პირველი ვიყავი, ვინც ეს თამაში გადმოიწერა, მაგრამ მართალი გითხრათ, აღფრთოვანებული არ დავრჩი. პროფესიონალიზმი აკლია.

— **კონკრეტულად?**

— თამაშის გმირს იმდენი სიცოცხლე აქვს, არასდროს კვდება და მოსაბეზრებელია... თან, როგორც ჩანს, თამაშს სულ სამი მსახიობი ახმოვანებს და იმდენად უნიჭოდ თამაშობს, რომ ინტერესი დაეკარგება ადამიანს... მოთამაშე არის ქართველი პოლიციელი, რომელსაც გარკვეული დავალება აქვს მიღებული — მაგალითად, ბანკის მძარცველების დაპატიმრება ან რუსი ჯაშუშის აყვანა. გარდა ამისა, მოთამაშე ხვდება „სასროლეთში“, სადაც მიზანში სროლით, დაბრკოლებების გადალახვითა და სხვა საწვრთნელი დავალებების შესრულებით, საკუთარ დონეს აჩვენებს. ამის შემდეგ, შესაბამისი სირთულის დავალების წინაშე დგება. ერთი



## კატეგორიულად არ ვეთანხმები იმ სკეპტიკოსთა განწყობილებას, ვინც მიიჩნევს, რომ უვარგისი თამაშია. ძალიან საინტერესოა

შეხედვით, შინაარსი კარგია, თან, ინტერფეისის ენა — ქართულია და ეს თამაშს აიოლებს. მართალია, ასაკი განსაზღვრულია — 17+ ასაკის ადამიანებისთვის არის განკუთვნილი, მაგრამ არა მგონია, უფრო პატარებისთვისაც არ იყოს ხელმისაწვდომი. კარგი იქნება, თუ ამას მიაქცევენ ყურადღებას, რადგან თამაშში გამოყენებულია უცენზურო სიტყვები, სისხლი, ალკოჰოლი...

**თემურ იორგანიძე,** *35 წლის, პროგრამისტი:*

— მესმის, რომ ყველაფერი მაღალ დონეზე არ არის გაკეთებული, მაგრამ ყველაფერი ერთბაშად არ შეიძლება ძალიან მაგარი და „შიკი" კლასის იყოს... 20 წლის წინ ბნელში ვისხედით, დენი კი არა, კომპიუტერი რა იყო, 3 კაცმა იცოდა საქართველოში; ჩემი უფროსი მეგობრებისთვის ერთადერთი გასართობი — რუსულიდან გადმოკოპირებული „ნუ პაგადი" იყო... დიახ, ძალიან მაგარი არ არის, მაგრამ რაღაც პოზიტიური დეტალები არის ამ თამაშში. უამრავ სფეროში ვართ ჩამორჩენილები, მაგრამ მთავარია, ვიღაცამ დაიწყოს, სტარტი ავიღოთ და მერე წარმატებებიც მოვა!..

**— ანუ უქმად ყოფნას უქმად შრომა სჯობია?..**

— არა, მთლად მასეც არ არის საქმე. ამ პროექტს უქმად შრომას ვერ დავარქმევთ... ჩვენთან კი არა, იმ ქვეყნებშიც კი, სადაც ინდუსტრია ძალიან მაღალ დონეზეა განვითარებული, 3 მოდელებისა და ანიმაციების შესწორება თამაშის „სკრიპტებზე" მოსარგებად, თითქმის ყოველთვის საჭიროა... რაც შეეხება აგრესიულ და უწმაწურ რეპლიკებს, რაზეც დიდი ამბავია ატეხილი, — სადმე, რომელიმე ძალიან მაღალი დონის ფილმში გინახავთ, ბოროტმოქმედი „თქვენობით" ესაუბრებოდეს პოლიციელს, ეფ-ბი-აის თანამშრომელს ან აგენტს?.. ამერიკულ და რუსულ თამაშებშიც გინება „ოხრად" არის და რა მოხდა მერე?! ამას წინათ ვნახე, რუსულ საიტზე — lenta.ru-ზე მომხმარებლები როგორ განიხილავდნენ ამ თამაშს; პროფესიონალური კრიტიკაც იყო, რაღაცებიც დაგვიწუნეს, მაგრამ ბევრმა გულწრფელად აღიარა, რომ საქართველო მართლაც ვითარდება...

**ნინო დედაბრიშვილი,** *კარატეს ინსტრუქტორი:*

— ვნახე და მართალი გითხრათ, საერთოდ არ მომეწონა. თუკი ეს პროექტი, საზოგადოებაში პოლიციის ავტორიტეტის ამაღლებას ემსახურება, მაშინ შეიძლება, ახლავე ითქვას, რომ წარუმატებელია, მაგრამ თუ მართლა გასართობად არის შექმნილი ან ინდუსტრიის განვითარებას ემსახურება, მაშინ არა უშავს... ისე კი, ამდენი ფული თუ დახარჯეს, ნორმალური დიზაინერი ვერ აიყვანეს?! ან ეს ქართული „ფონტი" სად ნახეს?.. საერთოდ, როგორც ვიცი, როცა მსგავსი პროექტი იქმნება, ყოველთვის ცალკე ჯგუფი მუშაობს საკუთარი „ფონტების" შექმნაზე, რომელიც თამაშის ინტერფეისთან მაქსიმალურად შერწყმული იქნება და არა ისეთი, როგორიც ქართულ „პოლიციას" აქვს... გრაფიკაში უამრავი უზუსტობაა. კონკრეტული ადგილები არ მახსოვს, მაგრამ რაღაცები თვალში მომხვდა. გარდა ამისა, დიალოგები ძალიან ხელოვნურია, ტერმინოლოგია — ძალიან ერთფეროვანი და მოსაწყენი, ყველა ერთსა და იმავე სიტყვას



გაიძახის... შეიძლება, წვრილმანია, რასაც ახლა ვამბობ, მაგრამ აუცილებელი არ არის, სიკვდილის წინ ყველამ ერთნაირი სიტყვა თქვას, უბრალოდ რომ წაიკვნესოს, ეგეც საკმარისი იქნება. გარდა ამისა, მძარცველების მოძრაობა ძალიან სწორხაზოვანია ანუ — დაგეშილებივით, მაინცდამაინც ერთსა და იმავე ადგილზე გარბიან და იქიდან გესვრიან, თან — სტანდარტულად, გვერდულად მოძრაობენ.

საინტერესოა, ქართველების კვალობაზე, საკმაოდ კარგი გამოვიდა, უბრალოდ, როგორც აქტიური მომხმარებელი და გულშემატკივარი, რამდენიმე „პამეხის“ შესახებ რჩევას დავწერ და იმედია, როგორმე მიაღწევს შემოქმედებით ჯგუფამდე და გაითვალისწინებენ. გახმოვანება მართლაც დასახვეწია. შესაბამის სიტუაციაში მსახიობები უფრო ემოციურად უნდა საუბრობდნენ, თუკი რეალობას მიახლოებულ შემთხვევას-

## უამრავ სფეროში ვართ ჩამორჩენილები, მაგრამ მთავარია, ვიღაცამ დაიწყოს, სტარტი ავიღოთ და მერე წარმატებებიც მოვა!..

კიდევ — იარაღი რომ გიჭირავს, მაშინ იწერება, რამდენი ტყვია გაქვს; საერთო ჯამში რამდენი გაქვს, ისიც რომ იწერებოდეს, უკეთესი იქნებოდა. დამნაშავეების მოქმედება ძალიან პროგნოზირებადია და სავარაუდოდ, რამდენიმე თამაშის შემდეგ მოსაწყენი იქნება. იმედი მაქვს, სრულ ვერსიაში ასეთი შეცდომები აღარ იქნება...

— **საკმაოდ გამოცდილი მოთამაშე ჩანხართ...**

— დიახ, საკმაოდ სტაჟიანი „გეიმერი“ ვარ. თან, ასეთი თამაში, პროფესიიდან გამომდინარე, ჩემი სტილია და ძალიან მაინტერესებს. ერთადერთი კარგი ის არის, რომ უფასოა.

**დათო ჩაკვეტაძე,** *სპორტსმენი:*

— კატეგორიულად არ ვეთანხმები იმ სკეპტიკოსთა განწყობილებას, ვინც მიიჩნევს, რომ უვარგისი თამაშია. ძალიან



თან გვაქვს საქმე. კარგი იქნება, თუ ექიმი ჰაუსის გამხმოვანებელს, დიმა ტატიშვილს დაიქირავებენ: ძალიან სპეციფიკური ხმა აქვს და მოუხდება... ასევე დასახვეწია მოთამაშეთა სახის მიმიკა. როგორც ცნობილია, ძვირად ღირებული ტექნოლოგიები ჩამოიტანეს და ეს არ უნდა გაუჭირდეთ. ასევე, თამაშის დროს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფერთა პალიტრას: რაც უფრო მეტი ლამაზი ფერია, მით უფრო ლამაზი საყურებელია... ჩვენს „პოლიციას“ კი გადახუნებული ფერები აქვს. თამაშის მენიუს მუსიკა ძალიან კარგია, მაგრამ უმჯობესი იქნება, თუ ქართული ხასიათის, თუნდაც იუმორის ელემენტს შეიტანენ... თუმცა საერთო ჯამში, მაინც კარგია, იმიტომ, რომ ქართულია. პირველი თამაშია და ასეთი შედეგიც კი გასაოცარია. გავიხსენოთ, რითი დაიწყეს ცნობილმა კომპანიებმა. ასეთ საქმეში დიდი ფულის ჩადება აუცილებელია, რადგან ძალიან მომგებიანი სფეროა და რამდენსაც ხარჯავენ, იმაზე 5-ჯერ მეტს იღებენ... ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ საკმაოდ კარგი გემოვნება მაქვს ჩამოყალიბებული ამ სფეროში და კრიტიკაც შემიძლია, ოღონდ — გულწრფელი და არა ბოროტი ან დამცინავი... 5 წელია, ვოცნებობ ამაზე. ირანმაც კი გააკეთა ასეთი თამაში და ჩვენ ვისზე ნაკლებად ნიჭიერი ერი ვართ?!. რაც შეეხება აგრესიის გაღვივების საკითხს, — ეს დიდი სისულელეა. მსგავსი ტიპის უამრავი თამაში მაქვს კომპიუტერში, რომელსაც როგორც მე, ისე ჩემი მეგობრების შვილები თამაშობენ და რევოლუცია მოგვიწყვია მაშინ!.. როგორ შეიძლება ყველაფერს უარყოფითად შევხედოთ?!. ■

*თეა ხურცილავა*

**ცოტნე გამსახურდია თბილისის საქალაქო სასამართლოს წინაშე უკვე მეორედ, ახალი ბრალდებით წარდგა, ამჯერად — ციხის თანამშრომლისთვის ქრთამის მიცემაში ადანაშაულებენ. სასამართლო დასასრულს ისე მიუახლოვდა, რომ სხდომებს ცოტნე გამსახურდია არ დასწრებია. პირველ სხდომაზე მოსამართლე ზვიად ესებუას მან სთხოვა, განცხადების გაკეთების საშუალება მიეცა. „გთხოვთ, მომცეთ საშუალება, მოგახსენოთ, თუ რა ხდება დღეს რეალურად, სასჯელაღსრულების სისტემაში“, — თქვა ცოტნემ და რამდენიმეგვერდიანი განცხადების წაკითხვა დააპირა. მოსამართლემ მას განცხადება შეაწყვეტინა და მოსთხოვა, მხოლოდ განსახილველი ბრალდების ირგვლივ ელაპარაკა. ცოტნემ პროტესტის ნიშნად, დარბაზი დატოვა და განაცხადა, რომ სასამართლო განხილვაში მონაწილეობას არ მიიღებდა.**

*ამ ფაქტს დარბაზში მერაბ კოსტავას ქალიშვილის პროტესტიც მოჰყა: „ასე ექცეოდნენ მამაჩემს, მერაბ კოსტავას და მამამისს, ზვიად გამსახურდიას, ახლა თქვენც ასე ექცევით ცოტნეს. ეს არ არის სასამართლო, სირცხვილი თქვენ!“ — თქვა მან და დარბაზი დატოვა.*

*ადვოკატმა მანანა კობახიძემ სასამართლო სხდომების ვიდეოფირზე ჩაწერა მოითხოვა და ამის მოტივად, საქმისადმი საზოგადოების დიდი ინტერესი დაასახელა, მაგრამ მოსამართლემ ეს შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და აღნიშნა, რომ ვინაიდან სხდომები არის ღია, საჯარო, დამატებით ჩაწერა, ზედმეტი იქნებოდა.*

*პროცესზე მოწმეების დაკითხვა დასრულებულია. პარალელურად, გამსახურდიას ადვოკატს, ქეთი ბექაურს პირველი საქმე უზენაეს სასამართლოში ჰქონდა გასაჩივრებული. როგორც ცნობილია, სასამართლომ ცოტნე გამსახურდია ბაჯელიძის დაჭრაში დაადანაშაულა და 9 წლითა და 6 თვით აღუკვეთა თავისუფლება. უზენაესმა სასამართლომ კი საჩივარი წარმოებაში საერთოდ არ მიიღო. ადვოკატ ბექაურის თქმით, საქართველოში სამართალი ვერ იპოვეს, ყველა ინსტანცია უკვე მოვლილი აქვთ და საჩივარს — „გამსახურდია — საქართველოს წინააღმდეგ“ ევროსასამართლო განიხილავს. ბექაური უზენაესი სასამართლოს პა-*

# უზენაესმა სასამართლომ გამსახურდიას საჩივრის განხილვაზე უარი თქვა

## ერთ დღეში განხილული საქმე და მიღებული განჩინება

*ლატის გადაწყვეტილებას სენსაციურს უწოდებს.*

**ქეთი ბექაური:**

— უზენაეს სასამართლოში გამსახურდიას 5-ტომიანი სისხლის სამართლის საქმე თბილისის სააპელაციო სასამართლოდან შევიდა. უკანონო განაჩენის გაუქმებას ვითხოვდით. უზენასი სასამართლოს პალატის მიერ (მოსამართლე მაია



ოშხერელის თავმჯდომარეობით) 2010 წლის 8 დეკემბერს გამოტანილია განჩინება და ჩვენი საკასაციო საჩივარი წარმოებაში არ მიიღეს. განჩინებაში ტრაფარეტული ფრაზა წერია — რომ ეს საქმე არ არის საინტერესო სამართლის განვითარებისთვის. განჩინებას ასევე ხელს აწერენ: დავით სულაქველიძე და გიორგი შავლიაშვილი. შავლიაშვილი საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე იყო, როცა ამ საქმეზე უკანონო განაჩენი გამოიტანეს და ახლა კვლავ მიიღო საქმის შესწავლაში მონაწილეობა. ეს არ იყო მისი მხრიდან კარგი ჟესტი. უზენაესმა სასამართლომ დაარღვია კონვენციის მეექვსე მუხლი — სამართლიანი სასამართლოს უფლება. დავინტერესდი, თუ რა ვადაში განიხილა მოსამართლემ 5-ტომიანი საქმე. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით ვისარგებლე და მივმართე წერილობით როგორც სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს, ასევე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს; მაინტერესებდა — როდის შევიდა საქმე სასამართლოში, როდის მიიღო წარმოებაში მაია ოშხერელმა (იმ დროისთვის მას რამდენი საქმე ჰქონდა წარმოებაში) და რა ვადაში განიხილა საქმე. სისხლის სამართლის პალატის სამდივნოს უფროსისგან მიღებული პასუხი შოკის მომგვრელი აღმოჩნდა: ოშხერელს ამ დროისთვის წარმოებაში განსახილველად ჰქონდა 47 სისხლის სამართლის საქმე და ცოტნე გამსახურდიას საქმე 6 დეკემბერს მიეწერა; ჰოდა, მოსამართლემ 8 დეკემბერს — ანუ ერთ დღეში უკვე გამოიტანა განჩინება. ეს სამართლებრივი ნონსენსი, თვალებში ნაცრის შეყრა, პირდაპირი დადასტურებაა იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს კანონის უზენაესობა. ეს არის გაუგონარი გულგრილობა. აქედან ჩანს, სახელმწიფო როგორ სცემს პატივს კონსტიტუციას, კანონს. არ ვაპირებ, რეაგირების გარეშე დავტოვო ეს გადაწყვეტილება. ევროსაბჭოს მრჩეველს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში, უკვე ვესაუბრე და გაოცებული დარჩა. ევროსაბჭო მალე გამოიტანს თავის დასკვნას პოლიტპატიმარ გამსახურდიას საქმეზე. აღნიშნულ საკითხზე მასალა შესასწავლად გადავეცი ადვოკატთა ასოციაციის სისხლის სამართლის



საქმეთა კომიტეტს, რომელსაც იოსებ ბარათაშვილი ხელმძღვანელობს. განხილვაში ცნობილი იურისტები მიიღებენ მონაწილეობას: მინდია უგრეხელიძე, ნინო გვენეტაძე, ოთარ გამყრელიძე, თეა წულუკიანი. იმითაც დავინტერესდი, არსებობდა თუ არა ევროსასამართლოს პრაქტიკაში მსგავსი შემთხვევა, რომ ერთ დღეში გამოეტანათ განჩინება. თეა წულუკიანის დახმარებით მოვიძიეთ ასეთი საქმე: „ნერსესიანი სომხეთის წინააღმდეგ“, რომელსაც იგივე პრობლემები ჰქონდა და ევროსასამართლომ მის მიმართ დაადგინა მეექვსე მუხლის დარღვევა და დაუშვებლად ცნო სასამართლოს გადაწყვეტილება. მერწმუნეთ, ეს არის კიდევ ერთი პრეცედენტული საქმე, რომელიც სტრასბურგის ევროპულ სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ იქნება განხილული. სხვა დარღვევებთან ერთად, მეექვსე მუხლის დარღვევას გავასაჩივრებ.



## ქვეყანა

**29 წლის ქეთი კახნიაშვილი სიყვარულის მსხვერპლი გახდა. კოჯრის ბატალიონის კაპრალი ქალი არმიის პოლკოვნიკმა, ჯონი ქოჩქანმა მოკლა. როგორც გაირკვა, ქოჩქანი კახნიაშვილის სახლში მივიდა და ხელი სთხოვა. უარის მიღების შემდეგ კი ცეცხლსასროლი იარაღიდან ორჯერ ესროლა. შეყვარებულმა ოფიცერმა თავის მოკვლაც სცადა, მაგრამ ამაოდ... ინციდენტის დროს სახლში მოკლულის დეიდაშვილი — მაია კაკიაშვილი იმყოფებოდა, რომელსაც ქოჩქანი ასევე მოკვლით დაემუქრა, მაგრამ გოგონამ გაქცევა მოახერხა.**

**მოგვიანებით ჯონი ქოჩქანი საპატრულო პოლიციაში მივიდა და მკვლელობის შესახებ აცნობა.**

# ტრაგედიად ქცეული სიყვარულის ამბავი

## „ახლა გავიგე, რომ ემუქრებოდა და აშანტაჟებდა...“

*ხათუნა ბახტურიძე*

*ქეთი კახნიაშვილი გორის რაიონის სოფელ კარალეთის მკვიდრი იყო; ჯონი კოდორის ხეობიდანაა. არმიაში სამსახური ორივემ სამშობლოს სიყვარულით დაიწყო. მეგობრები ორივეს, როგორც კეთილშობილ, ქვეყნისა და მეგობრებისადმი თავდადებულ ადამიანებს, ისე ახასიათებენ. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ჯონის, როგორც რესპონდენტს, მეც შევხვდი. მაშინ ერაყიდან ახალი ჩამოსული იყო, ბრძოლაში ჩაბმას აპირებდა, მაგრამ ვერ მოასწრო: ვიდრე ის საქართველოში დაბრუნდებოდა, ომი დამთავრდა.*

*ჯონი მრავალშვილიანი ოჯახიდანაა — 10 დედმამიშვილი ჰყავს. დედამისი რუსია. ინტერვიუს ჩაწერისას ვკითხე, — რუსების წინააღმდეგ ბრძოლა არ გაგიჭირდებოდა? შენ ხომ ნახევრად რუსი ხარ-მეთქი! — არა; ვინც ჩემს სამშობლოს, ჩემს მიწას შემეცილება და ჩემს ძმებს ტყვიას ესვრის, ყველას შევებრძოლები და თავსაც შევაკლავო, — მიპასუხა. თითოეული ქართველი მებრძოლის დაღუპვის ამბავს ისე განიცდიდა, როგორ წარმოვიდგენდი, თუ სიცოცხლით სავსე, მუდამ მოღიმარ უმშვენიერეს გოგონას სიცოცხლეს მოუსწრაფებდა?!.*

*ქეთის სამძიმარზე მისულს ეზოშივე შემომესმა დედის გოდება. გული მომეწურა, ქეთის ძმისა და მამისთვის სამძიმრის თქმა გამიჭირდა. კიდევ უფრო მეტად გამიჭირდა იმის თქმა, რომ ჟურნალისტი ვარ და ჭირის გაზიარების გარდა, სტატიის მოსამზადებლადაც ვიყავი ჩამოსული... ქეთის ძმამ, გიორგი კახნიაშვილმა აქეთ გამამხნევა... ვთხოვე, ქეთის ცხოვრების, მისწრაფებების, განვლილი გზის შესახებ მოეთხრო.*



**არმიაში სამსახური ფულის გამო არ დაუწყია. სამშობლო უყვარდა**

**გიორგი კახნიაშვილი:**

— ქეთი ჩემზე ორი წლით უფროსი იყო... მიჭირს მასზე წარსულში ლაპარაკი. ძალიან ლამაზი გოგო იყო, ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდა. მუდამ მხიარული, დაუღალავი, ენერგიული ადამიანი იყო. ძმასავით მედგა მხარში. არმიაში სამსახური ფულის გამო არ დაუწყია. სამშობლო უყვარდა, ყოველთვის ცდილობდა, სხვას დახმარებოდა, სხვაზე ეზრუნა. სულ მეგონა, თავად არასდროს არაფერი აწუხებდა, არც რაიმე პრობლემა ჰქონდა... ექვსი წელი იმსახურა ჯარში. სამშვიდობო მისიით ერაყშიც იმყოფებოდა 7 თვე. რამდენიმე დღის წინ შვებულება აიღო. უახლოეს მომავალში გათხოვებას აპირებდა... ბოლო თვის განმავლობაში ძალიან შეიცვალა, მუდამ მხიარული და მოღიმარი გოგო, გულჩათხრობილი და სევდიანი გახდა.

**— ვინ იყო მისი რჩეული?**

— ჩვენი თანასოფლელი ბიჭი, გიორგი ხარიბეგაშვილზე. 15 წლის ასაკიდან უყვარდათ ერთმანეთი.

**— ჯონი ქოჩქანის შესახებ რა იცით?**

— ბევრი არაფერი, 51-ე ბატალიონის მეთაურია. გორში, ოფიცრების დასახლებაში ცხოვრობს. წარმოდგენაც არ მქონდა, ჩემი და თუ უყვარდა. არც მისთვის შემიტყვია რამე და ქეთის არ უთქვამს, რომ აწუხებდა და აშანტაჟებდა. მხოლოდ ახლა გავიგე ყველაფერი. ერთხელ ჯონის ქეთისთვის ღამის 4 საათზე მობილურ ტელეფონზე დაურეკავს, მაგრამ ქეთის არ უპასუხია; ის კი გორიდან კარალეთში წამოსულა, ჩვენს ეზოში, ღობეზე გადამხტარა, ქეთის დაქალისთვის დაურეკავს და უთქვამს, — ქეთის ვურეკავ, მაგრამ არ მპასუხობს, შენ დაურეკე და უთხარი, რომ მის ეზოში ვარ, თანაც შეიარაღებული და თუ ზარზე ისევ არ მიპასუხებს, სახლში შევუვარდები და ყველას ამოვხოცავო... ისიც ახლახან გავიგე, რომ ქოჩქიანი ცოლშვილიანი ყოფილა. მის ცოლს დედაჩემისთვის დაურეკავს და საქმის კურსში ჩაუყენებია. დედამ ეს ამბავი მე და მამას არ გაგვიმხილა, მაგრამ ჯონი დაუბარებია და უთქვამს, რომ თავისი ცოლ-შვილისთვის მიეხედა, ქეთისთვის კი თავი დაენებებინა. ჯონის დედა დაურწმუნებია, რომ ქეთისა და მას შორის არაფერი ხდებოდა და მათ ერთმანეთთან მხოლოდ მეგობრობა აკავშირებდათ; ხოლო თავისი ცოლი ისე უცემია, რომ პირში ერთი კბილიც არ დაუტოვებია მთელი... ამ ყველაფრის შემდეგ ჩემი დის დაშინებასა და შანტაჟს მაინც განაგრძობდა. ეუბნებოდა, რომ თუ მას არ გაჰყვებოდა, საქმროსაც მოუკლავდა, მასაც მოკლავდა და თავსაც მოიკლავდა. ქეთის ჩემთვის ერთხელაც კი



**საოცრად ხალისიანი იყო, სულ იცინოდა (ქეთი — მარცხნივ — ნათესავ გოგონასთან ერთად)**



**ბავშვობიდანვე ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდა, უბანში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გოგო იყო**

არაფერი უთქვამს, თორემ რალაც ზომას აუცილებლად მივიღებდი.

**— ცოლი თუ ჰყავდა, თქვენს დას ცოლობა როგორლა სთხოვა? განქორწინებული ხომ არ იყო!**

— არ ვიცი, მე მგონი, დაქორწინებულიც არ იყო — როგორც მითხრეს, უბრალოდ მასთან 5 წლის შვილი ჰყავს. ახლახან ქოჩქიანის მშობლებმა შემოგვითვალეს, რომ ჩვენთან სამძიმრის სათქმელად მოსვლა უნდათ. ეგენი ნორმალურები ნამდვილად არ ყოფილან. რომელიმე მათგანი ჩემს ეზოში რომ დავინახო, ცოცხალი ვერ გადამირჩება. მათმა შვილმა უდანაშაულო და მომიკლა — ეს როგორ ვაპატიო?!.

*ჯონის რომ ქეთი უყვარდა და ცოლად გაყოლას სთხოვდა, გოგონას მეგობრებმა იცოდნენ, მაგრამ ამ ამბის ასეთ ტრაგიკულ დასასრულს როგორ წარმოიდგენდნენ?!. ქეთიზე საუბრისას ცრემლებს ვერ იკავებს მისი თანატოლი, კარის მეზობელი,* **ნათია ხარიბეგაშვილი:**

— ჩემსა და ქეთის შორის მხოლოდ ერთი წელია სხვაობა. ერთად გავიზარდეთ. ბავშვობისას ონავარი და ცელქი იყო, მაგრამ კეთილი გული ჰქონდა. ყველა უყვარდა, ყველასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა. ბავშვობიდანვე ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდა, უბანში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გოგო იყო. 15 წლის ასაკიდან უყვარდათ მას და გიორგი ხარიბეგაშვილს ერთმანეთი, მაგრამ ქეთი გათხოვებას არ ჩქარობდა. გარეგნულად ნაზი, სუსტი გოგო ჩანდა, მაგრამ ძალიან ძლიერი ბუნების ადამიანი იყო. საოცრად ხალისიანი იყო, სულ იცინოდა. მაგრამ ბოლოს რამდენჯერაც ვნახე, იმდენჯერ სევდიანი მომეჩვენა. ჯონის შორიდან ვიცნობდი. ვერ წარმოვიდგენდი, თუ ასეთ რამეს ჩაიდენდა.

*მკვლელობის დეტალები ქეთის დეიდაშვილმა,* **მაია კაკიაშვილმა** *მიამბო:*

— ჩემს დეიდაშვილებს გორშიც აქვთ სახლი. 10 თებერვალს მე და ქეთი იქ მარტონი ვიყავით. ჯონიმ ქეთის მესიჯი მისწერა, მაგრამ ჩემმა დეიდაშვილმა არ უპასუხა. ნახევარ საათში ქოჩქიანი სახლში მოგვივარდა. კარი ღია გვქონდა. შემოვარდა თუ არა, პირველი ტყვია ჰაერში გაისროლა. აშკარად ნასვამი იყო. ქეთი შემოსასვლელშივე შეეგება და შეეცადა დაეწყნარებინა. ჯონი ჩემს დანახვაზე კიდევ უფრო გალიზიანდა. მე მისალებ ოთახში კომპიუტერთან ვიჯექი. გავიგონე, ქეთის რომ უთხრა, — ჯერ შენს დეიდაშვილს მოვკლავ შენ თვალწინ, შენც ზედ მიგაყოლებ და თავსაც მოვიკლავო!.. შემდეგ ნაბიჯების ხმაც გავიგონე. შემეშინდა და სამზარეულოში გავედი. ამასობაში სროლის ხმა გავიგონე. ჯონიმ პისტოლეტიდან იქითკენ გაისროლა, სადაც რამდენიმე წუთის წინ მე ვიჯექი (რომ არ ავმდგარიყავი, ტყვია თავში მომხვდებოდა), მერე ოთახში შემოვიდა. ქეთიც შემოჰყვა. ეუბნებოდა, — მაგასთან რა გინდა, მე მელაპარაკეო. ვიდრე ისინი კამათობდნენ, მე უკანა კარიდან ეზოში გავიპარე და სარდაფში დავიმალე. ცოტა ხანში ქოჩქიანიც მომყვა... თოვლზე დატოვებული ნაკვალევით მალევე მომაგნო. სარდაფიდან თმით ამომათრია და სახლის კიბით ამათრია. ოთახის კარი შიგნიდან იყო დაკეტილი (როგორც ჩანს, ქეთიმ დაინახა, ჯონი ეზოში რომ გამოვიდა, მეც შინ ვეგონე და კარი ჩაკეტა). ქოჩქიანმა კარი წიხლით შეანგრია და კორიდორში მომისროლა. მაშინვე წამოვხტი, ისევ მისალებ ოთახში შევვარდი და ფანჯრიდან გადავხტი. თავიდან ქუჩაში გაქცევა გადავწყვიტე, ეზოს კარიც გავაღე, მაგრამ მერე გავიფიქრე, რომ ღობე ძალიან დაბალი იყო და მკვლელისთვის ქუჩაში უფრო კარგი სამიზნე ვიქნებოდი; კარი ღია დავტოვე, მისთვის კვალი რომ ამებნია და ავტოფარეხში დავიმალე. რამდენიმე წუთში ჯონი ეზოში გამოვიდა (თურმე ამ დროს ქეთი კისრის არესა და ზურგში იყო დაჭრილი). ვხედავდი, როგორ მეძებ-



ექვსი წელი იმსახურა ჯარში. სამშვიდობო მისიით ერაყშიც იმყოფებოდა 7 თვე



უიმედოდ შეყვარებული პოლკოვნიკი





**ქეთი დღითი დღე იცვლებოდა, რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო სევდიანი ხდებოდა**

და. მერე ისიც დავინახე, როგორ გაისროლა ხუთჯერ ჰაერში, მეექვსედ კი (ალბათ, თვითმკვლელობის მიზნით) ნიკაპში ისროლა და დაეცა. 20 წუთის განმავლობაში ვუყურებდი, როგორ ეგდო დაბლა გულაღმა, მაგრამ სამალავიდან არ გამოვდიოდი — მეგონა, თავს იმკვდარუნებდა, რომ მივეტყუებინე და მეც მოვეკალი. ერთხანს თავი ხელებში ჩავრგე და სუნთქვაშეკრული გავყუჩდი. თავი რომ ავწიე, ჯონი ვეღარ დავინახე. ავტოფარეხიდან გამოვვარდი და მეზობელთან შევვარდი. მეზობლებმა შეშინებული რომ დამინახეს, დამამშვიდეს და ქეთის მოსაკითხად შინ გამომყვნენ. პირველად ოთახში მეზობლის კაცი შევიდა, მაგრამ უცებვე უკან გამოვარდა. მე აღარ შემიშვეს... შორიდან საკაცეს მოვკარი თვალი. მეგონა, ჯონი იყო, თურმე ქეთი ყოფილა. ის საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა... ქეთის შეეძლო, ჯერ კიდევ მაშინ გაქცეულიყო, როდესაც ჯონი ჩემს საძებნელად სარდაფში ჩამოვიდა, მაგრამ არ ეგონა, თუ სასიკვდილოდ გაიმეტებდა.

*როგორც გაირკვა, ქოჩქიანი 20 წუთის შემდეგ გონზე მოვიდა, ქუჩაში გამოვიდა და საპატრულო პოლიციის მანქანა გააჩერა... მძიმედ დაჭრილი ქოჩქიანი პატრულის თანამშრომლებმა გორის საავადმყოფოში წაიყვანეს. მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება, მაგრამ ამბობენ, რომ სახე საშინლად დასახიჩრებული აქვს და ცალი თვალი დაკარგა.*

## ტრაგედია

*გულდამძიმებული გამოვდიოდი კახნიაშვილების სახლიდან. დაღუპულის ძმამ შემაჩერა და ქეთის საქმრო გამაცნო, რომელმაც გოგონას შესახებ აი, რა მიამბო.*

**გიორგი ხარიზეგაშვილი:**

— მე და ქეთის საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში გვიყვარდა ერთმანეთი. ქეთისთან, მისი სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხშირად მიწევდა განშორება, მაგრამ როდესაც ერთმანეთს ვხვდებოდით, ყოველთვის მხიარული და ხალისიანი იყო. ბოლო ორი თვის განმავლობაში, ქეთი საგრძნობლად შეიცვალა, ძალიან სევდიანი და გულჩათხრობილი გახდა. სამსახური ძალიან უყვარდა, მაგრამ ცოტა ხნის წინ გადაწყვიტა, კონტრაქტის დასრულების შემდეგ ჯარიდან საერთოდ წამოსულიყო. გამიკვირდა, ასეთი გადაწყვეტილება რომ მიიღო... ქეთი დღითი დღე იცვლებოდა, რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო სევდიანი ხდებოდა. ბოლოს უკვე ჩემთან შეხვედრასაც ერიდებოდა, განსაკუთრებით — გორში ყოფნისას. მხოლოდ თბილისში ან მის რომელიმე მეგობრის სახლში ვახერხებდი მის ნახვას. ეს ამბავი ძალიან უცნაურად მეჩვენებოდა. არაერთხელ ვთხოვე — აეხსნა, რა ხდებოდა, მაგრამ — უშედეგოდ, არაფერს მეუბნებოდა... მეც ახლა გავიგე, რომ ჯონი ქოჩქიანი ემუქრებოდა და აშანტაჟებდა. ქოჩქიანის არსებობის შესახებ არაფერი ვიცოდი. არ ვიცი, ახლა რა უნდა ვქნა; მე მასთან არავინ მიმიშვებს, ისე კი პასუხი ნამდვილად უნდა მოეთხოვოს...

*ძნელია, „სიყვარულის სახელით“ ჩადენილი მკვლელობის გამართლება, შეყვარებული ადამიანის განსჯა — კიდევ უფრო რთული... იმედს ვიტოვებ, ოდესმე მომეცემა საშუალება, ამ ტრაგედიის შესახებ თავად უიმედოდ შეყვარებული პოლკოვნიკისგან მოვისმინო.* ■



**მე და ქეთის საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში გვიყვარდა ერთმანეთი**

## პოლიტიკა

*კობა ბენდელიანი*

**ამ ცოტა ხნის წინ, თბილისში, რუსი, ამერიკელი, გერმანელი, თურქი, სომეხი, აზერბაიჯანელი და ესტონელი ექსპერტების მონაწილეობით ჩატარდა სემინარი რუსეთის მოდერნიზაციის სავარაუდო სცენარების თემაზე. დისკუსიის დროს გამართულ აზრთა გაცვლა-გამოცვლაზე შთაბეჭდილებების გაზიარება პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორს, ბატონ ზურაბ აბაშიძეს ვთხოვეთ.**

— რუს საზოგადოებაში, პოლიტიკურ და საექსპერტო წრეებში ბევრს საუბრობენ რუსეთის მოდერნიზაციის აუცილებლობაზე. მოდერნიზაცია პრეზიდენტ მედვედევის მთავარი პოლიტიკური ლოზუნგი და ამოცანაა. ამ დევიზით მოვიდა იგი ხელისუფლებაში და ქვეყნის მოდერნიზაციას თავის მთავარ პოლიტიკურ კრედოდ მიიჩნევს. რუსეთის მნიშვნელობის გათვალისწინებით, ბუნებრივია, რომ ამ პროცესის მიმართ დიდი ინტერესია არა მარტო მის მეზობელ ქვეყნებში, არამედ მთელ მსოფლიოში.

— **იმ რუს ექსპერტთა აზრით, ვინც თბილისის სემინარში მონაწილეობდა, უახლოეს მომავალში რუსეთის მოდერნიზაცია და ტრანსფორმაცია ერთობ საეჭვოა...**

— რუსეთის მოდერნიზაციის პერსპექტივასთან დაკავშირებით მათი აზრი მართლაც, საკმაოდ თავშეკავებულია ან — პესიმისტური.

— **ანდრეი რიაბოვის აზრით, რომც დაიწყოს ქვეყნის მოდერნიზაცია, ამას 10-15 წელი დასჭირდება, მაგრამ მოდერნიზაციის შემდგომ რუსეთი პოსტსაბჭოთა სივრცეში გავლენის გაძლიერებას შეეცდება. დარჩა შთაბეჭდილება, რომ საქართველოს, „თავისუფალი ცურვისათვის“, 10-15 წელი აქვს...**

— საერთო აზრია, რომ პუტინის მმართველობის პერიოდი ქვეყნის მოდერნიზაციის თვალსაზრისით, ფაქტობრივად, დაკარგული დროა. ამ კუთხით, ქვეყანას რაიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი არ გადაუდგამს. როცა რუსეთს ენერგორესურსების ექსპორტიდან ძალიან დიდი შემოსავლები ჰქონდა, სწორედ ამ პერიოდში შეეძლო ხელისუფლებას მოდერნიზაციული პოლიტიკის გატარება. რუს ექსპერტთა დასკვნა ასეთია: ახლა მოდერნიზაცია კიდევ უფრო რთული იქნება, ვინაიდან დღეს რუსეთს საამისოდ ბევრად ნაკლები რესურსი აქვს. ამასთანავე, გამოითქვა აზრი, რომ რუსეთი ისტორიულად, მოდერნიზაციის აუცილებლობას მაშინ ხედავს, როცა ის დიდი პოლიტიკური

# „მოდერნიზაციაზე დისკუსიები ჩვენს საზოგადოებაშიც არის საჭირო“...

ან სოციალური პრობლემების წინაშე დგება. ექსპერტთა საერთო აზრია, რომ რუსეთის ხელისუფლება ვიწრო რაკურსით ხედავს მოდერნიზაციას — მისი ხედვა უმთავრესად, ქვეყნის ტექნიკურ გადაიარაღებასა და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის განახლებას უკავშირდება. ამგვარად, პოლიტიკური სისტემის მოდერნიზაციას ხელისუფლება რეალურად არ გეგმავს. ექსპერტებიც ამაში ხედავენ მთავარ წინააღმდეგობას. მათი აზრით, საჭიროა ძირეული ცვლილებები როგორც ეკონომიკურ პოლიტიკაში, ასევე პოლიტიკურ სისტემაში და, რაც შესაძლოა, ყველაზე მნიშვნელოვანია, — საზოგადოების ცნობიერებაში... მოდერნიზაცია უნდა შეეხოს საგარეო პოლიტიკასაც: რუსეთი უნდა მოეშვას გავლენის სფეროების ძიებას. ასეთი მაგალითიც კი იქნა მოყვანილი, რომელიც რუსეთსა და ჩინეთს შორის სხვაობებზე მეტყველებს: ჩინეთი ეკონომიკურად, რუსეთზე 4-ჯერ მეტია, მოსახლეობით — 8-ჯერ, მაგრამ ჩინეთს არავის ინტეგრირება — თუნდაც მონღოლეთის — აზრადაც არ მოსვლია; პოლიტიკური ზეწოლით გავლენის გაძლიერებასა და ბუფერული ზონების შექმნას არ ცდილობს და მთლიანად არის კონცენტრირებული ქვეყნის კეთილმოწყობასა და მოდერნიზაციაზე, ამიტომაც არის უფრო წარმატებული, ვიდრე რუსეთი, რომელიც ხშირ შემთხვევაში კვლავ საბჭოური კრიტერიუმებით ზომავს თავის წარმატებებს.



— **აშშ და რუსეთი დიდი სახელმწიფოებია და გასაკვირი როდია, რომ ვაშინგტონი კრემლთან თანამშრომლობის სურვილს ავლენს. როგორც ამერიკელი ექსპერტის, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტისა და თეთრი სახლის ყოფილი მაღალჩინოსნის, ტობი გატის საუბრიდან გაირკვა, აშშ მზადაა, არამოდერნიზებულ რუსეთთანაც მჭიდროდ ითანამშრომლოს. რჩება შთაბეჭდილება, რომ ვაშინგტონი სულაც არ ფიქრობს იმაზე, თუ როგორ მოიქცევა დასავლეთის დახმარებით მოდერნიზებული ან სულაც არამოდერნიზებული, მაგრამ უკვე ეკონომიკურად მომძლავრებული რუსეთი?**

— აშშ თანამშრომლობდა სტალინის და ბრეჟნევის დროინდელ საბჭოთა კავშირთან და ეს გასაკვირი არ არის — ის მუდამ, არსებულ რეალობებს ითვალისწინებს. ამერიკელმა სტუმარმა იმას გაუსვა ხაზი, რომ ბოლო წლებში ობამას ადმინისტრაციამ რუსეთთან ურთიერთობისას გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. ეს მართლაც ასეა. მიუხედავად ამისა, არ უნდა დავხუჭოთ თვალი იმ შემაშფოთებელ მოვლენებზე, რომელთა ყველაზე ნათელი მაგალითი — 2008 წლის აგვისტო გახლდათ. ამასთანავე, რუსეთის საგარეო პოლიტიკის დოქტრინაში კვლავ რჩება დებულებები, რომლებიც ცივილიზებული სამყაროსთვის მიუღებელია და ა.შ.

— **ეგვიპტეში განვითარებულმა მოვლენებმა მსოფლიო შეაზანზარა. მუბარაქი კი გადადგა, მაგრამ არავინ იცის, როგორ განვითარდება პოლიტიკური პროცესები არაბულ ქვეყნებში და როგორ აისახება იგი დღევანდელ მსოფლიოზე.**

— არაბულ სამყაროში ეგვიპტე უმნიშვნელოვანესი ქვეყანაა. საით წავა ეგვიპტე — ამაზე ბევრად არის დამოკიდებული არაბული სამყაროს მომავალი. როგორც ჩანს, ეგვიპტეში სამხედროების მიერ ხელისუფლების ხელში აღება ყველასათვის მისაღები ვარიანტია: ეგვიპტის შეიარაღებულ ძალებს მასტაბილიზებელ ძალად მიიჩნევენ, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყნის დემოკრატიული ტრანსფორმაცია. თუკი ეგვიპტე ამას მოახერხებს, მაშინ ალბათ ამ მიმართულებით შეიცვლება მთელი არაბული სამყარო. მაგრამ თუ ერთი სახის დიქტატურა მეორე სახის დიქტატურით შეიცვლება, ეს არაბული სამყაროს რადიკალიზაციას შეუწყობს ხელს. საფრთხე რეალურია.

— **როგორ შეაფასებდით საქართველოს საშინაო პოლიტიკაში მიმდინარე პროცესებს და რისი მოლოდინი შეიძლება გვქონდეს?**

— ჩვენ გლობალიზებულ მსოფლიოში ვცხოვრობთ. მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში განვითარებული პროცესები გარკვეულწილად, ჩვენზეც აისახება. ამიტომ, მინდა ხაზგასმით ვთქვა, რომ მოდერნიზაციაზე დისკუსიები ჩვენს საზოგადოებაშიც არის საჭირო. რუსეთისა არ იყოს, ჩვენც ბევრი დრო დავკარგეთ, გასულ საუკუნეში მთლიანად მოვწყდით ცივილიზებულ სამყაროს. ბევრი პრობლემა, რომელსაც ყოველდღიურად ვაწყდებით, არის იმის შედეგიც, რომ საზოგადოების დიდ ნაწილს არა აქვს ნათელი წარმოდგენა მოდერნიზაციის აუცილებლობაზე. ამიტომ, ამ თემის განხილვისას, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოების მოაზროვნე ნაწილი უნდა ჩაერთოს. ეს მხოლოდ ხელისუფლების საქმე არ არის. მე პირდაპირ პარალელს ვერ გავავლებდი საქართველოს, ტუნისსა და ეგვიპტეს შორის. შეიძლება ითქვას, რომ თვისებრივად, სხვადასხვა ვითარებაა, მაგრამ არის ისეთი ნიშნები, რაც ძალზე საგულისხმოა: სოციალური პრობლემატიკა, შემდგომი დემოკრატიზაციისა და, რაც მთავარია, საზოგადოების მიერ ქვეყნის მოდერნიზაციის გააზრების აუცილებლობა.

*სააგენტო „ინტერპრესნიუსი“*
*(იბეჭდება მცირედი შემოკლებით)*

■





# სახე

# 5-შვილიანი მსახიობის აქტიური ცხოვრება

## ანუ რა საიდუმლო გაგვიმხილა ქეთა ლორთქიფანიძემ

**მაყურებელს ქეთა ლორთქიფანიძის არაერთი როლი ახსოვს, დღეს იგი სერიალში — „გოგონა გარეუბნიდან“ მარის როლს ასრულებს. ახლახან კი ქეთამ, მარიამ ჯოლოგუამ და მაია დობორჯგინიძემ ერთ-ერთ „არტ-აკადემიაში“ თეატრალური სტუდია გახსნეს, სადაც პატარებს მსახიობის ოსტატობას, მეტყველებას, ვოკალს შეასწავლიან და სპექტაკლებს დადგამენ. მისი დანახვისას, შეუძლებელია წარმოიდგინო, რომ 5 შვილის დედაა. საუბრის თემადაც კარიერა და ოჯახი შევარჩიეთ.**



*ელენე ბასილიძე*

— **როგორც ვიცი, თეატრალურ ინსტიტუტში არ გისწავლია...**

— მართალია. სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტი დავამთავრე, რესტავრაციის განხრით. მერე კი ქუთაისში, თეატრში სამუშაოდ წავედი. მაშინ მამაჩემი, ნუგზარ ლორთქიფანიძე ქუთაისის თეატრის მთავარი რეჟისორი გახლდათ და სწორედ იქ ვითამაშე არაერთი როლი, რომელიც დღემდე ძალიან მნიშვნელოვანი და საყვარელია ჩემთვის. ქუთაისშივე დავამთავრე „ხელოვნების ინსტიტუტის“ დრამის მსახიობის ფაკულტეტი... თუკი რამე მისწავლია, აუცილებლად გამომიყენებია ცხოვრებაში.

— **რესტავრატორად თუ გიმუშავია?**

— სამწუხაროდ, არა. აკადემია დავამთავრე თუ არა, დიპლომიც კი არ დამიცავს, ისე წავედი ქუთაისში. სხვათა შორის, მსახიობობა ძალიან მომწონდა, მაგრამ მშობლებმა ამ პროფესიის დაუფლებაზე უარი მითხრეს.

— **ქუთაისში მესხიშვილის თეატრში მუშაობის დროს როგორ გაიხსენებ?**

— ამ თეატრმა ძალიან დიდი გამოცდილება შემძინა, არაჩვეულებრივი არტისტების გვერდით მომიწია თამაშმა. პირველი როლიც განსაკუთრებულად მახსოვს. სპექტაკლში „წვიმის გამყიდველი“, ვთამაშობდი. საკმაოდ რთული როლი იყო, მძიმე სცენები მქონდა სათამაშო და მახსოვს, მსახიობები ძალიან დამეხმარნენ. ამ თეატრში 5-6 წელი ვმუშაობდი.

— **როგორც ვიცი, ქალის როლის საუკეთესო შესრულების გამო გრან-პრიც გადმოგცეს.**

— ყოველწლიურად ტარდებოდა იმერეთის რეგიონის ფესტივალი, ერთ-ერთ წელს კი სპექტაკლი „აქ ერთ დროს ადამიანს უცხოვრია“ იყო წარდგენილი. ამ სპექტაკლში ლიზა მელანიას როლის შესრულებისთვის ავიღე გრან-პრი. ეს ჩემი პირველი და ყველაზე საყვარელი ჯილდო იყო. მახსოვს, ჩემი სახელი და გვარი რომ გამოაცხადეს, კადრებს შენელებულად ვხედავდი, მესმოდა შენელებული ხმები... თურმე შესაძლებელი ყოფილა, შენელებული კადრით ხედავდე ყველაფერს (*იცინის*).

— **ქეთა, საკმაოდ დაკავებული ხარ — სერიალი, სპექტაკლები, „არტ-აკადემია“...**

— მიუხედავად იმისა, რომ თეატრი არ არის ჩემი შემოსავლის წყარო, რომელსაც დავეყრდნობი — ძალიან მიყვარს! ეს ის ადგილია, სადაც მსახიობი მუდმივად იზრდება და როცა თეატრს აკლდები, ბევრ რამეზე გიწევს უარის თქმა. ხშირად მეკითხებიან: თეატრი თუ კინოო? არ მესმის, ეს ორი რამ ერთმანეთს როგორ უნდა შევადარო. ეს იგივეა, ვინმემ რომ მკითხოს: ჭამა გირჩევნია თუ დალევაო? თეატრი ჩემთვის ერთგვარი კაიფია. სპექტაკლის დაწყების მანიშნებელი, მესამე ზარი რომ ირეკება, ვგრძნობ, რომ ვღელავ, საკუთარ თავს ხშირად ვეკითხები, რატომ ვღელავ? ამ დროს ხშირად მითქვამს, რად მინდოდა არტისტობა-მეთქი?!

— **წარმატებულ კარიერასა და საოჯახო საქმეების შეთავსებას როგორ ახერხებ? მით უმეტეს, რომ 5 შვილის დედა ხარ...**

— რა თქმა უნდა, იოლი არ არის... ყოველი დილის გათენებისას ვფიქრობ, ნეტავ, დამაძინა-მეთქი, მაგრამ არსებობს მოვალეობები, რის გამოც უნდა ადგე! თავისუფალ დროს მთლიანად ოჯახს ვუთმობ. ჩემი შვილები მუდამ მელოდებიან. გუშინ გვიან დამიმთავრდა სპექტაკლი; სახლში რომ მივედი, ჩემი ხმის გაგონებისას სესილი და თეოდორა საწოლში წამოდგნენ და ხტუნაობა დაიწყეს, თან მთელი ხმის მეძახდნენ: დედიკო, დედიკო! მოხვედი, დედიკო? რა კარგი გოგო ხარო?! იოანეზე ორსულობისას სახლში ვიწექი, იმ პერიოდში აღარც მსახიობობა მინდოდა, აღარც — კარიერა... ჩემი შვილების ცხოვრებაში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენების პირველი მომსწრე ვიყავი და ეს დიდი ბედნიერება იყო ჩემთვის. მაგრამ როცა ჩემი შვილების ყოველდღიური ცხოვრებით ვტკბებოდი, უფროსებმა მითხრეს: —



დეე, რა კარგი იყო, „შუა ქალაქში" რომ იყავიო?! მათ მოსწონთ დაკავებული დედა.

— **როგორც ვიცი, 3 შვილი გააჩინე „ღამის შოუსთან" თანამშრომლობის პერიოდში...**

— მივიჩნევ, რომ ის დახმარება, რომელიც „ღამის შოუს" ბიჭებმა გამიწიეს, შეუფასებელია. თუკი ყველა ორგანიზაცია თავის თანამშრომლებს მსგავს დახმარებას გაუწევს, დემოგრაფიული პრობლემა საბოლოოდ მოგვარდება! ის დამოკიდებულება, რაც ბიჭებს აქვთ თავიანთი თანამშრომლების მიმართ, ძალიან დიდი სტიმულია ქალისთვის.

— **პატარების აღზრდაში ვინ გეხმარება?**

— მეუღლე, დედა, მამა, ძმა... მთელი ოჯახია ჩართული. არაჩვეულებრივი ძიძა მყავს, რომელსაც ბრმად ვენდობი.

— **რამდენი წლის არიან შენი პატარები?**

— უფროსი, თომა 14 წლისაა, ძალიან კარგად უკრავს და ბედნიერი ვიქნები, თუ პიანისტი გამოვა — კაცი როცა უკრავს, იქ „ვფუჭდები" (*იცინის*). ნინო 10 წლისაა, კარგად წერს. არ ვიცი, რა პროფესიას აირჩევს, მაგრამ მის გადაწყვეტილებას არ შევეწინააღმდეგები. თეოდორა 3 წლისაა, სესილი — 2-ის, ხოლო იოანე —1-ის. „შუა ქალაქში" რომ მივედი, თეოდორაზე 5 თვის ორსული ვიყავი და შეიძლება ითქვას, რომ ამ სერიალში სულ რამდენიმე სერიაა, სადაც ორსულად არა ვარ (*იცინის*). ბავშვების ამბები რომ მოვილიე, მერე მეორე სერიალში — „გოგონა გარეუბნიდან" მივედი.

— **კიდევ ხომ არ აპირებ ერის გამრავლებას?**

— როგორ მტკივნეულ თემას შეეხე... ძალიან მინდა, რომ 7 შვილი მყავდეს. არის მომენტები, როცა ყველა ერთად ტირის და რაღაცას ითხოვს, მაგრამ ბევრი შვილი — დიდი ბედნიერებაა. როცა იგებენ, რამდენი შვილის მყავს, ძალიან უკვირთ: „საღოლ" შენ, როგორ, საიდანო?! მე სულაც არ მიმაჩნია, რომ ამაში რაიმე განსაკუთრებულია...

— **ალბათ პატარები შენს როლსაც ადევნებენ თვალს, არა?**

— როგორც კი სერიალის ქუდის მუსიკას მოჰკრავენ ყურს, მაშინვე თავთავიანთი სავარძლებით გამორბიან ტელევიზორთან და სერიას ბოლომდე უყურებენ. „შუა ქალაქში" თეოდორა დათოს ქალიშვილს, ანანოს თამაშობდა და დღემდე ყველას ეუბნება, — მე „შუა ქალაქში" ვიყავიო! ამას წინათ, ტელევიზიით უჩვენეს ნაწყვეტი სპექტაკლიდან „მშვენიერი ქართველი ქალი", რომლის ფინალურ სცენაშიც ყველანი ვკვდებით და თეოდორამ ეს რომ ნახა, ისტერიკული ტირილი აუტყდა. ვერაფრით დააჯერეს, რომ ცოცხალი ვიყავი, და საღამოს სახლში რომ დავბრუნდი, ჩემი დანახვისას ძალიან ბედნიერი იყო.

— **სერიალის გარდა, მაყურებელს ახსოვხარ ფილმებიდან: „იდიოტოკრატია", „ყველაფერი კარგად იქნება"...**

— „იდიოტოკრატიის" გადაღებებისას, ფეხმძიმად ვიყავი, ოღონდ არავის უთხრა... სესილი დეკემბრის დასაწყისში გავაჩინე, გადაღებები კი აგვისტოში იყო. 5 თვის ორსული ვიყავი, მაგრამ მუცელი არ მეტყობოდა. ამ ფილმის გადაღების შემდეგ, სექტემბერში სპექტაკლზე „კავკასიური ცარცის წრე" დამამტკიცეს და მივხვდი, რომ ორსულობის დამალვას აზრი აღარ ჰქონდა. მიუხედავად ორსულობისა, სპექტაკლში მაინც ვითამაშე. რეპეტიციაზე ყოველი მისვლისას ამჩნევდნენ, რომ მუცელი უფრო და უფრო მეზრდებოდა და პრემიერა საკმაოდ დიდი მუცლით ვითამაშე. ამ სპექტაკლში ორსულობის ბოლო დღემდე ვმონაწილეობდი. მახსოვს, შაბათს სპექტაკლი ვითამაშე, ოთხშაბათს „შუა ქალაქის" გადაღება მქონდა და ხუთშაბათს ვიმშობიარე. 10 დღეში კი ისევ სცენაზე ვიდექი. ამ სპექტაკლში არის ისეთი მომენტი, სადაც ლიუკში უნდა გავძვრე. მივხოხავდი და ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს რაღაც მაკლდა! რამე ხომ არ დამრჩა, ნეტავ, რა მაკლია-მეთქი? — ვფიქრობდი და უცებ მივხვდი, რომ მუცელი აღარ მქონდა (*იცინის*).

— **როგორია, იყო მრავალშვილიანი დედა და ამავდროულად, წარმატებული მსახიობი?**

— საკმაოდ რთული. ბევრი ძალიან ნიჭიერი მსახიობი ვიცი, რომლებიც დღეს არ ჩანან. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ იღბლიანი ვარ. ქუთაისის თეატრიდან წამოსვლის შემდეგ, გორის თეატრში ვთამაშობდი, მაგრამ ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ თბილისის რომელიმე თეატრში მიმიწვევდნენ. ხშირად ამბობდნენ: თუ შენიანი არ გყავს და რომელიმე „სასტავში" არ ხარ, შეუძლებელია როლის მიღებაო... არც მთლად ასე ყოფილა საქმე. წარმატების საწინდარი — მეუღლის დიდი სიყვარული, თანაგრძნობა და თანადგომაა. ამის გარეშე ძალიან გამიჭირდებოდა წარმატების მიღწევა. ■



# გაქართველებული ვალერი მელაძე, ქართულად მაგინებელი ,,ა სტუდიო“ და აჩი ფურცელაძის მოსკოვური ცხოვრება

**ჩემმა ხალისიანმა და საყვარელმა რესპონდენტმა რედაქციაში შემოსვლისთანავე დაცვას განუცხადა: — შორი გზიდან მოვდივარ ელენესთან, „გზისთვისო“! ეს „ჩვენი გულისთვის შეწუხებული“ ადამიანი კი აჩი ფურცელაძე გახლავთ: მუსიკალური წამყვანი, შოუმენი, მომღერალი, მუსიკოსი და უბრალოდ — აჩი. ის 5 წლის წინ წავიდა მოსკოვში და დღემდე იქ მოღვაწეობს.**



*ელენე ბასილიძე*

— **მოგვანატრე თავი, როგორ ხარ?**

— აი, შორი გზიდან თქვენამდე ხომ მოვაღწიე?! ძალიან მალე გაირბინა წლებმა... ვცხოვრობ და ვმუშაობ მოსკოვში, თბილისში წელიწადში მაქსიმუმ ორჯერ ჩამოვდივარ. ხვალ უკან, მოსკოვში ვბრუნდები. ერთ ჩემთვის ძალიან საყვარელ და ძვირფას ადამიანს — გელა ცერცვაძეს დაბადების დღე აქვს, 50 წლის ხდება და აუცილებლად მასთან უნდა ვიყო.

— **როგორც ვიცი, მოსკოვშიც მღერი...**

— კი, ვმღერი. მიმყავს კორპორატიული საღამოები... საქართველოში საკუთარ თავს იმპროვიზატორს ვეძახდი: რაც სცენასა და მიკროფონს შეეხებოდა, ყველაფერს ვაკეთებდი. თავდაპირველად, რესტორანში ვმღეროდი, არბატზე იყო ერთი ქართული სახინკლე, სადაც მე, ლევან შენგელია და სალომე დოლიძე ბენდში ვუკრავდით. ჯაზი, ბლუზი, ცნობილი სიმღერები, ჩემი ღადაობები... მოდიოდნენ რუსები და მეორე დღეს გადარეულები ჰყვებოდნენ, თუ რა მაგარია ჩვენთან ერთად ქეიფი. „გლამურხინკალნაია“ დავარქვი, „გავუსვეტსკე“ სახელი. ხშირად მეუბნებოდნენ, აქ მოსვლისას ასე გვგონია, სახლში მოვდივართო. მეც მათი დანახვისთანავე: — ჰა, ჩუსტები და ხალათი მოგცეთ-მეთქი? — ვეხუმრებოდი. ახლა ახალ არბატზე მდებარე კლუბ „კოქტეილის“ არტდირექტორი ვარ, იქ მთელი კვირის განმავლობაში „მაფიოზობანას“ თამაშობენ. ეს თამაში ძალიან პოპულარულია და სერიოზული ხალხიც თამაშობს. მოკლედ, შეიძლება ითქვას, რომ რეჟისორის პულტს გავცდი, დღეს მხოლოდ ხმას არ „ვაყენებ“. სხვათა შორის, მიიჩნევენ, რომ კარგად ვმღერი. ამასთან ერთად, კარაოკე-სივრცეში ხმის რეჟისორი ვარ... ამ ბოლო დროს საქართველოშიც მოიკიდა ფეხი კარაოკემ, მაგრამ მოსკოვში საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს მსგავს დაწესებულებებს. დიდი თანხები იხარჯება, რომ ხმა გასწორდეს, აპარატურა მოამზადონ... კარაოკე-ბარში ძირითადად „მქუხარე ვარსკვლავები“ გვსტუმრობენ.

— **მაშინ, როცა საქართველოდან მიდიოდი, მიიჩნევდი, რომ შენი ადგილი აქ აღარ იყო?**

— როცა საქართველოდან წავედი, აქ ყველაფერი ჩამკვდარი იყო. ვერც კი წარმომედგინა, რომ დედაჩემის დატოვება 2 კვირაზე მეტხანს შემეძლო, მაგრამ ლამაზი თვალებისა და კარგი ადამიანობისთვის ფულს არავინ იძლეოდა. ამ რამდენიმე ხნის წინ, ძალიან ხმაურიანად გამოვჩნდი: მაშინ 6 თვით „დასასვენებლად“ გამიშვეს ციხეში. მახსოვს, ყველა და ყველაფერი ჩემს ამბავს აშუქებდა. ალბათ ბევრ ადამიანს ჩემზე წარმოდგენაც შეეცვალა. ხომ იცით, როგორც ხდება, ციხეში თუ ყოფილხარ, ე.ი. ცუდი ბიჭი ხარ! რისთვისაც დამიჭირეს, იმაზე გაცილებით მეტი ცუდი რამ მექნება გაკეთებული მთელი ცხოვრების განმავლობაში (*იღიმის*). იმასაც ვერ მივხვდი, რატომ ვიყავი დამნაშავე, მაგრამ კანონი კანონია...

— **მოსკოვში კავკასიელებისთვის თავის დამკვიდრება იოლია?**

— არც ისე, ყველაფერი თანხებთანაა დაკავშირებული. მე კომუნიკაბელური ვიყავი, ვარ და ასეთივე დავრჩები მუდამ, ასევე ადვილად ადაპტირებადი ადამიანიც ვარ. მახსოვს ჩემი კარიერის წარმატებული დრო და მადლობა უფალს, არავის უნახავს, რომ აჩის „გვირგინდადგმულს“, გაჭიმულს ევლოს... დღეს ძალიან ბევრი დადის ასე და ვერაფრით გამიგია, როგორ არ იღლებიან ამ „გვირგვინის ტარებით“? გეყოფათ გაბღენძილი სიარული, ხალხო (*იცინის*). თბილისში ჩემი ბავშვობის მეგობრები ვნახე... მარი ბროძელი ჩემი დაიკოა, ერთ-ერთი ხუთვარსკვლავიანი რესტორნის მენეჯერი. მან ასეთი რამ მითხრა: — აჩი, მე ვიცი, რას ნიშნავს პოპულარობა; შენ ყველასთვის საყვარელი, უშუალო იყავი, ამ „თავში ავარდნილ“ ხალხს კი რატომ ავიწყდება, შინ რომ მივდივართ, ყველანი ჩუსტებით და ხალათით დავდივართ, ერთნაირად ვიძინებთ და ვიღვიძებთო?! სხვათა შორის, რამდენიმე ადამიანი, რომლებთანაც საკმაოდ უშუალო ურთიერთობა მქონდა, დროთა განმავლობაში „ვილაცები“ გახდნენ და სხვებს ზემოდან დაუწყეს ყურება.

— **შენი თვალით დანახულ საქართველოზეც მიამბე...**

— ვაიმე, ყველაფერი ძალიან ძვირია! გადავირიე! ახლახან დედაჩემის დაბადების დღეზე, რესტორანში 2 სიმღერის უფლება ვითხოვე. ვიცი, არ ამღერებენ ხოლმე სხვებს და თავი წინასწარ დავიზღვიე. თანხმობა კი მივიღე, მაგრამ პოსტსკრიპტუმად დაამატეს: რუსული სიმღერები არ იმღეროთო... სოსო პავლიაშვილის „პამოლიმსა ზა რადიტელეი“ მინდოდა დედაჩემისთვის მიმეძღვნა... რეი ჩარლზის „ჯორჯია“ და ეს სიმღერა ჩემი სავიზიტო ბარათია. სადაც შევდივარ, ამ 2 სიმღერით მცნობენ, „ოი, გრუზინ!“ წამოიძახებენ ხოლმე. ახლა გავიგე, რომ საქართველოში თუ რომელიმე რესტორნიდან რუსული სიმღერის ხმა გამოვა, მეორე დღეს საგადასახადო ინსპექცია დაადგება თავზე. რაც შეეხება ჩემს შთაბეჭდილებას, მივხვდი, რომ ადამიანების ურთიერთობა ერთმანეთის

მიმართ, ძალიან გაცივებულია. მაღაზიაში გამარჯობას რომ ვამბობ, ჰგონიათ, ვეღადავები. ძალიან მომწონს გალამაზებული თბილისი, მომწონს, რომ სისუფთავეს ვიცავთ, მიხარია, რომ ბევრი ახალი სახეა სცენაზე, მთავარია, ყველამ საკუთარი საქმე აკეთოს... ძალიან ცუდია, რომ ბევრ ნიჭიერ ადამიანს პატრონი არ ჰყავს და ამის გამო, სახლში ზის. უი, ერთი ამბავი გამახსენდა: ახლა ჩემს მეგობარ სალომე დოლიძესთან ერთად წამოვედი მოსკოვიდან და სალომ საჩუქრებით გატენილი რამდენიმე ჩანთა წამოიღო მეგობრებისთვის. თბილისის აეროპორტში კაცმა გაგვაჩერა: — თქვენ აჩი ხართ? — კი-მეთქი, ვუპასუხე... — ეკონომიკური სამსახურისთვის რა გაქვთო? მკითხა... ლამის გამოვშტერდი, ძმურად, მუშურ-გლეხური ენით ამიხსენი, ეკონომიკური სამსახური რა არის-მეთქი? თურმე აღმოჩნდა, რომ აინტერესებდა, ეგ რაღაცები, შენს მეგობარს ჩანთაში რომ უწყვია, გასაყიდად მოგაქვთ თუ არაო? მოსკოვში საქართველოზე ლეგენდები დადის, რა მაგრად ცხოვრობენ, როგორ ინგრევა ბიუროკრატიული მანქანაო. იქ მართვის მოწმობის აღება პრობლემაა, ჩვენთან 15 წუთში გვარდება ეს საქმე და ეს რომ ნახეს, გადაირივნენ. ქსენია სობჩაკი უბედნიერესი ჩამოვიდა საქართველოდან. რუსეთის გარდა სადმე თუ ვიცხოვრებ, ეს საქართველო იქნებაო, ამბობს. ჩემმა ნაცნობებმა რომ გაიგეს, ქალაქში თუ მოძრაობის წესებს დაარღვევ, ჯარიმის ქვითარი სახლში მოგივაო, გაუკვირდათ! რა მაგრადაა პოლიციის საქმე დაყენებული, ჩვენთან წესების დამრღვევ მძღოლს „წივილ-კივილით" დასდევენო. „ექსტერიერი" ძალიან მაგარი გვაქვს, რამდენჯერაც ჩამოვალ, იმდენჯერ ვერ ვცნობ თბილისს, მაგრამ პრობლემა „ინტერიერში" გვაქვს და იმედია, ესეც მალე გამოსწორდება.

**— როგორც ვხვდები, მოსკოვში მაგრად ქართველობ, არა?**

— (*იცინის*) კი, მართალი ხარ! არავის ეგონოს, რომ გარკვეული მიზეზების გამო, ჩემს ქართველობას უკანა პლანზე გადავწევ. იქ ვინც აჩის იცნობს, ყველამ იცის, რომ ქართველი ვარ და ჩემი ეროვნება მეამაყება! ქვეყნის გარეთ ქართველობის შენარჩუნება მეტად რთულია, მით უმეტეს იმ ქვეყანაში, სადაც დიდი პოლიტიკური დაძაბულობაა. რუსულ შოუბიზნესში საკმაოდ რთულია თავის დამკვიდრება. არ მაქვს იმდენი ფული, რომ იქაურ შოუბიზნესს მოვერიო. ხშირად მთხოვენ, აბა, მოგვასმენინე შენი სიმღერები, რამე გავაკეთოთ, იქნებ გამოვიდესო?! მეც ძალიან მინდა, გამოვიდეს... რეჟისორის პულტთან დგომისას ხშირად მეუბნებოდნენ: — შენ აქ არ უნდა იდგე, გეტყობა, რომ შენი სტიქია სცენააო... ერთხელ ერთი რესტორნიდან საერთოდ გამომიშვეს: ხალხი მოდის, თავი კონცერტზე ჰგონიათ და სამზარეულო არ მუშაობსო.

**— რუსებს ქართველების მიმართ როგორი დამოკიდებულება აქვთ?**

— ჩემთვის ცუდი არაფერი უგრძნობინებიათ. ძალიან უყვართ ქართული სიმღერები... საქართველოდან რომ მირეკავენ, ახლობლები მეუბნებიან ხოლმე, ქართულ არხებზე აცხადებენ, რომ ძალიან ცუდ დღეში ხართ მანდ მცხოვრები ქართველებიო. სიმართლე გითხრათ, მე არასოდეს შემქმნია პრობლემა.

**— არც სკინჰედები შეგხვედრიან?**

— არა, ისინი ძირითადად, მოსკოვის გარეუბანში მოძრაობენ. სხვათა შორის, არც ისეთი გამბედავები არიან. 4 სკინჰედიც რომ იყოს, 2 კავკასიელის ცემას ვერ გაბედავს. მარტო თუ მოგიხელთეს, სხვა საქმეა. ამას წინათ, სომეხმა სპორტსმენმა 5 სკინჰედი გალახა და დაიჭირეს.

**— საქართველოში ხშირად საუბრობენ 2 რუსეთის — პოლიტიკური და „სხვა რუსეთის" არსებობაზე...**

— რა ვიცი ელენე, მე 5 წლის განმავლობაში არ შემხვედრია ადამიანი, ქართველებს ვერ იტანდეს. ტაქსისტებიც კი, თუ გაიგებენ, რომ ქართველი ვარ, მაშინვე სასიამოვნო ამბების გახსენებას იწყებენ, ქართველი მეგობრების შესახებ მიყვებიან... არეულობის გამო ველარ ვეკონტაქტებით ერთმანეთსო, შემომჩივიან.




— **რუსეთში მოღვაწე ქართველებთან თუ გაქვს ურთიერთობა?**

— კი, თითქმის ყველასთან. ქეთა თოფურია ყველაზე მაგრადაა, ლამაზდება და ლამაზდება. ხშირად ვხუმრობთ, ქართველმა ჟურნალისტებმა იმდენჯერ შეგვაუღლეს, ნეტავ, მართლაც მომეყვანე ცოლად-მეთქი. ქეთაც მაგრად ქართველობს, მისმა საახლობლო წრემ კარგად იცის ქართული გინება. „ა სტუდიოს“ ყველა წევრს გინებისა და ქართული „კლუჩევოი“ სიტყვების გაკვეთილები ჩაუტარდა (*იცინის*), სულ ქართულ-რუსულად ლაპარაკობს. ვალერი მელაძემაც დაიწყო ქართველობა, ქართული აქცენტიც კი აქვს. სიმღერის დამთავრებისას ჯერ ქართულად იხდის მადლობას და მერე — რუსულად.

— **აჩი, საქართველოში დაბრუნებაზე არ ფიქრობ?**

— არა, ვერც კი წარმომიდგენია... სანამ ასეთი სიტუაცია იქნება საქართველოში, მე ყველგან დაბლოკილი ვიქნები. ახლახან, ჩემს ერთ-ერთ ტელევიზიაში მიწვევას აპირებდნენ და თურმე უამრავი ადამიანისგან უნდა მიეღოთ ნებართვა, რომ მე ეთერში გამოვჩენილიყავი. მივხვდი, „შავ სიაში“ ვარ შეტანილი (*იღიმის*).

— **მოდი, შენს მეუღლეზეც მოგვიყევი, როგორაა ელენე?**

— ჩემი ელენე ჯიგრულადაა, ისევ ისე უყვარს ყველაფერი, რაც საქართველოს შეეხება... ახლახან ვკითხე, ქართული რა გინდა, რა წამოგიღო-მეთქი და აჩი „წამომიღე“ მარტოო, მიპასუხა. ერთად ჩამოსვლას ვაპირებდით, მაგრამ დედა გარდაეცვალა და ვეღარ მოვახერხეთ. იმედია, მალე ნახავს საქართველოს.

— **ალბათ, შენი სამომავლო გეგმებიც მოსკოვს უკავშირდება...**

— ჩემი სამომავლო გეგმები სიმღერას უკავშირდება... იმედია, ყველაფერი კარგად იქნება.

— **წარმატებებს გისურვებ!**

— გაიხარე, თქვენც ასევე. ■



# „ხაჭაპურის ცომში ხელებჩაყოფილს ვერასდროს მნახავთ“

## რატომაა საშინელი ცოლი თეა ადეიშვილი

**ერთგული, არაპუნქტუალური, პრანჭია, ცოტა ეჭვიანიც, მიამიტი, ცოლი არაკლასიკური ქართული გაგებით, გულწრფელი, ცოტა ზარმაციც — ასეთია ტელეჟურნალისტი თეა ადეიშვილი. არ უყვარს სიურპრიზები. გარკვეული და წინასწარ განსაზღვრული ურჩევნია ყველაფერი. ამიტომ ჩვენი საუბრის თემაზეც წინასწარ შევთანხმდით.**



*ნინო მჭედლიშვილი*

— **როცა შენს ხასიათზე გეკითხებიან, პირველ რიგში, რა გახსენდება?**

— ერთგულება.

— **სულსწრაფი ხარ?**

— არა, სულსწრაფი არ ვარ, მსუნაგი ვარ (*იღიმის*).

— **მაგალითად, გირეკავს მეგობარი და გეუბნება, რომ შენთვის მნიშვნელოვანი რამ აქვს სათქმელი, რომ ტელეფონით ვერ გეტყვის ამას. მოთმინებით ელოდები, როდის შეხვდები თუ?..**

— გული დამწყდება, მაგრამ ველოდები მოთმინებით.

— **როცა გაქებენ, წითლდები?**

— არ ვიცი, რა ფერი მედება, მაგრამ ზუსტად ვიცი, ეს ქება მეკუთვნის თუ გადაჭარბებულია. თუ გადაჭარბებულია და აფერისტობას აქვს ადგილი, არ მსიამოვნებს. თუ ვიცი, რომ ეს ქება ნამდვილად დავიმსახურე, ძალიან დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობ და ძალიან მსიამოვნებს.

— **როგორი კომპლიმენტი უფრო გსიამოვნებს: „რა ლამაზი იყავი“ თუ „რა კარგი სიუჟეტი გამოგივიდა“?**

— ეს ასაკზეა დამოკიდებული. იყო დრო, როცა ძალიან მსიამოვნებდა, როდესაც ჩემს გარეგნობას უსვამდნენ ხაზს; მერე ძალიან მინდოდა, ლამაზთან ერთად, ეთქვათ, ჭკვიანი ხარო; ახლა მირჩევნია, მითხრან, ლამაზი ხარო (*იღიმის*).

— **ყოველთვის გჯერა ქალის ნათქვამი კომპლიმენტის?**

— კომპლიმენტებს სქესის მიხედვით არ ვყოფ. მჯერა იმ ქათინაურის, რომელიც ახლოსაა რეალობასთან. მაგალითად, თუ მეუბნებიან, — ლამაზი გოგო ხარ, მაგრამ გასუქდიო, — ეს რეალობასთან ახლოსაა. თუ მეუბნებიან, — სულ არა ხარ გასუქებულიო, ე.ი. უბრალოდ, ვუყვარვარ ამ ადამიანს და არ უნდა, ჩემი ნაკლი დაინახოს ან მეპირფერება. ზოგადად, ქალების მჯერა.

— **თვითონ არასდროს გითქვამს ქათინაური უბრალოდ ზრდილობისთვის, კეთილგანწყობილების გამოსახატავად?**

— არა. ზრდილობისთვის შეიძლება მოვიკითხო ადამიანი, მაგრამ რა კარგად გამოიყურები და შენზე ლამაზი არავინაა-მეთქი, არასდროს მითქვამს.

— **რას გსაყვედურობენ მეგობრები?**

— იმას, რომ ვიგვიანებ და გავსუქდი.

— **პუნქტუალური არა ხარ?**

— არა.

— **შენს პროფესიაში ეს რამდენად მომგებიანია?**

— ნაკლებად, მაგრამ დროის შეგრძნება მიჭირს, ოღონდ მთლად უყურადღებოც არა ვარ ამ მხრივ. თუ მხოლოდ ჩემზეა დამოკიდებული დაგვიანება-არდაგვიანება და ვიცი, რომ ამით საქმეს გავაფუჭებ, რა თქმა უნდა, ყველაფერს გავაკეთებ, რომ არ დავაგვიანო.

— **მალვიძარასთან როგორი ურთიერთობა გაქვს?**

— ნორმალური. დიდი გოგო ვარ უკვე. იყო დრო, როცა დედა მაღვიძებდა, ახლა ქმარი მაღვიძებს. როცა მარტო ვარ და მე ვარ პასუხისმგებელი, თავად ვახერხებ გაღვიძებას.

— **ქმარი ახსენე და აქვე გკითხავ, როგორი ცოლი ხარ?**

— ქართველი ცოლი, „მძიმე კლასიკური“ გაგებით, არა ვარ ანუ — წინსაფარაფარებული და თავწაკრული არ ვხვდები სამსახურიდან დაბ-

რუნებულ ქმარს. ხაჭაპურის ცომში ხელებჩაწყობილს იშვიათად მნახავთ, უფრო სწორად, საერთოდ ვერ მნახავთ, იმიტომ, რომ საერთოდ არ ვიცი ხაჭაპურის გამოცხობა. საჭმელების გაკეთება ვიცი, უბრალოდ, ამისთვის დრო ძალიან ცოტა მაქვს. ხანდახან ვაკეთებ, თან — სიამოვნებით. ისეთი ღიპიანი კაცების გაგებით (ღიპიანი კაცი ცუდად ვახსენე, არ მიწყინონ კარგმა ღიპიანმა ადამიანებმა), რომლებსაც ცოლი მხოლოდ სამზარეულოსა და საწოლში წარმოუდგენიათ, საშინელი ცოლი ვარ. არ ვაუთოებ, არ ვალაგებ, არ ვრეცხავ. თუმცა ამ ყველაფრის გაკეთება ვიცი.

— **მაშ, ვინ აკეთებს?**

— დამხმარე ქალი მყავს, რომელიც ყველა პრობლემას მიგვარებს. საჭმელს ძალიან იშვიათად ვჭამთ სახლში, მაგრამ ხანდახან კერძის მომზადებაც მინდება. მაგალითად, წუხელ ქათამი შევწვი და ბაჟე გავაკეთე... იმ გაგებით და მსოფლმხედველობით, რა გაგებაც ჩემს ქმარს აქვს, კარგი ცოლი ვარ, იმიტომ, რომ მეგობრები ვართ, საერთო ინტერესები გვაქვს, ერთგული ვარ; საინტერესო ადამიანები ვართ ორივე, ბევრ რამეზე შეგვიძლია ვილაპარაკოთ.

— **ქალების იმ კატეგორიას არ მიეკუთვნები, რომელიც მუდმივად საყვედურობს ქმარს?**

— არის რაღაცები, რაზეც შეიძლება საყვედური ვუთხრა ჩემს ქმარს, მაგრამ იმდენ რამეში აქვს უპირატესობა, მინუსების ხაზგასმა არც ღირს.

— **მაინც, მაინც?**

— მაგალითად, სიყვარულის დღე მისთვის არაფერს ნიშნავს. ქალები რომანტიკულები ვართ და გვჭირდება ასეთი დღეების აღნიშვნა. მიუხედავად იმისა, რომ სიურპრიზები არ მიყვარს, გული მწყდება, ასეთ დღეებს რომ არ აქცევს ყურადღებას ჩემი ქმარი.

— **რატომ არ გიყვარს სიურპრიზები?**

— იმიტომ, რომ წინასწარ არ ვიცი, რა იქნება. მირჩევნია, ვიცოდე, გავთვალო წინასწარ, ვიდრე ველოდო და მერე არ მომეწონოს.

— **გქონია მომენტი, როცა არ მოგწონებია?**

— მქონია, მაგრამ ზრდილობიანი ადამიანი ვარ და ვცდილობ, ეს არ შევიმჩნიო ხოლმე. თუმცა ჩემი ემოციურობა „მყიდის“, სახეზე მაწერია, მართლა გამიხარდა თუ ზრდილობის გამო „გამიხარდა“.

— **ეჭვიანი ხარ?**

— მეგობრებთან ურთიერთობაში უფრო ეჭვიანი ვარ — მეშინია, ჩემზე მეტად მეორე მეგობარი არ უყვარდეთ. ჩემი პირველი ქმარი იყო ეჭვიანი. იმდენად მძულს ეს თვისება, რომ ყველანაირად ვებრძვი ამას ჩემში. შეიძლება, ვარ ეჭვიანი, მაგრამ იმდენად მოთოკილი მაქვს ეს გრძნობა, რომ გარშემო მყოფებს არ შევაწუხებ. დიდხანს იყო ეს გრძნობა შემაწუხებელი ჩემთვის და ამდენად, კარგად ვიცი, რა აუტანელია.

— **დავუშვათ, მეუღლემ დაგირეკა და გითხრა, რომ მნიშვნელოვან შეხვედრაზე მიდის და იმავე საღამოს ერთ-ერთ კაფეში გოგონასთან ერთად ნახე...**

— ძალიან ზრდილობიანად მივესალმები მასაც და მის თანმხლებ გოგონასაც და შემდეგ სახლში გამოვკითხავ იმ გოგონას ვინაობას.

— **იქ თავს შეიკავებ?**

— რა თქმა უნდა. აბა, იმ ქალს ვაგრძნობინებ, რომ გავბრაზდი?! თავმოყვარეობა არ მომცემს ამის ნებას. ეჭვიანობა, გარკვეულწილად, უთავმოყვარეო ადამიანების სენია. თუ შევამჩნიე, რომ იქ საქმიანი საუბრის გარდა, ფლირტია, რა თქმა უნდა, გავბრაზდები. თუ გრძნობებსა და სიყვარულზეა ლაპარაკი, მოვაგვარებთ გაყრის ამბავსაც (*იღიმის*).

— **ასე ადვილად დათმობ? მებრძოლი არ ხარ?**

— საერთოდ არ ვარ მებრძოლი.

— **როცა გრძნობ, რომ ხელიდან გისხლტება სიყვარული, რომელსაც ამდენი ხნის განმავლობაში აშენებდი, არაფერს მოიმოქმედებ?**

— რა უნდა ქნა, თუ მას არ უყვარხარ, ძალით ხომ ვერ შეაყვარებ თავს?! უაზრობაა ყველაფერი. არ უყვარხარ და რად გინდა? თავისუფლება უნდა მისცე, მარტო უნდა დატოვო და თვითონ გადაწყვიტოს, ვისთან ურჩევნია. აქ მარტო სიყვარულზე არ არის ლაპარაკი, ღირსების საკითხია: შეიძლება გიყვარდეს, მაგრამ ღირსება ვერ დათმო. თუ ღირსებას დათმობ, საკუთარი თავი აღარ გეყვარება. ხოლო თუ საკუთარი თავი აღარ გიყვარს, სხვას ვერ შეიყვარებ.

— **შენ რომ შეგიყვარდეს სხვა?**

— გავეყრები. იცი, რა, საკუთარ თავს არ უნდა მისცე ამის უფლება, თორემ იმდენი საინტერესო ადამიანია ჩემ გარშემო... მე ყველა ჩემი რესპონდენტი მიყვარს, ერთი კვირა ვგიჟდები მათზე. ყველა ასეთი სიყვარულისთვის ოჯახი რომ დავანგრიო...

— **მიამიტი ხარ?**

— კი, ეს ჩემი ნაკლია.

— **მაგალითად, გირეკავენ პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან და პრესსამსახურის უფროსობას გთავაზობენ; არ გადაამოწმებ?**

— თუ არ გადაამოწმებ, ეგ მიამიტობა არ არის, ეგ უკვე სისულელეა. სულელი ნამდვილად არა ვარ. ასე არ ხდება — დაგირეკონ და შემოგთავაზონ. იქ მთელი საინტერესო პროცედურაა, ფინჯან ყავასთან ერთად. თუმცა, ზოგადად, რატომღაც მჯერა ადამიანების, ალბათ იმიტომ, რომ თვითონ არ ვარ მატყუარა.

— **ზარმაცი ხარ?**

— შეიძლება, ვინმემ ასე ჩათვალოს, ისევ ჩემი პუნქტუალობის გამო, მაგრამ იმდენს ვშრომობ და იმდენს ვმუშაობ, ზარმაცი ნამდვილად არ ითქმის ჩემზე. ნელი ვარ, ძალიან ნელი, მაგრამ არა ზარმაცი. თუმცა, მიზანსწრაფულიც არ ვარ.

— **სად გირჩევნია დასვენება?**

**გული მწყდება, ასეთ დღეებს რომ არ აქცევს ყურადღებას ჩემი ქმარი**



— თუ ვისვენებ, სახლში მირჩევნია, მარტო, საერთოდ არ ავდგები საწოლიდან და მთელი დღე წიგნს ვიკითხავ. ოღონდ პარალელურად ტელევიზორი უნდა იყოს ჩართული.

— **პრანჭია ხარ?**

— კი. ყველას ვეპრანჭები — მეგობრებს, თანამშრომლებს, ოჯახის წევრებს.

— **ეს კარგია?**

— ზოგჯერ არა, ვიზღუდები იმის გამო, რომ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ ჩემს ვიზუალურ მხარეს. ყოველთვის ფორმაში ყოფნას ვერ ვახერხებ.

— **სარკეში საკუთარ თავთან გილაპარაკია?**

— საკუთარ თავთან არა, სხვებთან მილაპარაკია, ასე ვთქვათ, რეპეტიციას გავდივარ ხოლმე (*იღიმის*). ზოგჯერ მანქანაში ვლაპარაკობ ასე. ბევრს შეიძლება, ამის გამო გიჟიც ვგონივარ, მაგრამ ასეც ხდება.

— **როცა მარტო რჩები საკუთარ თავთან და არც თამაში გიწევს, რას ეუბნები თეას?**

— რატომ ვერ ხდები-მეთქი?! ■

# „ერთმანეთის გაოცებას დღემდე ვახერხებთ“

**საკმაოდ ადრეულ ასაკში შექმნეს ოჯახი. იმ დღიდან უკვე 13 წელი გავიდა, დრომ მათი გრძნობები გამოცადა. უფალს მადლობას სწირავენ იმ ბედნიერი დღეებისთვის, რომელიც აჩუქა. ერთმანეთთან ახლაც დიდი სიყვარული და სამი შვილი აკავშირებთ. ლაპარაკია მოდელ ნინო ცქიტიშვილსა და ყოფილ კალათბურთელ, ამჟამად კი თბილისის საკრებულოს წევრ ვატო ნაცვლიშვილზე. თბილისში გამორჩეულად ლამაზ წყვილს ინტერვიუს ჩასაწერად შინ ვეწვიე.**



*თამუნა კვინიკაძე*

**ნინო:**

— ოჯახი რომ შევქმენით, მე 18 წლის ვიყავი, ხოლო ვატო — 21-ის, მაგრამ ორივენი ასაკთან შედარებით, დალვინებულები და სხვანაირად აღზრდილები გახლდით. დაოჯახება გაცნობიდან 6 თვეში გადავწყვიტეთ.

**— ეს პერიოდი ერთმანეთის გასაცნობად საკმარისი იყო?**

— ჩვენი ქორწინება ერთმანეთისადმი დიდმა სიყვარულმა და ვატოს კარიერამ დააჩქარა. საზღვარგარეთის კლუბებიდან ჰქონდა მიწვევები და უჩემოდ არ მიდიოდა. უნდოდა თან წავეყვანე.

**ვატო:**

— ნინოს პირველად, კალათბურთის თამაშის დროს, დარბაზში მოვკარი თვალი და ძალიან მომეწონა.

**— იმ დღესვე გაიცანი?**

— არა, ეს ცოტა მოგვიანებით მოხდა.

**ნინო:**

— ერთმანეთს დაუსწრებლად ვიცნობდით. მოგვიანებით გავიგე, რომ ვატოს ჩემი ახლოს გაცნობა ძალიან უნდოდა. კალათბურთის მატჩებს ჩემი ძმის (*ნინო კალათბურთელ ნიკა ცქიტიშვილის დაა. — ავტ.*) გამო ხშირად ვესწრებოდი, ვგულშემატკივრობდი. ვატო დარბაზში მხედავდა ხოლმე. იმ პერიოდში პოპულარული მოდელი ვიყავი, ხშირად იბეჭდებოდა ჩემი ინტერვიუ. ერთმანეთი მოგვიანებით, საერთო მეგობარმა გაგვაცნო. რეპეტიციიდან მოვდიოდი, შემხვდნენ და შემომთავაზეს, სახლამდე გაგაცილებთო.

**— შენი ყურადღება იმ დღესვე მიიქცია?**

— რა თქმა უნდა, მომეწონა. ჩვენი ურთიერთობა იმ დღიდან დაიწყო. ვატო ყველა იმ მოთხოვნას აკმაყოფილებდა, რა კრიტერიუმითაც მამაკაცს ვაფასებდი.

**— რა არის ეს კრიტერიუმები?**

— გარეგნულად ძალიან მომეწონა — სპორტული აღნაგობის, მაღალი, სიმპათიური... ახლოს რომ გავიცანი და აღმოვაჩინე, რომ ბევრი კარგი თვისებაც ჰქონდა, მისით ორმაგად მოვიხიბლე.

**ვატო:**

— ჩვენი ქორწინება ტრადიციების დაცვით მოხდა, გვქონდა ნიშნობა, ჯვრისწერა...

**ნინო:**

— როგორც კი ვატოს მიმართ გრძნობა გამიჩნდა, დედას ვუთხარი, ერთ ბიჭს ვხვდები, ვუყვარვარ-მეთქი. დედამ მთხოვა, რომ სახლში მიმეყვანა და მისთვის გამეცნო.

**— თქვენი ურთიერთობის შესახებ ნიკამ არ იცოდა?**

— როგორ არა?! ამ თემაზე მასთანაც მქონდა საუბარი.

**ვატო:**

— მე და ნიკა ერთმანეთს ვიცნობდით, მაგრამ არ ვძმაკაცობდით. ნიკა ასაკით ჩემზე პატარაა.

**ნინო:**

— ერთ დღეს ვატო ჩვენთან სახლში მოვიდა. სამწუხაროდ, მამა ამ ამბავს ვერ მოესწრო... მერე დედაჩემი ამბობდა, — „გლაზოკიდან“ რომ გავიხედე, ფეხებზე შევხედე, თვალი ავაყოლე, სიმაღლე არ იქნა და აღარ დამთავრდაო (*იცინიან*).

**ვატო:**

— ბედობა დღე იყო, მერე ნინო ჩემთან წავიყვანე.

**ნინო:**

— დედას სასიძო ძალიან მოეწონა. ერთმანეთის ოჯახების გაცნობის შემდეგ, მალე ნიშნობაც გვქონდა.



**— ნინოს თანხმობა რომ არა, კარიერაზე უარს იტყოდი?**

**ვატო:**

— იმ დღეებში, როცა ნინო გავიცანი, სხვადასხვა კლუბისგან მქონდა შეთავაზებები, რამდენიმე კონტრაქტზე უარი ვთქვი. შეიძლებოდა, ეს გრძნობა რამეზე გამეცვალა?! მას ვერანაირი მატერიალური მდგომარეობა, კარიერული წინსვლა და წარმატება ვერ გადაწონიდა. უარს ბულგარეთში წასვლაზეც ძალიან ადვილად ვიტყოდი, არც ვინანებდი.

**ნინო:**

— ჯვრისწერის შემდეგ საზღვარგარეთ წავედით. ბულგარეთში ზღვის სანაპიროზე ვცხოვრობდით. ის პერიოდი ძალიან კარგად და ლამაზად მახსენდება. ქორწილი მოგვიანებით გადავიხადეთ. გიორგობა დღე იყო, 23 ნოემბერი.

**ვატო:**

— მართალია, ოჯახი ასე, ტრადიციების დაცვით შევქმენით, მაგრამ ერთი ტრადიციის დარღვევა მაინც მოგვიხდა.

**— რას გულისხმობთ?**

**ნინო:**

— როგორც წესი, ნეფემ პატარძლის სადედოფლო კაბა წინასწარ არ უნდა ნახოს. ბულგარეთში ყოფნის დროს შევარჩიე მოდელი; ზომებიც იქვე ამიღეს და აღმოჩნდა, რომ ამ კაბის დამთავრებას თბილისში ჩემს დაბრუნებამდე ვერ ასწრებდნენ. არადა, უნდა ჩამოვსულიყავი — მინდოდა, ქორწილის საორგანიზაციო საკითხებ-

ში აქტიური მონაწილეობა მიმელო. ვატო ვერ მოდიოდა, რადგან თამაშები ჰქონდა. ასე რომ, ჩემი საქორწინო კაბის ჩამოტანა მას მოუხდა.

— **18 წლის ასაკში დიასახლისობა არ გაგიჭირდა?**

— არა. როცა გავთხოვდი, კერძების მომზადებაც ვიცოდი და სხვა საოჯახო საქმესაც კარგად ვართმევდი თავს. როცა დედა მუშაობდა და არ ეცალა, მის ფუნქციებს მე ვითავსებდი, თან ეს სწავლაში ხელს სულაც არ მიშლიდა. ასე რომ, პრაქტიკა მქონდა, დამოუკიდებელ ცხოვრებას მიჩვეული ვიყავი. თაკო ისე გავზარდე, ძიძაც არ მყოლია.

— **ვატო, გარდა იმისა, რომ ნინო ძალიან ლამაზია, კიდევ რით გხიბლავს?**

— მეგობარია, კარგი დედაა... ნინო ჩემთვის იდეალური ქალია.

— **თქვენი ურთიერთობიდან ყველაზე რომანტიკული დღე გაიხსენეთ.**

— ოჯახში გატარებული ყოველი დღე რომანტიკულია. მადლობა ღმერთს, რომ ჩემს ცხოვრებაში ასეთი კარგი დღე უფრო მეტია, ვიდრე ცუდი.

— **ნინო, ვატო რამდენად რომანტიკულია?**

— ძალიან ყურადღებიანი და თბილია.

— **სიურპრიზების მოწყობა ეხერხება?**

— ყოველ დღესასწაულზე სიურპრიზს მიმზადებს. ყვავილები, საჩუქრები ხშირად მოაქვს. ასეთი რამეები მეც მახასიათებს, მაგრამ მას უფრო კარგად გამოსდის. ადრე რომანტიკულ ვახშმებსაც ვაწყობდით, რესტორანში მივდიოდით. ეს უმეტესად, ვატოს ინიციატივით ხდებოდა. ბოლო დროს ველარ ვახერხებთ, ბავშვები ბევრ დროსა და დიდ ყურადღებას მოითხოვენ, რომანტიკისთვის დრო უცხოეთში ყოფნისას უფრო გვაქვს. ერთმანეთის გაოცებას დღემდე ვახერხებთ.

— **რამდენიმე დღის წინ ვალენტინობის დღესასწაული იყო; ამ დღეს თუ აღნიშნავთ ხოლმე?**

**ვატო:**

— არა, მხოლოდ 15 აპრილს აღვნიშნავთ. პრინციპში, ჩვენთვის ყოველი დღე სიყვარულის არის.

— **ხშირად მსმენია, ქორწინების შემდეგ ურთიერთობაში რაღაც იცვლება, რომანტიკა იკარგებაო...**

**ნინო:**

— ჩვენი ურთიერთობა ქორწინების შემდეგ უფრო გაღრმავდა, სიყვარული ათმაგად გაძლიერდა, რაც ძალიან მახარებს.

— **3 შვილის დედა ხარ, ეს სულაც არ გეტყობა...**

— ზედმეტი წონის პრობლემა არასდროს მქონია. უფროსი — თაკო 12 წლის არის, შემდეგ მოდიან: 6 წლის გუგა და 4 წლის ანა. არც ერთი ორსულობისას წონაში არ მომიმატია. პარამეტრებიდან არ ვვარდები. მე დიეტის დაცვა არ შემიძლია, ამის ნებისყოფა არა მაქვს, გურმანი ვარ, გემრიელი კერძები მიყვარს. სანამ გავთხოვდებოდი, ვფიქრობდი, 2 შვილზე მეტს არ გავაჩენდი და ახლა, თუ უფლის ნება იქნება, მეოთხე შვილზეც არ ვიტყვი უარს.

**ვატო:**

— ნინო არაჩვეულებრივ კერძებს ამზადებს. სახლში რომ მოვდივარ და ვსადილობ, ვხვდები, ის საჭმელი ნინოს გაკეთებულია თუ არა.

— **როგორ?**

— არ ვიცი. ძალიან გემრიელ კერძებს ამზადებს. ყველაზე მეტად, 2 ადამიანის მომზადებული კერძები მიყვარს — დედაჩემის და ნინოსი.

— **ერთმანეთს რჩევებს ხშირად აძლევთ?**

— რა თქმა უნდა, ერთმანეთის აზრი გვაინტერესებს და პატივს ვცემთ. ადამიანი საერთოდ, სხვის საქმეში ბრძენია, მაგრამ რამდენჯერმე ყოფილა შემთხვევა, მცირე პრობლემა მქონია და ნინოს ისეთი რაღაც უთქვამს, სწორი გადაწყვეტილების მიღებაში დამხმარებია.

— **როცა პოლიტიკაში მიდიოდით, მეუღლეს რჩევა მაშინაც ჰკითხეთ?**

— აბა, რა. ნინო ის ადამიანია, რომლისგანაც დაფარული არაფერი მაქვს. გადაწყვეტილებებს ყოველთვის ერთად ვიღებთ.

**ნინო:**

— აქამდე ეს სფერო ნაკლებად მაინტერესებდა, ახლა საინფორმაციო გამოშვებებს თვალს ვადევნებ... როცა კალათბურთს თამაშობდა, ყოველთვის ვიცოდი, რომელ ადგილზე იყო მისი გუნდი, რომელ ლიგაში თამაშობდნენ, რა პერსპექტივები ჰქონდათ და ა.შ. რომ გითხრა, პოლიტიკა ძალიან მიზიდავს და მაინტერესებს-მეთქი, ტყუილი იქნება.

— **ვატო როგორი მამაა?**

— ცდილობს, შვილებთან რაც შეიძლება მეტი დრო გაატაროს.

**ვატო:**

— არ არსებობს საქმე, რომლის გულისთვისაც შეიძლება, ოჯახს ყურადღება მოვაკლო.

— **ურთიერთობისას უფრო მეტად დამთმობი რომელი ხართ?**

**ნინო:**

— ვატო. როცა ვხვდები, რომ ჩემი ბრალია, რა თქმა უნდა, მე ვთმობ.

— **და შენი ბრალი ხშირად არის?**

— საკმაოდ. ვაბრაზებ ხოლმე (*იცინის*).

**ვატო:**

— სულაც არ ვბრაზდები.

**ნინო:**

— უაზრო თემაზე შევყვებით ხოლმე, თან ისე, ლამის ერთმანეთი დავხოცოთ. მერე რომ ვიხსენებთ, რაზე ვიჩხუბეთ, გვეცინება.

— **შენი შემორიგების რაიმე მეთოდი აქვს?**

— იცის, რომ მოფერება ჭრის.

— **ნინო, ბოლოს შენი საქმიანობის შესახებ მინდა გკითხო: როგორც ვიცი, ერთ-ერთ სამოდელო სააგენტოს ხელმძღვანელობ.**

— დიახ, სამოდელო სააგენტოსთან მუშაობს სტუდია, სადაც მოდელებს ვზრდით. რამდენიმე ჯგუფი გვყავს. მათ სურათებს ვგზავნი უცხოურ სააგენ-



ტოებში — პარიზში, ლონდონში, მილანში. მინდა, ქართული სახეების პოპულარიზაციას შევუწყო ხელი.

**ვატო:**

— ნინომ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როცა საკუთარი სააგენტო გახსნა. ამაში მეც შევუწყვე ხელი. შეიძლებოდა, ეს ცოტა ადრეც გაეკეთებინა.

— **თაკო ხომ არ ფიქრობს მოდელობაზე?**

— არა, პოდიუმი არ იზიდავს.

— **საკრებულოში საქმიანობა რამდენად საინტერესო აღმოჩნდა თქვენთვის? როგორც ვიცი, ეს ის სფეროა, რომელთანაც შეხება არ გქონიათ...**

— სასიამოვნოა, როცა ქალაქის განვითარებაში რაღაც წვლილი შენც შეგაქვს. რა თქმა უნდა, ეს დიდი პასუხისმგებლობაც არის.

■

# გული ანუ რამდენიმე ეპიზოდი ცნობილი კარდიოლოგის ცხოვრებიდან

**ადამიანები სიყვარულსა და ყველაზე მნიშვნელოვანს გულს ვუკავშირებთ. როცა ვინმეს შექება გვსურს, ვამბობთ ხოლმე: „გულისხმიერი, გულადი, გულკეთილი ადამიანია“, „გულთბილად მიგვიღო“, „გულითადად გააკეთა“ და ა.შ. თუმცა, კარგთან ერთად ცუდიც ხომ გულს უკავშირდება — „გული ეტკინა“, „გულშემოყრილი იდგა“, „გული აიცრუა“... ერთი სიტყვით, ყველანაირი გრძნობა გულს გაივლის, ამიტომაც სჭირდება მას დიდი მოფრთხილება.**

**თბილისში ბევრი საინტერესო ადამიანი ცხოვრობს. ამჯერად ერთ-ერთს გაგაცნობთ. მისი ცხოვრება გულს უკავშირდება... გულს და ბევრ ცნობილ, უკვე ლეგენდად ქცეულ პიროვნებას. ანზორ მელიას კარგა ხანია, ე.წ. არამიანცის საავადმყოფოს ტერიტორიაზე საკუთარი კლინიკა აქვს, სადაც ადამიანებს მკურნალობს... ამ წერილში ექიმი-კარდიოლოგის ცხოვრების გზასა და ამ გზაზე შეხვედრილ ადამიანებს გავიხსენებთ.**



*მარინა ბაბუნაშვილი*

— ბავშვობიდანვე მინდოდა ექიმობა. ეს უფრო დედის ჩაგონების შედეგი იყო. წარმოშობით ზუგდიდელი ვარ. ჩემი მშობლები ტექნოლოგები გახლდნენ. დედამ ვერ მოახერხა, ექიმი გამხდარიყო, ამიტომაც უნდოდა, მისი ოცნებისთვის შვილს შეესხა ფრთები. კარგად ვსწავლობდი და მეუბნებოდა, — მშობლებსა და სანათესავოს ერთი ექიმი ხომ გვჭირდება და აბა, შენ იცი, შენი იმედი გვაქვსო. მერვე კლასიდან დედამ თბილისში, თავის მამიდასთან — ლიდია ჩაჩიბაიასთან გამომიშვა. ლიდია ყარამანოვნა (ასე ვეძახდი) ძალიან განათლებული ქალი იყო. გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული. უშვილო გახლდათ და ზუგდიდელი ნათესავების შვილები მასთან ცხოვრობდნენ და სწავლობდნენ. მას დედაჩემი განსაკუთრებულად უყვარდა და მეც თავს მევლებოდა. სამედიცინო განათლების მიღება მოსკოვში მინდოდა და საამისოდ ვემზადებოდი... სკოლის დამთავრებიდან ერთი წლის შემდეგ ჩავაბარე. კურსზე 600 სტუდენტი ვიყავით, აქედან — 20 ქართველი. სწავლა ისეთი რთული იყო, ნახევარმა მოვახერხეთ დიპლომის აღება. არასოდეს დამავიწყდება ერთი ინციდენტი, რომელიც 1-ელ კურსზე დაიწყო და იმ წელსვე დამთავრდა, მაგრამ სული კი გამიმწარა. ფიზიკას ებრაელი კაცი, სიმკაცრით განთქმული — ფელიქს ფალბერი გვასწავლიდა. ჩემი გვარი რომ ამოიკითხა, თავისთან მიხმო და მკითხა, — ქართველო, სად დაამთავრე სკოლაო? თბილისში-მეთქი. თვალი თვალში გამიყარა (საოცრად ცივი მზერა ჰქონდა!) და, — შემთხვევით, 47-ე ხომ არაო? გახარებულმა ვუთხარი, — დიახ-მეთქი. მეგონა, სასიამოვნო მოგონება აკავშირებდა ამ სკოლასთან. — გარი ბოთერაშვილი შენი კლასელი ხომ არ ყოფილაო? — საოცარი დამთხვევაა! გახლდათ-მეთქი. მან თავი უცნაურად დამიქნია და ამით დასრულდა ჩემი „დაკითხვა“. იმ დღიდან ფალბერი გადამეკიდა. თურმე ბოთერაშვილს, რომელიც ჩემზე ადრე ჩაირიცხა მოსკოვის სამედიცინო ინსტიტუტში, ეს კაცი უცემია, რისთვისაც სასწავლებლიდან გაურიცხავთ. ამის გამო ფიზიკის ლექტორმა ყველა ქართველი აითვალწუნა, მე კი, როგორც მისი „მოსისხლე მტრის“ კლასელი, შემიძულა. მისმა დამოკიდებულებამ ისე დამთრგუნა, რომ მის წინ მჯდომი სიტყვის თქმასაც ვერ ვახერხებდი, არადა, საგანი კარგად ვიცოდი. კურსელებს, რომელთა უმრავლესობაც რუსი იყო, ძალიან ვუყვარდი და თანამიგრძნობდნენ. ფალბერთან ორჯერ მქონდა გამოცდა და ორჯერვე ორიანი დამიწერა. მესამე ორიანი უკვე გარიცხვას ნიშნავდა. ეს რომ ლიდია ყარამანოვნამ გაიგო, უმალ მოსკოვში გაჩნდა, ფაკულტეტის დეკანს შეხვდა და უთხრა, — მელიას ბებია ვარო. აუხსნა სიტუაცია და სთხოვა, სხვა კომისიას გამოვეცადე ფიზიკაში. მართლაც საგანგებოდ შეიქმნა კომისია და გამოცდაზე გავედი. რახან ფალბერს თვალი ვერ მოვკარი, ყველა კითხვაზე პასუხები ჩავარაკრაკე. გაოცებულნი მისმენდნენ. ორიანის მერე ხუთს ვერ დაგიწერთო, — ოთხიანი ჩამიწერეს ჩათვლის წიგნაკში და გამომიშვეს. ასე გადავრჩი გარიცხვას. ამ ყველაფერს კი წინ უძღოდა ჩემი კურსელების გაფიცვა, რომლებიც უარს ამბობდნენ შრომით სემესტრში (კარტოფილის მოსავლის ასაღებად) წასვლაზე. ჯგუფხელად ძალიან კარგი გოგონა — ინსტიტუტის პრორექტორის შვილი — ტატიანა ბელოუსოვა გვყავდა. მან მამამისს უთხრა, — თუ ანზორს გარიცხავთ, ეს დიდი უსამართლობა იქნება და ჩვენც დავტოვებთ სასწავლებელსო. ფიზიკის

გამოცდის ჩაბარების შემდეგ ტატიანამ გადმომილოცა „თანამდებობა“ და 5 წელი მე გახლდით ჯგუფხელი... ბევრი დღესაც მეკითხება, — მოსკოვში განათლებამიღებულს რომანი ან ფლირტი გექნებოდა რუს გოგონებთანო. თუ დამიჯერებთ, ამისთვის არც მეცალა. სულ ვმეცადინეობდი. ვინც გართობას მიჰყო ხელი, გაირიცხა კიდეც ინსტიტუტიდან. ერთი გოგონა მომეწონა, მას მამა ქართველი ჰყავდა. ლიდია ყარამანოვნამ მისი წინაპრების შესახებ ინფორმაცია მოიპოვა; დაუდგენია, რომ გოგონას ბაბუა ბერიას თანაშემწე ყოფილა და მირჩია, — ბერიასთან ერთად მასაც ბევრი ცოდვა ექნება ჩადენილი და თქვენ არ გიწიოთ, დაანებე იმ გოგოს თავიო. დავუჯერე. სასწავლებლის დასრულების შემდეგ ერთი წელი დავრჩი მოსკოვში, მერე თბილისში წამოვედი.

— **ადვილად იშოვეთ სამსახური?**

— თბილისში ჭირდა ექიმისთვის სამსახურის შოვნა, რაიონებში კი სიამოვნებით უშვებდნენ. 1972 წელი იდგა. იმ დროს ლილოში ძირითადად, რუსები ცხოვრობდნენ. დასახლებას „მანქანათმშენებლობისას“ ეძახდნენ. მუშები გაიფიცნენ, — ჩვენთვის არც გაზია, არც წყალი; ცუდად რომ გავხდეთ, არც ჯანპუნქტი გვაქვსო. შევარდნაძე ახალი დანიშნული იყო ცეკას მდივნად და გასცა განკარგულება, — უკმაყოფილო მუშებს ყველა საკითხი დროულად მოუგვარეთო. მართლაც, უცებ გაკეთდა ყველაფერი, ჯანპუნქტიც გაიხსნა და მე, როგორც მოსკოვში განათლებამიღებული, დასახლების მკურნალ ექიმად დამნიშნეს. ლილოში ორი წელი ვიმუშავე, შემდეგ ვაკეში, სამკურნალო კლინიკაში („ლეჩკომბინატს“ ეძახდნენ) გადავედი ექიმ-კარდიოლოგად. მაშინ ყველაზე კარგი სამედიცინო აპარატურა იქ იყო. მეოთხე სამმართველოს უფროსი, ზეზვა ღუღუნიშვილი გახლდათ და ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ საბჭოთა კავშირის მასშტაბით ერთ-ერთი საუკეთესო კლინიკა თბილისშიც ყოფილიყო. „ლეჩკომბინატში“ სამკურნალოდ მოჰყავდათ ცეკა-ტეკას თანამშრომლები, მსახიობები, მწერლები, საზოგადო მოღვაწეები... ერთი სიტყვით, იგი განკუთვნილი იყო ბობოლა და ცნობილი ადამიანებისთვის.

— **როგორც ვიცი, ბევრი ცნობილი ადამიანის მკურნალი ექიმი იყავით.**

— ბედნიერება მხვდა წილად, ახლოს გამეცნო და დავახლოებოდი — სესილია თაყაიშვილს, ილიკო სუხიშვილს და რეზო თაბუკაშვილს... ერთხელ მორიგე ვიყავი. საღამო ხანს შემოსასვლელში ერთი ალიაქოთი ატყდა. ნაცნობი ხმა ჩამესმა: — არ მინდა, აქ რატომ მომიყვანეთ? აქ არ დამტოვოთო. ოთახიდან გამოვედი და ვხედავ — სესილია თაყაიშვილი მოჰყავთ გორგოლაჭებიანი საკაცით; გარს შვილიშვილები და მედპერსონალი ახვევია, ამშვიდებენ, მაგრამ ის მაინც გაჰყვირის: — არ დამტოვოთ, მომკლავენო!.. — დამშვიდდით, ქალბატონო სესილია, რას ჰქვია, მოგკლავენ, ნუ გეშინიათ, აქ ვართ ყველანი და მოგხედავთ-მეთქი. გაკვირვებულმა შემომხედა, დამაკვირდა და უფრო გადაირია: — ვინაა ეს ლაწირაკი!.. აქედან დამეკარგე, შე გლახაკო, რისი გამკეთებელი ხარო?!. უცებ მოიწვიეს კონსილიუმი. მსახიობს ინფარქტი ჰქონდა და მდგომარეობაც საკმაოდ მძიმე იყო. დაუნიშნეს მკურნალობა და ერთ საათში ყველა წავიდ-წამოვიდა. დავრჩით მე და უკიდურესად აღშფოთებული ქალბატონი სესილია. ჯერ არ ვენახვებოდი, მერე მომესმა, ექთანს ეკითხებოდა, — ვინაა ჩემი მკურნალი ექიმიო? წინ რომ დავუდექი, ისევ გაბრაზდა, — რატომ გამიმეტეს ჩემმა შვილიშვილებმა ასე, ამ პრაქტიკანტთან როგორ დამტოვეს, ამ საავადმყოფოში ეროსი მოკლეს და მეც მას მიმაყოლებენო! ხალხში ჭორი იყო გავრცელებული, რომ მანჯგალაძეს კარგად არ უმკურნალეს „ლეჩკომბინატში“. არადა, ეროსის ისე ატკინეს გული, იგი მართლაც მოხვდა ჩვენთან, მაგრამ როცა აქედან გაწერეს, კარგა ხნის შემდეგ შინ დაემართა ინფარქტი. ის ხომ სესილიას მეზობლად ცხოვრობდა და პირველმა მან შეიტყო ეროსის სიკვდილი... იმ ღამეს იმდენი ინერვიულა სესილიამ, რომ მდგომარეობა კიდევ უფრო დაუმძიმდა. ცოდნა მაქსიმალურად გამოვიყენე, არ მივაქციე მის სიტყვებს ყურადღება (გამუდმებით ყვიროდა — თავი დამანებეო), ნემსიც გავუკეთე, წვეთოვანიც დავუდგი და ჟანგბადის ბალიშიც მივუტანე. მომჯობინდა და ჩაეძინა. დილით პალატაში რომ შევიხედე,

ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი




მთავარი რედაქტორი
ჯაბა სამუშია

## დასტაქარი

პირდაპირ მაჯახა:

— ბიჭო, მამაშენმა ბევრი ფული დახარჯა ხომ, სამედიცინოზე რომ მოწყობილიყავი?

— არა, ქალბატონო სესილია, სად ჰქონდა მამაჩემს იმდენი ფული, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში რომ ჩამებარებინა?! მე მოსკოვში დავამთავრე ინსტიტუტი.

ცოტა მოლბა სესილია და სახე გაუნათდა.



იმ დროს ელდარ შენგელაია „ცისფერ მთებს“ იღებდა

— აბა, რაღაცა მაინც გეცოდინება... ცოლიანი თუ ხარ?

— ახლახან მოვიყვანე ცოლი.

— ვაი, შენს პატრონს უბედურს!.. შე გლახაკო, რას ჰგავხარ, ვინ მოგცა შენ ქალი, ჩაიხედე სარკეში!..

მეც ხუმრობის გუნებაზე დავდექი. სარკეში ჩავიხედე, ქოჩორი გადავივარცხნე (მაშინ ჯერ კიდევ მქონდა თმა) და ვუთხარი:

— რას მერჩით, ქალბატონო სესილია, არც ისე ცუდი ბიჭი ვარ.

— ისემც შენ რა გითხარი. მოშორდი აქედან!..

მოშორდიო, კი მითხრა, მაგრამ იმ დღიდან ისე დამიახლოვდა, ისე მომენდო, რომ უჩემოდ დიდხანს ვერ ძლებდა. 21 დღე იწვა საავადმყოფოში. წუთით არ მოვშორებივარ გვერდიდან. იმ დროს ელდარ შენგელაია „ცისფერ მთებს“ იღებდა. ის ადრე გავიცანი, როცა ქალბატონ არიადნას (*ელდარ შენგელაიას პირველი ცოლი. — ავტ.*) დედას ვმკურნალობდი. სანამ სესილია ჩვენთან იწვა, ელდარი ხშირად მოდიოდა და მეკითხებოდა, — ხომ გადარჩებაო? — თან დასძენდა, — ძალიან კარგი ფილმი გამოდის და სესილიას რამე რომ მოუვიდეს, ყველაფერი წყალში ჩაგვეყრებაო. სესილიამ როგორც კი უკეთ იგრძნო თავი, შინ გავწერეთ. იმავე ღამეს კვლავ ცუდად გახდა. შიში დასჩემდა, თორემ როცა მე და მისი „შვილიშვილი“ — სერგო ორჯონიკიძე აქოშინებულები მივცვივდით მასთან, წნევაც სტაბილური ჰქონდა და გულიც კარგად მუშაობდა. გადასაღებ მოედანზე უჩემოდ არ წავიდა. მაშინ ედუარდ შევარდნაძის ექიმი-გამცილებელი გახლდით და მქონდა სპეციალური სამედიცინო ჩემოდანი, რომელშიც წამლიან-ნემსიან-კარდიოგრამისაპარატიანად, ყველაფერი ეწყო. სესილიას ვაწყნარებდი, — გადასაღებ მოედანზე ჩემი ჩემოდნით გამოგყვებით-მეთქი. მართლაც, ერთად მივედით. მსახიობებმა და ფილმის შემოქმედებითმა ჯგუფმა დერეფანი გააკეთეს და მე და სესილია ტაშით გაგვატარეს. მისი მისვლა შამპანურით აღნიშნეს. ძალიან ბუნებრივად ითამაშა (როგორც ყველა დანარჩენ ფილმში) და როცა დაიძახეს, — გადაღებულიაო, — გაუკვირდა კიდეც. ეს მისი ბოლო ფილმი იყო...

ბატონი ილიკო სუხიშვილი ინფარქტიანი მოიყვანეს საავადმყოფოში. ერთ კვირაში ანსამბლი ინგლისში მიდიოდა საგასტროლოდ. ძალიან მძიმე მდგომარეობაში იყო. წუხდა, — ვეღარ ავდგები ფეხზეო. უფრო ის ადარდებდა, რომ ანსამბლთან ერთად ვერ გაემგზავრებოდა. ქალბატონ ნინოს სთხოვდა, — მე არაფერი მიჭირს, ექიმები მომხედავენ, შენ და თენგიზი წაჰყევითო, — მაგრამ ნინო რამიშვილმა ცივი უარი უთხრა, — ვერ დაგტოვებ, მანამ არ მოგცილდები, სანამ ფეხზე არ დაგაყენებო. მართლაც, ანსამბლს თენგიზი წაჰყვა, ნინო კი ილიკოსთან დარჩა. მათნაირი ცოლქმრობა არც მინახავს და არც გამიგონია! ქალბატონი ნინო წუთით არ მოშორებია გვერდიდან. ქმრის პალატაში იწვა და სანამ კრიზისულ მდგომარეობაში იყო, ღამეებს უთევდა. მოუწესრიგებელი არასოდეს მინახავს. ერთადერთი, რაზეც კამათი მოსდიოდათ, — წამლების მიღება და ჭამა იყო. ილიკოს არ უყვარდა წამლების დალევა. როგორც კი გამოკეთდა, წამლებს ხან სად მალავდა, ხან — სად. გურმანიც გახლდათ და ხშირად არღვევდა კვების რეჟიმს. მაშინ ბატონი ილიკო გამოკეთდა და მერე, მის სიკვდილამდე ვმეგობრობდით.

რეზო თაბუკაშვილი მოციმციმე არითმიით მოიყვანეს საავადმყოფოში. რამდენიმე დღეში ჰოლანდიაში, კუნძულ ტექსელზე უნდა გამგზავრებულიყო. თან მიჰქონდა იქ დაღუპულ ქართველთა პატივსაცემად გაკეთებული ობელისკი. კონსილიუმმა დაადგინა, რომ ხანგრძლივი მკურნალობა ესაჭიროებოდა. არადა, სხვა შემთხვევაში, მოციმციმე არითმიას უცებ კურნავენ, თუმცა რისკიც დიდია: გული ან ჩვეულ რიტმში დგება ან ჩერდება. ბატონ რეზოს ამ სამედიცინო ხერხის შესახებ ჩვეულებრივად მოვუყევი. რას ვიფიქრებდი, თუ გონებაში ჩაიბეჭდავდა?!. საღამოს, როცა ყველა წავიდ-წამოვიდა და მხოლოდ მე დავრჩი, დამიძახა, — საქმე მაქვსო. — ბრძანეთ-მეთქი. — თუკი შეიძლება, მოციმციმე არითმიის უცებ მოხსნა, მე რატომ არ მიხსნითო? — იმიტომ, რომ თქვენ რეზო თაბუკაშვილი ხართ-მეთქი... მერე მიამბო, რამდენი იწვალა ჯერ ფილმის გადაღებაზე, მერე იმ ობელისკის დასამტკიცებლად და მცირე ჯგუფის წასაყვანი ნებართვის მისაღებად. იმ ჯგუფში მისი ვაჟი — ლაშაც იყო. ყველანი უკვე ტექსელზე ელოდებოდნენ ბატონ რეზოს. ახლაც მიკვირს, როგორ დამიყოლია, რისკზე წავსულიყავი. როცა დაღამდა, დავუძახე ექთანს, პალატის კარი ჩავკეტეთ, ყველაფერი მოვიმარაგე: წვეთოვანები, ჟანგბადის ბალიში, საჭირო წამლები, პირჯვარი გადავიწერე და ვენაში წამალი გავუკეთე. კარდიოგრამის მონიტორზე ხაზი გასწორდა... ერთი წუთი მთელ საუკუნეს უდრიდა. ცივმა ოფლმა დამასხა. ტეხილი ხაზი რომ დაიხატა და გულის ფეთქვაც გაისმა, მერეღა ამოვისუნთქე... ბატონი რეზო მეორე დღესვე ფეხზე დადგა. მაშინვე დაურეკა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, ვიქტორია სირაძეს — კარგად ვარ, დღესვე მივფრინავ მოსკოვშიო (ჰოლანდიაში იქიდან უნდა გამგზავრებულიყო)... დამშვიდობებისას გადამეხვია, გადამკოცნა და მითხრა: — შენ მე დიდი საქმის ასრულებაში დამეხმარე და ამას არასოდეს დაგივიწყებო... ორი კვირის შემდეგ, როცა ჰოლანდიიდან დაბრუნდა, ქალბატონ მედეასთან ერთად შინ მესტუმრა. ხელში ეჭირა დიდი ბროლის ლარნაკი, რომელშიც 100 ვარდი იდო... ■




კარდიოლოგთა საერთაშორისო კონგრესზე გერმანიაში

# ნუდიზმი რაჭულად...

ინგა ჯაყელი

საშიკოს ნამდვილი სახელი ალექსანდრეა, მაგრამ ეს თავადაც იშვიათად ახსენდება, არც მოგხედავთ, თუ სახელს სრულად დაუძახებთ, მაგრამ ეს მისი ყველაზე ნაკლები უბედურებაა. საქმე ისაა, რომ ეს ჩვენი საშიკო ბავშვობიდან იტანჯება ალერგიის უცნაური ფორმით: საკმარისია, დასცხეს და ოფლი მოედინოს, თუ ტანსაცმელი აცვია, ისეთი ქავილი აუტყდება, წამში დასივდება და სხეულზე წყლით სავსე ბუშტუკები დააჯდება...

5 წლის ისე გახდა, ზამთარ-ზაფხულ შიშველი დატანტალებდა, მაგრამ მოგვიანებით ჩასუქებული სხეულის გამოჩენა ერცხვინებოდა და მისი ტანჯვაც დაიწყო...

ზამთარში კიდევ არა უშავდა, რადგანაც ახლოსაც არ ეკარებოდა დანთებულ ბუხარს და სიცივე მისი მხსნელი იყო, მაგრამ ზაფხულში საშინელ ავადმყოფს ემსგავსებოდა, ხალხს გაურბოდა და ამის გამო ლამის ტყის კაცად ქცეულიყო — გაუპარსავ-გაბანჯგლულს მხოლოდ ჩითის „კლიოში“ ნიფხავი ეცვა და ნახირს ისე მწყემსავდა.

საშიკო 3 დის ერთადერთი საფიცარი ძმა იყო და მის უშვილძიროდ გადაგებას როგორ შეეგუებოდნენ — დატრიალდნენ, როგორც კი 20 წელს გადააცილა ბიჭმა, მაგრამ რაჭაში ვერავინ „გააბრიყვეს“, შორს გავარდნილიყო მისი „შიშველი გადარეულობის“ ამბავი... ლეჩხუმში მიაგნეს ისეთ გოგოს, საშიკოს შესაფერისად რომ მიიჩნიეს და არც იმას უთქვამს უარი — დანიშნეს და იმავე ღამეს წამოიყვანეს პატარძალი მაყრიონის თანხლებით. კარგადაც მოილხინეს და რომ ეგონათ, ყველაფერმა მშვიდობით ჩაიარა, მაშინ მოხდა საშინელი რამ: შიშველი პატარძლის დანახვაზე ისე დასცხა საშიკოს, თითქოს ერთბაშად უკბინა ათასმა ჭიანჭველამ, წამოხტა ღრიალით, დაიწყო ქექვა-ფხანა და რომ არაფერმა უშველა, ისევე, დედიშობილა გავარდა ეზოში, თოვლში დაიწყო კოტრიალი...

ჯერ საშიკოს ღრიალმა გააღვიძა სტუმრები, მერე დაზაფრული პატარძლის კივილმა და გამოიშალნენ გარეთ... ბევრი სწმინდეს ნამუსი ახლობლებმა უბედურ საშიკოს, მაგრამ არც პატარძალმა და არც მისმა მხლებლებმა არაფრის გაგონება არ ისურვეს: გინდა, მაგასთან დაგვიტოვებია შვილი და გინდა, რიონისთვის გაგვიტანებიაო! — გათენებასაც არ დაელოდნენ, დაქოქეს მანქანები და ლეჩხუმისკენ გაქუსლეს.





ის იყო და ის, საშიკოს ცოლს ვერავინ უხსენებდა. დებიც მოტყდნენ, აბა, რა ძალა ჰქონდათ — შექმნეს თავიანთი ოჯახები და სულ უფრო ნაკლებად იცლიდნენ ძმისთვის, რომელმაც თავის გემოზე მოაწყო სახლი და ზამთარ-ზაფხულ ერთნაირი ტემპერატურა ჰქონდა შინ, მაგრამ სახლი ერთია და თუ არ იმუშავებდა, საჭმელს ვინ მიართმევდა?! — სხვა გზა არ ჰქონდა, რიონის ნაპირზე გააშენა ყანა-ვენახი და საზღვარზე ტრაფარეტიც ჩადგა: „ფრთხილად, შიშველი კაცია!..“

მეზობლებიც ერიდებოდნენ და ცოცხალი თავით არ უხვევდნენ იმ მხარეს, სადაც სარცხვინელზე ლეღვის ფოთოლივთი პატარა ნაჭერაფარებული საშიკო იდგა კვალში და მონდომებით იქნევდა თოხს. დროდადრო რიონისკენ გარბოდა და წყალში დათვივით დადგაფუნებდა მტანჯველი ქავილის გასანელებლად... ვინ იცის, მერამდენე წელიწადია ასე გრძელდება — საშიკო დაახლოებით 50 წლის მამაკაცია უკვე და მის უცნაურობასაც შეეგუა ნაცნობი და მეზობელი, მაგრამ... ცოტა ხნის წინ, ლამის ციხეში ამოაყოფინეს თავი, რადგან სიშიშვლე სახელმწიფოსადმი მიმართულ შეურაცხმყოფელ აქტად ჩაუთვალეს: რიონის სანაპიროთი უცხოელები დაინტერესდნენ, სასტუმროების აშენება ჰქონიათ განზრახული და ადგილებს არჩევდნენ. კარგა ხანს ჯიპების დაბურული ფანჯრებიდან ათვალიერებდნენ თურმე მიდამოს, მერე ფეხით ისურვეს გავლა. წინ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მიუძღოდნენ. მათ 2 ქალი ახლდა, ბანაობა მოუსურვებიათ და მამაკაცებს ჩამორჩნენ... ის იყო, გაუხდიათ და მდინარეში შესულან, რომ ქავილის მორიგი შეტევით შეწუხებული საშიკო გამოშლიგინებულა ყანიდან და შორიდანვე უსკუპია წყალში. საწყალი ქალებიდან ერთი ქვეშ მოუტანებია, მეორეს ზურგში ტორი რომ ატაკა, ნაპირს მიახეთქა...

რომ არ ემარჯვა, დაბნეულობისგან ორივე ქალი დაიხრჩობოდა. დატრიალდა და გამოათრია ნაპირზე, სამწუხაროდ, ორივე გულწასული და ცდილობდა, როგორმე მოესულიერებინა, რომ იმ დროს მობრუნდნენ ამერიკელები — რას იფიქრებდნენ, არ გაგიჭირდებათ წარმოდგენა, როცა დედიშობილა კაცის წინ ორი გაშოტილი ქალი დაინახეს...

გაკოჭეს საშიკო და არავინ იცის, რა მოხდებოდა, თავდებში მთელი სოფელი რომ არ დასდგომოდა...

იმ ქალებმაც აპატიეს და უფრო მეტიც, უბედურს დახმარების მიზნით, ამერიკაში წაყვანაც დაუპირეს, მაგრამ საშიკომ უარი თქვა: ამერიკაშიც სარცხვინელზე ფოთოლაფარებული ხომ არ გაემგზავრებოდა?!.

მას შემდეგ, სანამ კარგად არ დაზვერავს მიდამოს, ყანიდან გამოსვლას ველარ ბედავს...

■

# პრეზიდენტი, რომელმაც „წითელი ჭირი“ — „ბოროტების იმპერია“ დაამარცხა

**2011 წელი დახუნძლულია მსოფლიო ისტორიისთვის მნიშვნელოვანი ადამიანებისა თუ მოვლენების საიუბილეო თარიღებით. მათ შორისაა კაცი, რომლის დამსახურებაც, საკუთარ ქვეყანაზე არანაკლებად, ალბათ ჩვენ — ყოფილმა „საბჭოელებმა“ უნდა დავაფასოთ: ისტორიკოსები და პოლიტოლოგები აღარ დაობენ იმაზე, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მე-40 პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა დაიწყო და წარმატებით დაასრულა (ან — აიძულა საბჭოთა ხელმძღვანელობა, რომ დაეწყო და დაესრულებინა — რაც, ფაქტობრივად, ერთი და იგივეა) „ბოროტების იმპერიის“ — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დაშლა!**

*ზვიად გურული*



## ბავშვობა, სიჭაბუკე და ახალგაზრდობა

1985 წელს, თავის იუბილეზე რეიგანმა ასე იხუმრა: „75 წლის წინ, ქალაქ ტამპიკოში, ილინოისის შტატში დავიბადე ციცქნა ბინაში, მეორე სართულზე, სახლში, რომლის პირველ სართულზეც ბანკი იყო განთავსებული. იმის შემდეგ კონტაქტი ბანკებთან აღარ მქონია“.

რონალდ უილსონ რეიგანი 1911 წლის 6 თებერვალს დაიბადა. მამამისი — ჯონ ედვარდ (ახლობლები ჯეკს ეძახდნენ) რეიგანი ირლანდიელი იყო, ირლანდიელთა უმეტესობის მსგავსად, ვისკის თაყვანისმცემელი გახლდათ და ხშირად ზედმეტიც მოსდიოდა. ისე, რალა ხშირად — ჯეკის ლოთობის გამო ოჯახი მუდმივად ხელმოკლეობას განიცდიდა და რომ არა პატარა რონის დედა, ალბათ დაინგრეოდა კიდეც, მაგრამ ნელი უილსონ-რეიგანი წელებზე ფეხს იდგამდა, მუშაობდა, შვილებს არაფერს აკლებდა და, რაც მთავარია, რონისა და მის უფროს ძმას — ნეილს მამის პატივისცემასა და სიყვარულს უნერგავდა: „არ შეიძლება, ადამიანზე, მით უმეტეს საკუთარ მამაზე, იმის მიხედვით იმსჯელო, თუ რა მდგომარეობაშია ის ამჟამად...“



დედისადმი უდიდესი სიყვარული რეიგანს ცხოვრების ბოლომდე გაჰყვა და მეორე სახელად (მისი სრული სახელი ხომ რონალდ-უილსონ რეიგანია) დედის გვარის აღებაც ამის დადასტურებაა. სხვათა შორის, მამას „უწინასწარმეტყველია“ ვაჟის დაბადებისთანავე: „სულ სქელო-ჰოლანდიელს ჰგავს (*ცნობილ განგსტერს. — ავტ.*), მაგრამ ვინ იცის, იქნებ ოდესმე პრეზიდენტიც გახდეს!“ ისე, მამისგან ერთი რამ ნამდვილად „ისწავლა“: ბავშვობიდანვე იმდენად შესძულდა ალკოჰოლი, რომ ცხოვრების ბოლომდე მხოლოდ საზეიმო მიღებაზე თუ მოსვამდა ხოლმე რამდენიმე ყლუპს.

ცხოვრების პირველი 8 წელი მუდმივ მოგზაურობაში გაატარა: უკეთესი პირობების ძებნისას ოჯახმა ილინოისის შტატის 3 ქალაქი მოიარა (გამოცვლილი ბინების რაოდენობას ხომ ვინ მოთვლის), სანამ ბოლოს ჩიკაგოდან ისევ ტამპიკოში არ დაბრუნდა და ისევ მეორე სართულზე (ამჯერად — უნივერსალური მაღაზიის) დასახლდნენ და თითქოს ცხოვრებაც აეწყო — მშობლებმაც იმავე მაღაზიაში დაიწყეს მუშაობა. მაგრამ ნათქვამია, — გაჭირვებულს ქვა ალმართში მიეწიაო — და ერთ წელიწადში ის მაღაზია გაკოტრდა და რეიგანების ოჯახი ისევ სხვა ქალაქში — დიკსონში გადაბარგდა.

ცხადია, საცხოვრებლისა და შესაბამისად, სკოლების ხშირი ცვლა პატარა ბიჭისთვის ფსიქოლოგიური ტვირთი იყო და ახალ თანაკლასელებთან მუდმივი კონფლიქტი ჰქონდა. მაგრამ დიკსონში ყველაფერი დალაგდა — იქაურ საშუალო სკოლაში რონი მსახიობობითა და სპორტით დაინტერესდა, მთხრობელის უბადლო ნიჭიც გამოავლინა და ძალზე პოპულარული გახდა. ამ პოპულარულობამ პიკს მას შემდეგ მიაღწია, რაც 13 წლისა, დიკსონის საფეხბურთო გუნდის საუკეთესო მოთამაშე გახდა და შტატის ჩემპიონობა მოიპოვა.

მაგრამ საზოგადოების მიერ უდიდესი აღიარება მაინც მას შემდეგ მოვიდა, რაც 15 წლის „ჰოლანდიელმა“ (მამის მიერ შერქმეული მეტსახელი დიდხანს შერჩა) დიკსონის პლაჟზე ზაფხულში მაშველად მუშაობა დაიწყო (კვირაში 20 დოლარს უხდიდნენ) და 7 სეზონის განმავლობაში 77 კაცი გადაარჩინა დახრჩობას! ამით რეიგანი ცხოვრების ბოლომდე, სავსებით სამართლიანად ამაყობდა...

17 წლისა იურიკის კოლეჯის სოციოლოგიისა და ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა და უნდა ითქვას, დიდად არ იწუხებდა თავს სწავლით, სამაგიეროდ, ყოველთვის აქტიურობდა საზოგადოებრივ ასპარეზზე: სპორტშიც, სცენაზეც და, რაც მთავარია — სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარე იყო. ასე რომ, მომავალში პოლიტიკისადმი, მმართველ ორგანოებში მუშაობისადმი მისი მიდრეკილება, სულაც არ ყოფილა მოულოდნელი.

სოციოლოგია და ეკონომიკა რეიგანს დიდხანს აღარ გახსენებია: კოლეჯის დამთავრების შემდეგ აიოვას შტატში გადავიდა, სადაც რამდენიმე პატარა რადიოსადგურში იმუშავა სპორტულ კომენტატორად, სანამ შტატის ცენტრალურ რადიოში არ მიიწვიეს, აიოვას მთავარი საფეხბურთო გუნდის თამაშების პირდაპირი რადიორეპორტაჟების წასაყვანად (თითოეულისთვის 10 დოლარს უხდიდნენ).

კარგი ხმისა და არტისტული მონაცემების გამო, ყურადღება მალე მიიქცია და ბეისბოლის ცნობილი გუნდის — „ჩიკაგო კაბსის“ რადიორეპორტიორად მიიწვიეს იმ დროისათვის სოლიდური ხელფასით — 100 დოლარით. ამ გუნდთან ერთად მთელი ამერიკა მოიარა. 1937 წელს, სწორედ ასეთი მოგზაურობის დროს დარჩა მისი გუნ-

დი საკმაოდ ხანგრძლივი ვადით კალიფორნიაში და რეიგანმაც დიდი ხნის ოცნება აისრულა — წარმატებით გაიარა კასტინგი ჰოლივუდში და თავის პირველ სამსახიობო კონტრაქტს მოაწერა ხელი — 6 თვე გარანტირებული ჰქონდა სამუშაო, კონტრაქტის შემდგომი — 7-წლიანი გახანგრძლივების პერსპექტივით. თანაც — „უორნერ ბრაზერსთან“ და არა რომელიმე რიგით კინოკომპანიასთან.

## ჰოლივუდური კარიერა, ომი და ოჯახი

„უორნერ ბრაზერსი“ დიდ იმედებს ამყარებდა სპორტული აღნაგობისა და შესანიშნავი დიქციის მქონე მაღალ, სიმპათიურ რეიგანზე. პირველივე როლმა წარმატება მოუტანა, ოღონდ ეს სულაც არ გასჭირვებია: ფილმში — „სიყვარული პირდაპირ ეთერში“ რეიგანმა, ფაქტობრივად, საკუთარი თავი ითამაშა — მთავარი გმირი სპორტული კომენტატორი იყო.

1938 წელს რონიმ სტუდენტობის დროინდელი საზოგადოებრივი აქტიურობა გაიხსენა — „ამერიკის კინომსახიობთა გილდიაში“ (პროფკავშირული ორგანიზაცია) შევიდა და მალე მისი გამგეობის წევრიც გახდა. მაგრამ მსახიობობა მაინც პირველ ადგილზე იყო: ორი წლის განმავლობაში, 19(!) ფილმში გადაიღეს.

1940 წელს მისი ბავშვობის დროინდელი მეტსახელი („ჰოლანდიელი“) ახლით შეიცვალა — მას მთელი ამერიკა უკვე „ჰიპერს“ ეძახდა — მისი პერსონაჟის სახელს ფილმიდან, სადაც რეიგანმა ცნობილი ამერიკელი ფეხბურთელის, ნიუტ როკის როლი შეასრულა და კიდევ უფრო პოპულარული გახდა.

ის წელი სხვა რამითაც იყო მნიშვნელოვანი — რონალდ რეიგანი ჰოლივუდის ამომავალ ვარსკვლავზე — ჯეინ უაიმენზე დაქორწინდა. ამ ქორწინებამ 8 წელი გასტანა — 3 შვილიდან (ორი ქალიშვილი ეყოლათ, ხოლო ვაჟი — იშვილეს) ერთი ჩვილობაშივე გარდაეცვალათ.

ჯეინის კარიერა უფრო წარმატებული აღმოჩნდა, ვიდრე მისი მეუღლის — მან მალე მოიპოვა პოპულარობა, დიდ ჰონორარსაც იღებდა და 1948 წელს „ოსკარიც“ კი მოიპოვა, როგორც ქალის როლის საუკეთესო შემსრულებელმა, ცნობილ ფილმში — „ჯონი ბელინდა“ განსახიერებული გმირისთვის. მაგრამ ამ წარმატებით ერთად ვერ გაიხარეს — სწორედ მაშინ დაენგრათ ოჯახი. ბავშვები დედასთან დარჩნენ. რონალდი საშინლად განიცდიდა ამ ამბავს — შვილებს კი ხვდებოდა დროდადრო, მაგრამ ყოფილ ცოლთან ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვიტა — ისე, რომ მეგობრებს მისი სახელის ხსენებაც კი აუკრძალა. მანამდე რეიგანმა ომში მონაწილეობაც მოასწრო: ჯერ კიდევ 1937 წელს გაიარა სამხედრო კურსები და ლეიტენანტის წოდება მიიღო, თანაც კავალერისტი იყო — ცხენი და მხედრობა მისთვის, როგორც „კინოკოვბოისთვის“, მანამდეც არ იყო უცხო, თუმცა როდესაც ომი დაიწყო და 1942 წელს ჯარში გაიწვიეს, სამხედრო-სამედიცინო კომისიამ მხედველობა დაუწუნა და ფრონტზე აღარ გაგზავნა. სამაგიეროდ, „პროფილით“ მოუძებნეს სამუშაო — სამხედრო-საჰაერო ძალების იმ განყოფილებაში გაამწესეს, რომელიც მოკლე სასწავლო ფილმებს იღებდა ახალბედა მფრინავებისათვის და ომის დასრულებამდე, რეიგანმა 400(!) ასეთი ფილმის შექმნაში მიიღო მონაწილეობა.

შეიძლება ითქვას, რეიგანის, როგორც კინომსახიობის კარიერა ამ ომმა შეიწირა, რადგან სწორედ ამ მოვლენებამდე ცოტა ხნით ადრე გამოვიდა ფილმი „მეფეთა რიგი“ (Kings Row), რომელშიც მთავარი როლი ითამაშა, „ოსკარის“ ნომინანტიც გახდა და საყოველთაო პოპულარობაც მოიპოვა...

მაგრამ ჰოლივუდი მალე ივიწყებს კერპებს — 4 წლით ეკრანიდან გაქრობა ძალზე ძნელი „ამოსაქაჩი“ იქნებოდა და ასეც მოხდა: ჯარიდან დაბრუნებულმა რონალდმა კიდევ რამდენიმე ფილმში ითამაშა (სულ კარიერის მანძილზე 54 როლი დაუგროვდა), მაგრამ საუკეთესო მომენტი უკვე ხელიდან ჰქონდა გაშვებული...

სამაგიეროდ, ძალიან გაუმართლა პირად ცხოვრებაში: პირველი ოჯახის დანგრევიდან ერთ წელიწადში მსახიობი ნენსი დევისი გაიცნო და 1952 წელს მასზე იქორწინა. ნენსიმ წარმატებული კარიერა მიატოვა და მთელი ცხოვრება ქმარს მიუძღვნა. რონიმაც სიყვარულით უპასუხა და მაშინაც და მრავალი წლის შემდეგაც, როდესაც რეიგანი მსოფლიო დონის ლიდერი გახდა, მათ სიყვარულზე ლეგენდები დადიოდა. სწორედ ნენსი რეიგანი იყო პრეზიდენტების მეუღლეთაგან პირველი, ვინც აქტიურობდა პრესის ფურცლებსა და საზოგადოებაში და დღევანდელი „აქტიური პირველი ლედის ინსტიტუტის“ პიონერადაც ის შეიძლება მივიჩნიოთ. მათ 2 შვილი ეყოლათ: პატრიცია და რონალდ-პრესკოტი.

## პროფკავშირიდან — დიდ პოლიტიკაში

როდესაც რეიგანი ომიდან დაბრუნდა, ის კვლავ შეიყვანეს „ამერიკის კინომსახიობთა გილდიის“ გამგეობაში, ხოლო 1947 წელს ამ ორგანიზაციის თავმჯდომარედაც აირჩიეს. სწორედ მაშინ გადაწყვიტა მომავალმა პრეზიდენტმა, მეტი ყურადღება დაეთმო ამ საქმიანობისთვის, მით უმეტეს, რომ უკვე ჩამოყალიბებული ჰქონდა თავისი მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება ყველაფერი კომუნისტურის მიმართ და „გილდიის“ ერთ-ერთ ამოცანადაც, მიუხედავად იმისა, რომ არსით ის პროფკავშირული ორგანიზაცია იყო, ჰოლივუდში „შემოპარული“ კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლა აქცია. ის პირადად მონაწილეობდა კომუნისტების ჰოლივუდიდან გაძევებაში, ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში შექმნილ „ანტიამერიკული ქმედების გამოძიების კომიტეტსაც“ აძლევდა ჩვენებებს და ცხოვრების ბოლომდე პრინციპულ ანტიკომუნისტად დარჩა.

პარადოქსია, მაგრამ სწორედ ამ ანტიკომუნისტური კამპანიის „ფარგლებში“ გაიცნო ნენსი და შემდეგ ხუმრობდა ხოლმე, — რას ვერჩი ამ კომუნისტებს, მათი მადლობელი უნდა ვიყო, რომ ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანი „გამაცნესო“. საქმე კი ასე ყოფილა: „მსახიობთა გილდიის“ თავმჯდომარეს, რონალდ რეიგანს მსახიობმა ნენსი დევისმა მიმართა თხოვნით, ამოეღოთ მისი გვარი კომუნისტების „შავი სიიდან“ — როგორც აღმოჩნდა, სხვა ნენსი დევისიც არსებულა და მომავალი პირველი ლედი შეცდომით ჩაუწერიათ...

რეიგანი რამდენჯერმე ხელახლა აირჩიეს (ბოლოს 1959 წელს) „გილდიის“ თავმჯდომარედ და „დიდი პოლიტიკის“ დროც დადგა. თუმცა ჯერ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტის შესახებ უნდა ვთქვათ: ამერიკის უმსხვილესმა კომპანიამ — „ჯენერალ ელექტრიკმა“ 1951 წელს შესთავაზა, მისი „სატელევიზიო-სარეკლამო სახე“ გამხდარიყო, ოღონდ მისი ამოცანა სარეკლამო რგოლებში მონაწილეობა კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ სრულფასოვანი ტელეგადაცემები უნდა წაეყვანა და ამერიკელები „ჯენერალ ელექტრიკის“ საიმედოობაში დაერწმუნებინა. ამ სამსახურმა რეიგანს „ორმაგი მოგება“ მოუტანა: ჯერ ერთი — საკმაოდ მაღალი ხელფასი (შიგადაშიგ, მცირებიუჯეტიან ფილმებშიც მონაწილეობდა, „გილდიის“



პირველ ცოლთან და შვილთან ერთად

თავმჯდომარეობისთვის კი ხელფასს არ იღებდა), რამაც 5 წელიწადში, ლოს-ანჯელესის ფეშენებელურ უბანში, ოკეანის ნაპირზე ულამაზესი სახლის აშენების საშუალება მისცა, და მეორე — ტელე და კინოკამერები ერთმანეთისგან განსხვავდებოდა, ხოლო სისტემატურმა შეხვედრებმა და ტელეგამოსვლებმა ბიზნესმენების, აქციონერებისა და ჩინოვნიკების წინაშე, იგი ბრწყინვალე ორატორად აქცია. მაღალი, სიმპათიური, მჭევრმეტყველი, საუცხოო ხმის ტემბრის მქონე რონი რეიგანი ხალხს ეკრანიდან ესაუბრებოდა თავისუფალ მეწარმეობაზე, ლანძღავდა კომუნისტებს, მაღალი გადასახადების გამო აკრიტიკებდა მთავრობას... რაც მთავარია, ყველა გრძნობდა, რომ გულწრფელი იყო და მსახიობობის მიუხედავად, ამჯერად არ „თამაშობდა“.

ასეთმა რეიგანმა მალე დაიპყრო ამერიკელების გული. თუმცა „ჯენერალ ელექტრიკმა“ კონტრაქტი გაუწყვიტა (რადგან იგი სატელევიზიო გამოსვლებში უკვე საკუთარ პოლიტიკურ შეხედულებებს გამოთქვამდა), მაგრამ მან უკვე იცოდა, რა უნდოდა!

და კიდევ ერთი ფაქტი — რეიგანს პარტიის გამოცვლა მოუხდა. საქმე ის არის, რომ ჰოლივუდი ყოველთვის „დემოკრატების“ „სამფლობელოდ“ მიიჩნეოდა და რონიც „ინერციით“ შევიდა დემოკრატიულ პარტიაში. მაგრამ საკუთარი კონსერვატორული პრინციპების გამო, „რესპუბლიკელებისკენ“ იხრებოდა და საპრეზიდენტო არჩევნებში 1952 და 1956 წლებში — დუაიტ ეიზენჰაუერს, ხოლო 1960-ში — რიჩარდ ნიქსონს დაუჭირა მხარი. „დემოკრატები“ ჯერ „თვალს ხუჭავდნენ“ ასეთ „ღალატზე“, მაგრამ ჯონ კენედის გაპრეზიდენტების შემდეგ შიდა პარტიული დისციპლინა გამკაცრდა და რეიგანი და მისი თანამოაზრეები 1962 წელს უკვე ოფიციალურად გადაბარგდნენ რესპუბლიკურ პარტიაში.

1964 წელს რონალდ რეიგანი უკვე ერთ-ერთი მთავარი ფიგურა იყო საპრეზიდენტო არჩევნებზე „რესპუბლიკელების“ კანდიდატის — ბარი გოლდუოტერის კამპანიაში. გოლდუოტერმა არჩევნები წააგო, მაგრამ იმაზე მცირე სხვაობით, ვიდრე ელოდნენ და ეს ყველამ რეიგანის დამსახურებად აღიარა — ის უკვე, პარტიის ყველაზე კონსერვატორული ფრთის ლიდერად მიიჩნეოდა და წარმატებამაც არ დააყოვნა: 1966 წელს რონალდ რეიგანი კალიფორნიის გუბერნატორი გახდა!

ეს ათწლეულების შემდგომ არ გაჰკვირვებია ვინმეს შვარცენეგერის გუბერნატორობა, თორემ მაშინ მსახიობი-გუბერნატორი, თუნდაც კალიფორნიის, სენსაციის ტოლფასი იყო. არადა, რეიგანმა დიდი უპირატესობით მოიგო არჩევნები, თანაც მილიონამდე ისეთი ხმა მიიღო (მუშათა დასახლებებიდან), რომლებიც ადრე ყოველთვის „დემოკრატებს“ ეკუთვნოდათ.

### ამერიკის პრეზიდენტობა და „საკაცობრიო მისია“

გუბერნატორმა რეიგანმა უახლოეს არჩევნებშივე გამოთქვა საპრეზიდენტო პრეტენზია, მაგრამ შიდა პარტიულ პლებისციტში დამარცხდა და „რესპუბლიკელების“ კანდიდატად კვლავ რიჩარდ ნიქსონი მოგვევლინა. სამაგიეროდ, რონიმ მეორედაც მოიგო გუბერნატორის არჩევნები და როდესაც ეს ვადაც ამოეწურა, 1975 წელს კვლავ გადაწყვიტა პრეზიდენტობისთვის ბრძოლა. ისევ რესპუბლიკურ პარტიაში დამარცხდა, ჯერალდ ფორდთან ჭიდილისას, მაგრამ ამჯერად უკვე სხვა მიზეზით: როგორც ვიცით, ნიქსონი „უოტერგეიტის სკანდალს“ გადაჰყვა და ვადაზე ადრე მოუხდა ვიცე-პრეზიდენტ ფორდისთვის ადგილის დათმობა. ორ წელიწადში კი „რესპუბლიკელები“ დილემის წინაშე აღმოჩნდნენ: ან უხერხემლო ფორდი დაესახელებინათ კანდიდატად და ფაქტობრივად, წინასწარ წაეგოთ არჩევნები, ან რეიგანის დასახელებით ეღიარებინათ, რომ ჯერ ვიცე-პრეზიდენტ, შემდგომ კი „ფორსმაჟორის“ გამო გაპრეზიდენტებულ ჯერალდ ფორდს თვითონვე არ ენდობოდნენ.

ცხადია, ფორდმა ჯიმი კარტერთან ბრძოლა წააგო და 1980 წელს, უკვე 70-ს მიღწეული რეიგანი „რესპუბლიკელების“ ერთადერთი კანდიდატი გახდა, არჩევნებიც მოიგო და ხელისუფლებაში მოსვლისთანავე თავდაყირა დააყენა რამდენიმე წინამორბედის მიერ საბჭოთა კავშირთან მიღწეული „ძალთა თანასწორობის პრინციპი“: საბჭოთა კავშირი „ბოროტების იმპერიად“ გამოაცხადა, ცენტრალური ამერიკის, აფრიკისა თუ ავღანეთის კომუნისტური მთავრობების წინააღმდეგ მებრძოლი მეამბოხეების იარაღითა და ფულით მომარაგება დაიწყო, გრენადაზე პირდაპირი სამხედრო ოპერაციით ჩამოაგდო „პროსაბჭოთა“ ხელისუფლება და, რაც მთავარია, განაცხადა, რომ ყოველგვარ მოლაპარაკებას წყვეტდა რუსებთან და აუქმებდა ძველ ხელშეკრულებებს: „არ შეიძლება კომპრომისზე წასვლა იმ ადამიანებთან, ვინც სულისა და ღმერთის არსებობას უარყოფენ“, — განაცხადა ამერიკის პრეზიდენტმა.


„მისტერ გორბაჩოვ, გააღეთ ეს ჭიშკარი!“

აშშ-მა უმაგალითო ტემპებით დაიწყო შეიარაღების ზრდა. ზღაპარია გორბაჩოვის დემოკრატობა და პროგრესულობა — როდესაც საბჭოთა ხელისუფლებაში მოვიდა, იგი ზუსტად ისევე აპირებდა „კომუნიზმის მშენებლობასა“ და „პირსისხლიან კაპიტალისტებთან“ ბრძოლას, როგორც მისი წინამორბედები, ე.წ. „გამალებულ შეიარაღებაშიც“ აჰყვა მეტოქეს, მაგრამ „ოფსილა“ მხოლოდ ერთ წელიწადს ეყო — 20-ჯერ მეტი ეკონომიკური სიმძლავრის მოწინააღმდეგესთან შეიარაღების ხარჯების გასათანაბრებლად, აშშ-ის ბიუჯეტის 8 ან 9% რომ გაებათილებინა, საბჭოთა კავშირს მთელი თავისი ბიუჯეტი დასჭირდებოდა და მიუხედავად იმისა, რომ ხალხი, როგორც ყოველთვის, ფეხებზე ეკიდათ, ეს უკვე პირდაპირი შიმშილობის ტოლფასი იქნებოდა და გორბაჩოვმაც „ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა“. ასე დაიწყო რეიგანმა საბჭოთა კავშირში „პერესტროიკა“!

დანარჩენი კი, ალბათ გახსოვთ, „ტექნიკის საქმე“ იყო: კოოპერატივები, კერძო მეწარმეობის ჩანასახები, ცოტათი გადაწეული „რკინის ფარდა“, საჯაროობა, პოლიტპატიმრების გათავისუფლება (თუმცა — არა ყველასი), ეროვნული მოძრაობების დაწყება...

„მისტერ გორბაჩოვ, გააღეთ ეს ჭიშკარი! მისტერ გორბაჩოვ, დაანგრიეთ ეს კედელი!“ — „ბრძანა“ რეიგანმა ბერლინიდან. გორბაჩოვიც გაიქცა და დაანგრია...

რონალდ უილსონ რეიგანმა მსოფლიო მისია შეასრულა: 70 წლის მანძილზე მობობოქრე ულმერთობის, ძალადობისა და ბოროტების იმპერია დაანგრია და სამუდამოდ დარჩა ცივილიზებული კაცობრიობის ისტორიაში!

ცხადია, შეიძლებოდა, „ვარსკვლავურ ომებზე“, „რეიგანომიკაზე“, „რეიგანის დოქტრინაზე“, „ირან-კონტრასის სკანდალზე“ საუბარი, მაგრამ ეს უკვე პოლიტიკური ისტორიის დეტალებია.

ჩვენ კი უბრალოდ გავიხსენეთ კაცი, რომელიც 2004 წელს, 94 წლის ასაკში გარდაიცვალა ალცჰაიმერის დაავადებისაგან გონებადაბინდული და რომელსაც აღარც კი ახსოვდა, რომ კაცობრიობა სამუდამოდ იხსნა „წითელი ჭირისაგან“. ■

# მშობლებისგან დაჩაგრული და ძალადობით დაღდასმული მცირეწლოვნები

## „ვაჟები ხეზე თავდალმა ჩამოკიდა და ქვეშ ცეცხლი დაანთო...“

**მშობლები შვილებს დასჯის მიზნით, ალბათ ნებისმიერ საუკუნეში სცემდნენ, მაგრამ ეს თითქოს მხოლოდ ახლა გახდა თვალში საცემი და ხალხმაც განგაშის ზარს შემოჰკრა. თუ ადრე ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო, დღესდღეობით მშობლის მიერ შვილის ცემა ძალადობად მიიჩნევა და ფსიქოლოგებიც ბავშვის აღზრდის სულ სხვა, უფრო ცივილიზებულ მეთოდებს გვთავაზობენ. მათ მიაჩნიათ, რომ პატარებს ცემით ვერაფერს შევაგნებინებთ, პირიქით — შეიძლება, ამან მათ ფსიქიკაზე ისე იმოქმედოს, რომ ძალაუნებურად, მოძალადეებად ჩამოყალიბდნენ.**

*ლიკა ქაჯაია*

*ალბათ არ არსებობს ისეთი დედა, რომელსაც შვილი სიჯიუტისთვის, უზრდელური საქციელისთვის ან თუნდაც იმისთვის არ უცემია (რა თქმა უნდა, მსუბუქად), რომ მისი პირმშო რაღაცას ვერ სწავლობს, მაგრამ ზოგჯერ მშობლები კონტროლს კარგავენ და შვილებს სამუდამო დაღს ასვამენ.*

**კარენი,** *27 წლის:*

— ამ რამდენიმე დღის წინ მომხდარმა შემაძრწუნებელმა ამბავმა (ვგულისხმობ მისაქციელში მომხდარ ტრაგედიას, როცა დედას შვილი შემოაკვდა) იმისკენ მიბიძგა, რომ თქვენთვის წერილი მომეწერა. თავის დროზე მეც ბევრი ცუდი რამ ჩამიდენია, მაგრამ დღესდღეობით, უფალს ვემსახურები. ცუდ რამეში ვგულისხმობ იმას, რომ ხალხიც გამიძარცვავს, ყაჩაღობის მიზნით ადამიანიც მიწამებია, ბევრი გოგონასთვის გამიმწარებია სიცოცხლე და იცით, ეს ყველაფერი რისი ბრალია? იმის, რომ მშობლებმა სასტიკ ადამიანად აღმზარდეს. ოჯახური ძალადობა ჩემთვის უცხო არ იყო: მამა დედაზე ძალადობდა და მას ულურჯებდა გვერდებს, დედა კი ჩვენზე, შვილებზე (ცნობისათვის, 2 და მყავს) იყრიდა ჯავრს და ისე გვცემდა, რომ ზოგჯერ ვფიქრობდი, — ალბათ ამ ქალის ღვიძლი შვილები არა ვართ და ამიტომაც არ ვუყვარვართ, თორემ მშობელი საკუთარ პირმშოს ასე როგორ გაიმეტებს-მეთქი?! მოკლედ, მე და ჩემი დაიკოები საშინელ პირობებში ვცხოვრობდით, ხშირად პურიც კი გვენატრებოდა, მაგრამ ყველაზე ძნელი ასატანი არა შიმშილი, არამედ მშობლების ჩხუბის ყურება და ის გახლდათ, რომ უდანაშაულო პატარებს არაფრის გამო სასტიკად გვისწორდებოდნენ... 12 წლის გახლდით, როცა დედამ იატაკის ჯოხით მცემა, ნეკნი ჩამიმტვრია; სწორედ მაშინ გადავწყვიტე სახლიდან გაქცევა და ერთ-ერთ



მიტოვებულ სახლს შევაფარე თავი. სხვათა შორის, ის ჩამტვრეული ნეკნი დღემდე მაწუხებს, ამის გამო წელში მოვიხარე კიდეც... თავშესაფარი კი ვიპოვე, მაგრამ შიმშილით ხომ არ მოვკვდებოდი? ჰოდა, უბანში ძმაბიჭები გავიჩინე, რომლებთან ერთადაც, თავიდან, მიტოვებულ სახლებს ვძარცვავდი, იქიდან წამოღებულ ნივთებს მართალია, „კაპიკებში“ ვყიდდით, მაგრამ ის თანხა საკმარისი იყო საიმისოდ, რომ საჭმელი მეყიდა; როცა წამოვიზარდე, უფრო სერიოზულ საქმეშიც ჩამრთეს და უკვე მდიდრებსაც ვესხმოდი თავს. მოკლედ, ამ საქმიანობით იმდენს ვშოულობდი, რომ დებსაც ვპატრონობდი, ბინაც ვიქირავე და თავს ფუფუნებაში ცხოვრების უფლებასაც ვაძლევდი. არ მედარდებოდა, თუ ვიღაცას ტკივილს ვაყენებდი, ვაწამებდი, მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ვფიქრობდი. ძალადობის სურვილი განსაკუთრებით, იმ ქალების მიმართ მიჩნდებოდა, რომლებიც შვილს ქუჩაში სცემდნენ. თუ ქალი (ან კაცი — რა მნიშვნელობა აქვს) ბავშვს სხვების თანდასწრებით ეუხეშება, წარმომიდგენია, შინ რას უზამს. ჰოდა, ერთხელ ერთ ქალბატონს, რომელმაც ერთი ციდა გოგონა მხოლოდ იმიტომ ითრია თმით, რომ ბავშვმა გაბედა და სთხოვა, — ბუშტი მიყიდეო. ვუთხარი: შვილს ასე ნუ ექცევით, ახლავე ბოდიში მოუხადეთ და მოეფერეთ, თორემ საკუთარ საქციელზე პასუხს არ ვაგებ-მეთქი, — მან კი დამიღრიალა: შენ ვინ გეკითხება? შვილი ჩემია და რასაც მინდა, იმას ვუზამო, — თან ბავშვს თმაში კიდევ ერთხელ სწვდა. ასე არ უნდა-მეთქი და იმ ქალბატონს ისეთი სილა გავაწანი, რომ თავი ვერ შეიმაგრა და წაიქცა, მე კი იქაურობას სასწრაფოდ გავეცალე...

3 წელია, რაც მივხვდი, რომ ვცოდავდი, რომ სხვის საქმეში ჩარევა არ შეიძლება და ახლა უფალს ცოდვების მოტევებას ვთხოვ. დარწმუნებული ვარ, სხვანაირ პირობებში რომ აღვზრდილიყავი, ნორმალური მშობლები რომ მყოლოდა ან დესპოტი დედ-მამისგან საზოგადოებას მაინც დავეცავი, ჩემგან სულ სხვანაირი პიროვნება ჩამოყალიბდებოდა; საკუთარ თავსაც გამოვადგებოდი და საზოგადოებასაც, ახლა კი...

ჰო, მშობლებზე გიყვებოდით. ისინი დღემდე ისე ცხოვრობენ, როგორც ჩემს ბავშვობაში, განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ მე მათთან აღარ ვურთიერთობ — მიუხედავად იმისა, რომ უფლის შიში მაქვს, არ შემიძლია, მშობლებს მივუტევო, ვაპატიო ის, რომ ცხოვრება არა მარტო მე, არამედ ჩემს დებსაც დაუმახინჯეს. სხვათა შორის, უმცროსი დედმამიშვილი ჭკუიდან შეიშალა, მეორე და კი ახლახან გათხოვდა, უკვე ფეხმძიმედაა და გოგონას ელოდება. ჰოდა, მეშინია, შვილის აღსაზრდელად მანაც იგივე მეთოდები არ გამოიყენოს, როგორსაც დედამისი იყენებდა.

ბოლოს, მინდა, თქვენი ჟურნალის მეშვეობით საზოგადოებას მოვუწოდო: ხალხნო, თუ შეესწრებით ისეთ ფაქტს, როცა მშობელი შვილს სცემს, სთხოვეთ მას, ბავშვზე ძალადობა შეწყვიტოს, მაგრამ თუ არაფერი გამოგივათ, მაშინ დასახმარებლად, ბავშვთა დაცვის რომელიმე ცენტრს მიმართეთ ან, ბოლოს და ბოლოს, პოლიცია გამოიძახეთ მანამ, ვიდრე მშობლის სისასტიკე სავალალო შედეგით დასრულდება. ნუ მისცემთ ნერვებმოშლილ ადამიანებს საკუთარი შვილების მოკვლის ან დამახინჯების უფლებას! უფალი შეეწიოს ყველა პატარას!

**მერი,** *29 წლის:*

— წარმოშობით, ერთ-ერთი რაიონიდან გახლავართ. დასჯის მიზნით, მეც

არაერთხელ ვუცემივარ მშობელს, მაგრამ ისე არა, რომ სასიკვდილოდ გავემეტებინე. მინდა, ჩემი მეზობლების შესახებ გიამბოთ, რომლებსაც 3 ვაჟი ჰყავდათ და საწყალ ბავშვებს იმის გამოც კი სცემდნენ, თუ სათამაშოდ მეზობელთან გადასულებს 2 წუთით დააგვიანდებოდათ; ერთ-ერთ მათგანსაც რომ დაეშავებინა რამე, მაინც სამივეს სჯიდნენ, თავს კი ასე იმართლებდნენ ხოლმე: — შვილებს ერთმანეთისგან ვერ განვასხვავებთ; ერთს რომ დასჯი, მეორეც და მესამეც უნდა შეაშინო, რათა მსგავსი რამ არ გაიმეორონო. მოკლედ, ვითომ მკაცრი მშობლები იყვნენ, მხოლოდ ბავშვების კეთილდღეობაზე, მომავალზე ზრუნავდნენ, იმას კი არ ფიქრობდნენ, თუ რა შედეგი შეიძლებოდა, მოჰყოლოდა მათ საქციელს. თავიდან სამივეს სილას ულაწუნებდნენ, მერე ბავშვებისთვის თავში წამორტყმაც ყოველდღიური ცხოვრების სტილად ექცათ, ბოლოს კი მათ წკნელით, მათრახით ან ქამრით სცემდნენ. მახსოვს, ერთხელ დედაჩემმა მეზობელს მორიდებით უთხრა: როგორ შეიძლება, ბავშვებს ასე გამეტებით რომ ურტყამთ? რაიმე რომ დაემართოთ, მერე რას იზამთ? გეხვეწებით, თავში მაინც ნუ ჩაარტყამთ, რაიმე არ დაუზიანდეთო! იმ ქალმა უპასუხა: შენ შვილებს რომ ეჩხუბები, გეკითხები, მათ რისთვის სჯიო? — მერე კი დასძინა: ჰო, არც მე მომწონს, ზურაბი (ასე ჰქვია მის მეუღლეს) ბიჭებს წამდაუწუმ რომ ურტყამს, მაგრამ არაფერი ესმით და ღირსები არიანო! ბოლოს, ბავშვები ცემას შეეჩვივნენ და ერთი დღეც თუ გავიდოდა ისე, რომ მშობლები არ წაეჩხუბებოდნენ, მეორე დღეს სპეციალურად აშავებდნენ რამეს. ერთ-ერთი მათგანი, ნიკა ჩემი კლასელი გახლდათ. ის საოცრად დაუნდობელი იყო, სკოლაში ყველას სცემდა, ლამის მასწავლებლებსაც კი უბრუნებდა ხელს და მაშინ ვამბობდი: ღირსია, მშობლები ასე რომ ექცევიან-მეთქი! ნიკას ძმებიც უსულგულოები იყვნენ, ყველას დაბრიყვებას ცდილობდნენ და მოსწავლეებმა მათ ამიტომაც შეარქვეს ხისთავიანები. მოკლედ, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მეზობლები იყვნენ, მათთან ურთიერთობას გავურბოდი და ბიჭების ჩალურჯებული თვალების დანახვა მახარებდა კიდეც. მაგრამ ერთხელ, მათ ოჯახში საშინელება დატრიალდა: იმ დღეს მშობლებმა ისინი ბებიასთან დატოვეს, თავად კი საქეიფოდ ქორწილში წავიდნენ. შინ დაბრუნებულ შვილსა და რძალს ბებიამ მოახსენა, რომ ბიჭებმა მას სისხლი გაუშრეს, რომ ძალიან გააწვალეს, ცუდი სიტყვები უთხრეს. ჰოდა, მთვრალ კაცს მეტი რაღა უნდოდა?! შვილები ჯერ ქამრით სცემა, მერე კი ყველანი კაკლის ხეზე, თავქვე დაკიდა და თქვენ წარმოიდგინეთ, ქვეშ ცეცხლიც დაანთო. პატარა ბიჭების ყვირილი მეორე სოფელშიც კი ისმოდა, მაგრამ მათ დასახმარებლად მისვლას ვერავინ ბედავდა, რადგან ზურაბი ყველა „არამკითხეს“ აუცილებლად, შეურაცხყოფას მიაყენებდა. ბოლოს, მეზობელმა კაცებმა ბავშვების საზარელ ღმუილს ვეღარ გაუძლეს და ყველანი ერთად, ეზოში შეცვივდნენ, ბიჭები ხეებიდან ჩამოხსნეს. იმ დღეს ნიკა იმ ქვეყნად წავიდა, მისი ძმები კი სიკვდილს ძლივს გადაურჩნენ. არ გაინტერესებთ, ამ დროს მათი მშობლები რას საქმიანობდნენ? როცა მეზობლები ბიჭებს ხიდან ხსნიდნენ, ზურაბს ტკბილად ეძინა, მის ცოლს კი თურმე სულ დაავიწყდა, შვილები კაკლის ხეზე რომ ჩამოკიდეს (არადა, ხომ გითხარით, მათი ყვირილი მეორე სოფელშიც კი ისმოდა და ხალხი იქიდანაც მოცვივდა) და სადილს ამზადებდა; ბაბუა, რომელიც ლოგინად იყო ჩავარდნილი, ცოლს საყვედურობდა და აგინებდა, — ზურაბს ბავშვების სიცელქის ამბავი რატომ უთხარი? ხომ ხედავ, ბიჭებს როგორ აწამებსო! ბებია კი წინდების ქსოვით იყო დაკავებული, მას არც ქმრის გინება ადარდებდა და არც — შვილიშვილების ღრიალი... მოკლედ, მხოლოდ ნიკუშას სიკვდილის შემდეგ ატყდა განგაში, საქმეში პოლიციაც ჩაერთო და ამ ოჯახს ბავშვები მოაშორეს — ისინი თავშესაფარში გადაიყვანეს, საიდანაც თურმე გაქცეულან და ახლა ღმერთმა უწყის, სად არიან, რას საქმიანობენ... იმ ტრაგედიის შემდეგ ზურაბი გალოთდა, მისი ცოლი კი ტირილით იკლავს თავს, ყოველ კვირადღეს ეკლესიაში დადის, უფალს ცოდვების შენდობას სთხოვს და ევედრება, — შვილები დამიბრუნეო...

**მიმი,** *15 წლის:*

— დედამ სიცოცხლე გამიმწარა! აღარ ვიცი, სად წავიდე, თავშესაფარი ვის ვთხოვო. მართალია, ინტერნეტში ვიპოვე მისამართები, სადაც შემიძლია, მივიდე და მშობელს ვუჩივლო, მაგრამ არც ის მინდა, რომ ჩემს ოჯახს ჩირქი მოეცხოს... დედას შეუძლია, იმის გამოც კი მცემოს, თანაც — სასტიკად, თუ წყალი დამეღვრება ან თეფში გამიტყდება... ერთხელ, როცა შინ სტუმრები გვყავდა, ყავის მოხარშვა დამავალა, თან — გამაფრთხილა: იცოდე, ერთი წვეთიც არ დაგეღვაროს, სახლი არ დამისვარო, თორემ ვერ გადამირჩებიო! ყავა კი მოვადუღე, მაგრამ იმის შიშით, რომ არ დამღვროდა, ხელი ამიკანკალდა და უკვე შუა „ზალაში“ შესულს, ფინჯანი ხელიდან გამივარდა. სტუმრები შეშფოთდნენ, — მდუღარე ხომ არ გადაივლო, ხელი ხომ არ დაიწვაო? დედამ კი ეგრევე თმაში ჩამავლო ხელი და მათ თვალწინ შეურაცხყოფა მომაყენა, სულ უტვინო, დებილი მეძახა... ეგ კიდევ არაფერი. ერთხელ, შეყვარებულის თვალწინ ისე მცემა, რომ დალურჯებული თვალების მოშუშებას მთელი თვე მოვანდომე. გგონიათ, რაიმე დავაშავე? არა, უბრალოდ დაინახა, როგორ მომაცილა ბიჭმა სახლამდე და ეს საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ ჩემთვის ბოზი, ოჯახის შემარცხვენელი დაეძახა. აი, ასეთი მშობელი მყავს!.. მართალია, მამა ჩემს დაცვას ცდილობს, მაგრამ არაფერი გამოსდის, უფრო მეტიც — ზოგჯერ მასაც ხვდება დედაჩემის მწარე ენა იმის გამო, რომ თურმე არ იცის, შვილს როგორ უნდა მოექცეს, რომ ის მათამამებს და სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ უზრდელი, ხეპრე ვარ. საინტერესოა, დედაჩემისნაირი მშობელი რომ გყავდეთ, როგორ მოიქცეოდით?..

*ნამდვილად არ ვიცი, მიმის ადგილას როგორ მოვიქცეოდი, რადგანაც მადლობა ღმერთს, ასე უსაფუძვლოდ არასდროს მსჯიდნენ. მაგრამ ამ თემაზე მუშაობისას, საკუთარი ცუღლუტობა, მერე კი ამის გამო თხილის წკეპლით აჭრელებული ჩემი ხელები გამახსენდა და გადავწყვიტე, თქვენთვისაც გამემხილა, თუ როგორ მოვიპარე ბავშვობაში ლენინისთავიანი „წითელი ფული“ ანუ 10-მანეთიანი.*

*მოკლედ, მესამე თუ მეოთხე კლასში ვსწავლობდი, როცა ჩვენი სოფლის კინოთეატრში ჩამოიტანეს ფილმი — „კინგ-კონგი“. ამ ამბავმა მთელი სკოლა გაახარა, უფროსკლასელები ბილეთის საყიდლად გაიკრიფნენ, პატარები კი მშობლებს ვთხოვდით, კინოში წაგვეყვანეთ. ვინაიდან მე და ჩემს ძმას მშობლებმა გვითხრეს, — კინოში ვერ წაგიყვანთ, რადგან ფული არ გვაქვსო, ორივენი დავიბოღმეთ, მერე კი გადავწყვიტე, იმ დღეს პროტესტის ნიშნად, გაკვეთილები არ მომემზადებინა (აბა, რა ვიცოდი, თუ დედას ბილეთები უკვე ნაყიდი ჰქონდა?!)... ამასობაში ბებიის და (ბებიდა) გვესტუმრა (ღმერთმა აცხონოს მისი სული!) და იმის ნაცვლად, რომ ხელჩანთა შინ შემოეტანა, გარეთ, აივანზე დაკიდა, მერე კი ბებიას მიუჯდა და ეჭორავებოდა. ბებო ეზოში იყო, არაყს ხდიდა, ჩემი მშობლები შინ არ იყვნენ, ძმა — მეცადინეობდა, მე კი თოჯინებით ვერთობოდი. ბებიდა ხელჩანთასთან ხშირ-ხშირად მიდიოდა, მასში ხელს ყოფდა და რაღაცას ითვლიდა, მერე კი თვალებგაბრწყინებ-*

*ული ისევ ბებოსთან მიდიოდა, სკამზე ჯდებოდა და მთელი სოფლის ჭორებზე ელაპარაკებოდა. დავინტერესდი, რას მალავდა ბებიდა ჩანთაში. ჰოდა, როცა ისევ თავისი ხელჩანთისკენ დაიძრა, ზურგს უკან დავუდექი და... მას უამრავი, ლენინისთავიანი კუპიურა ჰქონდა! სწორედ მაშინ გადავწყვიტე, ფული მომეპარა, სხვისი ჩანთიდან ერთი „ლენინი“ ამომელო და როცა ბებიდა აივანს მოშორდა, დრო ვიხელთე, სკამზე ავფოფხდი და ფული მოვიპარე, მერე კი დავიწყე ფიქრი იმაზე, თუ რა უნდა მეთქვა მშობლებისთვის, რომლებიც აუცილებლად მკითხავდნენ, — ეს საიდან მოიტანეო? უცებ „გონება გამინათდა“ და დავიწყე ეზოში ბორიალი, თან — ხმამაღლა გავიძახოდი: „ჭია, ფული მაპოვნინე, მე შენ დედას გაპოვნინებ“... ეზოში ჩემი ძმა გამოვიდა და დაცინვა დამიწყო, — შენ ვერა ხარ, რა! როდის იყო, ჭია ხალხს ფულს აძლევდაო?! ვუთხარი: აი, ნახავ, თუ არ მაპოვნინებს-მეთქი და ყვირილი განვაგრძე. მოკლედ, მთელი ეზო მოვიარე, ბოლოს კი ძმას თავზე დავადექი და ნიშნის მოგებით ვუთხარი, — აი, თუ არ მომცა-მეთქი?! — ჯიბიდან ფული ამოვიღე და ცხვირწინ დავუტრიალე. ცნობისათვის — ძმა ჩემზე 3 წლით უფროსია და მგონი, მიხვდა, ფული როგორც ვიშოვე, ამიტომ მირჩია: ეს ახლავე, სასწრაფოდ ლეიბის ქვეშ ამოდე და ხმა არ ამოიღო; არ თქვა, რომ ფული ჭიამ გაპოვნინა, თორემ გცემენო! — კარგი-მეთქი, — დავუჯერე და ათმანეთიანი ბებიის ქვეშაგებქვეშ დავმალე. როცა მშობლები სამსახურიდან დაბრუნდნენ, მათ ვკითხე: ხელფასი ხომ არ აგიღიათ-მეთქი? დედამ მიპასუხა: არა და ბილეთებიც ვერ ვიყიდეთო. აი, მაშინ კი ვეღარ მოვითმინე და ვუთხარი: არც მჭირდება თქვენი ნაყიდი ბილეთები, ჭიამ ფული მაპოვნინა და მე თვითონ ვიყიდი-მეთქი. — რა ფულიო? — მკითხეს. ქვეშაგებიდან წითელი თუმნიანი გამოვაძვრინე და დედას შორიდან დავანახვე. ბებიდა აწრიალდა, — ფული მე დამეკარგა; ხშირ-ხშირად ვითვლიდი, ჰოდა, ეტყობა, ამომივარდა და ლიკამ იპოვაო. დედამ რაღაც იყნოსა და ჯერ ტკბილი სიტყვებით შეეცადა, გამოვეტეხე, მაგრამ როცა გავჯიუტდი, — ეს ფული ქვის ქვეშ ვიპოვე და ჩემია, არ მივცემ-მეთქი, — მერე ეზოში გამიყვანა, თხილის წკეპლა მოიტანა და ხელებში მირტყა მანამ, სანამ სიმართლე არ ვთქვი... მართალია, მეორე დღეს კინოში მაინც წამიყვანეს, მაგრამ ხელები ისეთი დასივებული მქონდა, რომ „კინგ-კონგი“ დღემდე მძულს. ჰოდა, როგორ ფიქრობთ, მეც ძალადობის მსხვერპლი ვარ?..*

**ქეთი მაღრაძე,** *ფსიქოლოგი:*

— ცხადია, ესეც ძალადობაა! მშობელს შეეძლო, შენს გამოსატეხად სხვა გზა მოეძებნა, მაგრამ როგორც ჩანს, საამისოდ არც ნერვები ჰქონდა და არც — დრო; მან ისეთი მეთოდი აირჩია, რომლის წყალობითაც აუცილებლად გამოგტეხავდა და თან, სამაგალითოდაც დაგსჯიდა.

**— და ვინ იცის, იქნებ სწორი გზა აირჩია; იქნებ ამის წყალობით, მას შემდეგ არავის ჩანთაში აღარ ჩამიყვია ხელი, უფრო მეტიც — ოჯახის წევრების ჯიბეებს მაშინაც კი არ ვატრიალებ, როცა სარეცხს ვრეცხავ...**

— მერწმუნე, ეს შენი ხასიათია და არა ძალადობის შედეგი; ან უბრალოდ, საკუთარ თავს არ აძლევ უფლებას, ვინმეს ჯიბეში ჩაყო ხელი მხოლოდ იმიტომ, რომ გეშინია, იქ რაიმე ისეთი არ იპოვო, რაც არ მოგეწონება, რაც გულს გატკენს. პირადად მე, ვერაფერს ცუდს ვერ ვხედავ იმაში, თუ ვთქვათ, საყვარელი ადამიანის ჯიბეს შეამოწმებ. შენ კი სწორედ ძალადობის მსხვერპლი ხარ და ამიტომაც გაქვს შიში სხვების ჯიბეებისა... დარწმუნებული ვარ, ახლა შენმა შვილმა რაიმე რომ მოიპაროს, მას ისევე გაუსწორდები, როგორც თავის დროზე დედაშენი გაგისწორდა ანუ — ძალადობრივი გზით, რადგან მიგაჩნია, რომ ის სამაგალითოდ მოიქცა...

**— სიმართლე გითხრათ, ამაზე არაერთხელ მიფიქრია და ვაღიარებ, 90%-ია შანსი იმისა, რომ რაიმეს მოპარვის შემთხვევაში, შვილს ზურგიც კი ავუჭრელო... დედაჩემის ადგილას თქვენ როგორ მოიქცეოდით?**

— არ გაიძულებდი, სიმართლე გეთქვა, მაგრამ მოგიყვებოდი ისეთ ამბებს, რომ თავადვე მიხვდებოდი — შეცდომა დაუშვი და მსგავს რამეს აღარ გაიმეორებდი... საერთოდ, მშობლების უმეტესობას ჰგონია, რომ შვილის აღზრდა იოლი საქმეა: მთავარია, ბავშვს არ შესცივდეს, არ მოშივდეს და სხვა არაფერი სჭირდება; არადა, მერწმუნეთ, შვილის აღზრდა სულ სხვა რამეს გულისხმობს, ეს ძალიან რთული საქმეა... საბედნიეროდ, ამ ბოლო დროს საქართველოშიც ჩამოყალიბდა ისეთი ინსტიტუტები, სადაც მშობელს შვილთან ურთიერთობას ასწავლიან, მაგრამ ისევე, როგორც ფსიქოლოგთან ურთიერთობას, ადამიანები ასეთ ინსტიტუტებსაც გაურბიან და ამბობენ: ვინ რა უნდა გვასწავლოს? ბავშვი ჩვენია და მას, როგორც გვინდა, ისე მოვექცევით, ისე აღვზრდით; თუ მშობლები გვსჯიდნენ, ამიტომაც ვერ გავიზარდეთ და ჩამოვყალიბდით კარგ, პატიოსან ადამიანებადო?!. ძნელია, ასეთ ხალხს დაუმტკიცო, რომ შვილისთვის სილის გაწნაც კი ძალადობაა, რომ ბავშვს აქვს უფლება, ამის გამო მშობელს უჩივლოს. მოკლედ, ეს პრობლემა საკმაოდ აქტუალურია და სანამ არ გავაცნობიერებთ, რომ ბავშვისთვის ხელის გარტყმა, მისი ცემა — დანაშაულია, კრიმინალია, მანამ ვიდგებით მსგავსი პრობლემების წინაშე და ჩვენი შვილებიც ძალადობრივი წეს-ჩვეულებების მატარებლები იქნებიან ისევე, როგორც ჩვენ. ■





# სამყარო

## ელექტრონული ფოსტით მიღებული ნებართვა და ქართულ-ახალზელანდიური ოჯახის 3 ენაზე ამეტყველებული შვილები

**ახალზელანდიელმა მაიკლ სონდერსმა ლამაზი ქართველი ქალი — ნინო ბოლქვაძე ბრაზილიაში გაიცნო, მაშინვე მოიხიბლა და 4 თვეში მისი ცოლად შერთვა მტკიცედ გადაწყვიტა. მომავალ სიდედრ-სიმამრთან საქმე ელექტრონული ფოსტით მოაგვარა და ახალ ლამაზ ოჯახს საფუძველი ჩაუყარა... დღეს ნინო და მაიკლი საქართველოში ცხოვრობენ და 2 შვილს — ანა-მარიასა და ნოას ზრდიან... მაიკლმა საქართველოში ცხოვრებას ადვილად აუღო ალღო: ტრანსპორტის ინჟინერს თავისი ფირმა აქვს და სხვადასხვა პროექტს ახორციელებს...**



*ეთო ყორღანაშვილი*

**ნინო ბოლქვაძე:**

— გერმანიის უნივერსიტეტში ვსწავლობდი, საიდანაც ბრაზილიაში პრაქტიკაზე გამიშვეს — სან-პაულუს შტატში, უნივერსიტეტთან არსებულ ენის შესასწავლი კურსების სკოლაში გერმანული ენის მასწავლებლად ვმუშაობდი. მაიკლიც ბრაზილიაში იყო და თავის სადოქტორო ნამუშევარს წერდა (მაიკლი ახალზელანდიიდანაა. როცა მასტერკურსი დაამთავრა, ბრაზილიის უნივერსიტეტში სტიპენდია მოიპოვა). ერთ საღამოს ერთმანეთს ბარში შემთხვევით შევხვდით. ჩემს ფრანგ მეგობართან და ბრაზილიელ წყვილთან ერთად გახლდით, მაიკლი კი თავის ჰოლანდიელ მეგობართან ერთად იყო. ერთმანეთის ყურადღება ინგლისურად საუბრით მივიქციეთ. მაიკლმა ჩემზე გაცნობისთანავე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

— **თავად გამოგეცნაურათ?**

— არა, მისი მეგობარი უფრო აქტიურობდა, მაიკლი თავშეკავებულად იქცეოდა. მისით დავინტერესდი. თავადაც გამომკითხა, — ბრაზილიაში რატომ ვიყავი, რას ვაკეთებდი და ა.შ. აღმოჩნდა, რომ ერთმანეთთან ახლოს ვცხოვრობდით. რადგან სკოლაში ვასწავლიდი, უნივერსიტეტთან კავშირი მქონდა. მაიკლიც უნივერსიტეტში დადიოდა. ერთმანეთს თითქმის ყოველდღე ვხვდებოდით.

**მაიკლ სონდერსი:**

— ბრაზილიაში 3-წლიანი პროგრამით გახლდით. იქ ყოფნის პირველივე თვეს ნინი ვნახე. მისი ქართული სახე ძალიან მომეწონა: რომ დავინახე, ვფიქრობდი, — ბრაზილიელია თუ არამეთქი? ნინი ლამაზი ქალია და მისით დავინტერესდი. თან, ის და მისი მეგობრები გვერდით მაგიდასთან ისხდნენ და ინგლისურად ლაპარაკობდნენ. მოკლედ, ერთმანეთი გავიცანით, დღეს კი უკვე 2 შვილი გვყავს (*იღიმის*)...

**ნინო:**

— გერმანიიდან ბრაზილიაში მხოლოდ 6 თვით გამგზავნეს, მაიკლს კი მთელი პროგრამა ჰქონდა შესასრულებელი! 3 წლის განმავლობაში, იქ უნდა ყოფილიყო. ერთმანეთს რომ შევხვდით, გეგმები ცოტა აერ-დაერია. ფაქტობრივად, თავისი საქმე ჩემ გამო შეწყვიტა. ჩემი მასტერკურსის დასამთავრებლად, გერმანიაში გავემგზავრეთ — მაიკლმა თავისი სადოქტორო დათმო... მერე საქართველოში გამოვემგზავრეთ. მაიკლმა ჩემი მშობლები, ნათესავები, მეგობრები გაიცნო. შემდეგ ახალ ზელანდიაში, ჩემი მეუღლის სახლში გავემგზავრეთ. რადგან მაიკლი კარგი სტუდენტი იყო, დიდი პაუზის შემდეგ, მას სტიპენდია აღუდგინეს და ისევ ბრაზილიაში მიიწვიეს. რა თქმა უნდა, გავემგზავრეთ.

— **მაიკლ, თავდაპირველად, თქვენს საქმეზე უარის თქმა არ გაგიჭირდათ?**

— ნინის გაცნობიდან 3-4 თვეში უკვე ვიცოდი, რომ მასზე დაქორწინება მინდოდა. იმ პერიოდში, „იმეილით“ ჩემი ამჟამინდელი სიდედრ-სიმამრი გავიცანი.

**ნინო:**

— როგორლაც ჩემი მშობლების ელექტრონული ფოსტის მისამართი გაიგო. ჩემთვის არც უკითხავს, მათ წერილი ისე გაუგზავნა: საკუთარი თავი წარუდგინა. უთხრა, სად, როგორ გამიცნო და ჩემზე დაქორწინებას რომ აპირებდა. ჰკითხა: თანახმა ხართ, რომ ეს ნაბიჯი გადავდგაო? თან, დედაჩემი გააფრთხილა: ნინის ნურაფერს ეტყვით, ჯერ თქვენი თანხმობა მინდაო. რა თქმა უნდა, ჩემს მშობლებს გაუკვირდათ — ვინ არის და რა უცნაურად იქცევაო?! საბოლოო ჯამში, ჩემმა დედ-მამამ მისწერა: თუკი ერთად ბედნიერები ხართ, გადაწყვეტილება თავად მიიღეთ, ჩვენ ხელს არ შეგიშლითო.

— **მაიკლის წერილის მიღების შემდეგ, მშობლები არ დაგიკავშირდნენ?**

— არა, მისი თხოვნა გაითვალისწინეს და არაფერი მითხრეს. ჩემ გარდა, ყველამ ყველაფერი იცოდა. ჩემი მშობლებისგან პასუხის მიღების შემდეგ, მაიკლმა ოჯახის შექმნა შემომთავაზა. დავთანხმდი. ჩემთვის მისი წინადადება მოულოდნელი იყო: ვერ წარმოვიდგენდი, რომ ჩემ გამო, ყველაფერს მიატოვებდა. პრინციპში, მთლად მიტოვება არ გამოუვიდა: ერთმანეთს ხელი შევუწყვეთ და განათლება ორივემ მივიღეთ. უბრალოდ, ეს პროცესი საჭიროზე მეტხანს გაიწელა: ვიმოგზაურეთ, ხან სად ვიცხოვრეთ, ხან — სად და ბოლოს საქართველოში

დარჩენა გადავწყვიტეთ. საქართველო მაიკლსაც მოეწონა.

— **რამდენი ხანია, რაც თქვენ და მაიკლი საქართველოში ცხოვრობთ?**

— თითქმის 4 წელია. მაიკლი აქაურ ცხოვრებაში უცებ ჩაება, ბევრი ნაცნობ-მეგობარი გაიჩინა, თავისი ფირმა ჩამოაყალიბა... მუშაობს და კმაყოფილია.

— **რას საქმიანობს?**

— ტრანსპორტის და ქალაქის დაგეგმარების ინჟინერი გახლავთ. ამ სფეროში დოქტორის ხარისხი აქვს. ძალიან წარმატებულია. მსოფლიოს მასშტაბით, მის შესახებ სტატიები ბევრ ჟურნალში დაიბეჭდა. პორტუგალიური ენა ძალიან კარგად იცის. უნივერსიტეტშიც ამ ენაზე სწავლობდა. მაიკლი ახალი ზელანდიიდანაა, მაგრამ ბრიტანულ-დანიური წარმოშობისაა: მეორე მსოფლიო ომის დროს, მისი ბებია-ბაბუა (დედის მხრიდან) დანიიდან წამოვიდა... ამჟამად, მაიკლი საქმიანობის გამო ხან ბათუმშია, ხან ერევანში...

— **საქართველოში თავისი პროფესიით საქმიანობის დაწყება არ გაუჭირდა?**

— 1-2 თვე უმუშევარი იყო, მაგრამ სამსახური სწრაფად იპოვა: ჯერ ერთ ფირმაში მუშაობდა, მერე მეორეში გადავიდა... ახლა უკვე საკუთარი საქმე აქვს. დასავლური განათლება უფრო ღრმა, ვრცელი და პროფესიონალურია. ამიტომაც გაუმართლა.

**მაიკლი:**

— სერიოზული საქმის დაწყება მინდოდა. თავდაპირველად, ცოტა ვნერვიულობდი. მოგეხსენებათ, ტრანსპორტის ინჟინერი ვარ. წინათ ამ სფეროში საქართველოში საქმე წინ ნელა მიიწევდა, მაგრამ წელს საქმე უკეთ მიდის. ჩვენს ფირმაში 16 ადამიანი ვართ. ჩემ გარდა, ყველა ქართველია. მაგარი გუნდია! მთელი საქართველოს მასშტაბით ვმუშაობთ. ბათუმი ჩემთვის ძალიან საყვარელი ქალაქია. ის ჩქარი ტემპით ვითარდება.

— **რა პროექტების განხორციელებას აპირებთ?**

— ბათუმში ავტობუსის ახალი საბილეთო სისტემა უნდა შემოვიღოთ, რომელიც ხალხისათვის უფრო მოსახერხებელი იქნება. აპარატისა და ბილეთისთვის ტენდერი უკვე ჩატარდა. მალე კიდევ ერთი ტენდერი გაიმართება. ივნისამდე პროექტს განვახორციელებთ.

— **როგორი იქნება ბათუმში ავტობუსების საბილეთო სისტემა?**

— ბილეთები მაღაზიებში გაიყიდება, როგორც ყველა ევროპულ ქალაქში. ასევე მინდა, ბათუმის ახალი სამარშრუტო გეგმის პრეზენტაცია ვაშინგტონში გავმართო...

— **წარმატებას გისურვებთ! მაიკლ, დედმამიშვილები გყავთ?**

— კი. ჩემი და მეუღლესთან და 2 შვილთან ერთად ინდონეზიაში ცხოვრობს, ჩემი ძმა კი — ახალ ზელანდიაში. ის ინჟინერია. პარალელურად, სანაპიროზე მაშველად მუშაობს. 16-17 წლის ასაკში მაშველად მეც ვმუშაობდი. შესაბამის ტესტებს და ფიზიკურ გამოცდას ვინც გაივლის, შაბათ-კვირას მაშველად მუშაობა (უფასოდ) ყველას შეუძლია. დაახლოებით, 10 კაცი დახრჩობას გადამირჩენია.

— **ახალ ზელანდიაში, ოკეანეში დახრჩობას გადარჩენილები მაშველების მიმართ მადლიერებას როგორ გამოხატავენ?**

— უბრალოდ, დიდ მადლობას გვიხდიდნენ. ძირითადად, რცხვენიათ — ვიხრჩობოდით და გადაგვარჩინესო... ახალ ზელანდიაში მორიდებული, თავშეკავებული ხალხი ცხოვრობს.

— **4 წელია, საქართველოში ცხოვრობთ. ზოგადად, ქართველ ხალხზე როგორი აზრი ჩამოგიყალიბდათ?**

— ქართველი ხალხი ძალიან მომწონს. ასე რომ არ იყოს, აქ ცხოვრება გამიჭირდებოდა. ამჟამად, ჩემი საუკეთესო მეგობარი ქართველია. თქვენი კულტურა, სუფრის ტრადიციები მომწონს. მართალია, ხანდახან სუფრაზე ბევრი ალკოჰოლური სასმელია, მაგრამ კარგი ატმოსფეროა!

— **სადღეგრძელოებს ამბობთ ხოლმე?**

— სუფრაზე ყოველთვის თამადა ვარ! ჩემი ქართველი მეგობრები თამადად ხშირად მირჩევენ.

— **ქართული სუფრის გაძლოლა იოლია?**

— იოლია თუ — არა, არ ვიცი, მაგრამ სასიამოვნო ნამდვილად არის!

**ნინო:**

— მაიკლი მჭევრმეტყველებით ნამდვილად გამოირჩევა. სადღეგრძელოებს წინათაც ამბობდა.

**მაიკლი:**

— ახლა ქართული სუფრის ტრადიციებს ახალ ზელანდიაში მცხოვრებ ხალხსაც გავაცნობ (*იღიმის*).



— **მაიკლის მშობლიურ ახალ ზელანდიას ხშირად სტუმრობთ?**

**ნინო:**

— ჯერჯერობით, მხოლოდ ერთხელ, 4 თვით ვიყავი (მაშინ ჯერ შვილები არ გვყავდა). იქაურობა ძალიან მომწონს, ულამაზესი ქვეყანაა! ყველაზე მეტად ის მომწონს, რომ როცა აქ ზამთარია, იქ ზაფხულია. როცა ახალ ზელანდიაში ვიყავი, მთელ ევროპაში ზამთარი იყო, მე კი შუა ზაფხულში აღმოვჩნდი, პლაჟზე დავდიოდი... მაიკლი უმეტეს დროს სამუშაოთი იყო დაკავებული, ამიტომ დღის პირველ ნახევარს მარტო ვატარებდი, მაგრამ მაინც ძალიან კმაყოფილი ვიყავი. მას შემდეგ მაიკლი სამშობლოში კიდევ ორჯერ გაემგზავრა. ახალი ზელანდია ჩვენი ქვეყნიდან ძალიან შორსაა. ამიტომ ბავშვები ვერ მიმყავს.

— **მაიკლ, საქართველოში ცხოვრებასთან დაკავშირებით, შენს გადაწყვეტილებას შენი მშობლები როგორ შეხვდნენ?**

— რა თქმა უნდა, ყველა დედას სურს, რომ შვილი ახლოს ჰყავდეს, მაგრამ... მშობლები ჩემს გადაწყვეტილებას გაგებით მოეკიდნენ.

— **ნინო, თქვენ რას საქმიანობთ?**

— ამჟამად, მთლიანად ოჯახით ვარ დაკავებული. წინათ უცხოელებს გერმანულ ენას (ინგლისურის მეშვეობით) ვასწავლიდი. გერმანიაშიც ამით ვიყავი დაკავებული.

— **თქვენი შვილები რა ენაზე ლაპარაკობენ?**

— ჯერჯერობით, უმცროსს — ნოას ლაპარაკი მხოლოდ ესმის, უფროსი — ანა-მარია კი 3 ენაზე ლაპარაკობს: ქართულად, ინგლისურად და რუსულად (რუსი ძიძა ჰყავს). ანა-მარია საბავშვო ბაღში დადის და აქცენტს ქართულ ენაზე აკეთებს. მე ინგლისურად ვესაუბრები, რადგან მინდა, ამ ენის ცოდნა განუმტკიცდეს. ცოტა ხნის წინ, „სკაიპით“ ბებიას ინგლისურად თავისუფლად ელაპარაკა.

— **საქართველოში კიდევ რა გეგმების განხორციელებას აპირებთ?**

**მაიკლი:**

— ბათუმში, ამერიკული დონის ტექნიკური უნივერსიტეტი უნდა აშენდეს. როგორც დოქტორი, დაინტერესებული ვარ, რომ იქ სატრანსპორტო დეპარტამენტი ავაშენო. საქართველოში განათლების პრობლემაა: თითქმის ყველა ახალგაზრდა ეკონომიკურ ფაკულტეტზე სწავლით და ბანკში მუშაობითაა დაინტერესებული, ტრანსპორტის ინჟინერია კი ნაკლებად აინტერესებს, რადგან ამ სფეროში ჯერ ბევრი რამაა გასაკეთებელი... ■

# კალათში ბურთის ჩაგდების კორიფეები

**დამოუკიდებელი საქართველოს კალათბურთელები თხუთმეტი წელი იბრძოდნენ ევროპული ჩემპიონატების საგზურისთვის და მხოლოდ წლევანდელ შემოდგომაზე ექნებათ საშუალება, პირველად იასპარეზონ ლიტვაში გასამართავ ფინალურ ტურნირში: კონტინენტის ჩემპიონატებში ჩვენებურთაგან ბოლოს ლამის 3 ათეული წლის წინ ნიკოლოზ დერიუგინმა ითამაშა და ფრანგული ნანტიდან მან ჩეხური ოქროს მედალის შემდეგ ამჯერად ბრინჯაოს ჯილდოც ჩამოიტანა. პირველებმა კი ქართველ კალათბურთელთაგან ევროპის ჩემპიონატებში 1947 წელს ოთარ ქორქიამ და ნოდარ ჯორჯიკიამ იასპარეზეს და პრაღაში ოქროს მედლებიც მოიპოვეს.**

*გოგი ფრანგიშვილი*



ოთარ ქორქია

ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქში გამართული ის ჩემპიონატი საბჭოთა ნაკრებისთვის სადებიუტო იყო და მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო მატჩების გამოცდილება არ ჰქონდათ, ყველა მეტოქეს დიდი უპირატესობით სძლიეს და ფინალში გავიდნენ, სადაც ჩემპიონატის მასპინძლებს შეხვდნენ. ჩეხოსლოვაკიელებს იმ წლებში ძლიერი კალათბურთელები ჰყავდათ. ისინი კონტინენტის ჩემპიონების რანგში თამაშობდნენ და ტიტულის შენარჩუნების იმედიც ჰქონდათ, მაგრამ დებიუტანტებთან მაინც დამარცხდნენ, თანაც სოლიდური სხვაობით — 36:57. ორივე გუნდიდან საუკეთესო ოთარ ქორქია იყო, რომელმაც ქულების თითქმის ნახევარი — 25 მოაგროვა და ნოდარ ჯორჯიკიასთან ერთად, ქართველ კალათბურთელთაგან პირველმა მოიპოვა ევროპის ჩემპიონის ტიტული.

იმ პერიოდისთვის ქართული კალათბურთი უკვე ერთ-ერთი მოწინავე იყო საბჭოთა კავშირში. ქვეყნის ჩემპიონატებში თბილისისა და ქუთაისის 4 კლუბი თამაშობდა, ხოლო ჩვენი დედაქალაქის ოფიცერთა სახლის გუნდმა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების ოქროს მედლები ორჯერ — 1944 და 1946 წლებში დაისაკუთრა. ჩვენი კალათბურთელების წარმატებები სავსებით კანონზომიერი იყო. ამერიკელ ჯეიმს ნეისმიტს კალათბურთი 10 წლის გამოგონებულიც არ ჰქონდა, როცა სპორტის ახალმა სახეობამ ჩვენამდე მოაღწია. უფრო მეტიც — ტიფლისის ვაჟთა მეორე გიმნაზიის პედაგოგმა, ჩეხმა სკოტაკმა 1901 წელს სპეციალური წიგნიც გამოსცა — „ტანვარჯიშული თამაშობანი“, რომელშიც ერთი თავი მთლიანად დიდი ბურთით თამაშს — კალათბურთს ჰქონდა დათმობილი.

...თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდის შემდეგ, 1950 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა თბილისის „დინამომაც“ მოიპოვა. ამასთან, „დინამოელებმა“ იმ სეზონში დუბლიც შეასრულეს. საკავშირო თასის გათამაშების ფინალურ მატჩში მოსკოველი თანაკლუბელები დაამარცხეს და პრესტიჟულ პრიზს ზედიზედ მეორედ დაეუფლნენ. თასის პირველი გათამაშება 1949 წელს თბილისში ჩატარდა და მაშინაც „დინამოელებმა“ იმარჯვეს, ხოლო მესამე ტურნირში უძლიერესი კვლავ ქართველი კალათბურთელები იყვნენ. იმავე 1951 წელს პარიზში გაიმართა ევროპის მორიგი ჩემპიონატი, რომელშიც თბილისელთაგან მხოლოდ ოთარ ქორქია მონაწილეობდა, მაგრამ მისმა ოსტატობამაც პირველობის მოსაპოვებლად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ფინალში საბჭოთა ნაკრებმა კვლავ ჩეხოსლოვაკიის გუნდი დაამარცხა.

ოთარ ქორქიამ თავის თანაკლუბელებთან — ნოდარ ჯორჯიკიასთან და დავით გოძიაშვილთან ერთად, იმ სეზონში კიდევ ერთ საერთაშორისო ტურნირში — სტუდენტთა მსოფლიო თამაშებში იმარჯვა, რომელიც ბერლინში ჩატარდა, 1952 წელს კი ქართული კალათბურთის ლიდერებმა ქორქიამ და ჯორჯიკიამ ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებშიც მიიღეს მონაწილეობა. XV ოლიმპიადა ასევე სადებიუტო იყო საბჭოთა სპორტსმენებისათვის და ისინი საგანგებოდ ემზადებოდნენ თამაშებისთვის, მათ შორის, კალათბურთელებიც. ასპარეზობების დაწყებამდე 6 თვით ადრე გუნდი ლენინგრადში შეიკრიბა ხანგრძლივი და საკმაოდ მომქანცველი ვარჯიშებისთვის. გუნდთან ერთად იყვნენ თბილისის „დინამოელები“ — ოთარ ქორქია და ნოდარ ჯორჯიკიაც, თუმცა მანამდე ჯორჯიკიას გამგზავრება საზღვარგარეთ კარგა ხანს სათუო იყო: პრაღაში, ემიგრანტ თანამემამულეებთან სტუმრობა და მათგან წამოღებული საჩუქრები უშიშროების თანამშრომლებს არ ეპიტნავათ და ჯორჯიკიას უცხოეთში გასვლა აუკრძალეს, ვიდრე საბჭოთა კავშირის მაშინდელ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ლავრენტი ბერია არ გაერკვა მის „დანაშაულში“ და ნაკრებთან ერთად უცხოეთში გასვლის უფლება არ მისცა.

— ლენინგრადში მოწყობილი საწვრთნელი შეკრება აკლიმატიზაციის მიზნით სწორი გადაწყვეტილება იყო, — იხსენებდა მოგვიანებით ნოდარ ჯორჯიკია, — ჰელსინკი ახლოსაა ლენინგრადთან და ფინურ კლიმატსაც ადვილად შევეჩვიეთ, მაგრამ მწვრთნელები მეტისმეტად ბევრს გვავარჯიშებდნენ. ჩვენი გუნდის ხელმძღვანელებმა როგორც ჩანს, კარგად არ იცოდნენ დატვირთვების დოზირება და ნაკრების წევრთა უმრავლესობა ჰელსინკიში გადაღლილი ჩავიდა. მე და ოთარ ქორქია ვგრძნობდით, რომ ამდენი ვარჯიშისგან შეიძლებოდა გადავმწვარიყავით და ცოტა ვიეშმაკეთ: ავადმყოფობა მოვიმიზეზეთ და მსუბუქად ვვარჯიშობდით. გარდა ამისა, მწვრთნელებს გუნდის დაკომპლექტებისას თავისუფალი არჩევანის საშუალება არ ჰქონდათ. ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, შემადგენლობის შერჩევაში კა-გე-ბეს თანამშრომლებიც ერეოდნენ, რის გამოც ნაკრებში ისეთი კალათბურთელებიც მოხვდნენ, რომლებსაც წლების განმავლობაში არ უთამაშიათ ქვეყნის მთავარ გუნდში. გარდა ამისა, მწვრთნელები სასტარტო შემადგენლობაში არ მაყენებდნენ. შემდეგ, როდესაც გაუჭირდებოდათ, შემიყვანდნენ მოედანზე და ისე ვიგებდით მატჩებს. ამის მიუხედავად, ყველა მატჩი მოვიგეთ, მხოლოდ ამერიკელებთან დავმარცხდით, მეოთხედფინალურ შეხვედრაშიც და გადა-

მწყვეტ მატჩშიც, თუმცა ვფიქრობ, რომ არა მწვრთნელების შეცდომები, გამარჯვება შეიძლებოდა.

საბჭოთა კალათბურთელებს ევროპაში ღირსეული მეტოქეები პრაქტიკულად, არ ჰყავდათ, მაგრამ ოკეანის გაღმა, ამერიკელების გარდა, ძლიერი კალათბურთელები ურუგვაის, არგენტინის, ბრაზილიისა და მექსიკის გუნდებშიც თამაშობდნენ. პირველ ეტაპზე, ქვეჯგუფში საბჭოთა ნაკრებმა ბულგარეთის, მექსიკისა და ფინეთის გუნდები დაამარცხა. მეოთხედფინალურ ტურნირში ბრაზილიისა და ჩილეს გუნდებსაც სძლია, მაგრამ აშშ-ის ნაკრებთან წააგო. მართალია, მაშინ ოლიმპიურ თამაშებში პროფესიონალები არ მონაწილეობდნენ, მაგრამ ამერიკელებს მაინც ძალიან ძლიერი კალათბურთელები ჰყავდათ. მათ შემადგენლობაში 3 მოთამაშის სიმაღლე 2 მეტრზე მეტი იყო. საბჭოელთაგან ყველაზე ტანმაღალნი — ოთარ ქორქია და ილმარ კულმი — მხოლოდ 190 სმ სიმაღლის იყვნენ. მეოთხედფინალში ამერიკელებმა 86:58 იმარჯვეს. ამ მატჩში ოთარ ქორქიამ სწორედ იმ კურლენდთან შეჯახებისას მიიღო მარჯვენა ხელის მძიმე ტრავმა და ცაციათი ისე ველარ ითამაშა. საბჭოთა ნაკრებიც სოლიდური სხვაობით დამარცხდა. თუმცა შემდეგ ურუგვაის გუნდს სძლია და ფინალში ისევ ამერიკელებს შეხვდა. ოთარ ქორქია ამჯერად კვლავ გუნდის ნამდვილი ლიდერი იყო. ამერიკელებმა პირველი ტაიმი მხოლოდ 2 ქულით — 17:15 მოიგეს. თანაბარი ბრძოლა იყო შეხვედრის მეორე ნახევარშიც, ვიდრე ქორქია მოედანზე იყო. აი, როგორ იხსენებს ფინალურ მატჩს საბჭოთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი, სტეპან სპანდარიანი:

— ამ მატჩში, ჩემი აზრით, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა 30-ე წუთს, როდესაც ქორქიამ მეოთხე ჯარიმა მიიღო რიჩარდ კურლენდზე და მაშინდელი წესების თანახმად, იძულებული გახდა, მოედანი დაეტოვებინა. ამერიკელმა კალათბურთელებმა ტაშით გააცილეს ჩვენი გუნდის ლიდერი, რაც მისი ოსტატობის უსიტყვო აღიარებას ნიშნავდა. ამ დროისთვის ანგარიში 23:23 იყო. დარჩენილ დროში ჩვენმა გუნდმა მხოლოდ ორი ქულის აღება შეძლო, ხოლო ამერიკელებმა 13 მოაგროვეს.

ამერიკელმა კალათბურთელებმა საბოლოოდ 36:25 გაიმარჯვეს და ზედიზედ მესამედ მოიპოვეს ოლიმპიური ჩემპიონობა, ხოლო ოთარ ქორქიამ და ნოდარ ჯორჯიკიამ თბილისში პირველი ოლიმპიური ჯილდოები — ვერცხლის მედლები ჩამოიტანეს. მომდევნო, 1953 წელი თბილისის „დინამოსთვისაც“ და საბჭოთა ნაკრებისთვისაც ასევე წარმატებული იყო. იმ სეზონში საკავშირო ჩემპიონატი თბილისში ჩატარდა. „დინამოელებმა“ ყველა მეტოქეს დიდი ანგარიშით მოუგეს და დაუმარცხებლად გახდნენ ქვეყნის ჩემპიონები.

ზაფხულში კი მოსკოვში ევროპის მორიგი ჩემპიონატი გაიმართა. კონტინენტის საუკეთესო გუნდის ტიტულისთვის 17 გუნდი იბრძოდა, მაგრამ საბჭოთა ნაკრების კაპიტნის — ოთარ ქორქიას შეჩერებას ვერავინ ახერხებდა. მის წინააღმდეგ ზოგჯერ ორისამი მცველი თამაშობდა, მაგრამ ქართველი კალათბურთელი მაინც აგდებდა ბურთს კალათში. მოგვიანებით, წლების შემდეგ საბჭოთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი ალექსანდრე გომელსკი თავის წიგნში — „ცენტრალური თავდამსხმელები“ აღნიშნავდა, რომ საბჭოთა კალათბურთის მთელი ისტორიის მანძილზე, ოთარ ქორქია თავის პოზიციაზე №1 იყო. თამაშის დრო იგი ხშირად გასძახებდა თანაგუნდელებს, — რამდენჯერაც მომაწვდით ბურთს, იმდენჯერ ჩავაგდებ კალათში. ქორქიას მართლაც შეეძლო პრაქტიკულად მარტოს გადაეწყვიტა შეხვედრის ბედი. არც საკავშირო და არც საერთაშორისო არენაზე იგი თავისი სიმაღლით არ გამოირჩეოდა, მაგრამ ათლეტურობით, ფიზიკური ძალითა და ოსტატობით, მთელი თავით სჯობდა მეტოქეებს. ჩეხოსლოვაკიის ნაკრების ფორვარდი ირჟი შკერჟიკი ამბობდა, რომ მას უბრალოდ ეშინოდა ქორქიასთან შეჯახებისა...



მიხეილ ქორქია

მოსკოვის ევროპულ ჩემპიონატზე საბჭოთა ნაკრებმა ოთარ ქორქიას შედეგიანი თამაშით ყველა მეტოქე დაამარცხა და კონტინენტის ჩემპიონის ტიტულიც შეინარჩუნა, ხოლო ოთარ ქორქიამ ქართველ სპორტსმენთაგან პირველმა მოიპოვა ევროპის ჩემპიონატების მესამე ოქროს მედალი.

ოთარ ქორქიასა და ნოდარ ჯორჯიკიას თაობის შემდეგ ქართულ კალათბურთში ახალი პლეადა მოვიდა — გურამ მინაშვილი, ვლადიმერ უგრეხელიძე, ლევან მოსეშვილი, ამირან სხიერელი. მოგვიანებით მათ შეუერთდნენ ზურაბ საკანდელიძე, სერგეი კოვალენკო, მიხეილ ქორქია... ასე რომ, ვიდრე საბჭოთა კავშირი დაიშლებოდა, ქართველი კალათბურთელები პრაქტიკულად, კონტინენტის ყველა ჩემპიონატში მონაწილებდნენ, ხოლო ზურაბ საკანდელიძემ, მიხეილ ქორქიამ და ნიკოლოზ დერიუგინმა მსოფლიოს ჩემპიონატებისა და ოლიმპიური თამაშების ოქროს მედლებიც მოიპოვეს.

გურამ მინაშვილის დებიუტი ევროპულ ჩემპიონატებში 1957 წელს სოფიაში შედგა. ის ჩემპიონატი საბჭოთა ნაკრებისთვის საკმაოდ რთული აღმოჩნდა, ვინაიდან ოთარ ქორქიას შემდეგ ნაკრებში რიგელი გიგანტი, 217 სმ-ის სიმაღლის იანის კრუმინში მოვიდა, მაგრამ ტრავმის გამო იგი ბულგარეთში ვერ გაემგზავრა. მთავარი ცენტრალური თავდამსხმელის გარეშე კი საბჭოთა გუნდს ფინალში მასპინძლებთან ძალიან გაუჭირდა. სოფიის ვასილიევსკის სახელობის სტადიონზე 30000-მა ადგილობრივმა გულშემატკივარმა ცეცხლი წაუკიდა გაზეთებს და ამგვარი ჩირაღდნებით ცდილობდნენ თავიანთი გუნდის მხარდაჭერას. პირველ ტაიმში ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო უპირატესობის მოპოვება და მხოლოდ მატჩის მიწურულს მოახერხეს საბჭოთა კალათბურთელებმა გამარჯვება.

სოფიის შემდეგ გურამ მინაშვილმა 1959 წელს სტამბოლში გამართულ კონტინენტის ჩემპიონატშიც მოიპოვა ოქროს მედალი, თუმცა მას მანამდე სულ რამდენიმე თვით ადრე კიდევ ერთ თბილისის „დინამოელ“, გურამ აბაშიძესთან ერთად უფრო მნიშვნელოვანი — მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული დააკარგვინეს. ის ჩემპიონატი ჩილეში ჩატარდა და ჯერ კიდევ სამხრეთ ამერიკაში გამგზავრებამდე კარგა ხნით ადრე კრემლის „მამები“ დიდხანს ბჭობდნენ, გაეშვათ თუ არა გუნდი ჩილეში. საქმე ის არის, რომ ჩემპიონატში ტაივანის ნაკრებიც მონაწილეობდა, ამ ქვეყანასთან კი საბჭო-



ზურაბ საკანდელიძე

ელებს გართულებული პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდათ და ტაივანის კალათბურთელებთან შეხვედრა არ უნდოდათ. ბოლოს, როგორც იქნა, გუნდის მწვრთნელებმა „ბოსები“ დაარწმუნეს, რომ ტაივანელების სუსტი ნაკრები ქვეჯგუფიდანაც ვერ გავიდოდა. მაგრამ მოხდა სასწაული — აზიელებმა თვით მსოფლიოს ექსჩემპიონები, არგენტინელები დაამარცხეს და ფინალურ ჯგუფშიც მოხვდნენ. ამასობაში საბჭოთა კალათბურთელებმა ყველა მთავარ კონკურენტს, მათ შორის აშშ-ის კალათბურთელებს მოუგეს და მსოფლიოს ჩემპიონობაც გაინაღდეს. თუმცა დარჩენილი იყო ერთი მატჩი — ტაივანის გუნდთან. მარცხის შემთხვევაშიც კი ისინი ოქროს მედლებს დაეუფლებოდნენ, მაგრამ კრემლმა ამ მატჩს ვეტო დაადო, ნაკრებს აზიელებთან თამაში კატეგორიულად აუკრძალა, გუნდის ხელმძღვანელებს და მოთამაშეებს ციმბირს იქით გაშვებით დაემუქრნენ და ისინიც თამაშზე არ გამოცხადდნენ. ფიბა-მ (კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ) საბჭოთა ნაკრებს წაგება ჩაუთვალა და საბოლოოდ მათ პირველობის ნაცვლად მეექვსე ადგილი დაიკავეს. სამაგიეროდ მოსკოვში დაბრუნებულ კალათბურთელებს ჩინოვნიკები აეროპორტშივე ზარ-ზეიმით დახვდნენ და პირველობის დამადასტურებელი ჟეტონებიც საზეიმო ვითარებაში გადასცეს. თუმცა, ეს რომ ოქროს მედლები არ იყო, ყველამ კარგად იცოდა.

1959 წელი ქართული კალათბურთის ისტორიაში კიდევ ერთი ტურნირით, საბჭოთა კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადითაა გამორჩეული, უფრო სწორად ამ ასპარეზობის ერთი მატჩით. ჩვენი კალათბურთელები შეჯიბრების ერთ-ერთ ფავორიტებად ითვლებოდნენ, მაგრამ მოულოდნელად ყაზახეთის ნაკრებთან დამარცხდნენ და ფინალში გასასვლელად ლატვიის ძლიერ გუნდთან უცილობელი მოგება სჭირდებოდათ. ბალტიისპირელები იმ პერიოდისთვის თავიანთი იანის კრუმინშით დიდების ზენიტში იყვნენ. მათი რიგის არმიელები კი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასსაც ზედიზედ ორჯერ დაეუფლნენ და სპარტაკიადის ჩემპიონობასაც ისინი უმიზნებდნენ.

საქართველოსა და ლატვიის გუნდების შეხვედრა უაღრესად მძიმე და დრამატული აღმოჩნდა. მატჩის ძირითადი დრო ფრედ 65:64 დასრულდა. პირველ დამატებით დროში გამარჯვებული ვერ გამოვლინდა 72:72. მეორე დამატებითი 5-წუთიანის შემდეგ ანგარიში ისევ თანაბარია — 80:80. მესამეში კი ქართველთაგან მოედანს სამი კალათბურთელიღა შემორჩა — გურამ აბაშიძე, ვალერი ალთაბაევი და თამაზ კაკაურიძე. დანარჩენი ხუთ-ხუთი პერსონალური ჯარიმის გამო გავარდა. აი, ამ სამეულმა მაინც შეძლო ხუთი ლატვიელი კალათბურთელის დამარცხება და საქართველოს ნაკრებმა 88:86 გაიმარჯვა. მსგავსი რამ არც მანამდე და არც მას შემდეგ კალათბურთში არ მომხდარა, ჩვენმა ნაკრებმა კი საბოლოოდ იმ სპარტაკიადაზე ვერცხლის მედლები მოიპოვა.

1965 წელს თბილისმა პირველად უმასპინძლა ევროპის პირველობას. ჩვენს დედაქალაქში მაშინ „ბ“ ჯგუფის გუნდები თამაშობდნენ, თუმცა ჩვენი კალათბურთელები — ზურაბ საკანდელიძე და ამირან სხიერელი მოსკოვში ასპარეზობდნენ. საბჭოთა ნაკრებმა იქ კვლავ ყველა მეტოქე დაამარცხა და ჩვენმა „დინამოელებმაც“ კონტინენტის ჩემპიონების ოქროს მედლები მოიპოვეს. ზურაბ საკანდელიძე ევროპის ჩემპიონატებზე კიდევ სამჯერ დაეუფლა ოქროს მედლებს. ამასთან იგი 1967 წლის ჰელსინკის ევროპულ ჩემპიონატზე ტურნირის საუკეთესო მცველად აღიარეს. იმავე სეზონში საკანდელიძე მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულსაც დაეუფლა და პირველი ქართველი კალათბურთელი გახდა, ვინაც მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. მოგვიანებით, 1972 წელს, საკანდელიძე და მიხეილ ქორქია პირველები დაეუფლებიან ოლიმპიური თამაშების ოქროს მედლებსაც და მიუნხენის „ბასკეტბალჰალეში“ გამართული ის ფინალიც ყველაზე დრამატული აღმოჩნდა სამოყვარულო კალათბურთის ისტორიაშიც. ამასთან, ზურაბ საკანდელიძე და მიხეილ ქორქიაც გადამწყვეტ როლს ითამაშებენ ფინალურ მატჩში.

სწრაფი ქართველების შეტევებით საბჭოთა ნაკრები მალევე დაწინაურდა. ამერიკელებთან ფინალურ მატჩში საბჭოთა გუნდი მთელი მატჩის განმავლობაში ლიდერობდა, მაგრამ საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წამით ადრე ალექსანდრე ბელოვი უხეშად შეცდა. დაგ კოლინზმა მისი უხეირო გადაცემა ჩაჭრა და რომ არა საკანდელიძის ჯარიმა, ამერიკელები ერთი ქულით მოიგებდნენ ფინალს. კოლინზმა ორივე საჯარიმო ზუსტად ტყორცნა, აშშ-ის ნაკრები 50:49 დაწინაურდა. საფინალო სასტვენამდე კიდევ 3 წამი იყო დარჩენილი. სწორედ ამ 3 წამში მოახერხეს საბჭოთა კალათბურთელებმა ბურთის ჩაგდება და 51:50 გაიმარჯვეს. განაწყენებული ამერიკელები დაჯილდოების საზეიმო ცერემონიაზე არ გამოცხადდნენ და არც ვერცხლის მედლები აუღიათ. ისინი დღემდე ჟენევაში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შტაბბინაში ინახება, ხოლო ზურაბ საკანდელიძემ და მიხეილ ქორქიამ ოლიმპიური ოქროს ჯილდოები საქართველოში ჩამოიტანეს.

მიუნხენის თამაშების შემდეგ თბილისის „დინამოელთაგან“ ოლიმპიურ ტურნირებში მხოლოდ ნიკოლოზ დერიუგინი მონაწილეობდა და 1980 წელს მოსკოვში ბრინჯაოს მედალიც მოიპოვა. მომდევნო სეზონში პრაღის ევროპულ ჩემპიონატზე იგი ოქროს მედალსაც დაეუფლა, ხოლო კიდევ ერთი წლის შემდეგ კოლუმბიაში, საბჭოთა ნაკრებთან ერთად, მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა. ამასთან, ფინალურ მატჩში ამერიკელებთან კრიტიკულ მომენტში სწორედ მისმა ოსტატობამ გადაწყვიტა შეხვედრის ბედი და საბოლოოდ საბჭოთა ნაკრებმა 96:95 გაიმარჯვა.

ნიკოლოზ დერიუგინი ჩვენი კალათბურთელებიდან უკანასკნელი მოჰიკანი აღმოჩნდა, ვინაც ოლიმპიური თამაშების, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების მედლებს დაეუფლა. მას შემდეგ აგერ უკვე მესამე ათეული წელი იწურება, რაც ქართველ კალათბურთელებს ევროპულ ჩემპიონატებში აღარ უთამაშიათ.

წლევანდელ სექტემბერში კი დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული ნაკრები პირველად იასპარეზებს კონტინენტის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში. მართალია, ჩვენს კალათბურთელებს მედლებისთვის ბრძოლა გაუჭირდებათ, მაგრამ იმედია, მომავალში ევროპულ არენაზე კვლავაც დადგება ქართველების ჯერი. ■

# „ფორდი“ ფოტოარქივს გაყიდის

კომპანია „ფორდმა“ საკუთარი არქივიდან 5 ათასი ფოტოასლი გაიტანა გასაყიდად. გაცნობა და სასურველ ფორმატში შეძენა იმ სურათებისა, რომლებიც პირველად გამოაქვეყნეს, საიტის — fordimages.com — საშუალებითაა შესაძლებელი. გასაყიდად გატანილ სურათებს





შორის, „ფორდის“ ადრეული ქარხნების ფოტოები, სარეკლამო პოსტერები, სხვადასხვა ღონისძიების ქრონიკა, აგრეთვე ყველა იმ ავტომობილის გამოსახულებაა, რომელიც კომპანიას ოდესმე გამოუშვია. კლიენტის სურვილისამებრ, ფოტოებს ქაღალდზე ან ტილოზე ბეჭდავენ. ფასები 18 დოლარიდან იწყება. წლის ბოლომდე კომპანია კიდევ 5 ათასი სურათის გამოქვეყნებას აპირებს — ანუ დღეში რამდენიმე ათეულისას. სულ „ფორდის“ არქივში მილიონობით ციფრული და ბეჭდვითი სურათი ინახება, რომელიც 16 ათას კოლოფში, 75 ოთახსა და ასეულობით CD-დისკზეა მოთავსებული. ■

# SsangYong-ის კონცეპტუალური პიკაპი

ჟენევის მომავალ მოტორშოუზე, რომელიც მიმდინარე წლის 3-13 მარტს გაიმართება, კომპანია „სანგიონგი“ კონცეპტუალურ პიკაპს — SUT 1-ს წარადგენს. სიახლე პიკაპის — Actyon Sports პლატფორმაზეა აგებული, ამასთან, გაისად მისი სერიული ვერსია ამ მოდელის ადგილს დაიკავებს სამხრეთკორეული მწარმოებლის გამაში. ssangYong SUT 1-ის სიგრძე 4985 მმ-ს შეადგენს, სიგანე — 1910 მმ-ს, რაც შესაბამისად, 20 და 10 მმ-ით დიდია, ვიდრე პიკაპი Actyon Sports. ორივე მანქანის სიმაღლე და ბორბლების ბაზა შესაბამისად, 1755 და 306 მმ-ია. ახალ პიკაპს 155 ცხძ-იანი, 2-ლიტრიანი ტურბოდიზელი დაუმონტაჟდება, რომელიც „ევრო-5“-ის ეკოლოგიურ ნორმებს აკმაყოფილებს.





ძრავა თავსებადია სიჩქარის გადაცემათა როგორც 6-საფეხურიან მექანიკურ, ასევე ავტომატურ კოლოფთან. გარდა ამისა, სერიული ავტომობილი ხელმისაწვდომი იქნება როგორც წინა, ასევე უკანა აძვრის სისტემებით. შარშან შემოდგომაზე კომპანიამ უკვე წარმოადგინა ერთი ახალი მოდელი — კროსოვერი New Actyon. იანვარში ამ მანქანის წარმოება ფირმის შორეულაღმოსავლურ ქარხანაში — Sollers დაიწყო. ■

# „წლის მსოფლიო ავტომობილი“

კონკურსის — „წლის მსოფლიო ავტომობილი“ ჟიურიმ ამ ტიტულის 10 პრეტენდენტი დაასახელა. ფინალისტების რიგში შევიდნენ: Audi A1 და A8, BMW 5-Series და X3, Jaguar XJ, Jeep Grand Cherokee, Nissan Leaf, Mercedes-Benz SLS AMG, Porsche Cayenne, აგრეთვე Volvo S60/V60. გარდა ამისა, დაასახელეს 2011 წლის საუკეთესო სპორტული ავტომობილის წოდების პრეტენდენტებიც. მათ შორისაა: Aston Martin Rapide, Audi RS5, Cadillac CTS-V Coupe, Ferrari 458 იტალია, Lamborghini Gallardo Superleggera, Mercedes-Benz S63 AMG/CL63 და SLS AMG, Porsche 911 GT@ RS და 911 Turbo, ასევე Renault Megane RS. ყველაზე ლამაზი მანქანის წოდებაზე წარადგინეს Aston Martin Rapide, Audi A7, Citroen DS3, Ferrari 458 Italia, Honda CR-Z, Kia Sportage და Nissan Juke. ჟიური ყველაზე „მწვანე“ ავტოსაც ამოარჩევს. ამ ტიტულისთვის მებრძოლთა შორის არიან: BMW 320ed, Chevrolet Volt, Hyundai Sonata Hybrid, Mercedes-Benz B-Class F-cell, Nissan Leaf და ელექტროავტო Smart Fortwo ED. მარტისთვის თითოეული კატეგორიიდან 3 ფინალისტი გამოვლინდება და მათ ჟენევის მოტორშოუზე დაასახელებენ. ყველა ნომინაციაში გამარჯვებულები ნიუ-იორკის ავტოსალონზე 21 აპრილს გამოვლინდებიან. შარშან „წლის მსოფლიო ავტომობილად“ ჰეჩბეკი VW Polo გამოცხადდა, რომელმაც დაგროვილ ხმათა რაოდენობის მიხედვით, Toyota Prius-ი და Mercedes-Benz E-Class მოიტოვა უკან. ■



# ხევსურების გმირობა რუსეთ-იაპონიის ომში

მიხეილ ლაბაძე

მოსკოვსა და ტოკიოს შორის ერთი ციცქნა კურილიის კუნძულების გამო დავა XVIII საუკუნის დასასრულიდან დაიწყო და, როგორც ვხედავთ, ალბათ, კიდევ კარგა ხანს არ დასრულდება. გასულ კვირას რუსეთმა კუნძულებზე შეიარაღებული ძალების დამატებითი კონტინგენტი განათავსა, რითაც იაპონიას მიანიშნა, რომ სიტუაციის უფრო მეტად გამწვავების შემთხვევაში, რადიკალური ზომების მიღებას უკვე აღარ მოერიდება; თუმცა, უკან დახევას არც ტოკიოში ფიქრობენ — იაპონურ მასმედიაში უფრო და უფრო ხშირად იხსენებენ რუსეთ-იაპონიის 1904-1905 წლების ომს, როცა რუსეთის ერთი შეხედვით ძლევამოსილი, თვალუწვდენელი იმპერია პატარა, მაგრამ ერთ მუშტად შეკრულმა იაპონიამ სამუდამოდ წელში გატეხა. მართლაც, ეს ომი თავისი მოულოდნელი შედეგით სენსაციურ მოვლენას წარმოადგენდა; მაშინ საბრძოლო მოქმედებები სახალინსა და კურილიის კუნძულებზეც მიმდინარეობდა, სადაც იაპონელებს რუსეთის იმპერიის არმიაში ძალით გაწვეული ქართველებიც უპირისპირდებოდნენ.

XX საუკუნის დასაწყისში, რუსეთი ეკონომიკურად სულაც არ იყო ისეთი ძლიერი, როგორც ეს იმპერატორის კარზე ეგონათ — მართალია, ქვეყანა დიდ ტერიტორიას ფლობდა, მრავალრიცხოვანი არმიაც ჰყავდა და მრეწველობაც ასე თუ ისე, კარგად ჰქონდა განვითარებული, მაგრამ მოსახლეობის ფართო მასების ელემენტარულ უზრუნველყოფას, რაც ჩვეულებისამებრ, ქვეყნის სიძლიერის ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანია, სანქტ-პეტერბურგის მესვეურები ვერ ახერხებდნენ. სწორედ ამ მიზნით, ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან, რუსეთში უცხოელ ინვესტორთა მიზიდვა დაიწყეს და ქვეყნის ეკონომიკაც, უმეტესწილად, მათ კაპიტალს დაეყრდნო; თუმცა, არსებული პრობლემების აღმოფხვრა შესაძლებელი ვერც ინვესტიციებით გახდა და, საბოლოოდ, რუსეთის უზარმაზარი იმპერია თითქმის მთლიანად უცხოურ კაპიტალზე გახდა დამოკიდებული.

სწორედ იმ დროს, რუსმა „დერჟავნიკებმა“, რომლებიც ქვეყნის გადარჩენის ერთადერთ გზად ახალი მიწების კოლონიზაციას მიიჩნევდნენ, იმპერატორი ნიკოლოზ II თავიანთი გავლენის ქვეშ მოაქციეს და ე.წ. „დიდი აზიური პროგრამა“ მიაღებინეს, რითაც რუსეთის იმპერიამ შორეული აღმოსავლეთის რიგ რეგიონებზე (მათ შორის — მანჯურიაზეც) პრეტენზია ოფიციალურად წამოაყენა. ნიკოლოზ II-მ საკუთარი პოზიცია ხმამაღლა პირველად 1901 წელს, ქ. რეველში (ასე ერქვა მაშინ ამჟამინდელი ესტონეთის დედაქალაქ ტალინს), გერმანიის იმპერატორ ვილჰელმ II-სთან შეხვედრის დროს გააჟღერა: „შორეულ აღმოსავლეთში, კერძოდ — ჩინეთში რუსული გავლენის გაძლიერებას სახელდობრ ჩემი მმართველობის უმნიშვნელოვანეს ამოცანად ვთვლი“, — განაცხადა რუსეთის იმპერატორმა. ერთი წლის შემდეგ რუსეთმა საფრანგეთთან სამოკავშირეო ხელშეკრულება დადო (ამ ორი ქვეყნის კავშირი ბრიტანეთ-იაპონიის კავშირის საპირწონედ უნდა ქცეულიყო), ხოლო 1903 წელს მანჯურიის ოკუპაციაც მოახდინა, რაც ბუნებრივია, იაპონიაში მწვავედ აღიქვეს, რადგან ამ რეგიონს ტოკიო თავის სამფლობელოდ მიიჩნევდა.



ხევსური ძმადნაფიცები. მარცხნივ დგას ბექიტა ქერაული. სხედან დათვია ალუდაური, ხირჩლა ცისკარაული და აპარეკა ქიბიშაური. 1905 წელი, ქ. მუკდენი

იაპონელთა მოთხოვნას — ოკუპირებული ტერიტორიებიდან ჯარი უპირობოდ გაეყვანათ — სანქტ-პეტერბურგში წაუყრუეს, რადგანაც „დერჟავნიკი“ გენერლების მიერ დაიმედებულმა ნიკოლოზ II-მ ჩათვალა, რომ „უძლეველი“ რუსული არმიის შიშით, იაპონია ომის დაწყებას ვერ გაბედავდა. 1904 წლის 27 იანვარს (9 თებერვალს) რუსების იმედები საპნის ბუშტივით გაქრა — იაპონური ფლოტი მოულოდნელად თავს დაესხა ნავსადგურ პორტ-არტურში (თანამედროვე დალიანი, ჩინეთი) მდგარ რუსულ ჯავშნოსანთა ესკადრას და რამდენიმე ხომალდი ჩაძირა. ამავდროულად, იაპონელები კორეაშიც გადასხდნენ და რუსული საოკუპაციო ზონისკენ დაიძრნენ. ასე დაიწყო რუსეთ-იაპონიის ომი, რომელიც წელიწადნახევარი გაგრძელდა და, 1905 წლის აგვისტოს დასაწყისში, რუსების სასტიკი მარცხით დასრულდა.

ომის დაწყებიდან რამდენიმე თვეში გაირკვა, რომ რუსეთის იმპერიას საომარი მოქმედებების გასაგრძელებლად ფინანსები აღარ ჰყოფნიდა. ნიკოლოზ II-მ დახმარება უცხოურ კომპანიებსაც სთხოვა, მაგრამ უარი მიიღო — ნეიტრალიტეტის დაცვის საბაბით, საქმოსნებმა სამხედრო საჭიროებისთვის თანხების გაღებისაგან თავი შეიკავეს. რუს „დერჟავნიკ“ მაღალჩინოსნებს კი ფარ-ხმალი მაინც არ დაუყრიათ — გადაწყვიტეს, რომ მოწინააღმდეგისთვის რიცხობრივი უპირატესობით მოეგოთ და იმპერიის მთელ ტერიტორიაზე საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადეს. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ წვევამდელთა გაწვევის პროცესი იმთავითვე უწესრიგოდ დაიწყო, რასაც ხალხის (განსაკუთრებით — არარუსთა) დიდი უკმაყოფილება მოჰყვა; ამან კი, თავის მხრივ, რევოლუციური განწყობილების ზრდას შეუწყო ხელი.

ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებშიც, იაპონიასთან საომრად წვევამდელთა გაწვევამ მოსახლეობაში უკმაყოფილება გამოიწვია — ბუნებრივია, ქართველებს არ სურდათ, სხვის ომში „საზარბაზნე ხორცის“ როლი ეთამაშათ და ჯარში წასვლას ნებისმიერი ხერხით თავს არიდებდნენ. აქედან გამომდინარე, ცარისტულმა რეჟიმმა წვევამდელთა შერჩევა ძალისმიერი მეთოდებით დაიწყო — ქალაქის პოლიციელები (ე.წ. „გოროდოვოები“) ახალგაზრდებს ქუჩებსა

და მოედნებზე იჭერდნენ და ჯარში შებორკილებს გზავნიდნენ. ამასთან, საგანგებოდ ცდილობდნენ, ისეთები შეერჩიათ, რომლებიც ქალაქელები არ იყვნენ და რუსულიც არ ესმოდათ. კავკასიის სამეფისნაცვლოში ამ ხერხით რუსებმა ჯარში 20 ათასამდე კაცი „გაიწვიეს“ და უშუალოდ ფრონტის წინა ხაზზე ამოაყოფინეს თავი.

სწორედ ამგვარად აღმოჩნდნენ რუსეთ-იაპონიის ომში ხევსურები: ხადუელი ბეჟიტა ქერაული, ხახმატელი დათვია ალუდაური, ახიელელი ხირჩლა ცისკარაული და კალოთანელი აპარეკა ქიბიშაური. ისინი ერთმანეთს ადრე არ იცნობდნენ, მაგრამ ხევსურეთიდან თბილისში ჩამოსვლამ ერთად მოუწიათ და „გოროდოვოებმაც“ იმავე დღეს, ერთად დაიჭირეს. ოთხივე კარგი ვაჟკაცი იყო და იარაღიც კარგი ჰქონდათ, მაგრამ რუსმა პოლიციელებმა ჩვეული ხერხი იხმარეს: ქუჩაში მომავალ ხევსურებს წინ კარგი მასპინძლებივით დაუხვდნენ და არაყი შესთავაზეს. აპარეკა ქიბიშაურის მოგონებით, პოლიციელებმა პირველი ჭიქა მასა და მის მეგობრებს იქვე, ქუჩაში დაალევინეს, მერე კი განყოფილებაში შეიპატიჟეს. ხევსურებიც შეჰყვნენ და როგორც მთის წესი მოითხოვდა, იარაღი გარეთ დატოვეს; მაგიდას პოლიციელებთან ერთად მიუსხდნენ და რამდენიმე ჭიქა კიდევ გამოცალეს. ჩვეულებისამებრ, არაყში რაღაც იყო გარეული და ოთხივე მთიელს მაგიდაზევე ჩამოეძინა.

„რუსებმ შაგვყარეს ერთადა, ხევსურებ ოტკით მთვრალია, გამაუძახეს პოეზსა, სამჯერ შამახკრეს ზარია, დალნი ვასტოკში წაგვლალეს, იქავ სისხლის დის ღვარია“, — ასე აღწერა მოგვიანებით ბეჟიტა ქერაულმა თავის გამოთქმულ ვრცელ ლექსში თავგადასავლის დასაწყისი. მძინარე ხევსურები სამხედრო ბადრაგმა მატარებელში ჩასხა და შორეული აღმოსავლეთისკენ გაისტუმრა. საბოლოოდ, ოთხივენი ყუბანის კაზაკთა ერთ-ერთ ქვედანაყოფში მოხვდნენ, რომელიც ჯერ პორტ-არტურში იდგა, 1905 წლის თებერვლიდან კი მუკდენში გადაისროლეს. ლაღმა მთიელებმა სამხედრო სამსახური არ იუცხოვეს, მაგრამ ყაზარმულ მკაცრ წესრიგთან შეგუება გაუჭირდათ და „მუჟიკების“ ჩაგვრას ჩვეულ, ავყია რუს ოფიცრებს რამდენჯერმე ჭკუა ასწავლეს; ერთ-ერთი ასეთი შემთხვევის დროს, ხირჩლა ცისკარაულმა ახალგაზრდა პორუჩიკი მძიმედ დაჭრა, რის გამოც ოთხივე ხევსური კუნძულ სახალინზე მდებარე, ეწ. „შავ კატორღაში“ გაამწესეს, სადაც დამნაშავე ჯარისკაცები, განსაკუთრებით საშიში დამნაშავეები და პოლიტიკური პატიმრები იყვნენ მოთავსებულნი. თავისუფალი მოსახლეობა კუნძულზე ძალზე მცირერიცხოვანი იყო, რადგან საერთოდ, სახალინი მკაცრი ბუნებით გამოირჩევა და მტაცებელი ცხოველებიც იქ მრავლად არიან.

რუსეთ-იაპონიის ომის დასასრულს — 1905 წლის მაის-ივნისში, როდესაც იაპონელებმა რუსებს მანჯურიიდანაც და კორეიდანაც ფეხი ამოუკვეთეს, რუსულმა სარდლობამ მიიღო ინფორმაცია, რომ ტოკიოში სახალინზე შემოტევას გეგმავდნენ. კუნძულზე სასწრაფოდ ციმბირელ კაზაკთა ორი პოლკი გადაისროლეს, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, ამიტომ მალე საყოველთაო მობილიზაციაც გამოცხადდა: კატორღელებს იარაღი დაურიგეს და სპეციალურ ქვედანაყოფებად, ე.წ. „დრუჟინებად“ დაყვეს. ამგვარად, ოთხ ხევსურ ძმობილს ისევ ჯარისკაცობამ მოუწია; ერთ-ერთი მათგანი — ხირჩლა ცისკარაული „დრუჟინის“ მეთაურადაც კი აირჩიეს.

იაპონიის შეიარაღებულმა ძალებმა კუნძულ სახალინზე შეტევა 1905 წლის 7 ივლისს წამოიწყეს. როგორც ითქვა, იმ დროისათვის რუსული არმიის ძირითადი ნაწილი უკვე სავსებით დეზორგანიზებული იყო; ჯარისკაცებს საკმარისი იარაღიც კი აღარ ჰქონდათ, რომ ბრძოლა გაეგრძელებინათ. მიუხედავად ამისა, სოფელ კორსაკოვსკთან (დღევანდელი ქ. იუჟნო-სახალინსკი) იაპონელთა პირველი



**კორსაკოვსკის გარნიზონის მეთაური, კაპიტანი სიდორენკო (მარჯვნივ) ძმასთან ერთად. XX საუკუნის დასაწყისის ფოტო**

შეტევა რუსებმა მართალია გაჭირვებით, მაგრამ მაინც მოიგერიეს — მათ მტერი ახლოს მიუშვეს და ბომბები დაუშინეს. ორსაათიანი ბრძოლის შემდეგ, იაპონელებმა უკან დაიხიეს, თუმცა რასაკვირველია, შორს არ წასულან — სოფლიდან ორიოდე კილომეტრში დაიკავეს პოზიციები და სანგრების თხრას შეუდგნენ.

კორსაკოვსკში რუსებმა მომდევნო შეტევის მოგერიებისთვის იწყეს მზადება. კაპიტანმა სიდორენკომ, რომელიც სოფლის დაცვას ხელმძღვანელობდა, კუნძულის ჩრდილოეთში მდებარე არკოვსკის ციხესიმაგრეში შიკრიკი გაგზავნა და ყოველი შემთხვევისთვის, მაშველი ძალა და ტყვია-წამალი მოითხოვა. მას იმედი ჰქონდა, რომ სიტუაცია რუსთა სასარგებლოდ შეიცვლებოდა; თუმცა, სოფლის დამცველებში პანიკა მატულობდა — კატორღელებს ბრძოლა აღარც კი სურდათ და დანებებას აპირებდნენ, კაპიტანი კი მათ დახვრეტით ემუქრებოდა. ერთი სიტყვით, აშკარა იყო, რომ იაპონელთა განმეორებით შეტევას წინ ველარავინ აღუდგებოდა. არკოვსკიდან შიკრიკი გვიან საღამოს დაბრუნდა და თქვა, რომ მაშველი

**იაპონური ქვედანაყოფები კუნძულ სახალინზე გადადიან. 1905 წლის ფოტო**



ძალა მეორე დილით იქ იქნებოდა. ამის გამგონე კორსაკოვსკელებმა ძალა მოიკრიბეს და გადაწყვიტეს, რომ მაშველთა მოსვლისთანავე, იაპონელებისთვის შეეტიათ და კუნძულიდან საერთოდ განედევნათ.

სოფელი კორსაკოვსკი პატარა, მა-



**იაპონელი პოლკოვნიკი ნაკამურა ჰარაგუჩი**

გრამ თავდაცვითი ნაგებობებით კარგად გამაგრებულ დასახლებას წარმოადგენდა, რომლის ცენტრშიც ციხესიმაგრე იყო აღმართული. ხევსურ ძმადნაფიცებს, რამდენიმე სხვა ყოფილ კატორღელთან ერთად, სწორედ ამ ციხესიმაგრის დაცვა დაევალათ, ძირითადი ძალები კი სიდორენკომ ფლანგებზე განალაგა. კაპიტანი ვარაუდობდა, რომ თუკი იაპონელები შემოტევას მაშველთა მოსვლამდე წამოიწყებდნენ, წინააღმდეგობის გაწევას სამი-ოთხი საათი მაინც შეძლებდა. აღსანიშნავია ისიც, რომ მას ყველაზე მეტად შორს მსროლელი ქვემეხის იმედი ჰქონდა, რომელიც ციხესიმაგრეში იდგა; ამას გარდა, რუსებს სამი „მაქსიმის“ ტყვიამფრქვევიც ჰქონდათ.

სანამ კაპიტანი სიდორენკო პოზიციების მოწყობით იყო დაკავებული, ოთხმა ხევსურმა ერთმანეთს შეჰფიცა, რომ ბოლომდე ებრძოლათ და „იაპონცებისათვის“ თავიანთი ვაჟკაცობა დაემტკიცებინათ. მართალია, ეს მათი ომი არ იყო, მაგრამ დანებება ვერც ერთს ვერ წარმოედგინა: „ბოლომდე ვიბრძოლოთ და ვინც კი ჩვენ შორის ცოცხალი გადარჩება, დაე, ჩვენი ამბავიც მან გალექსოს!“ — უთქვამს ხირჩლა ცისკარაულს ძმადნაფიცებისთვის. ამაზე შეთანხმებულან თუ არა, შეტევაც მაშინ დაწყებულა — იაპონელებს კორსაკოვსკისთვის თავს დაევლოთ და სწორედ იმ მხრიდან უტევდნენ, საიდანაც კაპიტანი სიდორენკო მაშველთა მოსვლას ელოდა.

იაპონელმა პოლკოვნიკმა ჰარაგუჩიმ, რომელიც სამხრეთ სახალინზე, კერძოდ კი — კორსაკოვსკზე შეტევას მეთაურობდა, ჯაშუშების და დაზვერვის მეშვეობით შეიტყო, რომ რუსებს საკმარისი ცოცხალი ძალა არ ჰყავდათ; ამიტომ გადაწყვიტა, სასწრაფოდ შეეტია და სოფელი იქამდე აეღო, სანამ ჩრდილოეთიდან მაშველთა რაზმები ჩამოაღწევდნენ. პოლკოვნიკმა საკუთარი ძალები ორად გაყო — ერთმა ნაწილმა კორსაკოვსკს თავს დაუარა და მისგან ჩრდილოეთით, უღრან ტყეში განლაგდა, მეორე კი ძველ პოზიციებზევე დარჩა. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ რუს მზირებს ჩრდილოეთით შეიარაღებულ პირთა გადაადგილება არ გამოჰპარვიათ, მაგრამ ისინი არკოვსკიდან მომავალ მაშველებად ჩათვალეს და გონს მხოლოდ მაშინღა მოეგნენ, როდესაც რუსული „ურა!“-ს ნაცვლად, ჩრდილოეთის კარიბჭიდან იაპონური „ბანზაი!“ გაისმა.

ასე რომ, იაპონელებს კორსაკოვსკის აღება არც გასჭირვებიათ — ზარბაზანმა რამდენჯერმე კი დაიქუხა, მაგრამ მალევე შეჩერდა, რადგანაც ჭურვების მარაგი საკმარისი არ იყო. სოფლის დამცველებმაც კანტიკუნტად ისროლეს თოფები, მერე კი მათაც ტყვიები შემოელიათ და თეთრი დროშები აღმართეს. ცხადია, პოლკოვნიკმა ჰარაგუჩიმ ჩათვალა, რომ საქმე უკვე მორჩენილი იყო და მხლებლებთან ერთად, სოფლის ცენტრისკენ მედიდურად გაემართა. იქ დაბეჩავებული და ღირსებააყრილი კაპიტანი სიდორენკო ელოდა, რომელიც ყველაფერზე თანახმა იყო, ოღონდაც არ დაეხვრიტათ. მან ჰარაგუჩის მორჩილად მოუწერა ხელი კაპიტულაციის აქტზე, რომელიც იქვე, სახელდახელოდ შეადგინეს და ციხესიმაგრის შესასვლელისკენაც თავად წაუძღვა. აღსანიშნავია, როგორც იაპონელებს, ისე რუსებსაც ეგონათ, რომ ციხესიმაგრის დამცველები უკვე დახოცილნი იყვნენ; ვერავინ წარმოიდგენდა, თუკი ოთხი ხევსური ძმადნაფიცი სათვალთვალო კოშკის ბოლო სართულზე იმყოფებოდა და ხმლებმომარჯვებული, მტრის „ზედ მასვლას“ ელოდა.

პოლკოვნიკმა ჰარაგუჩიმ ციხესიმაგრე კაპიტან სიდორენკოს თანხლებით მოათვალიერა და სათვალთვალო კოშკთან შეჩერდა. ის XVIII საუკუნის ბოლოს იყო აგებული და მრავლად ნატყვიარიც აჩნდა. ჰარაგუჩიმ მდუმარედ შეავლო ხელი კოშკის კარს, მერე კი რატომღაც, ერთ-ერთ მხლებელს ანიშნა — პირველად შენ ადიო. იაპონელმა ჯარისკაცმა შაშხანა მოიმარჯვა და კიბეს აუყვა. მცირე ხნის შემდეგ მას მეორე ჯარისკაციც მიჰყვა, მერე მესამე, მეოთხე, მეხუთე და, მხოლოდ ამის შემდეგღა წავიდა ჰარაგუჩი. სულ რამდენიმე საფეხური თუ ექნებოდა ავლილი, როცა ზედა სართულიდან თავისი ჯარისკაცების განწირული ყვირილი შემოესმა. პოლკოვნიკმა ხმალი იშიშვლა და კიბეზე წამში აირბინა.

„კოშკის ბოლო სართულზე ჩემი ჯარისკაცები ჩასაფრებულ მეციხოვნეებს გადააწყდნენ და ფიცხელი ბრძოლა გაუმართეს. მე თვითონ ფარიკაობის ტრფიალად ვთვლი თავს და ბევრი ოსტატის ტექნიკას კარგად ვიცნობ, მაგრამ ისეთი ილეთები, როგორსაც ის მეციხოვნენი იყენებდნენ, არსად მენახა: ისინი იბრძოდნენ დინჯად, ყურადღებით ადევნებდნენ თვალს მოწინააღმდეგეებს და თანაც ყველა ხელსაყრელ მომენტს იყენებდნენ, რათა ამ უკანასკნელებისთვის სასიკვდილო დარტყმები მიეყენებინათ....“ — წერდა მოგვიანებით ჰარაგუჩი თავის მემუარებში. მისი აზრით, იაპონელმა ჯარისკაცებმა პისტოლეტებით სამი მათგანი მოკლეს, ერთი (ბეჟიტა ქერაული) კი დაჭრეს; თუმცა მანამდე „უცნაური ილეთებით მოფარიკავე მეციხოვნე რუსებმა“ მოუსავლეთში რვა იაპონელი გაისტუმრეს და, ცეცხლსასროლი იარაღი რომ არა, კიდევ მეტს დახოცავდნენ: „ისინი ნამდვილი ვაჟკაცები იყვნენ და ამიტომ დღესაც კი, როცა ამ სიტყვებს ვწერ, სევდა მიპყრობს, რომ ბედმა მათთან მტრობა მარგუნა და არა მეგობრობა. მერე ისიც გამოვარკვიე, რომ ეს საოცარი მებრძოლები კავკასიიდან იყვნენ“, — გულისტკივილით აღნიშნავს ჰარაგუჩი. მისი ბრძანებით, სამივე მოკლული ხევსური კორსაკოვსკში სამხედრო წესით — სალუტით დაკრძალეს, ხოლო ბეჟიტა ქერაულს კი უმკურნალეს და მერე რუსების მიერ დატყვევებულ იაპონელში გაცვალეს. საბოლოოდ, იგი საქართველოში მხოლოდ 1906 წელს დაბრუნდა და ძმადნაფიცებისადმი მიცემული პირობის თანახმად, თავს გადახდენილი ამბები გალექსა.

# და კვლავ ყველაფერი რიგზეა...

**გრძნობები ქორწინების შემდეგ არ ცივდება, უბრალოდ, ტემპერატურა ნორმალური ხდება. იყავი რეალისტი და საყვარელი მეუღლისგან ნუ მოითხოვ, რომ იგი მუდამ ანთებული იყოს დაუოკებელი ემოციებით, თორემ... გადაიწვება. თუმცა, იოლი როდია, მისგან უყურადღებობას, გულგრილობას გრძნობდე და თავი ისე დაიჭირო, თითქოს არაფერი ხდება. ზოგჯერ, მისმა ინდიფერენტულობამ და შენმა სურვილმა — ძველებურად ერთადერთი და განუმეორებელი იყო შენი რჩეულისთვის, შეიძლება ღალატიც კი გაფიქრებინოს. არ გირჩევთ, ღალატი შვებას ვერ მოგიტანს — პირიქით, უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდები და შესაძლებელია, ეს ნაბიჯი მთელი ცხოვრების მანძილზე სანანებელი გაგიხდეს. ეცადე, მოიფიქრო უფრო დახვეწილი და მოქმედი მექანიზმი, რათა იგი ძილბურანიდან გამოიყვანო. გამოიყენე ეჭვის ჯანსაღი ფორმა — აიძულე ქმარი, იეჭვიანოს უსაფუძვლოდ — ანუ „უღალატე“ მას ისე, რომ.... არ უღალატო.**



● მას დიდი ხანია, არ უჩუქებია შენთვის „მილიონი ალისფერი ვარდი“, მაგრამ პრაქტიკული საოჯახო ნივთების შეძენა არ ავიწყდება... შენთან საუბრისას ძალზე „იღლება“ და ხშირად გიწევს მისი ზურგის ცქერა. „ნუთუ აღარ ვუყვარვარ? უფრო, ალბათ შემეჩვია, ე.ი. დროა, შევაფუცხუნო“, — ფიქრობ შენ.

● ის ვერ გხედავს, უფრო სწორად, ვერ გამჩნევს. შენ მისთვის უკვე — არა საჩუქარი, არამედ ყოველდღიური ცხოვრების დეტალი ხარ. ის დამოუკიდებლად ვერ პოულობს ოთახის ჩუსტებს, მაგრამ ჩუსტების მოსაძებნად, შენი პოვნა არ უჭირს... მაშ ასე: შეცვალე დღის განრიგი! ხშირად ისეირნე, ესტუმრე მეგობრებს, ნათესავებს, შეყოვნდი სამსახურში ან ადრე წამოდი, ოღონდ არა — საოჯახო საქმეების მოსაგვარებლად: შეიარე სალონში, მაღაზიებში, ჩაეწერე სპორტულ სექციაში, იარე საცურაო აუზზე... როცა გკითხავს, — „სად იყავი აქამდე?“ — სიმართლე უთხარი, ოღონდ ისე, რომ შეექმნას შთაბეჭდილება, თითქოს ატყუებ. ე.ი. მოიქეცი ისე, რომ ქმარმა „ყურები ცქვიტოს“ და ყურადღება გააორმაგოს.

● ის შენ არ გისმენს, როცა რაიმეს მოყოლას ცდილობ და მომაბეზრებლად აწკაპუნებს კომპიუტერის კლავიატურას... არ გისვამს შეკითხვებს და არ სურს საინტერესო დეტალების გაცნობა. იმოქმედე ანალოგიურად. ნუ დაურეკავ სამსახურში. არ დაინტერესდე, რომელ საათზე მოვა შინ. თუკი ათასში ერთხელ, ლაპარაკი საღერღელი აეშლება და მეგობრებისგან მოსმენილი უკბილო ანეკდოტების მოყოლას დაიწყებს, გააწყვეტინე მოკლე, თანაც არაადეკვატური ფრაზებით. მაგალითად: „ნეტავ, რა მოხდა წინა სერიაში?!“ — და საერთოდ, თავი დაბნეულად მოაჩვენე. შაქრის მაგივრად, ყავაში შემთხვევით მარილი ჩაუყარე და მერე მოუბოდიშე. შემდეგ სახე აარიდე და ღიღინი წამოიწყე. ძალზეც ნუ გადაამლაშებ. ამ თამაშის საბოლოო მიზანი ისაა, რომ მას ეჭვი შეეპაროს შენს ჩვეულ ხელგარჯილობაში. შეწყვიტე მასთან ყოველდღიური პატაკების ჩაბარება ბავშვების ყოფაქცევაზე, ბაზრის ფასებზე, ვინაიდან ეს იმას მიანიშნებს, რომ კვლავ ყველაფერი რიგზეა. დარწმუნებული იყავი, ასეთი ცვლილების შემდეგ, იგი შესამჩნევად გალიზიანდება და შესაძლოა, საგონებელშიც კი ჩავარდეს.

● ის მოსაწყენად დუმს შენთან. სამაგიეროდ, სხვაგან კომპანიის სული და გულია. იმოქმედე იმავე მეთოდით: იკისკისე, იხუმრე — მის მეგობრებთან, მშობლებთან, ნათესავებთან სტუმრად ყოფნის დროს თუ დაქალებთან ტელეფონით საუბრისას. მასთან განმარტოებული კი საეჭვოდ დადუმდი. მამაკაცისთვის ეს სერიოზული გამოცდაა — „სხვებთან თუ ასე მხიარულობს, ჩემთან რა ენა უვარდება? იქნებ ისინი უფრო საინტერესოდ ეჩვენებიან, ვიდრე მე?“ — ეს კითხვები მას უსათუოდ ააფორიაქებს.

● შენს მცდელობას, საყვარელი მეუღლე გამოაფხიზლო, აუცილებლად სჭირდება „ვიზუალური შეტევის“ გამოყენებაც. სამსახურში წასვლისას ჩაიცვი უფრო გამომწვევად, ვიდრე უწინ. ახლომდებარე მაღაზიაში გასვლისას დროსაც კი არ დაივიწყო მაკიაჟი. მამაკაცები, როგორც წესი, ვერ ამჩნევენ ცოლების ჩაცმულობის დეტალებს, მაგრამ მათი საერთო აზრი მხედველობით ფოკუსირდება. შეგიძლია, ექსტრავაგანტური თეთრეულიც შეიძინო. მას აზრადაც არ მოუვა, თუ ეს ყველაფერი მისთვის კეთდება და თავისთავად გაუჩნდება კითხვა — „ვისთვის იპრანჭება ასე, ამდენი ხნის თანაცხოვრების შემდეგ?“

### შედეგი

როგორ არის საქმე? უკვე გხვდება სამსახურიდან გამოსულს, როგორც უწინ? გეპატიჟება თეატრსა და რესტორანში? განაახლა სპორტული დატვირთვები? პირის ყოველდღიურად პარსვა და ფორმაში ყოფნა მოუნდა? ძალიან კარგი, ე.ი. შენმა ტაქტიკამ შედეგი გამოიღო. ახლა უკვე საკმარისია. შეიბრალე იგი! ■




# ვარჯიშები ფეხებისთვის

**ლამაზი ფეხები ერთი ქალის ფასიაო, — უთქვამთ... ამიტომ მათი ჯანმრთელობისა და სილამაზისთვის განსაკუთრებულად უნდა იზრუნოთ. აი, რას გვირჩევენ სპეციალისტები:**



## დილის ენერგიული ვარჯიში

√ ჩამოჯდექით საწოლის კიდეზე, მარჯვენა ფეხისგული მიიტანეთ მარცხენა ფეხისგულთან და 5 წუთის განმავლობაში იზილეთ. შემდეგ იგივე გაიმეორეთ მარცხენა ფეხით. ენერგიის მოზღვავებას აშკარად და თანაც მაშინვე იგრძნობთ.

√ დილით სასურველია, მიიღოთ ფეხის კონტრასტული აბაზანა. ის აუმჯობესებს კანის ელასტიკურობას და ასტიმულირებს სისხლის მიმოქცევას.

√ კარგი იქნება, თუ ყოველ დილით 15 წუთით მაინც გაისეირნებთ სუფთა ჰაერზე. დილით სეირნობა ამაგრებს ვენებს, ფეხის კუნთებს, აძლიერებს ამტანობას.

√ შეეცადეთ უარი თქვათ ლიფტითა და ესკალატორით სარგებლობაზე, რადგან კიბეზე ასვლა შესანიშნავი ვარჯიშია ფეხებისთვის.

## ბუნებრივი ტრენინგი დღის განმავლობაში

• რამდენჯერმე აიწიეთ და დადექით თითის წვერებზე, რადგან ამ დროს მთელი სხეულის სიმძიმე სწორედ ფეხის თითებსა და ქუსლებზე გადადის. შეეცადეთ, ათჯერ მაინც გაიმეოროთ ეს ვარჯიში.

• დადექით სწორად, შეეცადეთ, რომ ფეხის თითები რამდენჯერმე ზემოთ ასწიოთ. ამ ვარჯიშის დროს იჭიმება წვივის კუნთები. შემდეგ კი შეეცადეთ, 20 ნაბიჯი მაინც გაიაროთ ფეხის ქუსლებზე.

## საღამოს პროგრამა — მასტიმულირებელი აბაზანა

აიღეთ 3 ჩ/კ მდოგვის ფხვნილი და აურიეთ ცოტა ცივ წყალში. მიღებული მასა ჩაასხით თბილწყლიან აბაზანაში. ქუსლები მასში 10 წუთით მაინც გააჩერეთ, შემდეგ კი ცივი წყლით დაიბანეთ. ამგვარი აბაზანა არა მარტო დაღლილობას მოგიხსნით, არამედ მთლიანად სიმსუბუქის შეგრძნებას შეგიქმნით. ■

# არატრადიციული მედიცინა

აღმოსავლეთის ქვეყნების კლინიკებსა და სანატორიუმებში პაციენტებს მორიელებით, გველებით, კუებითა და სხვა არატრადიციული მეთოდებით კურნავენ.

ანშარას (აღმოსავლეთი ჩინეთი) სანატორიუმის პაციენტებს რამდენიმე საათით ტალახში აწვენენ. მინერალებით გაჯერებული ქვიშა სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ გამოიყენება.

ჩინეთში რინიტს ფუტკრის ნაკბენით მკურნალობენ. ფუტკრის შხამითვე განიკურნება ართრიტი და რევმატიზმი. ხოლო მკურნალ ხაჯ ელ-მინუავის აზრით, ფუტკრის ნაკბენს მრავალი დაავადების, მათ შორის კიბოს განკურნებაც კი შეუძლია.

Garra rufa obtusas — თევზი-ექიმის სახელითაა ცნობილი. იგი ტოკიოს ერთ-ერთ ზღვისპირა კურორტზე ბინადრობს. თევზი პაციენტის მკვდარი კანით იკვებება და ამით მას კანის დაავადებებისგან ათავისუფლებს.

ადი ბარაკის სალონში შიშის დასაძლევად პაციენტებს ტანზე სამეფო გველებს ადებენ. ქვეწარმავლებთან ფიზიკური კონტაქტის შემდეგ ავადმყოფი იკურნება. ამ სალონშივე მკურნალობენ მკვდარი მორიელებით.



ჯანგ მუშენგი 20 წლის წინ მუცლის ტკივილისა და ხველებისგან იტანჯებოდა. ვიღაცამ ხის ბაყაყის ჭამა ურჩია და მამაკაცი განიკურნა. ახლა 66 წლის ჩინელი ხალხს ყველა დაავადების დროს ბაყაყების ჭამას ურჩევს.

ინდოეთის ქალაქ ხაიდარაბაში ასთმით დაავადებულებს ცოცხალ ლიფსიტებს აყლაპებენ.

არატრადიციულ მედიცინას კაიროშიც მიმართავენ. 41 წლის მუჰამედ ემადი ზაფხულის ერთ ცხელ დღეს ქვიშაში „ჩამარხეს", რის შემდეგაც მამაკაცი რევმატიზმის, სახსრების ტკივილისა და იმპოტენციისგან განიკურნა.

ძველ ეგვიპტეში მრავალ სნეულებას წურბლებით მკურნალობდნენ. დღეს ამ ქვეყნის არაერთ კლინიკაში სისხლის დაავადებასა და იმუნურ სისტემას ძველებური მეთოდით კურნავენ. ■

## გუფთა ბოსტნეულით

**მასალად საჭიროა:**

500 გ კომბოსტო;
1 თავი ხახვი;
400 გ კარტოფილი;
500 გ ჭარხალი;
1 ლ ხორცის ბულიონი;
მარილი, პილპილი გემოვნებით;
300 გ ხორცის ფარში;
3-4 ს/კ დაფქული ორცხობილა;
1 ცალი კვერცხი;
1 შეკვრა ოხრახუში
1-2 ცალი დაფნის ფოთოლი;
150 გ არაჟანი;
1 ს/კ ლიმონის წვენი.



**მომზადების წესი:**

დაჭერით კომბოსტო და ხახვი წვრილად, კარტოფილი და ჭარხალი კი — კუბურებად.

ბოსტნეული ჩააწყვეთ ბულიონში, დაუმატეთ მარილი, პილპილი, დაფნის ფოთოლი და ხარშეთ 45 წთ.

ფარშს შეურიეთ კვერცხი და დაფქული ორცხობილა. დაუმატეთ მარილი, პილპილი, მოამრგვალეთ პატარა ბურთულებად და ხარშვის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე ჩაუშვით ბულიონში.

არაჟანში შეურიეთ ლიმონის წვენი და კერძს მოასხით. გაალამაზეთ ოხრახუშის ფოთლებით. ■

*რუბრიკა მოამზადა*
*ეკა გუნთაიშვილმა*

# გრძელი და მოკლე ფრჩხილების ისტორია

ძველად მიაჩნდათ, რომ ადამიანის თმა და ფრჩხილები მაგიურ ძალას ფლობდნენ. ძველი ეგვიპტელები საკულტო რიტუალებში ადამიანის სისხლთან ერთად, თმასა და ფრჩხილებს იყენებდნენ. ებრაელთათვის ფრჩხილები დემონურ ძალასთან ასოცირდებოდა, ამიტომ ფრჩხილებს ძირში იჭრიდნენ. ასევე იქცეოდნენ მადაგასკარზე მცხოვრები ერთ-ერთი ტომის წარმომადგენლები. მათ ეშინოდათ, რომ გრძელ ფრჩხილებში ავი ძალები ჩასახლდებოდნენ.

ძველ ჩინეთში პირიქით იყო — გრძელი ფრჩხილები ღვთიურ ძალასა და სიბრძნესთან ასოცირდებოდა. ძველ ეგვიპტეში ადამიანის წარმომავლობის განსაზღვრა ფრჩხილების სიგრძით შეიძლებოდა: გრძელი — სამეფო ოჯახის წარმომადგენელს ჰქონდა, მოკლე — მონას. XVI საუკუნეში ევროპაში, ინკვიზიციის დროს მანდილოსნები ფრჩხილებს მოკლედ იჭრიდნენ, რადგან გრძელფრჩხილიან ქალებს ჯადოქრობაში ადანაშაულებდნენ და კოცონზე წვავდნენ.

ძველად ახალშობილს პირველად წამოზრდილ ფრჩხილებს არ აჭრიდნენ, დედა აკვნეტდა: მიაჩნდათ, რომ თუ ასე არ მოიქცეოდნენ, შვილი ქურდი გაიზრდებოდა. მოგვიანებით ამოსულ ფრჩხილებს ბავშვს ჩვეულებრივად აჭრიდნენ და კოპიტის ქვეშ მიწაში ფლავდნენ, რათა შვილი ავი სულებისგან დაეცვათ.

დაბოლოს, მსოფლიოში ყველაზე გრძელი ფრჩხილები ინდოელ შრიდხარ ჩაილალს აქვს. მამაკაცი ფრჩხილებს მხოლოდ მარცხენა ხელზე იზრდის. მისი საერთო სიგრძე 6 მეტრი და 15 სმ-ია. ამერიკელი ლი რედმონდი ფრჩხილებს ორივე ხელის თითებზე 1979 წლიდან იზრდიდა. ერთხელ იაპონურ შოუში მიიწვიეს და 10 ათასი დოლარი შესთავაზეს, თუ ფრჩხილებს პირდაპირ ეთერში მოიჭრიდა. ლის თითოეული ფრჩხილის სიგრძე 90 სმ-ს აღწევდა. 2009 წელს ქალი ავარიაში მოყვა და გრძელი ფრჩხილების გარეშე დარჩა. ■



# შრი-ლანკა — ძვირფასი თვლების საბადო

შრი-ლანკა ჩაის პლანტაციებით არის ცნობილი, მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ ამ ქვეყანაში ძვირფას თვლებსაც მოიპოვებენ. ეს საკმაოდ მძიმე და შრომატევადი სამუშაოა. მოხალისეები თავდაპირველად, მდინარის მახლობლად მდებარე 7-მეტრიან შახტებს ძველებურად — ნიჩბითა და წერაქვით თხრიან; მიწა კალათებით ამოაქვთ და მდინარის გამდინარე წყალში რეცხავენ. თუ შახტაში ერთ ძვირფას თვალს მაინც მიაკვლიეს, ორმოს სიღრმე 30 მეტრამდე იზრდება. შესაძლოა, ერთ ჯერზე ერთი ან რამდენიმე ძვირფასი თვალი იპოვონ. მაგრამ ზოგჯერ მთელი თვე უშედეგოდ შრომობენ. საბადოზე სამუშაოდ მთავარია, ჰქონდეს ლიცენზია, რომლის აღება ნებისმიერ მსურველს (წელიწადში 5 ათასი დოლარი ღირს) შეუძლია.

ძველად შრი-ლანკას სერენდიპი ანუ — „ძვირფასი თვლების კუნძული" ექვა. ამ სახელითაა იგი მოხსენიებული „სინდბადის მოგზაურობასა" და „1001 ღამის" ზღაპრებში. შრი-ლანკაზეა ნაპოვნი 400-კარატიანი საფირონი „ცისფერი ლამაზმანი", რომელიც ინგლისის დედოფლის გვირგვინს ამშვენებს, ხოლო 536-კარატიანი „ინდოეთის ვარსკვლავი" ნიუ-იორკის მუზეუმში ინახება. იგი რატნაპურიში აღმოაჩინეს. ამ ქალაქში ძვირფასი ქვების მოპოვება დღესაც მიმდინარეობს. შრი-ლანკაში 200 სახეობის, სხვადასხვა შეფერილობის ძვირფას თვალს მოიპოვებენ. მაგალითად, ძოწს, რომელსაც ფერის მიხედვით არქმევენ სახელს: ალმადინი (წითელი), როდოლიტი (ვარდისფერ-წითელი), სპესარტიტი (მოწითალო-მოყავისფრო); მომწვანო-მოყვითალო ალექსანდრიტი, ოქროსფერი ბერილი და ა.შ.





დამუშავების შემდეგ ქვები მალაზიაში მიაქვთ. ნამდვილი და ყალბი ქვის ერთმანეთისგან გარჩევა ძალიან რთულია. მაგალითად, სასურველი ფერის მისაცემად, საფირონებს აცხელებენ; ნამდვილი სითბურ დამუშავებას არ საჭიროებს და ძალიან ძვირიც ღირს. ერთი კარატის ფასი 10 ათასი დოლარია. ■

რუბრიკა მოამზადა
რუსუდან გელაშვილმა

ანტიდეპრესანტი

# გზაში საკითხავი კოლაჟი

ქრქმლენელი თემყო ივანიძე

1. კოიტოფობია ინტიმური ურთიერთობის შიშია.

2. მენდელეევი 72 წლის ასაკში გრიპისგან გარდაიცვალა.

3. ლოს-ანჯელესში, დიდების ხეივანზე, იხვი დონალდის ვარსკვლავია გახსნილი.

4. „ბერეჟონნავა ბოგ ბერეჟოტ, ნე ბერეჟონნავა კანვოი სტერეჟოტ“, — ამბობენ რუსები.

5. იოჰან შტრაუსის ვალსი „მშვენიერ ცისფერ დუნაიზე“ ავსტრიის არაოფიციალურ ჰიმნად არის აღიარებული.

6. ჯონ ტეილორი შეერთებული შტატების ყველაზე მრავალშვილიანი პრეზიდენტი იყო. პირველ ცოლთან მას 8 შვილი ჰყავდა, მეორესთან — 7. ნაბოლარა შვილი მას 70 წლის ასაკში შეეძინა.

7. ხრუშჩოვის დროს პოპულარული იყო ასეთი ლექსი: „ზატო მი სტროიმ რაკეტი/ ი პავარაჩივაემ ენისეი/ ზატო მი ვ ობლასტი ბალეტა/ ვპერედი პლანეტი ვსეი“.

8. „საკუთარი იდეების მომხმარებლისთვის თავზე მოხვევა და მისგან აღფრთოვანების გამოხატვის მოლოდინი — ეს არის ნებისმიერი დიზაინერის ცისფერი ოცნება“, — ამბობენ ამერიკელები.

9. მუჰამედ ალიმ უარი თქვა ვიეტნამის ომში წასვლაზე და საქვეყნოდ გამოაცხადა, ვიეტკონგელებს ჩემთვის „ნიგერი“ არასდროს დაუძახიათ და ეს საერთოდ არ არის ჩვენი ომიო.

10. მინიატიურული ტერფების მქონე ქალები სილამაზის ეტალონად ითვლებოდნენ ჩინეთში. დედები თავიანთ ქალიშვილებს ბინტით უხვევდნენ ტერფებს, რომ 10 სანტიმეტრზე დიდი არ გაზრდოდათ.



11. ჯუზეპე ვერდის „ოტელოს“ პრემიერის შემდეგ აღფრთოვანებულმა მილანელებმა ტაშისკვრითა და ოვაციებით სასტუმრომდე მიაცილეს კომპოზიტორი.

12. II მსოფლიო ომის დროს გერმანელების თვალის ასახვევად ინგლისელებმა კენტის საგრაფო მძიმე სამხედრო ტექნიკის მულაჟებით გაავსეს, რათა ფაშისტებს ჰგონებოდათ მოკავშირეები საფრანგეთში შესაჭრელად კალეში აპირებენ გადასხდომასო. გერმანული დაზვერვის მფრინავებმა საკუთარი თვალით იხილეს ჯავშნოსნები და ტანკები, რომლებიც სინამდვილეში რეზინის გასაბერ ბუტაფორიებს წარმოადგენდა და უკან მუხლუხების ხელოვნურად გაკეთებული კვალი მიჰყვებოდათ. მანევრმა გაჭრა, ფაშისტები მოტყუვდნენ და ნორმანდიაში გადამსხდარ მოკავშირეებს სათანადოდ მომზადებულები ველარ დახვდნენ.



# როგორ დაკარგა რევაზ ჩელებაძემ ნახევარი მილიონი

**საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ, რევაზ ჩელებაძემ სხვადასხვა სფეროში მოსინჯა ძალები და ბოლოს საფეხბურთო მენეჯერობაზე შეჩერდა. თავის დროზე, მისი ხელშეწყობით, რუსულ თუ უკრაინულ კლუბებში რამდენიმე ქართველი ფეხბურთელი მოხვდა, მაგრამ ჩელებაძის ყველაზე წარმატებული „პროექტი“ — მოსკოვის „სპარტაკში“ ჯანო ანანიძის ტრანსფერი იყო. სწორედ, თბილისის „დინამოსა“ და საბჭოთა კავშირის ნაკრების ყოფილ ფორვარდს უკავშირდება რუსეთის ყველაზე პოპულარულ გუნდში ახალგაზრდა ნიჭიერი ფეხბურთელის მოხვედრა. ჩელებაძე მოსკოვში ანანიძეს ხშირად სტუმრობს და მორიგი ვიზიტის დროს ერთ-ერთ რუსულ გამოცემასთან გულახდილად ისაუბრა.**

## „თვალებში დამიბნელდა და არბიტრს ძალიან ცუდი რამ გავუკეთე“

**— საკუთარი ცხოვრება მოგწონთ? მუდმივად გზაში ხართ.**

— რა ვქნა? მიხდება ჩემი წონის, 150 კილოგრამის აქეთ-იქით ტარება. მწვრთნელი მე ველარ გავხდები, მით უმეტეს, რომ რიგითი მწვრთნელობა არ მსურს, ხოლო გენიალურები ერთეულები არიან.

**— ნოდარ ახალკაცი გენიალური იყო?**

— გრანდიოზული ტვინის პატრონი! უჭკვიანესი ადამიანი! ვიცი, რომ ინსტიტუტში გამოცდებს ისე აბარებდა, საერთოდ არ ემზადებოდა, — მიდიოდა, კორიდორში ვიღაცა ჩასაბარებელი საგნის შინაარსს მოუყვებოდა და ნოდარი ხუთიანს იღებდა; ისინი კი, რომლებიც საგანს მთელი ღამე იზეპირებდა — სამიანს. მახსოვს, როგორ მოდიოდა „დინამოში“ ხალხი საქართველოს კომპარტიის ცეკადან. ედუარდ შევარდნაძე რაღაცას ლაპარაკობდა, ხოლო შემდეგ ახალკაცი ადგებოდა და ისეთ სიტყვას იტყოდა, რომ ყველანი სიმაღლეში „იკლებდნენ“. მისი ლოგიკა, მისი საუბრის მანერა... როგორც მწვრთნელი, ძალიან მკაცრი იყო.

**— ახალკაცს წონასთან დაკავშირებით თქვენი პრობლემები აღიზიანებდა?**

— როდესაც მეორედ „დინამოში“ დავბრუნდი, წონასთან დაკავშირებული პრობლემა მქონდა. მანამდე სამი სეზონი ბათუმის „დინამოში“ ვთამაშობდი და სირბილი საერთოდ არ მჭირდებოდა. შემეძლო დამელია, მომეწია, 150 კილოგრამი ვყოფილიყავი, მაგრამ მაინც საუკეთესო დავრჩენილიყავი... მივედი „დინამოს“ ექიმთან და ვუთხარი: ჩაწერე, რომ 80 კილოგრამი ვარ-მეთქი. — რეზო, ახალკაცი მომკლავსო, — მიპასუხა. შენთვის რა მნიშვნელობა აქვს, ის მოგკლავს თუ ახლა მე მოგკლავ-მეთქი?!. ვივარჯიშე და ახალკაცმა ხელი მომკიდა და სასწორთან მიმიყვანა, რომელმაც უჩვენა, რომ 85 კილოგრამს ვიწონიდი — ე.ი. ვარჯიშზე 5 კილოგრამი „მომიმატებია“. ახალკაცი



აფეთქდა: ექიმი მომიყვანეთო!..

**— პირველად „დინამოს“ როგორ დაშორდით?**

— ფოთში ამხანაგურ შეხვედრას ვატარებდით. მეორე მწვრთნელმა — სერგო კუტივაძემ მოედანზე არ შემიყვანა. როდესაც ამის მიზეზი ვკითხე, მიპასუხა, რომ უმჯობესი იქნებოდა, მთავარი მწვრთნელისთვის მეკითხა. ახალკაცი საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ერთად შეკრებაზე იყო წასული და თურმე დაუბარებია, რომ „დინამოში“ ახალგაზრდა ფეხბურთელები ეთამაშებინათ. ჩანთა ავიღე და სახლში წავედი. ახალკაცი რომ დაბრუნდა, განცხადება დავუდე წინ, — ფეხბურთიდან მივდივარ-მეთქი. მას არც უფიქრია, რომ აზრი შეეცვლევინებინა.

**— გინდოდათ კარიერის დამთავრება?**

— დარწმუნებული ვიყავი, რომ დავამთავრებდი. მაგრამ ედუარდ შევარდნაძის ძმამ, ევგრაფიმ „გამომიჭირა“ და ლანჩხუთის „გურიაში“ წამიყვანა. არადა, „სპარტაკში“ უნდა წავსულიყავი, — სულელი ვიყავი. „გურია“ საბჭოთა კავშირის პირველ ლიგაში მე-19 ადგილზე იმყოფებოდა. ჩემთან ერთად კი 8 ტურში 6 მატჩი მოიგო და ორი ფრედ

დაასრულა. მერე სმოლენსკში მსაჯი ვცემე.

— **რატომ?**

— მოედნის ცენტრში ბურთი სასტვენის გარეშე გავითამაშეთ და ყვითელი ბარათი მომცა. მეტოქის საჯარიმოში წამაქციეს და მსაჯმა სუფთა პენალტი არ დანიშნა. პირიქით, მითხრა, რომ დამნაშავე მე ვიყავი. გაბრაზებულმა ბურთი მოედანზე დავახეთქე და წითელი მომცა. ეს რომ დავინახე, თვალთ დამიბნელდა — არბიტრს ძალიან ცუდი რამ გავუკეთე.

— **დაარტყით?**

— არა, ხელი ვკარი. ხელის კვრა ისეთი ვიცოდი, რომ ყველაზე ძლიერი მცველები მიწაზე ეცემოდნენ. მსაჯიც მოცელილივით დაეცა. ჩემთვის სამუდამო დისკვალიფიკაციის მიცემა უნდოდათ. „გურიის“ მაშინდელი მწვრთნელი, მურთაზ ხურცილავა მოსკოვში გაემგზავრა და საკავშირო ფედერაციის მაღალჩინოსნებს სთხოვა, რომ სამუდამო დისკვალიფიკაცია არ მოეცათ. კვლავ გადავრჩი.

— **რატომ კვლავ?**

— ჩემთვის სამუდამო დისკვალიფიკაციის მოცემა მანამდეც უნდოდათ. ლენინგრადში „დინამოს“ დუბლშემადგენლობაში ვთამაშობდი. გუნდში ჩემთან ერთად, თენგიზ სულაქველიძე და მიხეილ მესხი-უმცროსი იყვნენ, ხოლო „ზენიტში“ პატარა ბიჭები თამაშობდნენ. პირველი ტაიმი 0:3 წავაგეთ. შესვენებაზე გასახდელში ახალკაცმა ისე გვიყვირა, რომ მეორე ტაიმის საწყის 15 წუთში ანგარიში გავათანაბრეთ, ხოლო შემდეგ მსაჯმა კიდევ 3 ბურთი არ ჩაგვითვალა. მატჩის ბოლო წუთზე მესხი ერთ მეტოქეს გასცდა, პასი მომცა და გოლი გავიტანე, მაგრამ მსაჯმა ესეც არ ჩათვალა. გვერდითი მსაჯისკენ წავედი; გაიქცა, თან შორიდან მთავარ არბიტრს დაუძახა, — ჩელებაძემ დედა შემაგინაო! ვხედავ, წითელი ბარათი მიჩვენეს, ხოლო ტრიბუნებიდან მესმის, — ქართველო, შე ისეთო და ასეთოო!.. გულშემატკივრებისკენ საჩხუბრად გავიწიე, ჯებირს გადავახტი და იმ სექტორში ვინც იჯდა, ყველა გაიქცა. მოკლედ, ისეთი რამ ხდებოდა... ბოლოს, ჩვენი ფეხბურთელები დამეწივნენ, ხელები გადამიგრიხეს და გასახდელში შემიყვანეს. 5-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მომცეს.

— **„ვოლგით“ დიდხანს დადიოდით?**

— დიახ. თან, ნომერი მქონდა — 00-11. მესხი-უმცროსს BMW ჰყავდა, ხოლო 1986 წელს, მოსკოველი მეგობრები დამეხმარნენ 10 წლის „ვოლვოს“ შეძენაში. თბილისში ერთადერთი „ვოლვო“ იყო. ორი კვირა ვიარე, შემდეგ კი ცეკაში გამომიძახეს და ლანძღვა დამიწყეს: ეს რა არის?! საიდან ასეთი ავტომობილებიო?!. გუნდი ცუდად თამაშობდა და ეს პრეტენზიებიც ამით იყო გამოწვეული. „ვოლვოს“ ფასი — 28.000 მანეთი გადახდილი არ მქონდა და სიტუაციის ასახსნელად, მეგობრებს დავურეკე. რეზო, არ ინერვიულო, ყველაფერი კარგად გვესმის, მანქანას უკან წავიყვანთო, — მითხრეს.

— **მქხმაც დააბრუნა?**

— მიშამ ყველა „ერთ ადგილას“ გაუშვა და კვლავ BMW-თი დადიოდა.

— **ის ნარკოტიკმა დალუპა?**

— დიახ. უდიდესი ტალანტი იყო. ბოლო დრომდე ნორმალურად გამოიყურებოდა, საფეხბურთო სკოლის დირექტორად მუშაობდა. ვერ ვიტყვი, რომ ნარკომანი იყო.

— **ვიტალი დარასელიას გვამს 13 დღე რატომ ეძებდნენ?**

— ვიტალი მეგობართან ერთად მიდიოდა. როდესაც ავტომობილი მდინარეში გადავარდა, მის მეგობარს კისრის მალა გადაუტყდა და უცებ გარდაიცვალა. ის სწრაფად იპოვეს. ვიტალიმ გონება დაკარგა და მანქანიდან გადმოვარდა. წყლიდან მალევე რომ ამოეყვანათ, შესაძლოა, გადარჩენილიყო. ისე კი წყალმა დაახრჩო. დინება ისეთი ძლიერი იყო, რომ დარასელია ორი კილომეტრის მოშორებით წაიღო. მეცამეტე დღეს ძაღლმა იპოვა. სხეული ქვიშაში იყო ჩაფლული და მხოლოდ ხელის ორი თითი ჩანდა.

— **არ გიცდიათ ბიზნესმენი გამხდარიყავით?**

— ვცადე რომელია, მაგრამ არც ერთხელ არ გამიმართლა. მაშინ მენეჯერობა რომ დამეწყო, ახლა ძალიან შეძლებული ვიქნებოდი. მე კი თურქეთში რაღაც ნივთები დამქონდა — ვაგონებით, მანქანებით, გემებით; რუსეთში ჩაის ვგზავნიდი. ერთხელ 500 ტონა მანდარინი ჩამოვიტანე და დალპა.

— **სად?**

— ტუაფსეში. იქ შტორმის დროს პორტში გემებს არ აყენებდნენ. შტორმი კი ორი კვირა გაგრძელდა. გაკოტრების პირას ვიყავი. ნახევარი მილიონი დოლარი დავკარგე; პლუს, ამ საქმეში ამდენივე ფული ჩადეს ნაცნობებმა, რომლებმაც გემი დაიქირავეს. საფეხბურთო ავტორიტეტის წყალობით დავდექი ფეხზე. გარ-



ანტიდეპრესანტი

# გზაში საკითხავი კოლაჟი

მომზადებული თემურ ივანიძე

13. მას შემდეგ, რაც იაპონიისთვის ომის გამოცხადების სანაცვლოდ საბჭოთა კავშირს კურილიის კუნძულები გადაეცა, იქაურობა 17 ათასმა იაპონელმა დატოვა. კუნძულებზე დღესაც არის იაპონელთა საცხოვრებელი სახლები.

14. 1940 წელს გერმანელების მიერ ლონდონის დაბომბვის დროს ძალზე გართულდა ზოოპარკის ევაკუაცია. ქალაქის მუნიციპალიტეტი იძულებული გახდა, განკარგულება გაეცა, გაენადგურებინათ ზოოპარკის ბინადარი შხამიანი ქვეწარმავლები და ობობები, რადგან მორიგი დაბომბვის შემდეგ ისინი ქალაქის ქუჩებს არ მოსდებოდნენ.

15. პოეტი არხიტი იმდენად მორცხვი იყო, რომ ხმამაღლა არასდროს წარმოუთქვამს არც ერთი სალანძღავი სიტყვა. თუკი რაიმე გარემოება აიძულებდა დაერღვია ჩვეულება, პოეტი კედელზე წერდა უცენზურო სიტყვას და შემდეგ წარწერაზე მიუთითებდა შეურაცხმყოფელს.

16. კენედის პრეზიდენტობის დროს ლასვეგასში შავკანიან მსახიობებსა და მომღერლებს იმ კაზინოების სასტუმროებში ცხოვრება ეკრძალებოდათ, რომლებშიც გამოდიოდნენ. ისინი სასტუმროს გვერდით აჩერებდნენ თავიანთ ტრაილერებს და ღამეს იქ ათევდნენ.

17. ზაქარია ფალიაშვილის „დაისში“ ქორეოგრაფიული ნომრები ილიკო სუხიშვილმა დადგა. პრემიერაზე, როცა ვანო სარაჯიშვილმა „თავო ჩემო“ შეასრულა, ორკესტრის დირიჟორს, ზაქარია ფალიაშვილის ძმას, ტირილი წასკდა.

18. ანტუან ლავუაზიე უბრალო პარიზელებს არ უყვარდათ. იგი საგადასახადო დეპარტამენტის უფროსი გახლდათ. დიდმა მეცნიერმა კედლებით შემოსაზღვრა პარიზი და ქალაქში შემავალ და გამავალ ყველა სახის საქონელზე გადასახადს კრებდა. ამიტომაც დაასრულა საფრანგეთის რევოლუციის დროს სიცოცხლე გილიოტინაზე.

19. არტურ კონან დოილის მიერ „ჰოლმსის უკანასკნელი საქმის“ გამოქვეყნებას, რომელშიც დეტექტივი იღუპება, ბრიტანელი მკითხველის საშინელი პროტესტი მოჰყვა. ზოგიერთი მკითხველი გლოვის ნიშნად მკლავზე შავზონარშებმული დადიოდა ლონდონის ქუჩებში. კონან დოილი იძულებული გახდა, კვლავ დაჰბრუნებოდა დეტექტიურ ჟანრს და გაეცოცხლებინა ბეიკერსტრიტელი დეტექტივი.

20. თბილისში ჩამოსულმა ხრუშჩოვმა სპორტის სასახლის დათვალიერებისას ბოლმიანად ჩაილაპარაკა, მაგ ფულით რამდენ ფერმას ააშენებდით; თქვენი მოსწავლეები სამ ცვლაში რომ სწავლობენ, იმავე ფულით 15 სკოლა აშენდებოდაო.

და ამისა, მეგობრებიც დამეხმარნენ.

— **მეგობრებს თქვენც დახმარებიხართ. ჩერნობილის ავარიის შემდეგ, თქვენთან ქობულეთში კიევის „დინამოს“ რომელი ფეხბურთელები ცხოვრობდნენ?**

— ბალის, ბესონოვის, ჟურავლიოვის და კაპლუნის ოჯახები.

— **ამხელა სახლი გაქვთ?**

— ჩემს სახლს მაშინ ვაშენებდი, ამიტომ ისინი ჩემი დისა და ბიძის სახლებში განვათავსე. იქ თვე-ნახევარი ცხოვრობდნენ. ბალის მეუღლე ბავშვს ელოდა. ვუთხარი: თუ ბიჭი გეყოლება, ნათლია ვიქნები-მეთქი. 1986 წლის 5 ოქტომბერს კიევში თამაში გვქონდა, ხოლო 6-ში დანილა მოვნათლე. მანამდე, თბილისის „დინამოს“ კიევში თითქმის 13 წელი არ ჰქონდა მოგებული. თამაშამდე ბალს ვუთხარი: ანდრიუშა, დაგვეხმარეთ, ფრე ვითამაშოთ-მეთქი. მან ხელები გაასავსავა, — რას ამბობ, რეზო, მოგვკლავენო!.. — მაშინ, ნუ „დაგვანგრევთ“ მაინც; თუ 2:0 დაწინაურდებით, მომავალ ნათლიას მატჩის ბოლოს პენალტიდან გოლის გატანის საშუალება მაინც მიეცით; კიდევ, ოლეგ კუზნეცოვს გადაეცი, ფეხებში არ მირტყას, თორემ ეკლესიამდე ვერ მივაღწევმეთქი... ბალმა კუზნეცოვს უხმო, — რეზოს ფრთხილად ეთამაშე, დილით შვილი უნდა მომინათლოსო. ოლეგმა დამინდო.

— **ბალთან სად დამეგობრდით?**

— საბჭოთა კავშირის ნაკრებში. ბალი და ბესონოვი ფეხბურთში ჩემთვის ყველაზე ახლობელი ადამიანები არიან. ბესონოვი საბჭოთა კავშირის ნაკრებში გავიცანი, როდესაც ჰოლანდიასთან მატჩისთვის გამომიძახეს. სასტუმროში ერთ ნომერში ვცხოვრობდით. მანამდე ცოტა ხნით ადრე, ცოლი მოვიყვანე და მისთვის ტყავის ლაბადის ყიდვა მინდოდა. მაღაზიაში მისი მოზომვა ბესონოვს ვთხოვე.

— **ლაბადა ხომ ქალის იყო?**

— ჰოდა, ბესონოვმაც შეიცხადა, — ჩემი ცოლად მოყვანა ხომ არ გადაწყვიტეო?!. აღმოჩნდა, რომ ლაბადა 300 დოლარი ღირდა, ხოლო საბჭოთა კავშირიდან მხოლოდ 150 დოლარის წაღება მოვახერხე. გავიფიქრე, ამ ლაბადის ყიდვა არ მიწერია-მეთქი და მაღაზიიდან წამოვედით, ხოლო ფული სხვა ნივთებზე დავხარჯე. საღამოს, როდესაც უკვე სასტუმროში ვიყავით, მოულოდნელად ბესონოვმა მითხრა: კარადა გააღეო. გავაღე და ვხედავ, იქ ის ლაბადა არ კიდია?!. ეს შენ ცოლს ჩემგან საჩუქრადო, — მითხრა. არადა, მაშინ მხოლოდ 18 წლის იყო.

— **ბესონოვი ლაბადის არჩევაში დაგეხმარათ, ხოლო გუცაევი მანუჩარ მაჩაიძეს — ქურქის არჩევაში...**

— სახალისო ამბავია: ავსტრიაში გუცაევმა მაჩაიძე ყველაზე ძვირად ღირებულ მაღაზიაში შეიყვანა და რომელიღაც გარეული ცხოველის ბეწვისგან დამზადებულ ქურქზე მიუთითა. თან უთხრა: გამყიდველთან დაადგინე, სინთეტიკა ხომ არ არის, თავადაც მოქაჩე ბეწვი: თუ ცოტას ამოგლეჯ, ე.ი. სინთეტიკააო. მაჩაიძე ასეც მოიქცა. გამყიდველ ქალს კინაღამ გული წაუვიდა. როდესაც მანუჩარს ქურქის ფასი უთხრა, ახლა ის აღმოჩნდა გამყიდველის მსგავს მდგომარეობაში.

— **მართალია, რომ ბიძათქვენი, რომელიც საბჭოთა კავშირის პერიოდში „იატაკქვეშა მილიონერი“ იყო, ყოველ გოლზე ფულს გჩუქნიდათ?**

— „დინამოში“ გატანილი გოლისთვის 100 მანეთს მაძლევდა, ნაკრებში — 500 მანეთს. ბიძაჩემი „ცეხავიკი“ იყო. დიდ ფულს შოულობდა, მაგრამ თითქმის ყველაფერს ბანქოში აგებდა. წარმოგიდგენიათ — 200.000 მანეთი წააგო. მანდარინით ვაჭრობით დაწყებული, სახლების მშენებლობით დამთავრებული — ყველაფრით იყო დაკავებული.

— **რომელი „გაცუდებული“ საგოლე მომენტი გიდგათ დღემდე თვალწინ?**

— არა მარტო მე, არამედ — მთელ საქართველოს. 1976 წელს ერევანში 0:1 ვაგებდით და მეორე ტაიმის ბოლოს ანგარიში გავათანაბრე. ბოლო წამებზე „არარატი“ გვიტევდა და აბრამიანი მოედნის ცენტრამდე მოვიდა. ჩვენმა მცველმა ბურთი შორს მოიგერია; აბრამიანს ბურთი მოეჭრა, ის მე დამრჩა და ცარიელი კარისკენ გავიქეცი, მაგრამ მახვილი კუთხე იყო... გავრბოდი და ვფიქრობდი, — ახლა მეორე გოლს გავიტან, თბილისში ჩავალ, შემხვდებიან, ჩამეხუტებიან, სუფრას გამიშლიან... კარამდე 6 მეტრი იყო დარჩენილი და ბურთი ავაცილე. ამის შემდეგ, საქართველოში არავის გახსენებია, რომ „დინამო“ წაგებას გადავარჩინე — ყველა „გაფუჭებულ“ გოლს იხსენებდა... თამაშის შემდეგ, ერევნიდან ავტობუსით ვბრუნდებოდით. მოთამაშეებს მშრალი ულუფა დაგვირიგეს. ადმინისტრატორმა მოლუშულ ახალკაცს ჰკითხა: ნოდარ ფარსადანოვიჩ, „საექიმო“ ძეხვის ბატონი დარჩა, სად წავიღოო? პასუხად მიიღო, — ჩელებაძეს „შეარჭე“ უკანო...

— **ნაკრებზე საინტერესო მოგონებები გაქვთ...**

— ერთხელ ბესკოვმა ნაკრებში გამომიძახა. ბულგარეთში, სასტუმროს ნომერში ახალგაზრდა ფიოდორ ჩერენკოვთან ერთად მომათავსეს. იქ დიდი საწოლი და პატარა ტახტი იდგა. საღამოს მოვდივარ და ჩერენკოვი საწოლზე წევს. ტანსაცმელი გავიხადე და ვეუბნები, — ფედია, ერთად დავიძინოთ-მეთქი? — რას ამბობ, რეზოო?! — შეეშინდა ჩერენკოვს. — მაშინ, ტახტზე გადახტი-მეთქი... ერთი თვის შემდეგ შვედეთში ჩავედით და კვლავ ჩერენკოვთან ერთად მომიწია სასტუმროში ცხოვრებამ. როდესაც ოთახში შევედით,



მან გაიღიმა და მითხრა, — რევაზ ვლადიმიროვიჩ, ნებისმიერი საწოლი აირჩიეთო.

— **თქვენ „მარაკანაზეც“ გითამაშიათ, სადაც საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ანგარიშით 2:1 დაამარცხა ბრაზილია. იმ ცნობილი შეხვედრიდან რა დაგამახსოვრდათ?**

— მეორე ტაიმის შუაწელში ჟუნიორთან შელაპარაკება მომიხდა. ბურთისთვის ბრძოლისას შევეჯახეთ და ბრაზილიელი დაეცა. დავიხარე, ხელი გავუწოდე და ვუთხარი: „პარდონ!“ მან კი სახეში შემაფურთხა. მსაჯმა, რომელსაც ფეხბურთელები ეფარებოდნენ, ეს ვერ შეამჩნია. დავიღრიალე, — მოგკლავმეთქი! — და მზად ვიყავი, ჟუნიორისთვის მუშტები დამეშინა. ტრიბუნებიდან მაშინვე პეტარდები ისროლეს. ბესკოვმა კი, სიტუაციის გართულების თავიდან ასარიდებლად, შემცვალა.

— **ფეხბურთელებიდან ყველაზე კარგი თამადა ვინ არის?**

— ჩივაძე. საშას კარგი იუმორი აქვს. ერთხელ, ერევანში, ნიკიტა სიმონიანის 75 წლისთავზე თამადობდა. სომხებმა კი თავიანთ სტილში დაიწყეს: თბილისში რა ზღვა გაქვთ? კილომეტრი — ერთ მხარეს, კილომეტრი — მეორე მხარეს, სასაცილოა; ჩვენი სევანი სიგანეში 30 კილომეტრია, სიგრძეში — თითქმის 80, თუმცა, მაინც ტბააო. ჩივაძემ კითხვა დასვა: იცით, ჩვენი ზღვის უნიკალურობა რაშიაო? — და თავადვე უპასუხა, — თბილისის ზღვას გენერალური დირექტორი ჰყავსო.

— **ამბობენ, მელიტონ ქანთარია, რომელმაც 1945 წელს რაიხსტაგზე გამარჯვების დროშა აიტანა, კარგი თამადა იყო...**

— მისი საყვარელი სადღეგრძელო იყო, — ჰიტლერს გაუმარჯოს! როდესაც ქანთარია სუფრასთან მსხდომთ ამ სადღეგრძელოს დალევას სთავაზობდა, მაშინვე სიჩუმე ჩამოვარდებოდა. ვიღაც ჩურჩულით იკითხავდა: რატომ — ჰიტლერსო? მელიტონი კი პასუხობდა, — ჰიტლერი რომ არ ყოფილიყო, მე ვინ გამიცნობდაო?!.

*მოამზადა* ***ლაშა თაბაგარმა***

# იგავი „ორგულ მნეზე“

შორენა მერკვილაძე

იგავი „ორგულ მნეზე“ მოთხრობილია ლუკას სახარების მე-16 თავში: ერთ მდიდარ კაცს მნე ჰყავდა, რომელზეც ამბავი მიუტანეს, რომ მის ქონებას ანიავებდა. ბატონმა მნე იხმო და უთხრა: ეს რა მესმის შენზე?.. ჩამაბარე შენი მნეობის ანგარიში, ვინაიდან, შენ მნე ველარ იქნებიო. მნემ იფიქრა: რა ვქნა? ჩემი ბატონი მნეობას მართმევს; შრომა არ შემიძლია, მათხოვრობის კი მრცხვენია; როგორ მოვიქცე, რომ მიმიღონ თავიანთ სახლებში, როდესაც მნეობას ჩამომართმევენო?

ადგა და დაიბარა თავისი ბატონის ყველა მოვალე. პირველს უთხრა: რამდენი გმართებს ჩემი ბატონისო? — ასი საწყაო ზეთიო, — მიუგო მან. მნემ უთხრა: აიღე შენი თამასუქი, დაჯექი სასწრაფოდ და დაწერე — ორმოცდაათიო. შემდეგ სხვას ჰკითხა: შენ რამდენი გმართებსო? — როდესაც შეიტყო, რომ მას ბატონის ასი ჩანახი ხორბალი მართებდა, უთხრა — ოთხმოცი დაეწერა...

იგავის დასაწყისში ნახსენები „კაცი ვინმე მდიდარი“, მამათა განმარტებით, გამოხატავს ღმერთს, რომელიც ბატონ-პატრონი და მფლობელია ყოველივესი, ჩვენ — ადამიანებს კი, თავისი სიბრძნითა და გულმოწყალებით, გვანდობს ღვთიურ სიკეთეებს — ნიჭს, ძალაუფლებას, სიმდიდრეს, მადლს და ა.შ. სწორედ ამაზე მიანიშნებს იგავის დასაწყისი, რომლის თანახმადაც, მდიდარი ბატონი თავის ქონებას ანდობს მნეს ანუ — მოურავს. უფალი იგავურად მიგვანიშნებს, რომ პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ ქონებას, რომელიც „ზეციურმა ბატონმა“ ჩაგვაბარა.

იგავიდან ჩანს, რომ მნე კეთილსინდისიერად არ ემსახურება ბატონს ანუ განასახიერებს ადამიანს, რომელიც ღვთისგან ბოძებულ წყალობასა და მადლს ღვთის ნების საწინააღმდეგოდ იყენებს, კვლავ უფლის სადიდებლად არ მიმართავს. მის ორგულობას ბატონი სხვებისგან შეიტყობს. წმინდა მამები და კომენტატორები იგავის ამ ადგილზე საუბრისას ბრძანებენ, რომ შესმენაში, დასმენაში — ამბის უწყება იგულისხმება, შემსმენლები და მსმენლები კი ამბის მაუწყებელნი არიან... ჩვენი ცოდვების მაუწყებელი და განმცხა-



დებელი ღვთის წინაშე უპირველესად, ცოდვათმქმნელობაა... ჩვენი ცოდვების მაუწყებელნი ცის ანგელოზებიც არიან, ვითარცა ღვთის მსახური სულები, რომლებიც ჩვენს საოხად, შესაწევნად და საკურნებლად მოგვევლინებიან ზეციდან. მათ ჩვენი შუამდგომლების წმინდა ლოცვები მიაქვთ ზეცაში, მაგრამ ჩვენს უსჯულოებას, ცოდვებსა და უკეთურებასაც წარადგენენ ღვთის წინაშე: ანგელოზი ხომ მაუწყებელს ნიშნავს. ამდენად, იგავში ნათქვამი „შეასმინეს“, „დაასმინეს“ იგავურად, ანგელოზთა მიერ ღმერთთან მიტანილ უწყებას უნდა გამოხატავდეს.

...ბატონი თავისთან იხმობს ორგულ მნეს და ეუბნება: ეს რა მესმის შენზე?.. ჩამაბარე შენი სამნეო, სამოურავო ანგარიში, რადგან ამიერიდან აღარ გაქვს მნეობის უფლებაო. წმინდა მამათა განმარტებით, ბატონის მოწოდებაში უნდა ვიგულისხმოთ განსაცდელი, სხვადასხვა სახის გასაჭირი, რომელიც ადამიანს გონზე მოსასვლელად ეგზავნება ღვთისგან.

განსაცდელმა ადამიანი უნდა გამოაფხიზლოს, დაანახვოს საკუთარი ცოდვები, სინანულში მოიყვანოს და ღვთისკენ მიახედოს, და მან უფალს შესთხოვოს შეეწეობა. ამისთვის არა მარტო განსაცდელის მოვლინებით, არამედ სინდისის ხმითაც ამხელს, რასაც იგავურად, „ბატონის მოწოდება“ მიანიშნებს. სინდისის ხმა, რასაც წმინდა მამები უფლის ხმას უწოდებენ, ყველა ადამიანში მოქმედებს, მაგრამ მეორეა — უსმენს თუ არა ის სინდისის ხმას.

იგავის მომდევნო ნაწილიდან ჩანს, რომ მნე ხვდება თავის დანაშაულს, სინდისის ხმაც ამხელს; ხედავს, რომ ბოროტად გამოიყენა თავისუფლება, რასაც იგავურად მისი ნათქვამი „რაი ვყო?“ მოწმობს; არც თავის მართლებას იწყებს, მაგრამ არც პატიებას ითხოვს ბატონისგან, რაც აუცილებლად უნდა მოჰყვეს ცოდვათა შემეცნებას.

იგავის თანახმად, უფალი მიგვანიშნებს იმაზე, თუ რა შეიძლება დაკარგოს ადამიანმა ღვთისგან ბოძებული წყალობის — ქონება იქნება ეს, ნიჭი თუ სხვა სახის სიკეთე — უკეთურად გამოყენების გამო, ასევე დაგვაფიქრებს ცოდვისმქმნელობისა და საკუთარი ცოდვების გააზრების შემდგომ სინანულის აუცილებლობაზე. წმინდა მამები ბრძანებენ — სინანული არის კიბე, რომელსაც იქ აჰყავხარ, საიდანაც ჩამოვარდიო...

იგავიდან ჩანს, რომ მნე გამოფხიზლდა, გონს მოიყვანა ბატონის მოწოდებამ და მნეობის ჩამორთმევამ. ის ფიქრობს იმაზე, თუ როგორ უნდა გამოვიდეს ამ მდგომარეობიდან, და ამბობს: თოხნა-მუშაობა არ შემიძლია, მათხოვრობის კი მრცხვენიაო. წმინდა მამები და კომენტატორები საქმეში და თხოვნაში — მარხვასა და ლოცვას, საღმრთო მუშაობას გულისხმობენ, რაც უმნიშვნელოვანესი, აუცილებელი პირობაა სულის გადასარჩენად, თუმცა იმასაც შეგვახსენებენ, რომ ბევრი ჩვენგანი აღსარებაზე, საკუთარი ცოდვების აღიარებაზე სწორედ სირცხვილის გამო ამბობს უარს, რაც ასევე ბოროტის ერთ-ერთი ხრიკია.

იგავის მომდევნო ნაწილის თანახმად, მნე გადაწყვეტს, ბატონის მოვალეებთან დადოს გარიგება, რათა მოურავობიდან გათავისუფლების შემდეგ, მათ ოჯახებში მიიღონ. წმინდა მამათა და კომენტატორთა უმეტესობა მოვალეებში მოყვასთ, მნის მსგავსად, ღვთის წინაშე შემცოდე ადამიანებს გულისხმობენ, ოჯახებ-

ში მილებაში კი უნდა ვიგულისხმოთ მოყვასთან სიახლოვისა და ერთობის სურვილი. მნეს თავისი დანაშაულის შეგრძნების შემდეგ უჩნდება ამგვარი წადილი, თორემ ამ დრომდე სწორედ მოყვასთა მოტყუებითა და მათი ქონების მითვისებით ახერხებდა განცხრომით ცხოვრებას. ე.ი. მნე წარმოადგენს ადამიანს, რომელიც მოყვასის სიყვარულის მცნებასაც არღვევდა. დანაშაულის შეგრძნებამ მოყვასიც გაახსენა, თუმცა მათთან ურთიერთობის სურვილიც თავისი სარგებლის მისაღებად უჩნდება და არა ჭეშმარიტი სიყვარულის გამო. ამგვარად, მნე სიცრუით ცდილობს თავის გადარჩენას, რაც იგავურად, მის მიერ ბატონის მოვალეებისგან ახალი თამასუქების გადაწერაში გამოიხატა. სწორედ ამის შემდეგ იხსენიებს უფალი მას სიცრუის მნედ. წმინდა მამათა და კომენტატორთა განმარტებით, მნის მიერ მოვალეების ვალების ჩამოჭრაში — მოწყალება და მიმტევებლობაც იკითხება: ახალი ხელნაწერებით მან მიტევებაც გამოითხოვა ბატონის მოვალეებისგან, რომელთა წინაშეც ანგარების მძიმე ცოდვა ჩაიდინა, მათთვის ბატონის მიერ დაწესებულ საფასურზე მეტის გადახდევინებით; საკუთრივ ახალი ხელნაწერების, თამასუქების დაწერა კი კომენტატორთა განმარტებით, სინანულზე მეტყველებს, რადგან ძველი ხელნაწერების გაუქმებით ამოიძირკვა მომხვეჭელობა, ორგულობა, ტყუილი და არაკეთილსინდისიერება ანუ მისი ცოდვილი ცხოვრების წესი; ეს არის ცოდვილის მცდელობა, მოწყალებისა და სათნოების გზით მიიღოს შენდობა და შეწყალება, თუმცა ამის მიღწევასაც სიცრუით ცდილობს და არა ბატონის წინაშე საკუთარი დანაშაულის გულწრფელი აღიარებით. ისმის კითხვა — მაშინ რატომ დაიმსახურა შექება სიცრუის მნემ? მამათა განმარტებით, უფლის მიერ შექებულია მნის გონიერება, მოხერხებულება, საზრიანობა, წინდახედულება, მიზანსწრაფულობა და მოშურნეობა თავის გადასარჩენად.

„ვინაიდან ამასოფლის შვილები ნათლის შვილებზე მოხერხებულნი არიან, თავიანთი მოდგმით" — ეს არის უფლისმიერი შეგონება, რომელიც თან ერთვის იგავს და არა უშუალოდ იგავის შემადგენელი ნაწილია. იგავს კიდევ რამდენიმე უფლისმიერი შეგონება ახლავს, რომელსაც წმინდა მამები განმარტავენ, მაგრამ ეს ცალკე სასაუბრო თემაა. ■

*რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი*

# შვიდი მცდარი შეხედულება ასთმაზე



**ასთმით დაავადებულები, როგორც წესი, კარგად ერკვევიან ამ ავადმყოფობის არსში და რაზეც დღეს ვისაუბრებთ, ეს მათთვის აღმოჩენა არ იქნება. პრობლემა ის გახლავთ, რომ რეალურად, ასთმით ყოველი მეათეა ავად, ოღონდ ამის შესახებ ყველამ არ იცის და ეს იმიტომ, რომ ასე ნაცნობ დაავადებას სინამდვილეში თურმე ძალზე ცუდად ვიცნობთ.**

**მცდარი შეხედულება №1. თუ დაავადებულია მშობელი, დაავადდება შვილიც.**

გენეტიკური წინასწარგანწყობა ასთმის მიმართ მართლაც არსებობს. მაგრამ მაშინაც კი, როდესაც ორივე მშობელი ასთმითაა ავად, შვილებს საკმაოდ დიდი (დაახლოებით 50%) შანსი აქვთ, ჯანმრთელები დარჩნენ. თუმცა ეს არასასურველი მემკვიდრეობა ბავშვს შეიძლება, რაიმე სხვა ალერგიულ დაავადებად ექცეს.

**მცდარი შეხედულება №2. თუ ასთმას ბავშვობაში გადაურჩი, ამ სენით არასდროს დაავადდები.**

ბრონქული ასთმით შეიძლება ნებისმიერ ასაკში გახდე ავად. ბავშვობაში ასთმით განსაკუთრებით, ბიჭები ავადდებიან, მოზრდილთა ასაკში კი — გოგონები და ქალები. ბავშვებს ეს დაავადება ალერგიით ეწყებათ — პატარა ხშირად ავადმყოფობს დერმატიტით; ამას ერთვის სხვადასხვაგვარი სურდო (რინიტი); მერე ვითარდება და ყალიბდება ასთმური სიმპტომები. ალერგიული ბავშვები მშობლებმა აუცილებლად უნდა მიიყვანონ პედიატრ-ალერგოლოგთან.

ალერგიულ დაავადებათა ფორმირებაში დიდ როლს თამაშობს სიგარეტიც — ის ხელს უწყობს სპეციფიკური ანტისხეულების ჩამოყალიბებას. ბავშვი რომ დაიცვათ, საამისოდ არ კმარა, უარი თქვათ სიგარეტზე ორსულობის დროს — საჭიროა, საერთოდ დაანებოთ მას თავი.

**მცდარი შეხედულება №3. ასთმას ყოველთვის ახლავს მოხრჩობითი შეტევა.**

ბრონქული ასთმა სასუნთქი გზების ქრონიკული ანთებითი დაავადებაა. სუნთქვის ძლიერი გაძნელება (მოხრჩობის შეგრძნება) — მისი მწვავე გამოვლინება გახლავთ. დაავადება იწყება ხველით, სუნთქვის გაძნელებით. ყოველ მესამე დაავადებულს მოუსვენრად სძინავს — ღამით ბრონქოსპაზმის პროვოცირებას იწვევს ალერგენი, ეზოფაგალური რეფლუქსი, ცივი ჰაერი და ზოგი სხვა მიზეზი. ბევრი დაავადებულისთვის ყველაზე მძიმე პერიოდი — ადრიანი დილაა.

თუ შეამჩნიეთ, რომ გამთენიისას ანდა ფიზიკური დატვირთვის შემდეგ სუნთქვა გიჭირთ, მიმართეთ ექიმს, რათა მიზეზი დაადგინოთ (ეს განსაკუთრებით, ალერგიულმა ავადმყოფებმა უნდა გაითვალისწინონ).

**მცდარი შეხედულება №4. ბრონქოსპაზმის პროვოცირებას ახდენს ალერგენი.**

ბავშვებში ეს ხშირად მართლაც ასეა, მაგრამ არის შემთხვევებიც, როდესაც ასთმური მოვლენები ფიზიკური დატვირთვის შემდეგ გამოვლინდება. ასეთ დროს ბავშვები თავს არიდებენ ფიზკულტურის გაკვეთილებს, რადგან ვარჯიშის შემდეგ სუნთქვა უჭირთ.

მოზრდილები კი ავადდებიან როგორც ალერგიული, ისე არაალერგიული ასთმით; ბრონქოსპაზმი შეიძლება გამოიწვიოს ცივმა ჰაერმა, ამინდის ცვალებადობამ, ემოციურმა დატვირთვამ, ნერვიულობამ.

**მცდარი შეხედულება №5. წამლებს აქვს ალტერნატივა.**

დღესდღეობით სპეციალისტები ბრონქულ ასთმას განიხილავენ, როგორც ქრონიკულ ანთებით დაავადე-

ბას, რომლის კონტროლი წამლის მეშ-ვეობით შეიძლება. პულმონოლოგი აფასებს ავადმყოფის მდგომარეობას და არჩევს ანთების საწინააღმდეგო პრეპარატს. ეს შეიძლება იყოს ინჰა-ლაციური გლუკოკორტიკოსტეროიდე-ბი ან ინტალის წარმოებულები. რაც უფრო ადრე იწყება მკურნალობა, წამლების დოზა მით უფრო მცირეა. გალათერაპია („მარილიანი“ ჰაერის სუნთქვა), ჰიპოქსითერაპია (ჟანგბა-დით ღარიბი ჰაერით სუნთქვითი ვარჯიშები) — მხოლოდ დამხმარე მე-თოდებია. ისინი ძირითად თერაპიას ვერ შეცვლის.

**მცდარი შეხედულება №6. ჰორმონებით მკურნალობა ნიშ-ნავს, რომ მთელი ცხოვრება მხო-ლოდ ჰორმონები ვსვათ.**

ადრე ასთმით დაავადებულებს პრედ-ნიზოლონით მკურნალობდნენ. ეს არც ისე ეფექტიანი იყო და გართულებებ-საც იწვევდა. ამჟამად არსებობს უამ-რავი ინჰალაციური გლუკოკორტიკო-სტეროიდი. ისინი იქმნება საგანგე-ბოდ ფილტვებში „სამუშაოდ“, სადაც, რეცეპტორული აპარატებით შეკავე-ბული, ანთების საწინააღმდეგო თვისე-ბებს ავლენს. ინჰალატორებში წამლის დოზა იმდენად მცირეა, რომ ის სისხ-ლში პრაქტიკულად არ ხვდება, ამიტ-ომ არც ჰორმონული აბების მსგავს გართულებებს იწვევს.

ვენაში ჰორმონები ინიშნება ძალზე იშვიათად. გლუკოკორტიკოსტეროიდე-ბის აბებს მხოლოდ მათ უნიშნავენ, ვისაც გამწვავება აქვს. დიდი დოზე-ბით ხანმოკლე (10-14 დღე) მკურნალობა ეფექტიანია, შემდეგ კი პაციენტი ჰორ-მონულ ინჰალატორებზე გადაჰყავთ.

დღეისათვის ასთმას ეტაპობრივად მკურნალობენ: ექიმები აფასებენ პა-ციენტის მდგომარეობას, ურჩევენ წამლების დოზას, მერე, ყოველ 3 თვე-ში დოზას ნელ-ნელა ამცირებენ და ადგენენ მინიმალურს. თუ მკურნალო-ბას დროულად დაიწყებთ, შესაძლებე-ლია, მდგომარეობა ისე გაგიუმჯობეს-დეთ, რომ ინჰალატორული სტეროი-დები აღარ დაგჭირდეთ. დიდ როლს თამაშობს სპორტიც. თუ ავადმყოფი ფიზიკურ დატვირთვას ვერ უძლებს, მაშინ მკურნალობა არაეფექტიანია და საჭიროა პრეპარატების კომბინაციის ან მათი დოზის შეცვლა.

**მცდარი შეხედულება №7. ორსულობა ასთმის დროს სასურ-ველი არ არის.**

არც ორსულობა, არც მშობიარობა ასთმით დაავადებულს არავითარ სა-ფრთხეს არ უქმნის. გინეკოლოგს ეშ-ინია გართულებების, მაგრამ ამას უნდა შეეგუოთ. ექიმის მეთვალყურეობა კი, ცხადია, დაგჭირდებათ.

პირველ რიგში, ორსულმა უნდა მიმართოს პულმონოლოგს, რომელიც შეურჩევს წამალს, რათა დედამ და ბავშვმა კარგად ისუნთქონ. დედის გაძნელებული სუნთქვა — მუცლის მოშლის წინა პირობაა. ორსულს არას-დროს ენიშნება ტრიაქინოლის ჯგუფის ჰორმონული პრეპარატები (ის ცუდად მოქმედებს ნაყოფის კუნთების ჩამოყალ-იბებაზე). გლუკოკორტიკოსტეროიდების დანიშვნა შეიძლება, მაგრამ მხოლოდ ისეთების, რომელთა უვნებლობა ორ-სულისთვის დამტკიცებულია. ინჰალაცი-ური ბრონქოდილატატორების გამოყენება სახიფათოა, ამიტომ ქალმა წინასწარ უნდა ჩაიტაროს ბაზისური თერაპია, რომლის შედეგადაც შეტევები უკლებს. და, რაღა თქმა უნდა, არც ორსული და არც ვინმე სხვა მის გვერდით არ უნდა ეწეოდნენ თამბაქოს. ■

P.S. **პატივცემულო მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე:**
**8(99) 30.35.97**
**ან ელფოსტაზე:**
nino.char@yahoo.com.



# ადამიანი



## ამბავი ჯუგაანელ ბიჭებთან დომინოს თამაში „დაკარგული“ ამერიკელისა, რომელიც სიღატაკემ კაცად აქცია



მეექვსეკლასელები მისტერ რობისთან და მისის ნანასთან ერთად

**სიღნაღის რაიონის სოფელ ჯუგაანის საჯარო სკოლის მეექვსეკლასელებს აშკარად გამორჩეული სასწავლო წელი აქვთ. მათი ინგლისური ენის პედაგოგი — არც მეტი, არც ნაკლები — კალიფორნიელი რობერტ კალიკაა, ანუ მისტერ რობი, როგორც თამუნა, ნიკა, ნათია, გიო, ნინო და მაგდა ეძახიან თავიანთ მასწავლებელს.**

მარინა გოგოლაშვილი

*რუსეთის ქალაქ ნალჩიკში დაბადებულ-გაზრდილ გიორგი ელაშვილს, რომელიც სულ ცოტა ხანია, მშობლიურ ჯუგაანს დაუბრუნდა, ერთბაშად ორი ენის — დედაენისა და ინგლისურის შესწავლა უწევს. როგორც თავად აღნიშნავს, მისტერ რობის წყალობით, ქართულზე ადვილად ინგლისური ენის გაკვეთილებს ამზადებს.*

*ნიკა ზედელაშვილი თვლის, რომ მისტერ რობის თამაშის გაკვეთილები აქვს და ყველას გასაოცრად თამაშს რომ მორჩებიან, აღმოაჩენენ, რომ კიდევ ერთი ნაბიჯით წაიწიეს ინგლისურის ცოდნაში. ნიკა მოხიბლულია თავისი მასწავლებლის სპორტული მომზადებითაც. პირველად სპორტდარბაზში რომ შემოვიდა, ფეხბურთში, ფრენბურთსა და კალათბურთში ისეთი ილეთები გვიჩვენა, პირი ღია დამრჩაო.*

*ნათია მატიაშვილი და ნინო ზედელაშვილი ამაყობენ, რომ თავიანთ ამერიკელ მასწავლებელს ვალში არ რჩებიან და, სამაგიეროდ, ქართულს ასწავლიან, აგრეთვე — თამაშ-თამაშით. ასეთ ურთიერთსწავლებას ემსახურება თამაშები „სიჩუმის მეფე“ და „ჟურნალისტობანა“.*

*მაგდა ქევხიშვილს თანაკლასელებთან შედარებით უფრო მეტი რამ აქვს მოსაყოლი, რადგან რობერტი მისი პირადი სტუმარი და ლამის ოჯახის წევრია.*

**მაგდა:** „რობერტი „დიდუბე-პალასიდან“ წამოვიყვანეთ მე და ნანა მასწავლებელმა. ერთი შეხედვით, პირდაპირ გეტყვით, სხვა მასწავლებლებზე უფრო მიმივარდა თვალი, მაგრამ სულ ცოტა ხანში აღმოვაჩინე, რომ რობერტი ძალიან კარგი ადამიანია და ვინანე კიდეც თავდაპირველი შთაბეჭდილების გამო. სახლში ზუსტად ჩემი და ჩემი მესამეკლასელი ძმის, ლუკას ხნის ხდება, გვეთამაშება დამალობანას, „ლეგოს“ ასაწყობ თამაშებს. ყოველ საღამოს ექვს საათზე აუცილებლად ვარჯიშობს ორი საათის განმავლობაში და ჩვენც გვავარჯიშებს... უიმე, იცით, ამ ცოტა ხნის წინ რობერტი რომ დამეკარგა? სასეირნოდ გამოვედით ქუჩაში. ბირჟაზე ჯუგაანელი ბიჭები იდგნენ. ჩემმა მეგობარმა დამიძახა და მცირე მანძილით დავცილდი რობის. უკან რომ მოვბრუნდი, ბირჟაზე აღარც ჩემი სტუმარი დამხვდა და აღარც ჯუგაანელი ბიჭები. ახლომახლო ამაოდ ვეძებე. მე და დედამ გვარიანად ვინერვიულეთ. საღამოს შვიდ საათზე თვითონ მოვიდა სახლში, „ბიჯებთან დომინო დაუქრა“, — გვითხრა კალიფორნიულ-ჯუგაანური ფრაზა, რაზეც ძალიან ბევრი ვიცინე“.

*ბავშვებს წინასწარ სწყდებათ გული, ამ ზაფხულს რობერტ კალიკას ისევ რომ უნდა დაშორდნენ.*

**ნიკა:** „რომელი გაკვეთილიც მოსაწყენია, სწორედ მაშინ იწელება დრო, მისტერ რობის გაკვეთილი კი თვალის დახამხამებაში გარბის. ძალიან მინდა, გამოსათხოვარი საღამო მოვაწყოთ“.

**მაგდა:** „გამოსამშვიდობებელი კარნავალი ხომ არ აჯობებდა“?

**თამუნა:** „ძალიან შეგვაყვარა თავი“.

**ნათია:** „თავიდან თუ ვინმეს არ უყვარდა, ახლა ისინი სხვებზე მეტად გიჟდებიან ჩვენს რობერტიზე. ძალიან გამიხარდებოდა, მომდევნო სასწავლო წელსაც თუ ჩვენთან დარჩებოდა, მაგრამ რაკი ეს შეუძლებელია, ვფიქრობ, სამახსოვრო საჩუქრები უნდა გავუკეთოთ, რომ რაც შეიძლება დიდხანს ვახსოვდეთ ჩვენც და ჩვენი სკოლაც.

*სანამ ბავშვები მისტერ რობერტის შესახებ საუბრობდნენ, თავად პედაგოგი სკოლის საინფორმაციო ცენტრში იმყოფებოდა, საიდან გამოსვლის შემდეგაც თავისთან, „სახლში“, მიგვიპატიჟა.*

*ინგლისური ენის მასწავლებელმა, ნანა დავითაშვილმა, ჩვენი თარჯიმნობა იკისრა.*

*როდესაც გონების თვალით თავის*



**პირველად თბილისში სამარშრუტო ტაქსით რომ შემოვედი, შიშის საოცარმა გრძნობამ შემიპყრო**

*წარსულს გასცქერის, 25 წლის რობერტს ახსენდება მშობლიური სან-ფრანცისკო, კალიფორნიის შტატის მთავარი ქალაქი, სხვადასხვა ეროვნების აუარებელი ხალხით და ამ უზარმაზარ სივრცეში ერთი ძალიან ღარიბი, უკაცო ოჯახი, რომლის დიასახლისი, დედა მერიენი, ორ ვაჟს: უფროსს — რობერტსა და უმცროსს რიკის („ოღონდ არა მარტინი!" — იცინის რობერტი) მამის გარეშე, წვალებით ზრდის.*

მამის ხსენებაზე **რობერტს** თვალები უწყლიანდება და მხოლოდ ერთ ფრაზას ამბობს: „მამა არ მახსოვს, საერთოდ არ ვიცი, ვინ არის მამაჩემი". *შემდეგ ისევ თავის ლატაკ ბავშვობას უბრუნდება:* „სახელმწიფო კმაყოფაზე ვცხოვრობდით. ცხადია, შემოსავალი არ იყო სამყოფი. ხშირად დენის გადასახადსაც ვერ ვიხდიდით, იყო დღეები, საჭმელი საერთოდ არ გვქონდა და ვიყავით მშივრები სიბნელესა და სიცივეში... სათამაშოც კი არ მქონია ბავშვობაში. ამერიკაში არის კანონი, რომელიც მცირეწლოვანი ბავშვის ფიზიკურ შრომას კრძალავს, ამიტომ 14 წლამდე მუშაობს ვერ ვახერხებდი. ვსწავლობდი ღარიბთა სასწავლებელში — „სკოლა გადასახადის გარეშე". ჩემმა გაჭირვებამ ადამიანად მაქცია. განუწყვეტლივ ვკითხულობდი წიგნებს, ძირითადად სამეცნიერო და პუბლიცისტურ ლიტერატურას. ჩემი სკოლა, საგნების მიმდევრობის მიხედვით ჰგავს თქვენს საჯარო სკოლას, მაგრამ განსხვავებაც დიდია. იქ სკოლა საკუთარ თავზე იღებს მთელი კონტინგენტის შემეცნებითი ექსკურსიებისა და სასკოლო ღონისძიებების დაფინანსებას. ბიბლიოთეკაში უხვად არის ლიტერატურა, შემეცნებითი მასალა, საკანცელარიო ნივთები, რომლითაც ბავშვები უსასყიდლოდ სარგებლობენ. იქ სწავლა დილის შვიდ საათზე იწყება და შუადღის 3 საათამდე გრძელდება, მაგრამ გაკვეთილების შუალედში ბავშვებს აქვთ საშუალება, საფუძვლიანად დანაყრდნენ და ენერგია აღიდგინონ გემრიელ ლანჩზე. აქ ბავშვი ღვეზლის შეჭმასაც კი ვერ ასწრებს მცირე დასვენებების გამო, ამიტომ ბოლო გაკვეთილებზე ძალიან დაღლილები არიან, რადგან ენერგია უკვე გამოცლილი აქვთ. აქ მოსწავლეები ინდიფერენტულები არიან და მასწავლებლები დასდევენ, უნდა გასწავლოთო: იქ, პირიქით, მოსწავლეები დასდევენ მასწავლებელს — მეტი გვასწავლეთო".

*ჩვიდმეტი წლის რობერტი, ორ იაფფასიან კოლეჯში სასწავლო კურსის გავლის შემდეგ სწავლას აგრძელებს ორეგნის შტატის ქალაქ კორვალისის უნივერსიტეტში, რომელიც შედარებით ძვირად ღირებულია და რის გამოც განათლების მიღება საბოლოო ჯამში 20.000 დოლარი უჯდება. თან მუშაობს, თან სწავლობს, თან ასწავლის და ღამეში 2-3 საათი სძინავს. როგორც იქნა, მოიპოვა სანუკვარი დიპლომი, რომელსაც პირად კომპიუტერში ამაყად და ღირსებით გვიჩვენებს. სწორედ ეს დიპლომი აძლევს რობერტს უფლებას, ასწავლოს ახალგაზრდებს, როგორ მიაწოდონ ბავშვებს სრულყოფილად ინგლისური ენის გაკვეთილები.*

*რადგანაც უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის საფუძვლების ერთწლიანი კურსიც გაიარა, ცოტა ხანს ჟურნალისტიკაშიც სცადა ბედი, მაგრამ როგორც ჭეშმარიტმა რეალისტმა, მალევე დაასკვნა:* „ამ საქმიანობით ვერ ვიარსებებდი. სამსახური ცოტაა, ელექტრონულმა მედიამ ლამის სულ შეჭამა ნაბეჭდი პრესა, ამდენად, ამ განხრით დასპეციალება სრულიად უპერსპექტივოდ მეჩვენა. პარალელურად უამრავი განცხადება ჩავაბარე სააგენტოებს, საიდანაც ერთ მშვენიერ დღეს დამიკავშირდნენ საქართველოში ინგლისური ენის პედაგოგების მიწვევის პროგრამის თაობაზე. გეოგრაფიაში საკმაოდ სერიოზული ცოდნა მაქვს და კარგად ვიცოდი საქართველო, მხოლოდ რუკაზე. რადგანაც უღარიბესი ვიყავი, დავძლიე უცხო ქვეყანაში დიდი ხნით გადახვეწის შიში და მივიღე აქ გამომგზავრების გადაწყვეტილება. ჩემს ცხოვრებაში პირველად უნდა გადამეკვეთა ჩემი ქვეყნის საზღვარი. დედამ იტირა, მაგრამ მხარი დამიჭირა, რადგან სჯერა, რომ წარმატებებს მივაღწევ. სან-ფრანცისკოდან კორვალისამდე (სადაც ოროთახიან დაქირავებულ ბინაში ორ ამხანაგთან ერთად ვცხოვრობ და ქირას თანაბრად ვინაწილებთ) 1.000 კმ-ია. ავტობუსით მგზავრობას 16 სთ სჭირდება და 100 დოლარი ღირს. ჩემს გასაცილებლად ჩამოსულ დედას უკან გასამგზავრებელი ფული არ ჰქონდა და მე მივეცი საჭირო თანხა.

პირველად თბილისში სამარშრუტო ტაქსით რომ შემოვედი, შიშის საოცარმა გრძნობამ შემიპყრო. ისეთი მოუწესრიგებელი იყო მოძრაობა, გული მისკდებოდა, ნეტავ ცოცხალი თუ მივალ ადგილამდე-მეთქი. ჯუგაანი მშვიდი ადგილია და ძალიან მომწონს აქაური ურთიერთობები. მაქვს აუარებელი თავისუფალი დრო, რომელიც არასდროს მქონია და მუდამ მენატრებოდა. ჩემი მასპინძლებიც, ლია და რამაზი, ძალიან მიწყობენ ხელს, რომ ისე ვიყო, როგორც მინდა.

რაც შეეხება სასწავლო პროცესს, ყოველი 30 მოსწავლიდან შემიძლია გამოვყო ათი, ან ცოტა ნაკლები, რომელიც გისმენს, სწავლობს და ასრულებს მითითებებს. პედაგოგებს აქვთ არაჩვეულებრივი გრამატიკული ცოდნა, გაკვეთილის გადაცემის კარგი კულტურა, საკმაო ლექსიკური მარაგი, მაგრამ არის გარკვეული პრობლემები გამოთქმებში, რაც ჩვენი ერთწლიანი პრაქტიკის შემდეგ, ვფიქრობ, ადვილად გამოსწორდება.

ამ ცოტა ხნის წინ ჩვენს სკოლას საქართველოს პრეზიდენტი სტუმრობდა. მე ის ძალიან გულთბილი მეჩვენა, მისი ინგლისური კი, უბრალოდ, ბრწყინვალე იყო. გთხოვთ, ეს აუცილებლად ჩაწეროთ, მე თქვენი ქვეყნის მოქალაქე არა ვარ, რომ რაიმე ვიპირფერო. ასეთივე კარგი ვერ მეჩვენა პოლიციის დიდი კედელი, რომელმაც მანიშნა, რომ იქით წასვლა არ შეიძლებოდა. თუმცა, მესმის, რომ ეს პრეზიდენტის უსაფრთხოების გამო ხდებოდა. ჩვენთან, ამერიკაში, ბარაქ ობამას



**თამუნა: „ძალიან შეგვაყვარა თავი"**

გამოც, რა თქმა უნდა, იგივე მოხდებოდა, მაგრამ ხომ გესმით, უბრალო მოქალაქეებს ურჩევნიათ, უფრო მარტივად მოახერხონ პრეზიდენტთან შეხვედრა“.

*რობერტ კალიკა, მართალია ძალიან კმაყოფილია თავისი ქართული ოჯახით, მაგრამ თვლის, რომ აქ ცოტა მეტად „დაუმეგობრდა“ ალკოჰოლს და ძალიან შეუყვარდა საფერავი, თუმცა, ქართულ თეთრ ღვინოს მაინცდამაინც ვერ შეეწყო.*

*თავის მადლიერებას ქევხიშვილების სტუმართმოყვარე ოჯახისადმი კი იმით გამოხატავს, რომ აქედან წასვლის შემდეგ, ფიქრობს, ხშირად დაეკონტაქტოს მათ ელექტრონული ფოსტითა და ტელეფონით.*

*„და სად წავა აქედან?“ — ბუნებრივად ჩნდება კითხვა.*

„კორეაში მინდა მოვხვდე, რადგან, როგორც გავარკვიე, ბებია ფილიპინელი მყოლია და ის ჯერ კიდევ მაშინ გარდაიცვალა, როცა დედა პატარა იყო. წავალ, ჩემი ხალხის შესახებ გავიგებ რამეს, ტაგალოგის ენას შევისწავლი. თანაც, მგონია, რომ ჩინელი გოგონა ჩემთვის ყველაზე მოსარგები საცოლე უნდა იყოს, ეგებ, ბედსაც ვეწიო, — *წითლდება, სახეზე ბავშვივით იფარებს ხელებს და გულიანად ხარხარებს, მერე ამატებს:* „ვგრძნობ, რომ ჩვენი საუბარი დასასრულს უახლოვდება. მინდა, ბოლო წინადადებები ძალიან კარგი და გულწრფელი იყოს. ვფიქრობ, რომ აქ გატარებული პერიოდი ნაყოფიერი აღმოჩნდება არა მარტო ჯუგაანის სკოლისთვის, არამედ ჩემთვისაც. მწამს, რომ საქართველო ძალიან ძლიერდება ჩემს ქვეყანასთან, ამერიკასთან ურთიერთობით და, თუმცა, დღეს ქართველ ხალხს არა აქვს სამუშაო, მისი მომავალი ძალიან სერიოზული და პერსპექტიულია. ჩემს მეხსიერებაში კი ყოველთვის ამოტივტივდება ამ თბილ ოჯახში გატარებული მყუდრო დღეები, გზა სკოლისაკენ, სკოლის გარემო და თუ შანსი მომეცემა, 5-6 წლის შემდეგ, აუცილებლად დავბრუნდები აქ იმისთვის, რომ მოგინახულოთ და გკითხოთ, როგორ ხართ, ქართველებო?.. როგორი ცხოვრებაც უნდა მქონდეს, გინდა კარგი და გინდა ცუდი, ჩემთვის დაუვიწყარი იქნება ერთი ამბავი, სახელად — საქართველო“.

*P.S. წამიერად ჩამოვარდნილი სიჩუმე ჯუგაანის სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელმა, თმადათოვლილმა მისის ნანამ დაარღვია:*

*— რობ, რა მეშველება, რომ წახვალ?*

*— მეც მაგას ვფიქრობ! — იყო პასუხი.*

■



# ქართულ სიმღერაზე გულაჩუყებული რუსული პოლიტელიტა

## და კონდოლიზა რაისისთვის აღკვეთილი ქართული ღვინო

**ამ მომღერალს პროფესიონალური მუსიკალური განათლება არ მიუღია, მაგრამ თითქმის ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანა სიმღერით შემოიარა... გია ხაფავა რამდენიმე წამყვანი ქართული ანსამბლის წევრი იყო. 90-იან წლებში, როცა მათი დაფინანსება შეწყდა, სამუშაოდ რუსეთში წავიდა და სამშობლოში 2008 წელს, აგვისტოს ომის დროს დაბრუნდა... იმასაც იგონებს, თუ როგორ იძაბებოდა პოლიტიკური ვითარების კვალდაკვალ ადამიანური ურთიერთობები... და კიდევ იმას, რომ (რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს) საქართველოს მიმართ ყველაზე აგრესიულად განწყობილ პოლიტიკურ ლიდერებს ქართული სიმღერისა და ზოგადად, კულტურის მიმართ კვლავინდებურად, კეთილგანწყობილება შემორჩათ. სამშობლოში დროებით ჩამოსული მომღერალი თავის ცხოვრებაზეც გვიყვება.**

***ლალი პაპასკირი***

— პატარა ვიყავი, როცა მშობლებმა ფორტეპიანოს სასწავლად მიმიყვანეს. დედამ ნოტები დიდ ჩანთაში ჩამიწყო და როცა უბანში გამოვედი, თანატოლებმა „მუზიკანტი“ დამიძახეს. მას შემდეგ, არც იქ და არც სხვა მუსიკალურ სასწავლებელში ფეხი აღარ შემიდგამს... ოჯახში ყველანი მღეროდნენ — მშობლები, მამიდები, ძმა, მაგრამ — მხოლოდ ოჯახურ შეკრებებზე, თორემ სცენაზე არასდროს უმღერიათ... სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლა ზოოვეტერინარულ სასწავლებელში გავაგრძელე, სადაც ასე ვთქვათ, ჩემი ჭკუის ხალხი გავიცანი. მათ შორის იყო, ტრიო „თბილისის“ წევრი რამაზ გუნიავა და კიდევ ერთი კარგი მომღერალი ოტია ჩიქოვანი... ერთი სიტყვით, ბევრი ვიწვალეთ თუ ცოტა, „ზოოვეტის ტრიო“ ჩამოვაყალიბეთ... ჯერ თბილისში გავმართეთ რამდენიმე კონცერტი, შემდეგ კი ჩვეულებრივი, ოფიციალური გასტროლებით თითქმის მთელი საბჭოთა კავშირი შემოვიარეთ... რამდენჯერმე კრემლის ყრილობათა სასახლესა და ხელოვნების მუშაკთა სახლში გამოვედით, სადაც ჩვენი მაყურებელი ძირითადად, მაშინდელი პოლიტიკური ელიტა იყო. ყოველი კონცერტის შემდეგ, მთელი დარბაზი ფეხზე ამდგარი გვიკრავდა ტაშს... რამაზ გუნიავა, რომელიც მაშინ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „თბილისის“ წევრიც იყო, შემომიჩნდა, — ჩვენს ლოტბარს, რობერტ გოგოლაშვილს (რომელიც ძველი თაობის „ქართული ხმების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და წევრია) მოასმენინე შენი ნამღერიო... ახლა მოქმედი, წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესია 80-იან წლებში კომუნისტებს საკონცერტო დარბაზად ჰქონდათ გადაკეთებული, სადაც ეს ფოლკლორული ანსამბლი იყო განთავსებული... ბატონმა რობერტმა მომისმინა და მითხრა, იარე ჩვენთანო. მერე კი ერთი წევრი გამოაკლდათ, მის ნაცვლად მე მიმიღეს და 1997 წლამდე ამ ანსამბლში ვიყავი.

**— რუსეთში წასვლა როდის გადაწყვიტეთ?**

— არეულობა რომ დაიწყო, სახელმწიფო ანსამბლების დაფინანსება შეწყდა, ჩვენი „თბილისი“ კი თითქმის დაიშალა. უსამსახუროდ დავრჩი, მაგრამ სიმღერა ჩემთვის ყველაფერს ნიშნავდა და მაინც ვერ ველეოდი. ხან სად წავუმღერებდი, ხან — სად... მერე კი მივხვდი, რომ აქედან არაფერი გამოვიდოდა და კერძო ბიზნესი წამოვი-



**„ჩვენს რესტორანს ბევრი ცნობილი ადამიანი სტუმრობს“ (შუაში — მსახიობი ვლადიმირ ეტუში)**

წყე, მაგრამ სიმღერის გარეშე ერთი დღეც არ გამიტარებია... 1998 წელს მოსკოვიდან, ქართულ რესტორან „სულიკოს" ხელმძღვანელებმა დამირეკეს და მითხრეს, კარგი მომღერლების კოლექტივი გვჭირდება და ჩამოდიო. იქაური მსმენელი უკვე მიცნობდა, თან აქაც არასახარბიელო ვითარება იყო და წავედი... რესტორანი, სადაც მე და ჩემს მეგობრებს უნდა გვემღერა, მოსკოვის ცენტრში მდებარეობს და მისი მეპატრონე ერთ-ერთი გავლენიანი ქართველი ბიზნესმენი, ჩვენი სასიქადულო ნინო ანანიაშვილის ბიძაშვილი, დათო ანანიაშვილია. საკონცერტო პროგრამა შევადგინეთ, მისი დასრულების შემდეგ კი კლიენტს სასურველი სიმღერის შეკვეთაც შეეძლო... იმდენი წელი ვიმუშავე იქ, ცხოვრების ნახევარი რესტორნის სცენაზე მაქვს გატარებული და შემკვეთისგან უხერხულობის მაგვარი რამ არასდროს მიგრძნია.

— **რას გულისხმობთ?**

— იმას, რომ ამ მხრივ საქართველოში საშინელი მდგომარეობაა. კლიენტისა და მომსახურე პერსონალის ურთიერთობას კულტურის დონე ჯერ კიდევ ძალიან დაბალია. აქაური რესტორნის სცენაზე არასდროს მიმღერია, მაგრამ არაერთხელ მინახავს, სიმღერის შეკვეთის დროს, კლიენტი თითის ტკაცუნით რომ ეძახდა მომღერალს... თავიდან, სანამ შეზარხოშდება, შეიძლება, თავი შეიკავოს, მაგრამ შემდეგ აგდებული დამოკიდებულება ძალიან თვალში საცემია. იქ მსგავსი პრობლემა, ადგილობრივებისგან არასდროს შემქმნია, ხოლო ქართველებისგან — კი... ჩვენს სტუმრებს შორის ხშირად იყვნენ: მიხეილ გორბაჩოვი, ბორის ელცინი, მისი ქალიშვილი, ცეკას თითქმის ყველა მაღალჩინოსანი, ძალოვანი უწყებების გენერლებიც და მათი მხრიდან მოკრძალებისა და პატივისცემის გარდა, არაფერი მახსენდება... რატომ მიყურებთ ასეთი სახით, ძალიან არაპოპულარულ რამეს ვამბობ?.. ვერ ვიტყვი, რომ რუსი ერი კულტურისა და განათლების მხრივ ჩვენზე ბევრად წინ არის, მაგრამ მათ ახასიათებთ ისეთი რაღაცები, რაც ჩვენთვის უცხოა...

— **რეპერტუარი ქართული გქონდათ?**

— დიახ, ძირითადად, ქართული რეპერტუარი გვქონდა — ფოლკლორი და რომანსები. ყოველი შემთხვევისთვის, რამდენიმე ძველი რუსული რომანსიც გვქონდა მომზადებული... შემდეგ, როცა მოსკოვში (ასევე ქართველი ბიზნესმენის მიერ), არბატზე 500-კაციანი რესტორანი — „გენაცვალე ნა არბატე" გაიხსნა, იქ გადავედით სამუშაოდ. რესტორანში პატარა, ძველი თბილისი იყო მოწყობილი — თავისი ქვაფენილიანი ქუჩებით, ძველი სახლის აივნებით, მეზურნეებით, ღვინის სარდაფებითა და მეწაღით... ამ იმიტაციის წყალობით, თავი თბილისში გეგონებოდა... ეს რესტორანი ბევრად უფრო მაღალი კლასის იყო და რეპერტუარიც სხვანაირი დაგვავალეს: მხოლოდ ქალაქის პოლიტიკური ელიტა და მაღალი კლასის ბიზნესმენები დადიოდნენ.

— **მაინც?**

— კონკრეტულად, ვლადიმირ პუტინის გარდა, ყველა რუსი პოლიტიკოსი მინახავს, თავის ოჯახთან ერთად: სერგეი ლავროვი, დმიტრი მედვედევი, მოსკოვის ყოფილი მერი, იური ლუჟკოვი... სულ გვეუბნებოდნენ, აქ თქვენს მომასმენად მოვდივართ, თორემ ხინკალსა და ხაჭაპურს სხვა ქართულ რესტორანშიც არაჩვეულებრივად ამზადებენო... მაგიდების დაჯავშნა წინასწარ ხდებოდა. მერე დაცვა შემოდიოდა, ყველაფერს საგულდაგულოდ შეამოწმებდა და მას შემდეგ შემოჰყავდათ საპატიო სტუმარი. ერთხელ კლიენტს მაგიდაზე 150 ათასი დოლარი დარჩა. მიმტანმა ეს თანხა დირექტორს მიუტანა, მან კი მაგიდის ნომრის მიხედვით, პატრონს დაურეკა და ფული უკლებლივ უკან დაუბრუნეს.


ოჯახთან ერთად

— **პატრონს როგორი რეაქცია ჰქონდა?..**

— ძალიან ჩვეულებრივი. როგორც იტყვიან, არც იმდენად გახარებიაა ანუ — ისეთი სახე ჰქონდა, რომ დაეკარგა, მისთვის არც ამით დაიქცეოდა ქვეყანა. თუმცა მიმტანი მაინც დაასაჩუქრა.

— **ქართველი ბიზნესმენები არ გსტუმრობდნენ?**

— დიახ, ხანდახან ქართველებიც მოდიოდნენ... ვიცი, რომ ძალიან არაპოპულარულ რამეს ვამბობ და მაპატიოს თქვენმა მკითხველმა ასეთი პირდაპირობა, მაგრამ ჩვენ ერის მაღალ კულტურაზე ხშირად ვსაუბრობთ და მწარე სიმართლეც უნდა ვთქვათ: რაც უნდა მაღალი წრის წარმომადგენელი ყოფილიყო, რესტორანში შემოსული ქართველის ქცევა, მიმტანისა და ჩვენ მიმართ გამოხატული მედიდური და აგდებული დამოკიდებულება იმდენად თვალში საცემი იყო, რომ ეს ჩვენც უხერხულობას გვიქმნიდა... და თუკი რესტორანში რაიმე უსიამოვნება ხდებოდა, ამის ინიციატორი ყოველთვის ქართველი იყო... ერთხელ ოფიციანტი მოვიდა და გვითხრა, — დარბაზში გორბაჩოვი ზის და დიდი ბოდიშის მოხდით, გთხოვთ, მის მაგიდასთან მიხვიდეთო. იქ მისულებს, თავადაც მოგვიხადა ბოდიში, — მაპატიეთ, რომ სუფრასთან დაგიძახეთ, მაგრამ ერთი თხოვნა მაქვს: ძალიან მიყვარს ქართული სიმღერა და ქართველები, თუ შეიძლება, კიდევ ერთხელ რომელიმე მრავალხმიანი ქართული სიმღერა შეასრულეთო.

— **რა იმღერეთ?**

— გიტარის თანხლებით ვიმღერეთ „ჩემ ბაღნარში" და ამის შემდეგ გვთხოვა, „სულიკო" მიმღერეთო... ოფიციანტებმა გვითხრეს, თვალდახუჭული იჯდა და ისე გვისმენდათო. რუსული პოლიტელიტის წარმომადგენლებს ასე ემართებოდათ რევაზ ლაღიძის „თბილისოს" დროსაც... თითქმის ყველა რუსი მაღალჩინოსანი, რაც უნდა შეზარხოშებული ყოფილიყო, როცა ჩვენთან დალაპარაკება სურდა, მორიდებით გვკითხავდა, — შეიძლება თქვენთან ჩამოვჯდეო?.. — საუბრისას იმ „კარგ პერიოდს" იგონებდა, როცა საქართველოში მეგობრებთან ჩადიოდა.

— **და მაინც, ეს ალბათ ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობის დაძაბვამდე ხდებოდა...**

— ჯერ კიდევ ომამდე, რუსი საზოგადოების მხრიდან ყველაფერ ქართულის მიმართ აგრესიული დამოკიდებულება თვალში საცემი გახდა... ერთ პატარა ეპიზოდს მოგიყვებით. ლენინის პროსპექტზე ვცხოვრობდი. ყველა მეზობელთან თუ ნაცნობთან, კარის დარაჯთანაც კი მეგობრული ურთიერთობა მქონდა. ზაფხულობით ეზოში „ბაბულიები" იკრიბებოდნენ, მათ მოვიკითხავდი და შოკოლადებს მივართმევდი ხოლმე... როგორც კი პოლიტიკური ვითარება გართულდა, პოლიტიკურის კვალდაკვალ, უბრალო ადამიანების დამოკიდებულებაც დაიძაბა... ერთმა მოხუცმა „ბაბულიამ", რომელიც იმ დღემდე ძალიან თბილი და უწყინარი მეგონა, მომაძახა, — როდისღა უნდა წახვიდეთ ეს ქართველები აქედან?!. გავშრი. —




რას გიშავებთ-მეთქი? — მერე შერცხვა და მითხრა, — მაპატიეთ, კონკრეტულად თქვენზე არ მითქვამს — ზოგადად, აქ ჩამოსულ ქართველებზე ვთქვიო... ბებიის ასაკის ქალთან პოლემიკას ხომ არ გავმართავდი?!. მერე, დღითი დღე, მილიციასთან ურთიერთობაც იძაბებოდა, ქართველს არაფრის გამო აკავებდნენ და ყველანაირად ავიწროებდნენ. ჩემი უბნის ინსპექტორთან ვმეგობრობდი და ერთ დღეს შემომჩივლა, — რა ვქნა, „უსტნიი“ ბრძანება გვაქვს, ქართველები შევავიწროოთ, თორემ ჩვენ კი არ გვეხალისებაო... იქაური მოქალაქეობა არ მიმიღია (არ მინდოდა და იმიტომ), მაგრამ რახან იქ ვცხოვრობდი, საბუთები ყოველთვის წესრიგში მქონდა...

**— და ამ ყველაფრის მიუხედავად, ქართული სიმღერა და ზოგადად, კულტურა დიდი მოთხოვნილებით სარგებლობდა, არა?**

— დიახ, ასე იყო. ომამდე სულ რამდენიმე თვით ადრე, მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით, ამერიკის მაშინდელი სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი ჩამოვიდა... პუტინმა, ცხადია, წვეულება მოაწყო. ქართული ღვინო და პურმარილი იმ ქართული რესტორნიდან წაიღეს, სადაც მე ვმუშაობდი. ამ დროს ქართული ღვინო და პროდუქტი უკვე აკრძალული იყო და ყველას ძალიან გაგვიკვირდა... წინასწარ ცივი კერძები წაიღეს და მერე, ცხელი კერძების მოსამზადებლად, ჩვენი რესტორნიდან ქართველი მზარეულებიც წაიყვანეს და თან მომსახურე პერსონალი, კარგი გარეგნოების მქონე, ახოვანი ბიჭები ამოარჩიეს.

**— ქართული კერძები ამერიკელ სტუმრებთან რუსულადაც ხომ არ გაასაღეს?..**

— არა. იმ ბიჭებისგან ვიცი, რომ პუტინმა რამდენჯერმე ხაზგასმით უთხრა უცხოელ სტუმრებს, — ეს ყველაფერი ქართულიაო... ასე რომ, თავად პოლიტელიტისგან უამრავჯერ მომისმენია, — უქართველებოდ რუსეთი ვერ იარსებებსო... მაგრამ ამ ყველაფრის მიუხედავად, მივხვდი, რომ იქ დარჩენა აღარ ღირდა. ახალგაზრდა ბიჭი რომ ვყოფილიყავი, რაღაცნაირად კიდევ გავიტანდი თავს, მაგრამ ჩემი ასაკის კაცს ყოველ მეორე დღეს მილიციის განყოფილებაში რომ მიიყვანენ — ძნელი ასატანია... 2008 წელს, სანამ ომი დაიწყებოდა, შვილიშვილი შემეძინა და ჩამოვედი. აქედან დანახული რუსულ-ქართული ურთიერთობა სულ სხვანაირი იყო. თან, ჩემს აქ ყოფნაში, აგვისტოს ომიც დაიწყო და იქ წასვლა საერთოდ გადავიფიქრე.

**— სამშობლოში დაბრუნების შემდეგ როგორ გაგრძელდა თქვენი ცხოვრება?**

— ცოტა ხანს — სულ რაღაც 3 თვე ბაქოში ვიყავი. ჩემმა მეგობარმა, მსახიობმა გია ბურჯანაძემ მითხრა, — იქ ქართული რესტორანი „ფიროსმანი“ იხსნება და მომღერლები სჭირდებათო... მშვენიერი ქალაქია, მაგრამ იქ ცხოვრება არ მინდა. ამიტომ ვუთხარი, — ცოტა ხანს, სანამ მუშაობა აეწყობა, კლიენტს მოვიზიდავთ-მეთქი; მერე კი წამოვედი... ქართული მრავალხმიანი სიმღერის მიმართ იქაც დიდ ინტერესს იჩენენ; ძალიან უყვართ აგრეთვე ძველი რომანსები.

**— ამჟამად რამე ახალ შემოთავაზებას ელოდებით?**

— უკვე მივიღე: კიევში იხსნება მაღალი კლასის ქართული რესტორანი და იქ დავიწყებთ მუშაობას... ■



# ვინ რას კითხულობს
## ანუ რატომ აკრიტიკებენ წიგნიერ თაობას

**არახალია, რომ უფროსი თაობის წარმომადგენლების უმეტესობა თინეიჯერებს უწიგნურებად მოიხსენიებს, ზოგი კი ჯიუტად ამტკიცებს: ეს ბავშვები ისეთი განათლებულები არიან, რომ საკუთარი ცოდნით მათ ვერც შევედრებით, რადგან გარდა იმისა, რომ მხატვრულ ლიტერატურას ეცნობიან, სამყაროს შესახებაც აქვთ ისეთი ინფორმაცია, რომელიც მათ ასაკში ჩვენ არც კი დაგვესიზმრებოდა და ეს ყველაფერი კომპიუტერიზაციის წყალობააო. დავინტერესდი, მართლა კითხულობენ თუ არა მოზარდები წიგნებს, რა მისწრაფებები აქვთ, რომელი ლიტერატურული პერსონაჟები მოსწონთ და ამ ყველაფრის დასადგენად, სატელეფონო გამოკითხვა ჩავატარე.**

*ლიკა ქაჯაია*

**ნინა,** 15 წლის:

— წიგნების კითხვა 7 წლის ასაკში დავიწყე. პირველად „ბიძია თომას ქოხი" წავიკითხე და ძალიან მომეწონა; მერე მამამ მაინ რიდის „უთავო მხედარი" მომცა, — საინტერესო წიგნიაო და მეც, დიდი სიამოვნებით ჩავიკითხე. მშობლების გემოვნებას ვენდობი და ამიტომაც, დღემდე ისინი მირჩევენ, თუ რა უნდა წავიკითხო.

— **ახლა რას კითხულობ?**

— ამჟამად სერგი ჭილაიას „ეკატერინე ჭავჭავაძეს" ვკითხულობ და სიმართლე გითხრათ, ძალიანაც მომწონს. მართალია, ამ წიგნში ამოკითხული რაღაც-რაღაც ფრაზები ჩემთვის ცოტა რთულად გასაგებია, მაგრამ ამასაც აქვს თავისი ხიბლი — ეს ყველაფერი მეტ „მუღამს" მაძლევს საიმისოდ, რომ ჩემთვის უცნობ სამყაროს გავეცნო, ახალი სიტყვები, რომელიც აქამდე არ გამიგონია, ლექსიკონში ვეძებო. მოკლედ, წიგნები ძალიან მიზიდავს.

— **კომპიუტერის მონიტორზე თუ წაგიკითხავს რომელიმე ნაწარმოები?**

— კი, ინტერნეტში „ჰარი პოტერი" წავიკითხე, რადგან მის შესაძენად ჩემს მშობლებს ფული არ ჰქონდათ და სიმართლე გითხრათ, ამ პროცესით დიდად ვერ მოვიხიბლე. ჰოდა, შეიძლება, სწორედ ამის ბრალია, რომ ვერ ვხვდები, რა მოსწონთ „ჰარი პოტერში"? ეს ხომ არარეალური, ზოგჯერ კი გულისამრევი ამბებით სავსე წიგნია და არც ჰარია მისაბაძი პიროვნება. სხვა თუ არაფერი, ამ წიგნის წაკითხვას ჩვენი სარწმუნოებაც გვიკრძალავს; იქ ისეთი რაღაცები წერია, რამაც შეიძლება ნამდვილი ქრისტიანი აცდუნოს, მას ცოდვაში ჩაადგმევინოს ფეხი.

— **რას გულისხმობ?**

— თუნდაც იმას, რომ შეიძლება, ვიღაცას ჯადოს გაკეთებისკენ უბიძგოს და თქვენი აზრით, ეს კარგი საქმეა?!.

— **დაბოლოს, თუ გყავს საყვარელი ლიტერატურული გმირი?**



— რა თქმა უნდა, მყავს. გაგეცინებათ და, სანჩო პანსა მიყვარს ძალიან. სასაცილო ტიპია, სიამოვნებით ვიმეგობრებდი მისნაირ გულუბრყვილო ადამიანთან. სამაგიეროდ, არ მომწონს დონ კიხოტი, რომელიც მეგობრად ქცეულ მსახურს აქეთ-იქით, უაზროდ დაარბენინებს, ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევს... შექსპირის მხოლოდ „რომეო და ჯულიეტა" მაქვს წაკითხული. თავიდან რომეოს მიმართ ცხადია, სიმპათია გამიჩნდა, მაგრამ ბოლოს, როცა მან თავის მოკვლა გადაწყვიტა, მივხვდი, რომ სულელი იყო! ალბათ, მისნაირი სიყვარული მხოლოდ არანორმალურებს თუ შეუძლიათ და ნამდვილად არ მინდა, რომეოს მსგავსი „ლოვე" მყავდეს.

**გიო,** *17 წლის:*

— ბოლოს კონსტანტინე გამსახურდიას „დავით აღმაშენებელი" წავიკითხე. ძალიან მომწონს ისტორიული რომანები და ვცდილობ, სხვა ჟანრის ნაწარმოები იშვიათად წავიკითხო. თუმცა, ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დოსტოევსკის „იდიოტმაც". მახსოვს, როგორი სიამოვნებით წავიკითხე „უკანასკნელი მოჰიკანიც"; და კიდევ, საოცრად მიყვარს გურამ დოჩანაშვილის „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა". ვფიქრობ, ეს ნაწარმოები ყველამ უნდა წაიკითხოს.

— **თუ შეგიძლია, საყვარელი გმირი დაგვისახელე.**

— კონსტანტინე გამსახურდიას გავლენის ქვეშ ისე მოვექეცი, რომ მხოლოდ დავით აღმაშენებელს თუ დაგისახელებთ...

**ნია,** *18 წლის:*

— ამწუთას გრიგოლ აბაშიძის „ლაშარელას" ვკითხულობდი.

— **ამ ნაწარმოებში რომელი საუკუნის ამბებია აღწერილი?**

— ეს წიგნი XIII საუკუნის დასაწყისში, საქართველოში მომხდარ ამბებზეა აგებული. რა, გამოცდას მიწყობ?

— **შეიძლება ითქვას, რომ კი. მეფე ლაშა-გიორგისნაირ კაცს თუ მისთხოვდებოდი?**

— სიამოვნებით, მაგრამ დღეს სადღა არიან მისნაირი ვაჟკაცები? ახლა ჩემს თანატოლებს ვაჟკაცობად ის მიაჩნიათ, მეგობარს დანას თუ გაუყრიან ან „წამალს გაიჩხერენ", თორემ რომელიმეს მტერი რომ გამოეკიდოს, შეიძლება, კუდამოძუებული ისე გაიქცეს, რომ გვერდით მდგარი სატრფო დაავიწყდეს...

— **კიდევ, რომელმა ნაწარმოებმა მოახდინა შენზე დიდი შთაბეჭდილება?**

— ტოლსტოის „ანა კარენინა", თეოდორ დოსტოევსკის „ეშმაკნი" მომეწონა. ძალიან მიყვარს დიუმას „სამი მუშკეტერი", რომელიც უამრავჯერ მაქვს წაკითხული, მაგრამ მასში ყოველთვის ვპოულობ რაღაც ახალს, საინტერესო დეტალს. მოკლედ, მაგარი წიგნია!

**გეგა,** *15 წლის:*

— რომ გითხრათ, წიგნები ძალიან მიყვარს-მეთქი, მოგატყუებთ. ბოლოს „ჰარი პოტერი" წავიკითხე, ისიც იმიტომ, რომ ყველა ჩემს თანაკლასელს ჰქონდა წაკითხული და როცა ჰარიზე, როგორც მეგობარზე, ისე ლაპარაკობდნენ, ამ პერსონაჟით მეც დავინტერესდი; თუმცა ვერ ვიტყვი, რომ წიგნით მოვიხიბლე.

— **ამჟამად არაფერს კითხულობ?**

— არა, მხოლოდ ინტერნეტში ვეცნობი ჩემთვის საინტერესო ამბებს... მახსოვს, პირველად ჯონათან სვიფტის „გულივერის მოგზაურობა" წავიკითხე და ძალიან ბევრი ვიცინე; ვერ ვიტან ბავშვურ საკითხავებს.

— **და შენც, რაიმე უფრო „დიდური" წაიკითხე.**

— მაგალითად, შექსპირი ან ოტელო?

— **შენი აზრით, ოტელო ვინ არის, მწერალია?**

— რა ვიცი, ვინც უნდა, ის იყოს,

მაგრამ მე მირჩევნია, დრო წიგნის კითხვაში არ დავკარგო.

— **უფრო სასარგებლო საქმიანობით ხარ ხოლმე დაკავებული?**

— მე მომავალი ჰაკერი ვარ და ვიღაცების მიერ წლების წინ დაწერილი რაღაცები არაფერში გამომადგება!

— **მერე, ვინმემ რომ დაგცინოს იმის გამო, რომ არ იცი, ვინაა ოტელო?**

— ეს სულაც არ მედარდება. მთავარია, ჩემი საქმის პროფესიონალი ვიყო და ოტელოს შემოქმედებას თუ არ გავეცნობი, ბევრი არაფერი დამაკლდება!

**ანი,** *18 წლის:*

— მე პოეზია მიყვარს და ცხადია, უპირატესობას პოეტების შემოქმედებას ვანიჭებ, თუმცა არც რომანების მიმართ ვარ გულგრილი.

— **თუ გახსოვს, ბოლოს რა წაიკითხე?**

— ახლა შანდორ პეტეფის ლექსებს ვკითხულობ და ვიზეპირებ... ბოლოს წავიკითხე „ბალთაზარ კოსა", მაგრამ სამწუხაროდ, ავტორის სახელი არ მახსოვს. „დათა თუთაშხიას" კითხვა დავიწყე, თუმცა გული ვერ დავუდე, ბოლომდე ვერ ჩავედი; დიდი ბოდიში ჭაბუა ამირეჯიბთან, მაგრამ ეს ნაწარმოები ჩემთვის რთულად გასაგები აღმოჩნდა... მომწონს აგათა კრისტის დეტექტივებიც, მაგრამ არ მომწონს არტურ კონან დოილის შემოქმედება; მეტიც — შერლოკ ჰოლმსი, თავისი ჩიბუხითა და საქმის გახსნის უცნაური მეთოდებით მაღიზიანებს კიდეც.

— **დაბოლოს, იქნებ შენი საყვარელი ლექსი წაგვიკითხო...**

— ვინაიდან გალაკტიონი სიგიჟემდე მიყვარს, მასზე დაწერილი ყველა ლექსიც ჩემი მგონია. ენვერ ნიჟარაძის დაწერილი „გალაკტიონი" წაკითხული გაქვთ?

— **სამწუხაროდ, არა!**

— მაშინ, ახლა სწორედ ამ ლექსს წაგიკითხავთ: „ის განწმენდილი/ ცისკენ გაფრინდა,/ ჩვენ დაბლა დავრჩით,/ ჩვენი ცოდვებით/ და ღამლამობით,/ ახლა მაღლიდან,/ დაგვყურებს თავზე/ და ვეცოდებით".

*როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, ფორუმებზე არა მარტო ისეთ თემებს განიხილავენ, რომელიც სექსს, ტანისამოსს, სამკაულებს და ა.შ. უკავშირდება, არამედ ხშირად, წიგნებზეც ლაპარაკობენ და ლიტერატურულ პერსონაჟებსაც აკრიტიკებენ ან აქებენ. ამას წინათ ერთ-ერთმა ფორუმელმა გახსნა თემა: „რომელ ლიტერატურულ პერსონაჟს უნდა ჰგავდეს თქვენი საყვარელი ადამიანი?" — და ამ კითხვას, პირველ რიგში, თავადვე უპასუხა:*

**დარიალა:**

„ალბათ, კითხვა ყველას გვიყვარს. ვკითხულობთ ბავშვობიდანვე და შესაბამისად, წიგნის საშუალებით სიყვარულს ვეზიარებით. წიგნის გმირები ხდებიან, უფრო სწორედ, ჩვენ დროებით ვხდებით მათი ცხოვრების ნაწილი; მათთან ერთად ვცოცხლობთ, ვსუნთქავთ, ვიბრძვით. თითოეული წიგნის დამთავრება მეგობართან დიდი ხნით დამშვიდობებას ჰგავს, ხოლო ხელმეორედ წაკითხვა დიდი ხნის უნახავ მეგობართან შეხვედრას... ჩემი პირველი „შეყვარებული" არსენა მარაბდელი იყო :), მეორე და ბოლო კი — ზე: „მარიამს უყვარდა ცქერა, როგორ ამოყოფდა ტყავის ხალათში თავს ზე, როგორ მოირგებდა დაკუნთულ მხრებზე და როგორ გამოიკვეთებოდა ქამრით მისი დაუჯერებლად თხელი, ვიწრო წელი... ზე წამოიმართებოდა და ქოხიდან გასვლამდე მარიამს შეკავებული ღიმილით დასცქეროდა, მარიამი კი ერთხანს დაძაბული, თავს მოიმძინარებდა და მერე უცებ გაიელვებდა თეთრი კბილები, გულიანად გაიცინებდა; ზე მუხლზე დგებოდა, თმას შემოაცლიდა სახიდან და ძილისაგან გაფუებულ ტუჩებზე ორჯერ ჰკოცნიდა.

მერე ცხენთან მიდიოდა ზე, ხელისგულს რბილად ჩამოუსვამდა კისერზე და პატრონის მოფერებით განაბულ ცხენს მაშინვე ზურგზე მოექცეოდა — სკუპ ერთი და, მორჩა, გამართული იჯდა უბელო ფაშატზე მოხდენილი ვაკეირო, ზე...

ზე წელიწადში ერთხელ ჩადიოდა ქალაქად, ბაზრობაზე და იქ მიხაკებიანი და ვარდებიანი ქალები რომ ნახა, უცებ კი მოეწონა, მაგრამ რაღაც სიცივე იგრძნო, მარიამი გაახსენდა — ერთი შეხედვით ყველაზე უბრალო ყვავილის სახელი საიდუმლოდ შეარქვა და მას შემდეგ მის თმაში სახეჩარგული, სულ ჩუმად, ჩუმად იმეორებდა: „მარიამ, გვირილა".

ზე ერთერთი იყო იმ რჩეულ ხუთთაგან, ვინც შემდგომ დიდი კანუდოსელი გახდა"... მოკლედ, ზე ერთ-ერთი იყო იმათგან, ვინც ჩემი რჩეული გახდა და საინტერესოა, ვინ არის თქვენი რჩეული ან რომელ გმირს გინდათ, რომ თქვენი შეყვარებული ჰგავდეს?"

REMARQUE:

„ჰერმინე, „ტრამალის მგელიდან".

LESGROSSMEN:

„ყველა ლიტერატურული გმირი თავად დაემსგავსოს ჩემს საყვარელ ადამიანს".

EILA SEKURA:

„დათა თუთაშხია :(".

**098:**

„აუ, კონკიები ცუდად მაქვს დაცდილი... ეტყობა, მე რომ ვარ ჯიბეგაღლეტილი პრინცი, იმიტომ... აი, როგორი პრინცესა მინდა, იცი? მეფე ნახევარ სამეფოს რომ გაატანს, მზითევში..."

MOONLIGHT:

„მონტესუმას ასული მევასება".

SCO:

„პირიქით, თაყვანისმცემლებისგან ვქმნი ლიტერატურულ-პოეტურ გმირებს".

**დარიალა:**

„ახლა რატომღაც, ოსკარ უაილდის გოგონა გამახსენდა, მოედანზე ასანთს რომ ყიდდა და ქანდაკებამ საფირონის თვალები რომ აჩუქა :))".

**ქეთი-ქეთუსია:**

„ე, ოსკარ უაილდი... ვიცი, ეგ ვინც არის, მაგრამ შენ თუ იცი, რატომ ყიდდა ის გოგო ასანთს?"

**დარიალა:**

„იმიტომ, რომ სახლში ისეთი მამა ჰყავდა, რომელსაც ფულს თუ არ მიუტანდა, სცემდა; და კიდევ, მას ფეხსაცმელები არ ეცვა... შენ სხვა რამე გითხრა უაილდმა :)?"

**ქეთი-ქეთუსია:**

„წიგნში წერია მასე... იმიტომ ყიდდა, რომ ასანთი პატარაა, ჩხირია და დიდი სინათლე მოაქვს..."

**დარიალა:**

„მაშინ არ უნდა გაეყიდა; ისე, საჩუქრად უნდა დაერიგებინა :). სითბოს გაყიდვა არ შეიძლება, ის უნდა გასცე, უანგაროდ :)".

**ქეთი-ქეთუსია:**

„სითბოს არა, ასანთს ყიდდა; სითბო უბრალოდ, თან მოჰყვებოდა".

**დარიალა:**

„ჰოდა, ცუდია, რომ ის ასანთი წყალში ჩაეყარა, სითბოს გაცემა არ გამოუვიდა; სამაგიეროდ, საფირონით დასაჩუქრდა :)".

SHAMAN:

„ამაზონკები... ერთი არა, ბევრი..."

MISLEY:

„ნესტან-დარეჯანს შევადარებდი".

FEEL-FOR-YOU:

„ოთარაანთ ქვრივი".

ARTHASA:

„ლამაზისეული".

**კუსკუსა 19:**

„მარტინ იდენი".

**სტრელიცია:**

„ბავშვობაში ნათანიელი მომწონდა, მაგუა კი მძულდა და ახლაც ასეა".

**098:**

„ო'ჰენრის „მოგვთა საჩუქრებიდან", ჯეიმს დილიგჰემსა და მის ცოლზე — დელაზე რას იტყვით?.."

**სამაია:**

„ხარება მიყვარს ძალიან და მისნაირ ყაჩაღ ქმარზე ვოცნებობ".

**ედუინ:**

„მადამ ბოვარი მომწონს".

**ლიზა:**

„ჩემს რჩეულს ლუარსაბს შევადარებ".

**კუსკუსა 19:**

„მე კი ჯაყოს :))".

**ირუშა:**

„კარლზე ვგიჟდებოდი, „ყაჩაღებიდან"... დოჩანაშვილის მანუელო კოსტა, დონ დი-

ეგო მომწონდა... კიდევ, რა ვიცი, ბევრი პერსონაჟი შემყვარებია, მაგრამ მათ რეალურ ცხოვრებაში ვერ ვპოულობ :)“.

No-fear:

„ბაბაიაგას :)“.

SAN7A:

„ტომ სოიერს. P.S. გოგო რომ ვიყო“.

**რაზერატნიკი:**

„ნასტასია ფილიპოვნას, „იდიოტიდან“. P.S. ისე, როცა რომელიმე პერსონაჟის სახელს დაწერთ, სჯობს მიუწეროთ, რომელი ნაწარმოებიდანაა“.

**სოფია-ლი:**

„გრაფი მონტე კრისტო“.

WERTY-1:

„მარიტას (რა ვქნა, ასეთი გლეხი ვარ, მაინც ქართველი მირჩევნია)“.

**ალაჰამბრა:**

„ჰო, მე დათა თუთაშხია მიყვარდა და ვაღმერთებდი... ისე, ახლაც მიყვარს, მაგრამ რომ დავფიქრდი და დათას ტიპაჟი ქალისა და მამაკაცის ურთიერთობების ჭრილში განვიხილე, აღმოვაჩინე, რომ ქმრისა და პარტნიორის როლში არანაირად არ გამოდგებოდა :)“.

**სამაია:**

„რომეო... საყვარელო, მე ვიქნები შენი ჯულიეტა“.

**ჟურნალისტკა:**

„როგორც მის ბლანშ ინგრემი იტყოდა, — მამაკაცში თუ არაფერია სატანური, ის რა კაცია?! ჰოდა, არა რეალურად, მაგრამ აი, ლიტერატურულად, ვოლანდი მაგარია ანუ ის სამართლიანად იქცეოდა, თორემ სატანისტი კი არა ვარ. და კიდევ, რეტ ბატლერი მომწონს, მოხულიგნო რომანტიკოსი“.

**შუშანა:**

„გაგეცინებათ და, კლოუნი ჰანსი მიყვარდა („კლოუნის თვალთახედვა“), თუმცა სულაც არ მინდა, ჩემი რჩეული მას ჰგავდეს. კიდევ, სულ მინდოდა, ჩემს შვილს ჩემთან ისეთი დამოკიდებულება ჰქონოდა, როგორიც ფიონას უფროს ვაჟს ჰქონდა დედის მიმართ“.

**მეგი-მეგი:**

„კვაზიმოდო!“

SWEETY-FLOWER:

„აუ, სამებაში ვნახე ზუსტად ისეთი კაცი, როგორიც ჩემი იდეალია. თან, აშკარად დიპლომატი ან ბიზნესმენი იყო და ვიღაცის ოჯახთან ერთად გახლდათ მოსული... მაღალი, ქერა... თან, წვერიც ისე ჰქონდა, როგორც კაუპერვუდს; ახლა ხომ წვერი ასე არავის აქვს, მხოლოდ XX საუკუნეში, არისტოკრატებს ჰქონდათ... მოკლედ, ის არის ჩემი ოცნება; რომ დავინახე, დავდნი, რა...“

**მაკიაველ:**

„ნამდვილი ქალი — ტერეზაა: რიტუალური მეძავი, ნაყოფიერების დიდი ღვთაება, მაღალი მკერდით, ფართო თეძოებით, დასკდომამდე დაბერილი ტუჩებით, გველივით მკლავებით, ხუთი მახრჩობელა თითით, ტკბილი არომატით, სასურველი, თამამი, გამომწვევი, საშიში... ასევე ნანოც: „არიან ქალები, რომელთა სილამაზე და მომხიბვლელობა ურთიერთობაში იჩენს ხოლმე თავს და არა — დანახვისთანავე. ნანოც ასეთი ქალი იყო, მის სილამაზეს მიგნება სჭირდებოდა“. ვგიჟდები ინტელექტუალურ ქალებზე!“

BEGGINS:

„სამ მეგობარში“ რომ კესტერია, ძალიან მაგარი კაცია!“

POP-CORN:

„ბილ გეითსზე ჯერ წიგნი არ დაუწერიათ, ხომ?“

**დარიალა:**

„არა და ჯერ არც არისტოტელე ონასისზე დაუწერიათ :)“.

GIRL FROM IPANEMA:

„რამდენი ვიფიქრე ამ თემაზე... ორი ლიტერატურული პერსონაჟი გამახსენდა და ორივეს საერთო თვისებები აქვს: ძალიან სიმპათიური, ჭკვიანი, მოხერხებული, ცოტა ავანტიურისტი, „თავგადასავლურიანი“, იდეალური ადამიანები არიან. კაცი რომ ვყოფილიყავი, ერთი ცხოვრების გავლას სწორედ მათი ცხოვრებით ვისურვებდი, მაგრამ როგორც საყვარელ ადამიანს ანუ როგორც შეყვარებულს, არც ერთს არ ვისურვებდი, რადგან საშინლად არამდგრადები არიან (ყოველ შემთხვევაში, ავტორებს ასე ჰყავთ აღწერილი) და მომიშლიდნენ ნერვებს :)... მესამეც გამახსენდა: ის მომხიბვლელი და მხიარულია, ისეც უდიდესი პოპულარობით სარგებლობს მანდილოსნებში... მიყვარს... მოკლედ, ბევრი ვიფიქრე და მოვიფიქრე, ასეთი ავთანდილია! ის სრულად აკმაყოფილებს ჩემს პრაგმატულ და კდემამოსილ კრიტერიუმებს მიჯნურის შესახებ“.

BLONDGIRL:

„პატარა უფლისწული!.. როგორ მიყვარს, როგორი თბილია, ნუ... მაგრამ ბიჭი რომ ვიყო, აუცილებლად მერცხალს („ამბრნი, უმბრნი და არაბნი“) ან ანამარიას („სამოსელი პირველი“) დავასახელებდი“.

SUNNY-FLOWER:

„დოსტოევსკის იდიოტი და დონ-კიხოტი მომწონს“.

**მელიკდა:**

„ჯეინ ოსტინს საკმაოდ საინტერესო გმირები ჰყავს. ელიზაბეტ ბენეტზე ხომ საერთოდ, ლაპარაკიც არაა, ის სასწაულია!“

**პატრიცია:**

„მომწონს რობერტ რედფორდის გმირი, ფილმში — „კონდორის სამი დღე“.

WOMAN:

„ლორდ ჰენრი და ჰარი ჰალერი!“

SCHULDINER:

„ლორდი ჰენრი ანუ ენაჭარტალა კაცები მოგწონს?“

WOMAN:

„უფრო, ენამოსწრებულ-ინტელექტუალურ-ორიგინალური!“

SCHULDINER:

„იტოგში“, ფილოსოფოსი, ხომ?“

WOMAN:

„ტვინოსოფოსი“ გინდოდა, გეთქვა, არა?“

SCHULDINER:

„წაკითხვის დღიდან ვერ ვიტან მაგის ინტელექტუალურ დემაგოგიებს“.

WOMAN:

„აბა, დორიანს ჰკითხე :))... მე მომწონს მისი გაქანების დონე, სიღრმე, მაგრამ ცალკე ამბავია, რამდენად ვეთანხმები. თუმცა ის ფაქტი, რომ ამ ადამიანს შეუძლია, ნებისმიერი სისულელე ისე დაგაჯეროს, როგორც უდიდესი აღმოჩენა, უკვე ძალიან მაგარია! P.S. უჰ, როგორ დამავიწყდა: დიკ დაივერიც ფრიად მხიბლავს“.

EKA-JOHANNA:

„წავიდა გმირების დრო, მე რეალისტი ვარ“.

ალფა-ომეგა:

„არც ერთს!.. ეჰ, რა არარომანტიკული ვარ ხოლმე“. ■

## „ის ველარც მამჩნევს...“

**უცნობი:**

„გამარჯობა. მიყვარს ადამიანი, რომელსაც პატარაობიდანვე ვიცნობ. ადრე ერთმანეთთან კარგად ვიყავით, მაგრამ... მეოთხე კლასში გახლდით, როცა სხვა სკოლაში გადამიყვანეს. მას შემდეგაც კარგი ურთიერთობა გვქონდა, მაგრამ დროთა განმავლობაში დავშორდით და ახლა, როცა ქუჩაში მხვდება, აღარც მესალმება, თითქოს ვერც მამჩნევს, არადა, ამის მიზეზს ვერ ვხვდები. გთხოვთ, მირჩიეთ რამე“. ■

*P.S. მაშ ასე, თუ უცნობისა და კნოპკას წერილების წაკითხვის შემდეგ, მათთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.*

## „შეყვარებულმა ჩემი თავი ნარკომანს მოატაცებინა“

**კნოპკა:**

„ჩემი ყოფილი შეყვარებული ნამდვილი არაკაცი აღმოჩნდა. იმის თქმას, რომ საცოლე ჰყავდა, ამჯობინა, თავიდან მოეშორებინე და ვიღაც ნარკომანს მოატაცებინა ჩემი თავი. რა თქმა უნდა, იმ უცნობ ადამიანს არ გავუჩერდი და შინ დავბრუნდი... ახლა ყოფილი შეყვარებული მირეკავს და შერიგებას მთხოვს. მირჩიეთ, როგორ გადავუხადო სამაგიერო?..“ ■

# ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, ბრაგნილი, წიგნი

# წვეთი პოეზია



## სანტიმენტალური მოგზაურობა

(ერთ დღეობაზე გაუგზავნელი ლექსი)

მაისი ყველგან არის მაისი,
მაგრამ ბათუმში მაინც სხვა არი,
და ვხვდები ახლა, რომ სილამაზეს
აღარ ჰქონია ქვეყნად საზღვარი.
ზღვა ისე იყო მშვიდი და წყნარი,
რომ აღარც მახსოვს იყო თუ არა!
ერთად გააღო ცამ შვიდი კარი
და ზღვას სარტყელად გადაუარა.
თეთრ ზამბახების დგანან ფარდები,
გააქვთ შრიალი პალმების ქოლგებს,
და ისე ყრია თეთრი ვარდები,
თითქო ათასი აქ გედი მოკლეს.
გაღებულია სამოთხის კარი
და მე მრცხვენია, რომ ვარ უშენოდ,
ალბათ ყოფილა წყევლა ამგვარი:
მივცეთ პოეტებს სამშობლო მხარე
ულამაზესი – ედემის დარი
მხოლოდ ქალები გადავუშენოთ.
გაღებულია სამოთხის კარი
და მე მრცხვენია, რომ ვარ უშენოდ!..

*ტიციან ტაბიძე, ბათუმი, 1928 წელი*

## ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით
1982 წელს გამოცემული
ქართული ენის
განმარტებითი ლექსიკონის
ერთტომეულის მიხედვით

შემდგენელი თემურ ივანიძე

### კ

დასაწყისი იხ. „გზა“,
№2-52, 2010 — №1-6, 2011

**კჳრინვა** (ძვ.) — ვეფხვის, ფოცხვერის, კატის კრუტუნი.

**კიალი** — ნათება, ბრწყინვა, კიაფი, ელვარება.

**კივკივი** — ინდაურის ხმიანობა (კივკივა ინდაურის ეპითეტია).

**კიკო** — 1. ბანქოს სათამაშო ქაღალდი, რომელზედ მხოლოდ ერთი გამოსახულებაა (ერთი ჯვარი, ერთი ყვავი...) — ტუზი; 2. (საუბ.) კენტი, ცალი, მარტოხელა.

**კილი** — მცირე ნაკლი, წუნი.

**კილი** — თავთავიან კულტურათა მარცვლის ბუდე.

**კილი** — დაჩრჩილული ხის მტვერი.

**კილიტი, კილიტა** — ფერადი ლითონის სიფრიფანა ფურცელი: იხმარება სარკეების წარმოებაში, ტყავის დასატვიფრავად.

**კილო** — 1. ღილის შესაკრავი ჭრილი ტანსაცმელზე, — საღილე // თასმისა ან დაგრეხილი ძაფისაგან გაკეთებული ყულფი, ღილზე გადასაცმელი; 2. ისრის ბოლო ჭდე, რომლითაც იგი მშვილდის ლარს ედება.

**კილო** — ქუთუთოს კიდე.

**კიმპალი** — ყურძნის მტევნის მხარი, რომელზედაც ორი-სამი მარცვალია.

**კინთი** — საპენტელის ლარის საცემი ჯოხი.

**კინტო** — 1. ძველ თბილისში — ხელზე მოვაჭრე; გამოირჩეოდა თავისებური ჩაცმა-დახურვით, მოსწრებული სიტყვა-პასუხით და ცუღლუტობით; 2. ცუღლუტი, მასხარა, ლაზღანდარა.

**კინჩხი** — კინჩხი უტეხია (კუთხ.) — იგივეა, რაც კისერი უტეხია.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# ეკატერინე გაბაშვილის ორსაუკუნოვანი „ომი“ და წამიერი ბედნიერება



**„ქართული პროზის საგანძურს“ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ავტორი შეემატა. ეკატერინე გაბაშვილი იმ სახელოვან ქართველ მწერალთა რიგს მიეკუთვნება, რომლებმაც ახალი თემებითა და იდეებით გაამდიდრეს ქართული ლიტერატურა. მან ერთ-ერთმა პირველმა შემოიტანა პროზის მცირე ჟანრები — პატარა მოთხრობა, ნოველა, მინიატურა, სურათი... საკმაოდ ძნელი იყო მწერალი ქალისათვის ოჯახსა და სამშობლოს შორის ხიდის შენება და მერე, ამ ხიდის ორივე ნაპირის შენარჩუნებისთვის ბრძოლა. XIX საუკუნეში ქალისთვის მწერლობა შეუძლებელ და სამარცხვინო საქმედაც კი მიიჩნეოდა, მაგრამ მან ოჯახურ სიმყუდროვეს ქართული სიტყვის სამსახური არჩია.**

*თამთა დოლიძე*

## „სწავლის ძირი მწარე არის“

ეკატერინე გაბაშვილისთვის საკმაოდ ძნელი იყო „სწავლის კენწეროსკენ“ გზის გაკვლევა. თავიდან პატარა კატოს „მასწავლებლობა“ მამამ — რევაზ თარხნიშვილმა ითავა. „მამა ჩვენი საუკეთესო მეგობარი იყო, ჩაგვისვამდა კალთაში და გვიალერსებდა, გვარიგებდა, გვასწავლიდა, გორის დიდებულ ციხე-გალავანს გვიჩვენებდა, გვიამბობდა ციხეების აგების მიზნებს უწინდელ დროში და დამშვიდებული ცხოვრების მოწყალებით სასწავლო მეცნიერებისათვის სამზადისის საჭიროებას“, — იხსენებდა ეკატერინე გაბაშვილი. მოგვიანებით, როცა ბებია ბარბარეს მიერ შერჩეულმა მასწავლებელმა, „ვერ ივარგა“, მამამ სწავლას მოწყურებული გოგონა ქუცნა ამირეჯიბის მეუღლეს მიაბარა, მაგრამ კატოს მისი გაკვეთილები არ ჰყოფნიდა და სკოლაში სწავლაზე, ცოდნის გაღრმავებაზე ოცნებობდა. მან ხვეწნა-მუდარით სავსე წერილი გაუგზავნა მამას, რომელმაც საყვარელ ქალიშვილს უარი ვერ უთხრა და თბილისში ჩამოიყვანა. იმ დროს, გოლოვინის (რუსთაველის) პროსპექტზე, ვინმე მოხელე სტრელეცკის სახლში იყო მოთავსებული პანსიონი, რომელსაც ხელმძღვანელობდა „ტიტულიარნი სოვეტნიკის“ ქვრივი — ევგენია ფავრი. რევაზმა პატარა კატო მას მიაბარა. პანსიონში, სხვა სასწავლო საგნებთან ერთად, დიდი ყურადღება ეთმობოდა ქართულ ენასაც. გამოცდებზე მიწვეული იაკობ გოგებაშვილი იმდენად მოიხიბლა ეკატერინეს მონდომებითა და ცოდნით, რომ თავისი „პირველი ანბანი“ უსახსოვრა. მომავალი მწერალი მთელი სიცოცხლის მანძილზე სასოებით ინახავდა ამ ძვირფას საჩუქარს.

## პროფესია – მასწავლებელი

„კატო ბუნებით პედაგოგი იყო და კიდევაც ამით აიხსნება, რომ იგი ყველგან, სადაც კი მოხვდებოდა — სკოლაში, ოჯახში, ქუჩაში თუ სოფლად, აგროვებ-



და წერა-კითხვის უცოდინართ და ახალგაზრდული გატაცებით ყველას წერა-კითხვას ასწავლიდა. კატო მართლა რომ ნამდვილი მოძრავი სკოლა იყო და მისი დახმარებით მრავალ ქართველს აუხელია თვალი“, — წერდა ეკატერინე გაბაშვილის თანამედროვე, ალექსანდრე მიქაბერიძე. კატოსთვის მასწავლებლობა მართლაც სულიერ მოთხოვნილებას წარმოადგენდა: „ჩემი ბუნება მოითხოვდა ამგვარ შრომას, სადაც უნდა ვყოფილიყავი და რა გარემოებაშიც არ უნდა ვყოფილიყავი, ჩავაგონებდი წერა-კითხვის ცოდნის დიდ მნიშვნელობას“. მთელი ცხოვრება ხალხში ცოდნის მარცვლის გაღვივებას, განსაკუთრებით კი — ქალებისთვის სათანადო პანსიონების შექმნას შეალია. ეკატერინე გაბაშვილი ხელმძღვანელობდა სამღვდელოების მიერ ეკლესიასთან არსებულ ქალთა სკოლას. სწავლის მსურველი ბევრი იყო, ადგილი კი — ცოტა, რადგან გორში, ქალთა სკოლაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, სასწავლებლები თითქმის არ არსებობდა. „პირველი 50 მოწაფე მივიღე და მერე უფრო მოზრდილ ქალებს ვაძლევდი უპირატესობას, ასე, 12-13 წლისას, რადგან იმათ უფრო დაუგვიანდებოდათ სწავლა და პატარები კი საკვლაოთაც მოესწრებოდნენ“, — წერდა ახალბედა მასწავლებელი და თან დასძენდა: „სკოლით დავიწყე და ალბათ სკოლითვე დავამთავრებ ჩემს მოღვაწეობასო“.

## პირველი ნაბიჯები დიდ მწერლობაში

ალექსანდრე გაბაშვილისადმი მიწერილ წერილში ახალბედა მწერალი წუხდა: „იმდენად გამოუცდელი ვარ, რომ უბრალო წიგნის დაწერას ვერ ვახერხებ და დასაბეჭდად ხომ ხელები მიკანკალებს“, მაგრამ ნიჭმა მაინც თავისი ქნა და 1870 წელს, „დროებაში“, პირველი ნაწარმოები — „გლეხკაცების აზრი სასოფლო შკოლაზედ“ გამოაქვეყნა. 1881 წლიდან უკვე სისტემატურად იბეჭდებოდა მისი მოთხრობები და თარგმანები, დიდი წვლილი მიუძღვის საბავშვო ჟურნალ „ჯეჯილის“ დაარსებაში.

## ოჯახი

1871 წელი ძალზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ეკატერინესთვის. ამ წელს, გიორგი წერეთლის ოჯახში „კაცია-ადამიანის“ საჯარო კითხვაზე, რომელსაც ქართველი საზოგადოების საუკეთესო ნაწილი ესწრებოდა, გაიცნო ილია ჭავჭავაძე და მომავალი საქმრო — ალექსანდრე გაბაშვილი. გათხოვების შემდეგ ახალგაზრდა ქალის იდეებსა და მისწრაფებებს ცივი წყალი გადაესხა. „დღიდან გათხოვებისა, დაიმარხა მთელი ჩემი ოცნებანი, კეთილშობილური ზრახვანი. 20 წლის განმავლობაში გამუდმებულმა მშობიარობამ, მათმა აღზრდამ, ნამეტნავად სიკვდილმა, ერთობ გამანადგურა“, — ამბობდა მწერალი. ეკატერინე გაბაშვილს 11 შვილი ჰყავდა. მძიმე ოჯახური პირობები მწერლის შემოქმედებით მუშაობას ხშირად აფერხებდა. ამ ფაქტით შეწუხებული პეტრე უმიკაშვილი ერთ-ერთ კერძო წერილში კატოს სთხოვდა, არ მიეტოვებინა წერა, რადგან იგი ქართველი ქალებისთვის ნამდვილ მაგალითს წარმოადგენდა. მიუხედავად ამდენი სიძნელისა, ახალბედა მწერალს არც კი უფიქრია ქართული სიტყვის მიტოვება. საქვეყნო საქმის კეთებას რაც შეიძლება მეტი „გამრჯე ხელი“ სჭირდებოდა და მანაც მიაშველა თავისი „სუსტი მარჯვენა“. „მე იმ ვიწრო კედლებს შუა, რომელსაც ოჯახის დიასახლისობას უძახიან და რომელიც შთანთქავს ხშირად დედაკაცის სულიერ არსებობას, პატარა ჭუჭრუტანა გავუკეთე და იქიდან მუდამ ყურს ვუგდებდი და თვალს ვადევნებდი ჩემი ქვეყნის საზოგადო ზრდასა და მსვლელობას“. ქმრის ოჯახში ალმაცერად უყურებდნენ ქალის საზოგადოებრივ მოღვაწეობას, დასაძრახად და სამარცხვინოდ მიაჩნდათ ქალის მწერლობა, მაგრამ კატო ვერ ურიგდებოდა ოჯახურ ტყვეობას და ფრთის გასაშლელად ემზადებოდა. მწერალი თავის ნაწარმოებებში ხშირად აქილიკებდა საზოგადოებრივ ასპარეზზე ქალთა გამოსვლის დამაბრკოლებელ მიზეზებს. მათ შორის, აღსანიშნავია ერთი პატარა მოთხრობა — „ფრთებდაგლეჯილი“, რომელსაც საფუძვლად ავტობიოგრაფიული მასალა უდევს.

## წიგნი და მკითხველი

სამწერლო და პედაგოგიური მოღვაწეობის გარდა, ეკატერინე გაბაშვილმა დიდი წვლილი შეიტანა ქართული ბიბლიოთეკების დაარსება-შევსების საქმეშიც. მისი საოჯახო ბიბლიოთეკა მხოლოდ ერთადერთი ბებიასეული სახარებისა და რამდენიმე თავ-ბოლო მოგლეჯილი წიგნისაგან შედგებოდა. მის მშობლიურ ქალაქ გორში არავითარი წიგნთსაცავი არ არსებობდა. ამიტომ მწერალმა მიზნად დაისახა, სხვებისთვის მაინც გაეიოლებინა წიგნებამდე მისასვლელი გზა.

მოგვიანებით, ეკატერინე გაბაშვილი შეუერთდა ქალთა პატარა წრეს, რომელმაც მიზნად დაისახა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დახმარება საბავშვო ლიტერატურის გამოცემისა და ქართული ბიბლიოთეკა-სამკითხველოების მოწყობის საქმეში. მათ შეაგროვეს სხვადასხვა წიგნი და მოკლე ხანში მოახერხეს პირველი სამკითხველოს გახსნა, მოგვიანებით კი ბიბლიოთეკები დააარსეს ქალაქის სხვა უბნებშიც, მაგრამ ამ კეთილ საქმეს დიდხანს გაგრძელება არ ეწერა. წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ვერ გადაიხადა ბინის ქირა და ამდენი წვალებით შეგროვილი წიგნები გაგულისებულმა სახლის პატრონმა ქუჩაში გადაყარა. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული მოვლენა კატოს ცხოვრებაში.

## მსახიობი გაბაშვილი

1879 წელს ეკატერინე გაბაშვილმა წარმოდგენა გამართა ახალქალაქში, სადაც საკუთარი პიესა გააცოცხლა. ამ გარემოებამ მთელი მაზრა ააღელვა. იმ ხანებში სამარცხვინო საქმიანობად მიიჩნეოდა სცენაზე ქალის გამოსვლა, მაგრამ კატომ რამდენჯერმე გაიმეორა წარმოდგენა და ხალხის დამოკიდებულება მისდამი უკეთესობისკენ შეიცვალა. ეკატერინე გაბაშვილს თეატრი ხალხის საუკეთესო გამოსაფხიზლებელ საშუალებად მიაჩნდა, ამიტომ მისი სამსახიობო საქმიანობა მარტო ახალქალაქით არ შემოფარგლულა. იგი სცენაზე გამოვიდა — სურამში, გორსა და თბილისშიც.

## „ქალთა პირველი ამხანაგობა“

ჯერ კიდევ 90-იან წლებში, მოწინავე ქალთა ვიწრო წრეში წამოიჭრა პირველი ქართული ქალთა სკოლის დაარსების საკითხი, მაგრამ ამ დიდ წამოწყებას სათანადო მატერიალური სახსარი ესაჭიროებოდა. ქალებმა საადგილმამულო ბანკს მიმართეს და ქალთა სკოლის დაარსება მოითხოვეს. მალე „ცნობის ფურცელმა“ გამოაქვეყნა წერილი ქართველ ქალთა ამხანაგობის წამოწყების შესახებ: „ქალთა ამხანაგობას მოთავეთ იმისთანა ცნობილი და ყველასაგან პატივცემული ქალები ჰყავს, როგორებიც არიან კნეინა — ოლღა ჭავჭავაძისა, ეკატერინე გაბაშვილისა, მასთან ერთად 7 წევრი გამგეობისა, რაც შეიძლება, ყოველგვარი ღონისძიება იხმარეს საქმის მოთავეთ და აგერ ხვალზეგ გახსნიან კიდევაც სკოლას“. მართლაც, ერთი კვირის შემდეგ, ეკატერინე გაბაშვილის სახლში მოთავსებული სკოლა გაიხსნა და შეუდგა მოქმედებას. სკოლის გამგედ თავად დიასახლისი დაინიშნა. ქართველი საზოგადოება დიდი აღფრთოვანებით შეეგება სკოლის დაარსებას და დახმარებაც აღუთქვა, მაგრამ როგორც სხვა მრავალ სასარგებლო წამოწყებას, ამ სკოლასაც წინ ბევრი დაბრკოლება გადაეღობა. მათ შორის ყველაზე მთავარი პრობლემა სახსრების უქონლობა იყო. კატოს არ აკმაყოფილებდა მხოლოდ პროფესიული სკოლის არსებობა და ქართველი ქალებისთვის უფრო ფართო ხასიათის განათლებას ითხოვდა. მიუხედავად იმისა, რომ ეკატერინე გაბაშვილის დაუღალავმა ბრძოლამ ქართველი ქალებისთვის ცოდნა უფრო ხელმისაწვდომი გახადა, მწერალი მაინც უკმაყოფილო იყო და ბოდიშს უთვლიდა თავის საყვარელ ქვეყანას: „ყოველი წამი ჩემი სიცოცხლისა გეკუთვნის შენ და შენი გაუმჯობესების სურვილს და თუ ჩემი ნაბიჯი მკრთალი და უფერულია, ნუ დამსჯი, ის ხომ რაც არის, შენია და შენ გეკუთვნის!“ ■



# მორიგანი
## აჩრდილთა დედოფალი

დასაწყისი იხ. „გზა“ №48-52, 2010 - №1-6, 2011

მარი ჯაფარიძე

თითქმის 4 წელი იყო გასული, რაც მამაკაცის ალერსი არ მღირსებია. საოცარი ის იყო, რომ აქამდე ამაზე არ მიფიქრია და არც გამხსენებია, რომ ქალი ვიყავი. ახლა კი ავთოს დანახვამ ვნებები ამიშალა და ჩემი სქესი გამახსენა. დავწექი, მაგრამ მასზე ვფიქრობდი. თითქოს, სხვა მამაკაცი არც არსებობდა ქვეყნად... თან თავს ვეკითხებოდი, რამ მიმიზიდა მასში ასე ძალიან, მაგრამ პასუხი არ მქონდა. რაღაც ისეთი ტალღა მოდიოდა მისგან, რაც ასე მავსებდა სურვილით. ამ ტალღებს როგორც მახსოვდა, ფლუიდები ერქვა...

ჩემთან, საკანში ერთი ლატვიელი ქალი იჯდა, რომელიც ისეთი ლამაზი იყო, რომ ხანდახან თვალს ვერ ვწყვეტდი და ხშირად მშურდა კიდეც მისი, მიუხედავად იმისა, რომ გარეგნობას არც მე ვუჩივი და ყველას ლამაზ ქალად მივაჩნივარ. ლალოს ვეძახდით, რადგან საკმაოდ გრძელი სახელი ერქვა, რომელსაც ვერავინ იმახსოვრებდა. საწოლის თავთან საკმაოდ შეუხედავი მამაკაცის სურათი ჰქონდა გაკრული, რომელზეც გვითხრა, რომ თურმე მისი საყვარელი იყო და დაქორწინებასაც აპირებდნენ. ლალოს მონატრების გამოც ხშირად უტირია... ეჭვიანობდა კიდეც... მე კი სასაცილოდ არ მყოფნიდა, ან რამ შეგაყვარა ეგ კაცი და მასზე როგორ ეჭვიანობ, შენ რომ გიყვარს, ეგეც მიკვირს და სხვა ქალი მაგას ახლოს არ გაიკარებს-მეთქი.

მაშინ ახსენა პირველად სიტყვა — „ფლუიდები“, რომელიც მანამდე გაგონილი არ მქონდა და მაშინ გამოტყდა, რომ მკვლელობა, რომლის გამოც სასჯელს იხდიდა, ეჭვიანობის ნიადაგზე ჩაიდინა... ფლუიდები კი ასე განმარტა: ერთი ადამიანის ლტოლვა მეორის მიმართ, რომელიც ბიოველებითა და სპეციფიკური, მხოლოდ ამა თუ იმ ადამიანისთვის დამახასიათებელი სუნითაა გამოწვეული და როგორი მახინჯიც უნდა იყოს ადამიანი, თუ ეს ფლუიდი წარმოიქმნა, ამ შემთხვევაში წარმოიშობა გრძნობაც და ლტოლვაცო. მოკლედ, არ ვიცი, ფლუიდების ბრალი იყო თუ სხვა ფაქტორების, რომ ავთოს მიმართ ასეთი ლტოლვა გამიჩნდა, მაგრამ გულში მტკიცედ გადავწყვიტე, ქუთაისიდან ისე არ წავალ, თუ ამ კაცის მკლავებში არ გავილვიძებ ერთ დილას-მეთქი. ისეთი ჟინი გამიჩნდა, როგორც მამაკაცს უჩნდება ხოლმე, ლამაზი და სასურველი ქალის ხელში ჩასაგდებად. მეორე დღის გეგმას ვაწყობდი, როცა მშვენიერი აზრი მომივიდა. რატომ უნდა დავლოდებოდი გათენებას? რატომ უნდა მეთქვა უარი საკუთარ სურვილზე ავთოს ხუშტურის გამო? მე საკუთარი სურვილებისთვის უარის თქმას არ ვიყავი ჩვეული და ყოველთვის ვიღებდი იმას, რაც მინდოდა. არც ახლა ვაპირებდი უკან დახევას. საათს შევხედე, ღამის 2 საათს აჩვენებდა. სასწრაფოდ ჩავიცვი და გარეთ გავედი. სასტუმროს კარგა მანძილით დავცილდი და ავთოს დავურეკე.

— ალო, — საკმაოდ ფხიზელი ხმით მიპასუხა. მივხვდი, არ ეძინა.

— უკაცრავად, მგონი, გაგაღვიძე, — ყალბად გამოვთქვი სინანული.

— არ მეძინა, რა ხდება?

— გარეთ გამოვედი სასეირნოდ და დავიკარგე. სასტუმროს სახელიც არ მახსოვს, რომ ვინმეს ვკითხო და არც ის ვიცი, სად ვარ. აქ შენ მეტი ნაცნობი არ მყავს და ამიტომ შეგაწუხე, — თამაშს განვაგრძობდი და არც ვცდილობდი, ჩემი ყალბი ტონის დამალვას.

— კარგი, გამოვალ, — მოკლედ მოჭრა და ტელეფონი გათიშა.

ცოტა ხანში ისევ გადმორეკა.

— სად ხარ, როგორ მოგაგნო?

— მოსვლით თავს ნუ შეიწუხებ, უბრალოდ, სასტუმროს სახელი მითხარი და ვინმეს ვკითხავ, არ დავიკარგები, — ჩემი ხმა ამჯერად უფრო დამაჯერებლად ჟღერდა.

— ვინმეს მიაწოდე ტელეფონი და დამალაპარაკე, — ტონს ქვეტექსტად ედო: „ბევრს ნუ ლაპარაკობ, ვიცი, რა მუცლის გვრემა გაქვს და თავი მამა აბრამის ბატკნად ნუ მოგაქვს“.

იქვე, ჩემს მანქანასთან ჩავლილი მამაკაცი გავაჩერე და ვთხოვე, ავთოს დალაპარაკებოდა. ამან აუხსნა, რა ადგილზე ვიდექი და წავიდა. მე კი მხსნელის გამოჩენას მოუთმენლად ველოდი.

დიდხანს არ დამჭირვებია ცდა. ათიოდე წუთში მოვიდა.

— კი, მაგრამ რისთვის გამოხვედი სასტუმროდან? — პატარა ბავშვივით დამტუქსა.

— ვიფიქრე, გავისეირნებდი და დავბრუნდებოდი, თანაც, სიგარეტის ყიდვაც მინდოდა. გავუყევი გზას და უკან ველარ დავბრუნდი.

— კარგი, წავალ ახლა და მომყევი უკან, — როგორც იქნა, გამიღიმა.

ნელა მივდიოდით. ასეც მერჩივნა. ფიქრის დრო მქონდა.

ეს ყველაფერი ძალიან კარგი... გეგმის პირველი ნაწილი განვახორციელე, მაგრამ მეორე ნაწილი არ მქონდა შემუშავებული, რადგან შემდგომ მოვლენებზე ვიყავი დამოკიდებული. არ ვიცოდი, რა მოხდებოდა და სპონტანურად მომიწევდა გადაწყვეტილების მიღება. პოზიციების დათმობას არ ვაპირებდი.

თუ ავთო მანქანიდან გადმოვიდოდა და ზემოთ ამაცილებდა, მაშინ ჩემი ძალისხმევა აღარ იქნებოდა საჭირო — ყველაფერი თავისთავად მოხდებოდა ისე, როგორც მე მინდოდა. თუ მანქანიდან გადმოსვლასაც არ ინებებდა, მაშინ რას გავაკეთებდი, წარმოდგენა არ მქონდა.

ავთომ მანქანა სასტუმროს წინ, სადგომზე გააჩერა. ეს უკვე იმას ნიშნავდა, რომ სავარაუდოდ, ცოტა ხნით მაინც გაუშვებდა ხელს საჭეს და მიწაზე ფეხს დადგამდა. მანქანა გვერდით მივუყენე და გადმოსვლა არ ვიჩქარე. თუ მე არ გადავიდოდი, იძულებული გახდებოდა, თვითონ მოსულიყო ჩემთან. სწორად

გავთვალე — ნელა მომიახლოვდა, დაიხარა და თვალებში შემომხედა.

— რა გინდა, მაკა, რას ჩალიჩობ? — არ ველოდი, ასე პირდაპირ თუ წამოიწყებდა ლაპარაკს.

— ვერ გავიგე, რას მეკითხები, — წამწამები ავაფახულე.

— რის მიღწევას ცდილობ? — იგივე კითხვა სხვა ფორმულირებით გამიმეორა.

— შენს ლოგინში ჩაწვენას, — ჯიქურ შევხედე და მანქანიდან გადმოვედი.

მხოლოდ ერთი ნაბიჯით დაიხია უკან. ისე ახლოს ვიდექი მასთან, რომ თითქმის ვეხებოდი.

მზერა მის ტუჩებზე შევაჩერე და უნებურად, მომდგარი ნერწყვი ხმაურით გადავაგორე, რაც ავთოს შეუმჩნეველი არ დარჩენია.

გაიცინა.

— წამოდი! — მიბრძანა, წინ წავიდა და გეზი სასტუმროსკენ აიღო.

მორჩილად მივყევი უკან.

გასაღები კარს მოვარგე და შევაღე. გვერდით დავდექი და გავატარე, მაგრამ მანიშნა, წინ მე შევსულიყავი.

როგორც კი კარს ორიოდე ნაბიჯით მოვშორდი, მაჯაზე ხელი მტაცა, მომაბრუნა, ჩამიკრა, კარი ფეხით მიხურა და გაშმაგებით დამიწყო კოცნა.

მთელი არსებით გადავეშვი მისი ალერსის მორევში და ირგვლივ ყველა და ყველაფერი დამავიწყდა. სამყარო გაქრა, თითქოს მე და ავთო დავრჩით მხოლოდ... საგნებმა მკვეთრი გამოსახულება დაკარგა და რაღაცნაირად, გაიდღაბნა...

— ეს ნამდვილი ავანტიურა და ხაფანგი იყო, — ეს იყო პირველი, რაც ავთომ მთელი ღამის განმავლობაში წარმოთქვა, — მაგრამ ყველაზე ტბილი და კარგი ავანტიურა, — ჩემს თავქვეშ ამოდებული ხელი მხარზე მომიჭირა და გვერდზე მიმიკრა.

ხმა არ ამომიღია. მხოლოდ გავიცინე.

— მაკა, შენ იცი, რომ ცეცხლს ეთამაშები? — საუბრის თემა უცებ შეცვალა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ეს რომ ნინომ გაიგოს, იცი, რა მოჰყვება?

— არ ვიცი და არ მაინტერესებს, ნინო ამას ვერ გაიგებს. მე არ ვეტყვი; იმედია, შენც შეგიძლია, ენაზე კბილის დაჭერა. ჩვენი ურთიერთობა კი დღეს და აქ სრულდება! ამიტომ, იმის საშიშროება, რომ ამ საიდუმლოს ფარდა აეხდება, არ არსებობს!

წამოიწია, იდაყვს დაეყრდნო და ზემოდან დამხედა. ნიკაპზე თითი ამომდო.

— არც იოცნებო...

— რაზე არ ვიოცნებო?

— იმაზე, რომ ურთიერთობა აქ დასრულდება. იშვიათი ქალი ხარ, შენისთანას პოვნა ძნელია და თუ იპოვის, ჭკვიანი მამაკაცი აღარც დაკარგავს. თუმცა, ჩვენი ურთიერთობა მართლაც საიდუმლოდ უნდა შევინახოთ, რადგან ნინოს ყურამდე თუ მივიდა, ბევრ რამეს გააფუჭებს.

— რა თქმა უნდა, სამსახურიდან დამითხოვს, რადგან მისმა დაქირავებულმა თანამშრომელმა საყვარელი წაართვა, — ვთქვი და გავჩუმდი. ავთოს რეაქცია მაინტერესებდა. ჩემი ვარაუდით, ის და ნინო საყვარლები იყვნენ და ახლა მის დასტურს ველოდი.

— ეს თვითონ გითხრა? — კარგა ხნის დუმილის შემდეგ დაარღვია სიჩუმე.

— არა, ამას თავად მივხვდი, როცა დაგინახე.

ქუთაისიდან მეორე დღეს დავბრუნდი. ნინო შინ დამხვდა და მოუთმენლად მელოდა.

— ყველაფერმა კარგად ჩაიარა, ხომ? — მანქანიდან გადმოსვლაც კი არ მაცადა.

— კი, როგორც დამავალე, — მანქანა გავაჩერე და შინ შევედი. ნინო ლამის ხტუნვით მივლიდა გარს და კითხვებს მაყრიდა. განსაკუთრებით დაინტერესდა, მომეწონა თუ არა ავთო.

პირდაპირ სამზარეულოში შევედი და ყავა დავისხი. მხოლოდ ამის შემდეგ შევბრუნდი მისკენ და გამომცდელად შევხედე.

— ნინო, ავთო მომეწონა, საკმაოდ სიმპათიური მამაკაცია, მაგრამ ეჭვი მაქვს, რომ შენ მასთან ცოტა „სხვანაირი" ურთიერთობა გაქვს... ამაზე რას მეტყვი?

— არა, მაკა, — მივხვდი, თავის მართლებას აპირებდა.

— ხომ იცი, ვერ მომატყუებ, ის ისე თბილად გკითხულობდა, შენზე ყველაფერი აინტერესებდა და როცა მელაპარაკებოდა, თვალებში ისეთი სიყვარული და სითბო ედგა... — წესით, ამ ტექსტს უნდა გაეტეხა ნინოსნაირი, ჩერჩეტი ქალი.

— მართლა? ფიქრობ, რომ მას ვუყვარვარ? — თითქოს დანანებით მკითხა.

— ჰო, მართლა.

— მაკა, ეს ჩვენ შორის უნდა დარჩეს. ხომ იცი, დავითმა რომ გაიგოს, ოჯახი დამენგრევა.

— შენი ოჯახი ისედაც დანგრეულია, — ცოტა ეჭვმა გამკრა. ავთო არ მემეტებოდა ნინოსთვის.

— რატომაა დანგრეული?

— იმიტომ, რომ ქმარს ღალატობ. ეს არშემდგარი ოჯახია, რომელიც სიყვარულს და ერთგულებას კი არა, რაღაც სხვას ეფუძნება — მაგალითად, ფულს, რომლის დაკარგვაც არ გინდა... თუმცა თუ დათოს გაშორდები და ავთოს გაჰყვები ცოლად, ამ შემთხვევაშიც არ გექნება ფულის დეფიციტი, საკმაოდ შეძლებული ჩანს ეგ შენი ავთოც, — მომავლის გეგმები მაინტერესებდა და ამ თემაზე ლაპარაკი განგებ წამოვიწყე.

— კი, ასეა, მაგრამ მას ცოლი და 2 შვილი ჰყავს.

ეს არ მომეწონა, თუმცა არ შევიმჩნიე.

— მე წავალ, ცოტას დავისვენებ, — ზურგი შევაქციე და ჩემი ოთახისკენ წავედი.

ვერ გადავწყვიტე, დავითისთვის მეთქვა თუ არა სიმართლე. ბოლოს, მაინც იმ დასკვნამდე მივედი, რომ ჯერჯერობით დამალვა ჯობდა.

ჩვენი საუბარი მეორე დღეს შედგა. დათო მოვატყუე, რომ ქუთაისში ნინოს ნათესავ თუ მეგობარ ქალს შევხვდი, რომელსაც უმნიშვნელო, ქალური პრობლემები ჰქონდა და მოგვარებაში დავეხმარე.

არ დაკმაყოფილდა ჩემი ნათქვამით და სახეზე უკმაყოფილება გამოეხატა, მაგრამ არც იმის საფუძველი ჰქონდა, რომ არ დაეჯერებინა და გაჩუმდა.

მე იმ დღეს სანდროსთან ვიყავი დაბარებული შეხვედრაზე და მეჩქარებოდა. ამის გამო დათოს მალე დავემშვიდობე.

— რა ლამაზი ხარ, მარგო, — სანდრომ თავიდან ბოლომდე ამათვალიერა.

— შენი საქმე არაა ჩემი სილამაზის შეფასება, — უკმეხად ვუპასუხე.

— მართალია, ახლა ავთოს საქმეა.

— არც ავთოს საქმე გეკითხება, — უზომოდ გავოცდი, მაგრამ არ შევიმჩნიე.

— როგორც იქნა, ციხიდან გამოსვლის შემდეგ შენი პირველი სექსიც შედგა... მიკვირს, ამდენ ხანს თავს რომ იკავებდი. სად გამოძებნე ეგ კაცი ასე უცებ? თბილისში 1 თვეა ჩამოხვედი და ქუთაისის ერთ-ერთ, ყველაზე მდიდარ და კარგ კაცს დაადგი თვალი. მასაც სიცოცხლე უნდა გაუმწარო? სიმართლე მითხარი, მასთან იმის გამო იწექი, რომ ნამდვილად სექსი გინდოდა თუ რამეში გჭირდება?

— ჩემი უკანალის ყარაულად როდის მერე დაგნიშნეს? — გავლიზიანდი იმის გამო, რომ თურმე, ყოველ ჩემს ნაბიჯს აკონტროლებდა. — კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონო სანდრო, — შევბრუნდი და მისი ოთახი დავტოვე.

არ შევუჩერებივარ.

სანდროსთან შეხვედრის მიზანი ალბათ სწორედ ის იყო, რომ ეთქვა, ვერაფერს გამოვაპარებდი.

ლალის შევუარე, შემდეგ კი ბლოკნოტში ჩამოწერილ მისამართებს ჩამოვუარე, რომ ბოლოს და ბოლოს, ოფისისთვის ადგილი შემერჩია. ერთ-ერთზე შევაჩერე არჩევანი — ქალაქის ცენტრში, მოზრდილი, დუპლექსის ტიპის ფართობი იყო. გარემონტებული, რამდენიმე კაბინეტით. ფასზე მოვრიგდით. ისე გამოდიოდა, რომ ფული, რომელსაც მოსკოვის ბინის გაქირავებით ვიღებდი, მთლიანად აქ უნდა გადამეხადა, მაგრამ იმედი მქონდა, რომ საქმე კარგად წავიდოდა და ჩემი ბიზნესი ყველა ხარჯს გაისტუმრებდა და მოგებასაც მომიტანდა. დიდი კაპიტალდაბანდება მას არ სჭირდებოდა, თავიდან რამდენიმე ათასი დოლარი მეყოფოდა, აუცილებელი ტექნიკისა და ავეჯის შესაძენად, მერე კი საქმე მიჩვენებდა.

იქაურობა თითქოს ერთი დანახვისთანავე შემიყვარდა.

„აქ მაგიდას დავდგამ, აქ ჩემს კაბინეტს გავაკეთებ, აქ თანამშრომლები ისხდებიან, აქ დიდ პალმას მოვათავსებ“, — ოთახიდან ოთახში დავდიოდი და გონებაში მომავალი ოფისის მოწყობით ვიყავი გართული. ისე მხიბლავდა ჩემი საქმე, რომ ერთი სული მქონდა, როდის შევძენდი აქაურობას საქმიან იერს და როდის აფუსფუსდებოდნენ თანამშრომლები.

შინ დაბრუნებულმა ბლოკნოტში ყველა საჭირო ინვენტარი და თანამშრომლების რაოდენობა ჩამოვწერე, მკაცრად განვსაზღვრე, ვინ რას გააკეთებდა და მეორე დღიდან ოფიციალური დოკუმენტების შეგროვებასა და თანამშრომლების შერჩევას მივყავი ხელი. ვაკანსიების შესახებ გაზეთში გამოვაცხადე და გასაუბრების დღეც დავთქვი. ამასობაში ოფისი მთლიანად მოვაწყვე და გასაუბრებაზე ყველა იქ დავიბარე. ჩემს კაბინეტში, მაგიდასთან ვიჯექი, რომელიც მეორე სართულზე მდებარეობდა და რომლის ერთი, მოზრდილი ფანჯრიდანაც მთელი ქემოთა სართული მოჩანდა. ოთახიდან გაუსვლელად შევძლებდი, ნებისმიერ დროს თვალყური მედევნებინა, რა ხდებოდა ქვევით.

ოთახში სათითაოდ შემოდიოდნენ სამსახურის მძებნელი ადამიანები. ზოგი განცხადებაში მითითებულ ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებდა, მაგრამ მაინც დავიწუნე. ზოგიერთი უბრალოდ, ბედის საძებნელად იყო მოსული, იქნებ გამიმართლოს და რაიმეს გამოვკრა ხელიო...

გადაწყვეტილი მქონდა, „მამაკაცური“ ოფისი გამეკეთებინა — ანუ ერთადერთი ქალი მე ვყოფილიყავი, დანარჩენი — მამაკაცები, ოფისის მენეჯერიც კი. წინათ ოფისის მენეჯერს მდივან-მემანქანე ან რაღაც ამდაგვარი ერქვა. ახლა სახელიც „გაუპრანჭეს“ და არც მამაკაცს ეთაკილება ამ ადგილზე მუშაობა. ქალებიდან ყველა დავიწუნე. რამდენიმე თანამშრომელი ავიყვანე და დანარჩენ ვაკანსიებზე ისევ განცხადება გამოვაქვეყნე.

შემდეგ გასაუბრებაზე მოსული ერთ-ერთი მამაკაცი ძალიან მეცნო. ოთახში რომ შემოვიდა, თვითონაც შეცბა. თუმცა, ჩემგან განსხვავებით, ალბათ გაიხსენა, სად ვყავდი ნანახი — მზერამ გასცა.

წარმოსადეგი, სიმპათიური მამაკაცი გახლდათ. ერთი შეხედვით მომეწონა...

— დაბრძანდით, — სკამზე მივუთითე.

— გამარჯობა, — ხელი ჩამომართვა და მორიდებულად ჩამოჯდა.

— ერთმანეთი სადღაც გვინახავს?

— არა, მგონი, არა, — დააზუსტა.

— ძალიან მეცნობით, — არ მოვეშვი.

— არა, არა, მე არ მახსოვხართ, — რატომღაც არ უნდოდა, რომ გაეხსენებინა ჩემთვის, სად მყავდა ნანახი.




— იცით, ის, რომ სადღაც შევხვედრივართ, ეჭვს არ იწვევს, ის მაეჭვებს, რატომ მალავთ ამას. ამის საფუძველი თუ გაქვთ, მაშასადამე, რაღაც ისეთია, რაც არ გინდათ, რომ გავიხსენო, რადგან სამსახურში არ აგიყვანთ. ამიტომ, ახლა ერთი ფასი აქვს, იტყვით თუ არა, სად გვინახავს ერთმანეთი. თუმცა, გულახდილობამ იქნებ გადაგარჩინოთ და... რა იცი, რა ხდება, — ინტრიგა ჩავაგდე, რადგან არაფრის დიდებით არ მინდოდა ამ კაცის ისე გაშვება...

— ადრე, წლების წინ მე მიცავდით, მაშინ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, 25 წლის. თქვენ ჩემზე სულ 2 წლით იყავით უფროსი და ადვოკატად რომ აგიყვანეს...

— აა, გამახსენდა, თქვენი ოჯახის წევრებს აუმხედრდით! მახსოვს, მახსოვს, 1995 წლის 29 აგვისტოს მომხდარი, პრეზიდენტზე თავდასხმის მცდელობის გამო იყავი დაკავებული. შევარდნაძე რომ ააფეთქეთ... ძალიან შეცვლილხარ. მაშინ ზოგიერთი საქმე გახმაურდა, გვარებიც გამოცხადდა, ზოგიერთი კი „დიდების“ გარეშე დარჩა...

კარგად დავაკვირდი... ჩემს თავზე გავბრაზდი, რომ ვერ ვიცანი... ჩემი პროფესიის ადამიანს განსაკუთრებულად კარგი მეხსიერება უნდა ჰქონდეს...

„აუცილებლად ვავარჯიშებ მეხსიერებას, ციხეში ყოფნამ მომადუნა“, — მტკიცედ გადავწყვიტე.

— მომიყევი, როგორ წარიმართა შენი ცხოვრება? ბოლომდე მოიხადე სასჯელი?

— არა, შეგვიწყალა შემდეგ პრეზიდენტმა, როგორც თვითონ თქვა, აფხაზეთში ბრძოლის დროს გამოჩენილი მამაცობისა და დამსახურებისთვის.

— შენ იურიდიული ფაკულტეტი გქონდა დამთავრებული, როგორც მახსოვს.

— დიახ, სწორად გახსოვთ. დაკავებამდე სპეცნაწილში ვიყავი, ციხიდან გამოსვლის შემდეგ ვმუშაობდი კიდეც, მაგრამ არა — ჩემი პროფესიით.

— ოჯახი გაქვს?

— დიახ, ცოლი და ერთი გოგონა.

— შენნაირი ადამიანი მჭირდება... მგონი, ერთმანეთს შევეწყობით და პირველივე დავალებას ხვალ მიიღებ, ოღონდ, არაოფიციალურად, — თვალი ჩავუკარი, — შევთანხმდით?

— შევთანხმდით!

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

# ანტიკვარი




რუსუდან ბერიძე

დასაწყისი იხ. „გზა" №51, 2010 – 1-6, 2011

— გამარჯობა, — მაშინვე ლელასთან გაჩნდა გოგლა, — სამსახურს რატომ აცდენ?

ლალიძის დანახვით გაოცებულ გოგონას თვალები წამით სიხარულით აენთო, მაგრამ შემდეგ მზერა ისევ ჩაუქრა და თავიც ჩაქინდრა.

— ვატყობ, ისევ ლოთობის დღე გაქვს, ხომ? — სანახევროდ გამოცლილ შამპანურის ბოთლზე ანიშნა გოგლამ. — დღეს რას აღნიშნავ?

— ჩემი ძმის დაბადების დღეა, — ცრემლი მოერია ლელას, — 24 წლის გახდებოდა. არ დალევ მის შესანდობარს?

— მაპატიე, არ ვიცოდი. აუცილებლად დავლევ.

გოგლამ ოფიციანტს ხელით ანიშნა, კიდევ ერთი ბოთლი მოგვიტანეო.

— ალბათ, გუშინდელი საქციელის შემდეგ შენგან ყველაფრის ღირსი ვარ, — ცრემლი ხელით მოიწმინდა გოგონამ, — მაგრამ მე შენ მეგონე ჩემი ძმის მკვლელი.

— კარგი, რაც იყო, იყო, დავივიწყოთ. შენს ადგილზე შეიძლება, უარესადაც კი მოვქცეულიყავი. მაგრამ ის კი მართლა მიკვირს, მილიონიან ქალაქში როგორ მომძებნე?

— შენი მობილური ტელეფონის ნომერი ვნახე ვაჟას ბლოკნოტში, დანარჩენი კი უკვე არც ისე ძნელი გასარკვევი აღმოჩნდა.

— გამოდის, რომ არც ამ ბარსა და არც გამოფენაზე ერთმანეთს შემთხვევით სულაც არ შევხვედრივართ.

— ასე გამოდის, — თანხმობის ნიშნად თავი მორჩილად დაუქნია ლალიძეს ლელამ, — გითვალთვალებდი და შენი ახლოს გაცნობის საბაბსაც გულმოდგინედ ვეძებდი.

— იმისთვისაც დიდად მადლიერი ვარ, რომ ცივილიზებულად მაინც გადაწყვიტე ჩემი მოკვლა და თავში აგური არ ჩამარტყი, — გაეღიმა გოგლას.

— კი გეღიმება, მაგრამ აბა, ერთი წამით მაინც წარმოიდგინე, მე რა დღეში ვიყავი.

— წარმოვიდგინე...

— ახლა უკვე ზუსტად ვიცი, რომ ვაჟა შენ არ მოგიკლავს, მაგრამ მაინც ვერაფრით დავისვენებ, სანამ არ გავარკვევ, ასე ვინ გაიმეტა.

— იმედია, ამას გამოძიება დაადგენს.

— უკვე დაადგინა... — ბოლმიანად ჩაილაპარაკა ლელამ.

— მართლა?

— ჰო, დღეს შემატყობინეს, რომ მკვლელი უკვე ნაპოვნია და ის, ვიღაც ლოთი მაწანწალაა.

— მაწანწალა? — ჩაფიქრდა გოგლა. — რაღაც არ მჯერა, რომ მაწანწალა ბინის გასაქურდად ცეცხლსასროლი იარაღით წასულიყო... სხვა რომ არაფერი, იარაღი სად უნდა ეშოვა?

— მეც ასე ვფიქრობ, — ამოიოხრა ლელამ, — ალბათ საქმის სწრაფად დასახურად, ვიღაც უბედურს აჰკიდეს ყველაფერი.

— არ ვიცი, არ ვიცი... — შუბლი მოისრისა ლალიძემ. — შეიძლება, სერიოზული სამხილები აქვთ.

— სერიოზულისა რა გითხრა, მაგრამ რაღაც სამხილები მართლაც შეაკოწიწეს. აი, ნამუშევარი კი უკვალოდ გაქრა.

— იაშვილის ტილოს გულისხმობ?

— ჰო.

— შეიძლება, მაწანწალამ სურათის გაყიდვა დაკავებამდე მოასწრო. ასეთ ხალხს ხომ ბევრი არ უნდა. ერთხელ დათრობის ფასადაც კი შეეძლო ნამუშევრის მოშორება.

— არ გამოვრიცხავ, მაგრამ ვაჟას ყელზე საკმაოდ ძვირფასი ოქროს ძეწკვი და ჯვარი ეკეთა. განა მათი სწრაფად გაყიდვა ბევრად უფრო იოლი არ იქნებოდა? არადა, იმ უცნაურმა მაწანწალამ არც ერთს არ ახლო ხელი. სამაგიეროდ, იაშვილის სურათიცა და რამდენიმე შედარებით იაფფასიანი ანტიკვარული ნივთიც ბინიდან უკვალოდ გაქრა. გამოდის, რომ მაწანწალებმა უკვე ხელოვნების ნიმუშებშიც დაიწყეს გარკვევა...

— ანუ ფიქრობ, რომ ყველა გზა მაინც იაშვილის ნამუშევრამდე მიდის, ხომ?

— დარწმუნებული ვარ. იმიტომ, რომ ვაჟა ამბობდა, მასში დიდ ფულს ავიღებო.

— სხვათა შორის, მეც იგივე მითხრა.

— აი, ხომ ხედავ?

— უფრო მეტიც — გამაფრთხილა, არ შეცდე და ნამუშევარი იაფად არ გაყიდოო. მაგრამ მგონი, თავად უფრო იყო შეცდომაში შეყვანილი...

— რას გულისხმობ?

— იმას, რომ შენი ძმა ჟურნალისტურ ფანდზე წამოეგო.

— რაზე?

— ერთმა ჟურნალისტმა გამოაქვეყნა ერეკლე იაშვილის ცოლისადმი მიწერილი წერილები, რომლებშიც მხატვარი ირწმუნება, მალე ჩემი ნამუშევრები ძალიან დიდი ფული ეღირებაო...

— ჰო, რაღაც მსგავსი ვაჟასგან მეც მაქვს მოსმენილი, — გაახსენდა ლელას, — მაგრამ იქნებ ამაში მართლაც არის ჭეშმარიტების მარცვალი? თვითონ არ ამბობდი, იაშვილზე მოთხოვნა გაჩნდაო?

— ჰო, მაგრამ, მე მაინც ვფიქრობ, რომ ეს შემოქმედის მხრიდან საკუთარი ნიჭის გაზვიადების მცდელობა უფრო იყო.

— შეიძლება... — ამოიოხრა ლელამ. — ვაჟა კი ისეთი ალალი და ხშირად ზომაზე მეტად მიმნდობიც კი იყო, რომ ყველაფერი დაიჯერა. კიდევ კარგი, ჩვენი მშობლები მაინც არ მოესწრნენ ამ უბედურებას...

— შენ რა, მშობლებიც... — სათქმელი ვეღარ დაასრულა შეწუხებულმა გოგლამ.

— ჰო, მშობლებიც აღარ მყავს. ავარიაში დაიღუპნენ. ვაჟა მაშინ 10 წლის იყო, მე — 8 წლის. გაუთხოვარმა დეიდამ გაგვზარდა. თუმცა ის და ვაჟა ერთმანეთს ვერაფრით შეეწყვნენ. ამიტომ, როგორც კი წამოიზარდა და მუშაობა დაიწყო, ჩემი ძმა მაშინვე ნაქირავებ ბინაში გადავიდა. ეს ამბავი ძალიან განვიცადე, დეიდას კი მგონი, გაუხარდა კიდეც: სწორად იქცევა, ახალგაზრდა კაცია და მეტი დამოუკიდებლობა სჭირდებაო.

— ისე, დეიდაშენი სადღაც მართალია. ქართველ კაცებს ნამდვილად გვაკლია დამოუკიდებლობა.

— შენზე რომ ამას ვერ იტყვი?

— მე სხვა გზა არ მქონდა.

— შენც ადრე დაობლდი?

— მამა მეც ადრე გარდამეცვალა,

დედა კი, ღვთის მადლით, დღემდე ჯანმრთელად მყავს. სოფელში ცხოვრობს, მაგრამ როგორც კი საკუთარი ბინა მექნება, მაშინვე ჩემთან ჩამოვიყვან.

— ბედნიერი კაცი ყოფილხარ.

— აბა, როგორ გითხრა...

— დამიჯერე, უდედობა უმამობაზე მძიმე გადასატანია. დარწმუნებული ვარ, დედა რომ ცოცხალი გვყოლოდა, ჩემს ძმას ეს არ დაემართებოდა. არადა, თავიდან ვაჟასაც კარგად მისდიოდა საქმე. რომელიღაც კერძო ფირმაში დაიწყო მუშაობა, ფულიც იშოვა და მე და დეიდაჩემსაც გვეხმარებოდა. მაგრამ მერე ყველაფერი მიატოვა და რატომღაც, ანტიკვარიატით დაინტერესდა. სულ ვეუბნებოდი, ფრთხილად იყავი-მეთქი, რაზეც მხოლოდ ეღიმებოდა: რომელი მდიდარი ანტიკვარი მე ვარ, ვინმემ რამე დამიშავოსო?! დაუშავეს და მერე როგორ...

— იცი, რომ ჩემი ბინის გაძარცვაც სცადეს?

— მართლა? — შეცბა ლელა. — მერე?

— შინ რომ დავბრუნდი, ყველაფერი თავდაყირა იყო, მაგრამ წაღებით არაფერი წაეღიათ.

— იქნებ უბრალოდ ვერ იპოვეს, რასაც ეძებდნენ?

— მეც ასე ვფიქრობ. და იცი, ამ დროს შინ რა არ მქონდა?

— აზრზე არა ვარ, — მხრები აიჩეჩა ლელამ.

— იაშვილის ნამუშევარი.

— ხომ გეუბნები, ყველა ამ მხატვრის სურათებზე ნადირობს-მეთქი. კიდევ კარგი, რომ სახლში არ დახვდი, თორემ კაცმა არ იცის, რით დამთავრდებოდა ყველაფერი. მეც არ მიკვირდა, ნამუშევარს სხვასთან რატომ ინახავს-მეთქი?

— სწორედ ამიტომ. ჰო, მართლა, ამას წინათ სახლში ერთი გამომძიებელიც მომადგა: იაშვილის ტილო რომ მოტყუებით ჩაიგდე ხელში, მის კანონიერ პატრონს უკან როდის უნდა დაუბრუნოოო?

— მართლა რამე უკანონობა ჩაიდინე?

— რა თქმა უნდა, არა. სურათი სრულიად კანონიერად მაქვს ნაყიდი.

— მაშინ გამოდის, რომ ვიღაცას ეს ტილო უბრალოდ მოსვენებას აღარ აძლევს. მართლა აპირებ მის დაბრუნებას?

— ჯერ არ ვიცი, — მხრები აიჩეჩა გოგლამ, — ძალიან კი არ მინდა ამის გაკეთება, მაგრამ თუ სხვა გზა აღარ დამიტოვეს...

— გეხვეწები, არ დააბრუნო! — ისევ ცრემლი მოერია ლელას. — დარწმუნებული ვარ, ამ ნამუშევარს შენთან კიდევ მოაკითხავენ და მაშინ შეიძლება, ჩემი ძმის მკვლელის ამბავიც გავიგო.

— შეიძლება, ასეც მოხდეს, მაგრამ რა გარანტია გვაქვს, რომ ჩემთანაც სწორედ ის ადამიანები მოვლენ, რომლებიც შენს ძმასთან იყვნენ?

— არანაირი გარანტია არ გვაქვს, მაგრამ მაინც გთხოვ.

— კარგი, არ დავაბრუნებ, — გაუღიმა გოგონას გოგლამ და მაშინვე მისი მობილური ტელეფონიც აწკრიალდა. კლიმიაშვილი რეკავდა.

— აბა, კარგად მომისმინე, — დაიწყო მან.

— ყურადღებით გისმენთ, ბატონო საშა.

— იურისტებს ველაპარაკე და მითხრეს, რომ იმ გამომძიებელს შენგან სურათის უკან დაბრუნების მოთხოვნის არანაირი იურიდიული საფუძველი არა აქვს, რადგანაც პატრონის სიცოცხლეში მისი მოპარვის ანდა მოტყუებით წართმევის თაობაზე სამართალდამცავებთან განცხადება არ შესულა. მოკლედ, „წინა რიცხვით“ გედავებიან. ხომ ხვდები, რასაც გეუბნები?

— პრინციპში, კი.

— ეტყობა, ამ გზით ვიღაც გავლენიანს სურს ნამუშევრის ხელში ჩაგდება. ასე რომ, თუ კიდევ ვინმემ შეგაწუხა, შეგიძლია, ძალიან შორს გაგზავნო.

— ასეც მოვიქცევი.

— ოღონდ, გაითვალისწინე, რომ კორძაძეს სასამართლოში ჩივილიც შეუძლია.

— ყველაფერი გასაგებია.

— მაშინ დროებით და შენგან უკვე ახალ შემოთავაზებებს ველოდები...

— რამე სერიოზულია? — საუბრის დასრულებისთანავე დაინტერესდა ლელა.

— არა. ჯერჯერობით ყველაფერი რიგზეა. ოღონდ ტილოს გაყიდვის დროებით გადადება მომიწევს.

— რაც მე ხელს მაძლევს.

— მე კი ის მაძლევს ხელს, რომ ხვალ ჩემთან დილითვე მოხვიდე და საქმეს შეუდგე.

— როგორ? — გაუკვირდა ლელას. — სამსახურიდან არ დამითხოვე?

— კარგ თანამშრომელს ასე იოლად არ ველევი.

— გმადლობ, — ხელზე ნაზად შეეხო ლაღიძეს ლელა, — ნამდვილად არ ინანებ.

— მართლა?

— პირობას გაძლევ.

— ხომ იცი, პირობა კაცს ცოლს ართმევს, ქალს კი... — თვალი ეშმაკურად ჩაუკრა ლაღიძემ.

ოთარ ორდენიძეს საკუთარი საქციელი თავადვე უკვირდა. მსგავსი რამ მის თავს, ახალგაზრდობაში, ასე, 16-17 წლის რომ იყო, და ყურებამდე შეყვარებულს, პირველ პაემანზე რომ მიეჩქარებოდა, მაშინ თუ ხდებოდა. მოკლედ, მას მარის მიმართ უკვე ნამდვილი გრძნობა გაუჩნდა, თუმცა ბოლომდე ამას ჯერ საკუთარ თავსაც კი არ უმჟღავნებდა.

ყველაფერი კი მას შემდეგ დაიწყო, როცა მარიმ თავისი წარსული გაანდო. ორდენიძის აზრით, ეს შემთხვევითი გულახდილობა კი არა, მასავით მარტოსული ადამიანის გულის სიღრმიდან წამოსული აღსარება იყო. „ასეთ რამეს პირველ შემხვედრს და თუნდაც კარგ ნაცნობს ვერაფრით გაანდობ“, — მიაჩნდა ზედმიწევნით კმაყოფილ გამომძიებელს.

ასე იყო თუ ისე, იმ დასამახსოვრებელი საღამოს შემდეგ, მათ ურთიერთობაში სერიოზული გარდატეხა მოხდა. გარდა იმისა, რომ ორდენიძეს ახლა უკვე მარის საძინებელში ეძინა, მთელ თავისუფალ დროსაც მხოლოდ ერთად ატარებდნენ. სამუშაო დღეებში კი ქალი გამომძიებლის შინ დაბრუნებას დიდი ხნის უნახავი შეყვარებულივით მოუთმენლად ელოდა. თუმცა, ამ ყველაფრის მიუხედავად, ორდენიძეს ერთგვარი დისკომფორტისა და დანაშაულის განცდაც ჰქონდა. ზოგჯერ კი იმასაც ფიქრობდა, რომ სრულიად უსინდისოდ მიითვისა ის, რაც მანამდე სხვას ეკუთვნოდა. მსგავსი ფიქრისა და განცდის მიზეზი კი, პირველ რიგში, მაინც ის ქონება იყო, რომელიც მარის გარ-



დაცვლილმა ქმარმა დაუტოვა. „გამოდის, რომ მზამზარეულზე მივედი და ყველაფერი ისე დავისაკუთრე, თავად ხელიც კი არ გამინძრევია,“ — ხშირად წუხდა იგი, მაგრამ არაფრის შეცვლა



არ შეეძლო. მარი მისი წუხილის მიზეზს უკვე უსიტყვოდაც კარგად ხვდებოდა და მისთვის მდგომარეობის შემსუბუქებას ყოველთვის ძალიან ტაქტიანად ცდილობდა.

— ახლა რაღაზე ჩაფიქრდი? — მხარზე ფრთხილად შეეხო ერთ საღამოს ფიქრებში წასულ გამომძიებელს.

ორდენიძე მაშინვე ქალისკენ შებრუნდა და თბილად გაუღიმა:

— სამსახურის ამბებზე.

— რა ხდება თქვენს სამსახურში?

— ყველაფერი ძველებურადაა: ქურდობა, ძარცვა, მკვლელობა...

— მაინც?

ორდენიძეს სევდიანად გაეღიმა. წლების მანძილზე ეს ქალი მგონი, პირველი იყო, ვინც მისი საქმიანობით დაინტერესდა.

— რაზე ვფიქრობ, იცი? — მარის ხელი ნაზად მოხვია მან. — წარმოიდგინე, რომ დადიხარ ქალაქში და იცი, რომ იმავე ქუჩებში ქურდები, მძარცველები და მკვლელებიც კი არხეინად დააბიჯებენ. მაგრამ ვერავინ ამჩნევს, რადგან მათაც სხვებივით 2 ხელი, 2 ფეხი და 1 თავი აქვთ... არადა, პირველ რიგში, სწორედ ასეთების შემჩნევა და დაკავება მევალება. მაგრამ ხშირად მეც რომ არ ვიცი, ეს როგორ გავაკეთო?! როგორ გამოვარჩიო ისინი სხვებისგან ისე, რომ არ შევცდე და შემთხვევით ვინმე უდანაშაულო არ გავწირო?

— ჰო, მეც მსმენია ასეთი შემთხვევების შესახებ. ეს თქვენთანაც ხშირად ხდება?

— სამწუხაროდ, კი. უფროსობას საქმეების გახსნის კარგი მაჩვენებელი სჭირდება, ხოლო ის, თუ ამას რა გზით მიაღწევ, დიდად როდი აინტერესებს. ახლახან ერთი ასეთი შემთხვევა გვქონდა. დავაპატიმრეთ მაწანწალა, რომელსაც პისტოლეტი და ცოტა ხნის წინ, საკუთარ სახლში მოკლული ადამიანის ნივთები აღმოაჩნდა. ერთი შეხედვით, თითქოს ყველაფერი რიგზეა და ყველა სამხილიც — მოკლულის ნივთები, პისტოლეტზე დამნაშავის თითის ანაბეჭდები და ასე შემდეგ — აშკარაა. მოკლედ, შეგიძლია, ხვალვე ციხეში უკრა იმ უბედურს თავი, მაგრამ...

— მაგრამ ეჭვები არ გასვენებს, ხომ?

— და მერე როგორი! საქმე აშკარად „შეკერილია“. ჯერ ერთი, მაწანწალის ჩადენილი შეიარაღებული ძარცვა და მკვლელობა არ გაიშვა. მაგრამ მაშინაც კი, თუ დავუშვებთ, რომ მსგავსი რამ მოხდა, ადამიანი იდიოტი უნდა იყოს, რომ ამ ამბავს მკვლელობის ადგილიდან ორ ნაბიჯში „ასველებდეს“. ჩვენი მაწანწალა კი მოკლულის სახლიდან სულ რამდენიმე მეტრში უგონოდ მთვრალი დააკავეს.

— მაგრამ ხომ შეიძლება, მართლა იმდენად დათვრა, რომ საერთოდ აღარ ახსოვდა, რა ჩაიდინა?

— ალბათ, ყველაფერი შეიძლება, მაგრამ გამოცდილება მკარნახობს, რომ მანამდე იმ უბედურს მოკლულის სახლის გვერდითაც კი, ჩაუვლია. ამიტომაც არ მინდა უდანაშაულო ადამიანის ციხეში ჩასმა.

— მაშინ იქნებ თვითონ გენახა და დალაპარაკებოდი.

— ვაპირებ კიდეც. იქნებ ფხიზელმა მაინც გაიხსენოს რამე.

— იმედი ვიქონიოთ. ახლა კი მოდი, ამაზე აღარ ვილაპარაკოთ, კარგი?

— კარგი. ამ წუთიდან მხოლოდ შენზე ვიფიქრებ და ვილაპარაკებ. აბა, მითხარი, ხვალისთვის რა გეგმები გაქვს? ჩემს მოსვლამდე რას გააკეთებ?

— ხვალ დაქალი უნდა მეწვიოს.

— რომელი დაქალი?

— ლალი. არ გახსოვს, რომ გიყვებოდი, მისი ქმარიც პოლიციაში მუშაობს-მეთქი?

— ჰო, გამახსენდა. რაო ლალიმ, ძალიან მომენატრეო?

— მე ხომ მოვენატრე და მოვენატრე, მაგრამ შენი ნახვაც ძალიან უნდა: ჩემი ქმარი უნდა გავაცნოო. ჰა, რას იტყვი?

— რატომაც არა. სიამოვნებით გავიცნობ. ოღონდ... ცოტა მოგვიანებით, კარგი?

— ძალიანაც ნუ გადადებ, თორემ ლალი ცოცხლად შემჭამს.

— გამოდის, რომ ჩემზე უკვე რაღაც მოუყევი, ხომ? — სახე მოჩვენებითად გაიმკაცრა ორდენიძემ.

— ძალიან კი მრცხვენია, საყვარელო, მაგრამ ამ ქალს მართლა ვერაფერს დაუმალავ.

— კარგი, რაც არის, არის, — ისევ გაეღიმა გამომძიებელს, — ბოლოს და ბოლოს, საიდუმლო აგენტი ხომ არა ვარ, რომ გაუთავებლად მმალო...

მეორე დილით, სამსახურში მისული ორდენიძე შეფმა თავისთან იხმო.

— გისმენთ, ბატონო კახაბერ, — ხანმოკლე ლოდინის შემდეგ, თავი შეახსენა მაგიდასთან მჯდარ თავდახრილ შეფს ორდენიძემ.

შეფმა, როგორც იქნა, თავი ასწია და ხელქვეითს თვალით იქვე მდგარ სკამზე მიანიშნა. მისი პირქუში გამოხედვა გამომძიებელს კარგს არაფერს უქადდა და ამიტომაც, სკამზე უხალისოდ ჩამოჯდა.

— საქმეს სასამართლოს რატომ არ გადასცემ? — შუბლი კიდევ უფრო შეიკრა შეფმა.

— რომელ საქმეზე მეკითხებით? — შორიდან მოუარა ორდენიძემ. — მე ბევრი საქმე მაბარია...

— მერედა, როდემდე უნდა გედოს ეგ საქმეები თაროზე? — ხმას აუწია შეფმა. — თუ უკვე აღარც კი გახსოვს, რომ ნებისმიერი საქმე დროულად უნდა გახსნა და სასამართლოს გადასცე?

— რა თქმა უნდა, მახსოვს, — მაინც არაფერი შეიმჩნია გამომძიებელმა, — უბრალოდ, მართლა ვერ ვხვდები, კონკრეტულად რომელზე მეკითხებით.

— რომელზე და საკუთარ ბინაში იარაღით მოკლული ვაჟა ხოტივარის საქმეზე.

— მაგრამ ეს საქმე ხომ ჯერ მხოლოდ დამუშავების სტადიაშია და თანაც...

— რაო? — სათქმელის დასრულება აღარ აცალა გამომძიებელს შეფმა. — ის, რომ მკვლელი უკვე დაკავებულია და ყველა სამხილიც გაქვს, შენთვის არაფერს ნიშნავს?

— რომელი მკვლელი?.. შემთხვევით იმ უბედურ მაწანწალას ხომ არ გულისხმობთ, რომელიც...

— იმ დამნაშავეს ვგულისხმობ, რომელსაც მოკლულის ნივთები და მკვლელობის იარაღი უპოვეს!

— ჰო, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს ყველაფერი აბსოლუტური სისულელეა, — მაინც თავის აზრზე დარჩა გამომძიებელი.

— უკვე უტყუარ სამხილებსაც კი სისულელეს ეძახი? — საშინლად განრისხდა შეფი.

— ბატონო პოლკოვნიკო, — ახლა უკვე ორდენიძემაც აუწია ხმას, — მიმაჩნია, რომ თუკი რაიმე სახით მაინც შესაძლებელია იმ უბედურის პასუხისგებაში მიცემა, მაშინ — მხოლოდ

გადასახადებისთვის თავის არიდების გამო. მაგრამ ამაზე დაე, საგადასახადომ იმტვრიოს თავი.

— რაო? — ხელქვეითის პასუხმა საბოლოოდ გააოგნა შეფი. — რას გულისხმობ?

— იმას, ბატონო კახაბერ, რომ ეს მაწანწალა დაპატიმრებამდე ნაგვის ბუნკერებში იქექებოდა, ბოთლებს აგროვებდა და შემდეგ აბარებდა, მაგრამ ალებული თანხიდან გადასახადებს არ იხდიდა. ასე რომ...

— აბა, ახლა კარგად მომისმინე! — მაგიდას მუშტი გამეტებით დაჰკრა შეფმა. — გეტყობა, ნამეტანი აგივარდა თავში! ამიტომაც ამ წუთიდან, ან უკბილო ხუმრობას მორჩები და ყველა მითითებას უსიტყვოდ შეასრულებ, ან არადა, სხვა სამსახური უნდა ეძებო! გასაგებია?

— გასაგებია, — ამჯერად უკვე სერიოზულად უპასუხა გამომძიებელმა, — მაგრამ ისიც გაითვალისწინეთ, ბატონო პოლკოვნიკო, რომ მაშინაც კი, თუ ქალაქის ყველა მაწანწალას ციხეში გამოვამწყვდევთ, ნამდვილი დამნაშავეების რიცხვი ოდნავადაც არ შემცირდება...

— დამნაშავეების რისხვას გაუმარჯოს! — შეფის კაბინეტიდან გამოსული ორდენიძის გვერდით წამით შედგა დერეფანში მიმავალი ბალისტიკის სპეციალისტი — მიხო ჩხეიძე. — შენი გამოგზავნილი ტყვია შევამოწმე.

— მერე? — უხალისოდ ჰკითხა გამომძიებელმა.

— შემომიარე და პასუხს წერილობით მოგართმევ.

— აუცილებლად შემოგივლი, — კოლეგას მხარზე ხელი შინაურულად მოუთათუნა გამომძიებელმა.

ამასობაში დერეფნის ბოლოს ანდრო ლეკიშვილი გამოჩნდა, რომელსაც იღლიაში ქაღალდების დასტა ამოეჩარა და სადღაც მიიჩქაროდა.

— ანდრო! — გასძახა მას ორდენიძემ. — ხოტივარის საქმესთან დაკავშირებით ბრალდებულს პირადად უნდა დაველაპარაკო, მომიგვარებ?

ლეკიშვილმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და გზა ისევ სწრაფად განაგრძო. ორდენიძე კი თავის კაბინეტში დაბრუნდა, მაგიდას მიუჯდა და თავი ხელებში ჩარგო. გამომძიებელი უკვე თავადაც კარგად ხვდებოდა, რომ ამის შემდეგ ან ხელმძღვანელობის ნებას მართლა უნდა დაჰყოლოდა, ან გასაქანს აღარ მისცემდნენ. იმდენი გაუხსნელი საქმით აავსებდნენ, რომ უბრალოდ თავს ვეღარ გაართმევდა და სამსახურის გარეშე დარჩენაც გარანტირებული ექნებოდა.

— შეიძლება? — კაბინეტში თავი შემოყო ანდრომ.

— შემოდი. როდის იყო, ნებართვას მთხოვდი?!

— გავიგე, შეფმა ისევ შემოგიტია.

— აბა, შეფი რისი შეფია?!

ლეკიშვილი ისევ კარში იდგა და ოთახში შესვლა ვერ გადაეწყვიტა.

— ან შემოდი, ან გადი, რას გახიდულხარ მაგ კარში? — შეუღრინა ორდენიძემ.

— ცუდი ამბავი უნდა გითხრა, — როგორც იქნა, შესვლა გაბედა ანდრომ.

— რა იყო?

— ჩვენმა მაწანწალამ საკანში თავი ჩამოიხრჩო.

— უხ, ამის!.. — სიგარეტის კოლოფი ნერვიულად გახსნა ორდენიძემ. — ესლა მაკლდა! როდის მოხდა ეგ ამბავი?

— წუხელ. მაგრამ გვამი მხოლოდ 2 საათის წინ აღმოაჩინეს.

— ყველაფერი გასაგებია, — სიგარეტი გამეტებით მოქაჩა და კვამლი ჭერში აუშვა ორდენიძემ, — გამოდის, რომ საქმის ნებისმიერი გზით დახურვა გადაწყვიტეს.

— შენც ასე ფიქრობ?

— ვფიქრობ კი არა, დარწმუნებული ვარ.

— აუ, მაინც რა არ ხდება!

— აბა, აბა... ის უბედური ხომ ერთადერთი მოწმე იყო. რას გეტყვი, იცი? — წამით ჩაფიქრდა გამომძიებელი.

— ყურადღებით გისმენ.

— სასწრაფოდ გადაიღე ამ საქმის ასლები და სადმე საგულდაგულოდ გადამალე. თორემ მეშინია, თავად ეს „შეკერილი“ საქმეც კი უკვალოდ არ გააქრონ.

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*



# ნაადრევი ენძელები

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com



დასაწყისი იხ. „გზა“ №2-6

ზურას სამოთახიანი ბინა ჰქონდა. როგორც კი ფეხი შედგა ნუკიმ ჰოლში, საოცარმა მღელვარებამ შეიპყრო — თითქოს არამიწიერ სამყაროში მოხვდა, ზღაპრულ სამფლობელოში... სხვანაირად ქათქათებდა იქაურობა, ზედმეტად ბრწყინავდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ სამყაროში მხოლოდ მამაკაცი ცხოვრობდა — უქალო მამაკაცი. ან იქნებ სულაც არ იყო „უქალო“ და ეს ჯერ არ იცოდა ნუკიმ? რატომ ჰგონია, რომ ასეა? ზურასნაირს ვინ დატოვებდა მარტო? ამაზე არ უფიქრია... არა უშავს, იფიქრებს, დააკვირდება და გაიგებს. ახლა მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შეუძლია — ზურას სისუფთავე ჰყვარებია, სიკოხტავე და კიდევ... თეთრი ფერი. ავეჯიც თეთრია, გადასაფარებლებიც, ფარდებიც, ჭაღებიც კი... თეთრის მოვლას ეხუმრები? ყველაზე პრეტენზიული ფერია, ფერი, რომელიც ჭუჭყს ისე იზიდავს, როგორც აშიკი მამაკაცი (შეიძლება ზურასნაირიც) ქალს.

— ესეც ჩემი რეზიდენცია! — ზურას დაღლილმა ხმამ ფიქრებიდან გამოარკვია, — დიდი ვერაფერი, მაგრამ მე და შენ გვეყოფა.

„მე და შენ გვეყოფა“ თითქოს განსაკუთრებული (იმედის მომცემი) ინტონაციით იყო ნათქვამი, ადვილად მისახვედრი (მრავლისმეტყველი) ქვეტექსტით. ნუკიმ არ შეიმჩნია, ოდნავ შეარხია ტუჩები ღიმილის ნიშნად და ფანჯრისკენ დაიძრა.

— შენ საძინებელს დაგითმობ, მე კი კაბინეტში გადავბარგდები, ისედაც იქ მძინავს უფრო ხშირად, — გააგრძელა მამაკაცმა.

„აკი, ჩემებთან გადავალო?“ — გაუელვა გონებაში გოგონას.

— თუ, რა თქმა უნდა, ჩემი აქ დარჩენა უხერხულობას არ შეგიქმნის. თუ არა და, როგორც შეგპირდი, ისე გავაკეთებ. ჩემებთან გადავალ დროებით, — დაასრულა ზურამ.

„რა არის, შუბლზე მაწერია, რას ვფიქრობ?“ — კოპები შეიკრა ნუკიმ, რაც შეეძლო, გაინაზა და ფანჯარასთან მისულმა მხოლოდ თავი მოაბრუნა.

— არა მგონია, გადასვლა საჭირო იყოს. ამხელა სახლში, მგონი, დავეტევით, თუმცა მე რამდენიმე დღეში გადავალ, არ შეგაწუხებ.

— მაგაზე მერე ვილაპარაკოთ. ახლა კი შენს ოთახს გაჩვენებ, მერე მოწესრიგდი და დაიძინე. მე ჩემს საქმეს მივხედავ, — ამ ლაპარაკში ზურა მიუახლოვდა, მაჯაში ხელი ჩაავლო, მარჯვენივ მდებარე კარისკენ ნელა გაემართა და ნუკიც თან გაიყოლა.

გოგონა გრძნობდა, როგორ მოუსვენრობას შეეპყრო ზურას თითები. სანამ საძინებელში შევიდოდნენ და მამაკაცი ხელს შეუშვებდა, აფორიაქებულმა თითებმა ათჯერ მაინც მოინაცვლეს ადგილი მის მაჯაზე.

— მოგწონს? — შეცვლილი ხმით დაეკითხა იგი, თან ყურადღებით აკვირდებოდა მისი სახის გამომეტყველებას, დაახლოებით ისე, როგორც ექიმი პაციენტს.

მისი ინტერესი გამართლებული იყო, ასე ხდება ხოლმე, როცა სრულიად უცხო (ჯერ მაინც უცხო) ადამიანს მთელი მისი ავლა-დიდებით შეიფარებ საშინელი ხანძრის შემდეგ.

— ძალიან! — აღტაცების დაფარვა არ უცდია გოგონას, თვალები კიდევ უფრო გაუბრწყინდა, როცა მისთვის განკუთვნილი ოთახი ზღვის ტალღისფერი ტონებით აღმოჩნდა შეფერილი.

— ეს ჩემი საყვარელი ფერია, — თითქოს შორიდან ჩაესმა ზურას ხმა, ბუნდოვნად, გაბზარულად.

ნუკიმ მისდა უნებურად გაიხედა გვერდზე, ოთახიდან ხომ არ გავიდაო... არა, ზურა იქვე იდგა, ერთი ხელის გაწვდენაზე.

— ასე მგონია, ჩემს ფიქრებს კითხულობ, — ვეღარ მოითმინა გოგონამ და ღაწვებშეფაკლულმა თვალი თვალში გაუყარა.

— კი არ გგონია, ასეა, — ფართოდ გაეღიმა მამაკაცს და მოხრილი საჩვენებელი თითი ცხვირის წვერზე მსუბუქად ჩამოჰკრა.

უარესად აილეწა ნუკი, ერთიანად გაუხურდა სხეული.

— ქალი ერთადერთია, ვისაც შესაძლებელია, გაუგო და ვის არსებობასაც ამ ცოდვილ დედამიწაზე გამართლება აქვს. მე ეს შემიძლია, თანაც პროფესიონალის დონეზე. ყველა შენი ფიქრი ზეპირად ვიცი, გაცნობის დღიდან მოყოლებული დღემდე... და ასე იქნება მანამ, სანამ ჩემ გვერდით იქნები, — შენიშნა ზურამ და იგივე ღიმილი კიდევ ერთხელ გაიმეორა.

— ღმერთო... ასე მგონია, სიზმარში ვარ, — სხვა ვერაფერი თქვა ნუკიმ, — ყველაფრისთვის დიდი მადლობა, მაგრამ არ მინდა, ტვირთად დაგაწვე. მირჩევნია, ჩემი უბედურება მხოლოდ მე მამძიმებდეს. შენი გარევა არ მსურს ამაში.

მოულოდნელად ზურას გულიანი სიცილი აუტყდა.

— არა უშავს, მე რაღაც დონეზე უკვე შეგისწავლე და შევამჩნიე, რომ ხანდახან შეგიძლია, ბავშვივით სასაცილო იყო. ყველანაირად ვეცდები, რაღაც მაინც გავაკეთო შენთვის. დროა იგრძნო, რომ... არც ისეთი „უნიკალური“ უბედური ხარ, როგორიც გგონია. განახვებ, რა არის უბედურება სხვებისთვის და მიხვდები, რომ უბედურთა სიაში მთლად პირველ ნომრად არ წერიხარ... ახლა კი მიხედე საქმეს. თეთრეული გარდერობშია. ასეთ წვრილმანებში მე ნუ გამრევ. ქალებს უკეთ გამოგდით „ოჯახობანა“, — თვალებმოჭუტულმა მამაკაცმა ორივე წარბი მრავლისმეტყველად ასწია და ოთახიდან გავიდა.

დილა უკვე კარგა ხნის გადასული იყო, ნუკის რომ გამოეღვიძა. როცა თვალი გაახილა, ალმოდებული მზე ფანჯრის მინებს ელაციცებოდა და მუქი ფარდებიდან ოთახში ჯიუტად ცდილობდა შემოძრომას. ავეჯი, ტანსაცმელი, კედლები, სკამი — ყველა მხრიდან ყველაფერი თითქოს მას უყურებდა. მშვენივრად გამოიძინა. ნე-

ტავ, რა დროა? თავი ასწია და მიმოიხედა. საძინებლის კარი ოდნავ იყო შეღებული. გაიკვირვა. არადა, კარგად ახსოვს, რომ დაწოლის წინ კარი მჭიდროდ მოკეტა. გარედან მოხარშული ყავის მძაფრი არომატი შემოიჭრა. სწრაფად წამოდგა, წითელი სარაფანი გადაიცვა და თითქოს ვიღაცას (ალბათ ზურას) ემალებაო, ქურდული ნაბიჯებით შევარდა სააბაზანოში.

რა საშინელებაა! იმ სიჩქარესა და არეულობაში კბილის ჯაგრისის წამოღება რომ დავიწყებია. ვერც წუხელ მოახერხა კბილების გამოხეხვა. სასწრაფოდ უნდა იყიდოს, თორემ მისი მასპინძელი იფიქრებს, არაჰიგიენური გოგო ყოფილაო!

— საუზმე მზადაა! — ზურას ხმამ უცნაურად იმოქმედა მის ნერვებზე. წუხელ ისეთი დაღლილი იყო, არაფრის გააზრების უნარი არ ჰქონდა. ამ დილით კი... დასვენებამ (უფრო სწორად გამოძინებამ) ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა. თითქოს უფსკრულის პირას მიმოდიოდა. რომ იცოდეს ამ კაცმა, რასაც ნუკი მის მიმართ განიცდის... არა, უმჯობესია, ამაზე არ იფიქროს...

— დილა მშვიდობისა, — მორცხვად მიესალმა სამზარეულოში მოფუსფუსე ზურას და კარის ძგიდეს მხრით მიეყრდნო.

— მშვიდობის დილა არავირტუალურ მირანდას, — ქვემოდან ამოხედა მამაკაცმა და ხარბად შეათვალიერა წითელ სარაფანში გამოზნექილი მისი მკერდი, — ყავის სურნელით მომაგენი, ხომ მართალი ვარ? — გაეხუმრა. — სპეციალურად შევაღე შენი ოთახის კარი, რომ გაგღვიძებოდა.

— მივხვდი, — შერცხვა ნუკის, — არ ვიცი, რა მეტაკა. ამდენ ხანს არასდროს მძინებია. სოფელში, ჩვეულებრივ, უთენია ვდგებოდი ხოლმე.

— მაგრამ ეს ქალაქია, თანაც დედაქალაქი. არის განსხვავება, — გაეხუმრა ზურა, — ეგ არაფერი. აქ ადრე ადგომას აზრი არა აქვს, თუ, რა თქმა უნდა, სამსახურში არ მიგეჩქარება. ჯობია, საწოლში ინებივრო, სანამ წოლა არ მოგბეზრდება, — ხმაში ვნება (ნდომაც) გაურია მამაკაცმა, რაც არ გამოჰპარვია გოგონას.

— მერე მივალაგებ აქაურობას, — თითქოს დანაშაულის გამოსყიდვა უნდოდა, ისეთი ტონით წარმოთქვა.

— როგორც გინდა, თუმცა იცოდე, რომ სულაც არ ხარ ვალდებული, — თავი დაიზღვია ზურამ, — ახლა კი მოდი, დამეწვიე. იმედია, დიეტაზე არ ხარ.

— არა და არც არასდროს ვყოფილვარ.

— არ გჭირდება და იმიტომ. იოგურტი გიყვარს? ძალიან სასარგებლო პროდუქტია.

ნუკიმ უთქმელად დაუქნია თავი, დაჯდა და იოგურტის ქილას წაეტანა. ერთხანს ატრიალა ხელში, გამოშვების თარიღს დააკვირდა.

— ახალია, მაგას ყოველთვის ვამოწმებ, — მიუხვდა მამაკაცი.

— ეს ისე, მექანიკურად... — იმართლა თავი გოგონამ და აჭარხლებულმა ცივად დადგა ქილა მაგიდაზე.

— ნალექიანი ყავა გიყვარს?

— ისე რა... თუმცა ვსვამ. საერთოდ, უნალექო მირჩევნია.

— ამჯერად სხვა არ მაქვს... უნდა მაპატიო.

— არა გრცხვენია? ამასაც სიამოვნებით დავლევ, — ნუკიმ ყავის ფინჯანს ხელი წამოავლო.

— ჯერ შეჭამე, ყავა მერე დალიე.

— ცხელი თუ არ არის, ისე ყავას ვერ ვსვამ, — უხერხულად წარმოთქვა გოგონამ და სწრაფად დაამატა, — ან ძალიან ცივი.

— ესე იგი, უკიდურესობების მოყვარული ყოფილხარ... — შენიშნა ზურამ და ხელისგულები ერთმანეთში გადახლართა, — ამას გავითვალისწინებ. როგორ გეძინა?

— მკვდარივით.

— მიხარია. ახლა კი ახალი ამბები. მე დილით იმდენი რამ მოვასწარი, არც დაიჯერებ. ავტოსადგურში გავედი, სამარშრუტო ტაქსის დავხვდი, რომელსაც ბიძაშენმა ფული — 400 ლარი გამოატანა... 200 შენი და დანარჩენი თავისი, საჩუქრად.

— ვერ გავიგე... რომელი 200 ჩემი?

— დაიბნა ნუკი.

— კარგი, თავიდან დავიწყებ. წუხელ ხუტამ დამირეკა, შენზე ნერვიულობდა. დავამშვიდე. ვუთხარი, წამოვიყვანე და უკვე დავაბინავე-მეთქი. არ მითქვამს, აქ რომ ხარ. ჰგონია, რომ ბინის დაქირავებაში დაგეხმარე. რა ვიცი, არ მინდა, რამე იფიქრონ. ხომ გესმის... ეკას უპოვია თავისი საყურე, თურმე მის მეჯვარეს აუღია და დროებით ჩამოუკონწიალებია თავის კეკლუც ყურებზე, — გაეცინა ზურას, — როცა შენს გამოქცევაზე ერთი ამბავი ატეხა ბიძაშენმა, იმ გოგოს უთქვამს, მე ავიღეო. აყვირებულა ხუტა, ბავშვი სახლიდან გამიგდეთ, თქვენ ხომ ხალხი არა ხართო... ჰოდა, ასე... დილით ისევ დამირეკა, ფულს ვგზავნი და „მარშრუტკას" დახვდიო. სულ ეს იყო. ახლა უკვე მდიდარი ქალი ხარ. შენი ფული აგერ დევს, მაცივრის თავზე.

— დამპალი! — კვნესით აღმოხდა ნუკის.

ზურა მიხვდა, ვისაც ეკუთვნოდა ეს ეპითეტი და თავი უკმაყოფილოდ გადააქნია.

— შეეშვი ეკას, თავისი გასაჭირი ეყოფა. ძლივს ქმარს ელირსა და ისიც ერთი ღამით, მგონი. როდის ჩამოვა მეორედ, კაცმა არ იცის. გგონია, ადვილია? მაგას ჯობია, მომისმინო და არ შემაწყვეტინო, გთხოვ. ხვალ სამსახურში უნდა გავიდე, ჩემი შვებულების დრო იწურება. არ მინდა, თავშესაფარი გარეთ ეძებო. არც ის მინდა, უაზროდ დახარჯო ფული ბინაში, რომელიც არაფერში გჭირდება. დარჩი აქ, მშვენიერი ოთახი დაგითმე მშვენიერი საწოლით, რომელიც, სიმართლე გითხრა, ტყუილად ცდება, — და ისე შემპარავად შეხედა, გოგონამ წამსვე მოარიდა თვალი, — შენნაირი სრულყოფილება თუ ჩაწვება მასში, მადლობის მეტი რა მეთქმის.

ზურა წამოდგა და მაცივრიდან „სანდორას" ატმის წვენი გამოიღო, თან ორი მაღალყელიანი ჭიქა მოაყოლა და წვენი ჩამოასხა. მისი ყოველი მოძრაობა სპორტსმენის მოძრაობასავით ჰარმონიული და გამართული იყო... თან რაღაც უცხო სურნელს აფრქევდა... სუფთას და მამაკაცურს... ოდეკოლონის... ყავის... ნუკიმ თვალები დახუჭა და კმაყოფილმა (თუ მოწყურებულმა) შეისრუტა ამ სურნელით გაჟღენთილი ჰაერი.

— მე გვიანობამდე ვრჩები სამსახურში და ისე ვიღლები, მოვალ თუ არა, მაშინვე ვწვები. ამიტომ სახლის ბატონ-პატრონი შენ იქნები. აკეთე, რაც გსურს, როცა გსურს და როგორც გსურს. იმისთვის, რომ არ მოიწყინო, ჩართე კომპიუტერი, შედი „ოდნოკლასნიკებში", გინდაც — „ფეისბუკზე". რა იცი, რა ხდება...



ეკაზე ნაკლები რითი ხარ, იქნებ შენც გაიცნო ვინმე. ამასობაში რაღაც-რაღაცებს გავარკვევ შენი სამსახურის თაობაზე და თუ გამომივიდა, რაც მაქვს ჩაფიქრებული, ყველაფერი კარგად აეწყობა. გასაგებია? — ზურა ისე ელაპარაკებოდა, როგორც უფროსი — უმცროსს, როგორც მასწავლებელი — მოსწავლეს, თუ მამა — შვილს...

— რატომ აკეთებ ამ ყველაფერს? — ვეღარ მოითმინა ნუკიმ, ძალიან (სიგიჟემდე) უნდოდა გაეგო, რა ხდებოდა მის გულში, რა ადგილი ეჭირა მას იქ, — რატომ ირჯები ასე ჩემ გამო?

— რატომ ვირჯები? მაინცდამაინც მედალი უნდა დამკიდოს ვინმემ, სიკეთე რომ გავაკეთო? — ეშმაკურად ჩაიღიმა ზურამ, რადგან მიუხვდა, რისთვის იყო ეს შეკითხვა გამიზნული.

ღმერთო, როგორი ღიმილი აქვს, როგორი გამოხედვა! შეძლებს კი ნუკი, გაუძლოს ამ მომნუსხველ მომხიბვლელობას? ან ამ ტუჩების (რა სიამოვნებით აკოცებდა ახლა) ხიბლს, ერთს რომ ლაპარაკობენ და მეორეს გულისხმობენ?!

— აბა, რას იტყვი, თანახმა ხარ?

— მაშინ მეც მომეცი უფლება, აქაურობას მივხედო. დავალაგო, დავრეცხო, სადილები მოვამზადო...

— ჩათვალე, რომ უკვე გაქვს ამის უფლება.

— მეგობრების მონახულება შემიძლია? — ისე გულუბრყვილოდ იკითხა, მამაკაცი სიცილისგან ჩაბჟირდა.

— აბა, არა გაქვს? ჩემი ტყვე კი არ ხარ, გოგო! ვისაც გინდა, იმას შეხვდი, რა ნებართვას მთხოვ? თუ გინდა, აქაც მოიპატიჟე, არ არის პრობლემა. ოღონდ, მთლად კაცებით ნუ გამივსებ სახლს, — ხუმრობით დააყოლა.

— არა, რა კაცები, — შეიშმუშნა ნუკი.

— გეხუმრე... ახლა კი სწრაფად ავალაგოთ სუფრა და მერე ფოტოები გადავიღოთ.

— რა ფოტოები? — გაკვირვებით შეყარა გოგონამ წარბები.

— წუხელ, სანამ შენ გეძინა, მე „ოდნოებში" შევედი და ვნახე, რომ იქ დარეგისტრირებული არ ხარ და პროფილი გაგიხსენი. ფოტოების დადება სჭირდება მხოლოდ. შეხვალ, ნაცნობებს მოძებნი, უცნობებსაც გაიცნობ. ადვილად გაერკვევი, ზოგ რამეს მე აგიხსნი და გაერთობი. ვინ იცის, იქნებ ვინმე ისეთიც იპოვო, შენს გულს რომ გაუხარდება, — კვლავ ეშმაკურად (იქნებ დანანებითაც) შეღიმა, — შენი ასაკის რომ ვიყო, ვიცი, რასაც გავაკეთებდი.

— არც ისეთი ასაკოვანი ხარ... — მორიდებით შენიშნა.

— შენთვის ასაკოვანი ვარ, — ხაზგასმით აღნიშნა ზურამ და რატომღაც თვალი მოარიდა, თითქოს ამით მიანიშნა, ჩემზე ტყუილად ფიქრობ, დროა, სხვაზე გადაერთოო.

ნუკის ნირი წაუხდა. ყოველივე იმის შემდეგ, რაც მათ შორის მოხდა, ასეთ სიტყვებს არ ელოდა. უცებ შეეცვალა გამომეტყველება, თვალებში ტკივილი ჩაუდგა.

— კიდევ ერთი... — ჩამქრალი ხმით წარმოთქვა ნუკიმ და თვალი თვალში გაუყარა მამაკაცს, — სანამ აქ ვარ, კიდევ ერთი რამის უფლება მინდა, მომცე.

— გისმენ, — ზურამ ნიკაპი ერთმანეთზე გადახლართულ თითებზე ჩამოდო და დაჟინებული მზერა მიაპყრო, თითქოს მის სულში შეღწევას ცდილობსო.

— ხანდახან მეც ვიყიდი პროდუქტს ჩემი ფულით. არ მინდა, ვალში დავრჩე.

მამაკაცს წამით მოექუფრა სახე, თუმცა მსწრაფლ გაიღიმა, ხელები გაშალა და თქვა.

— მთლად არ მომწონს შენი შემოთავაზება, მაგრამ ეგრე იყოს, თუკი ეს დაგამშვიდებს, ოღონდ...

და ერთხანს კიდევ იკამათეს, ივაჭრეს, რაღაცები შეათანხმეს ერთმანეთთან, მერე მაგიდა აალაგეს, ჭურჭელი დარეცხეს და ფოტოებიც გადაიღეს. ნუკი თანდათან გამხიარულდა, წელანდელმა უხასიათობამ მალევე გაუარა. მერე კომპიუტერს მიუსხდნენ და ზურამ მისი ფოტოების პროფილში ჩაყრა დაიწყო.

10 წუთიც არ იყო გასული ამ „პროცედურიდან", რომ ნუკის სტუმრების ბლოკში უკვე თერთმეტმა ადამიანმა შემოიჭყიტა, ხოლო ფოტოების შეფასებამ მსწრაფლ 4 გვერდი გაავსო.

— ხედავ? უცებ როგორი პოპულარული გახდი? ხალხი დაინტერესდა შენით, — ამხნევებდა ზურა, — პაროლი შეგიძლია, შეცვალო, თორემ ერთხელაც შემოვალ და ყველა შენს საიდუმლოს გავიგებ.

— საიდუმლო არ მაქვს, — შორს დაიჭირა გოგონამ.

— მალე გექნება. ვიცი, აქ რაც ხდება, — მოუჭრა მამაკაცმა, — ოღონდ, ერთი რამ დაიმახსოვრე: ვირტუალური ნაცნობობა არასდროს აურიო რეალურში. აქ შეიძლება, ყველაფერი ზღაპრულად მოგეჩვენოს, ოცნებებიც აიხდინო, მაგრამ ეს არარსებული სამყაროა, რომელიც რეალობისგან შორს დგას და ეცადე, არ შეტოპო. ბოლომდე არავისთან არასდროს გაიხსნა. ყველას ეკასავით კი არ გაუმართლებს.

— მგონი, პატარა გოგო არ ვარ, რაღაცები მეც მესმის, — ფარული წყენა გაისმა ნუკის ხმაში.

— ვიცი, რომ გესმის, მაგრამ ქალები უკიდურესად რომანტიკოსები ხდებით ხანდახან. მხოლოდ ერთის თქმა მინდა: ვიღაც შეიძლება, ცხვრის ტყავში გახვეული მგელი აღმოჩნდეს და მის ანკესზე არ უნდა წამოეგო. ბევრი აქ იმისთვისაა შემოსული, რომ ქალებს თავბრუ დაახვიოს, თავი შეაყვაროს და თავისი ინტერესებისთვის გამოიყენოს. ზოგიერთს შეიძლება, სულ სხვა ადამიანის ფოტოები ჰქონდეს დაყრილი... ამის გარჩევა უნდა ისწავლო. იმედია, არ გწყინს, ასეთ გაკვეთილს რომ გიტარებ.

— რას ამბობ. პირიქით, მადლობის მეტი რა მეთქმის. არ ვიცი, რა მეშველებოდა, შენ რომ არ შეგხვედროდი. შენთან საუბარი ტკივილს მავიწყებს.

— ეს ცხოვრების ყველაზე ძველი საშუალებაა. ადამიანები ერთმანეთს რომ არ დახმარებოდნენ, დიდი ხნის წინ გადაშენდებოდა კაცობრიობა. ხედავ? უკვე შენც მოახერხე რაღაცის დავიწყება. ეს კარგია, მაგრამ წინ ბევრი უკეთესი რამ გელის. მთავარია, ბედნიერების ძიებით შეპყრობილ შეშლილს არ დაემსგავსო. შენ ცხოვრებაში იმდენი სიმწარე გამოცადე, რომ ახლა მხოლოდ ისღა დაგრჩენია, ბედნიერებისთვის იბრძოლო, შეიყვარო ვინმე, გაახარო და შენც გაიხარო.

რა ჭკვიანი (უფრო მეტიც, ბრძენი) კაცია, აღტაცებით ფიქრობდა გოგონა, ამაზე უკეთესი ვიღა უნდა ეძებოს? ოღონდ კი მანაც მოისურვოს და...

— სამწუხაროდ, სიყვარულის არაფერი მესმის, — ჩურჩულით თქვა ნუკიმ და წამწამები დახარა.

— ეს იმიტომ, რომ თავად სიყვარულს ესმის ყველაფერი, მას ყველაფერზე აქვს პასუხი, ყველაფერს თვითონ წყვეტს. ჩვენ მხოლოდ ისღა გვრჩება, დავრთოთ მას ნება, გააკეთოს თავისი საქმე.

— გყვარებია ოდესმე ვინმე? — ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე წამოტივტივდა ნუკისთვის საინტერესო თემა.

— შეიძლება — ჰო, შეიძლება — არა... მაშინ ასე მეგონა, დღეს სხვანაირად ვფიქრობ. სიბრალულის შეგრძნება მეტი დამრჩა, ვიდრე — სიყვარულის.

— გამოდის, არ გყვარებია... იქნებ ეს დანაშაულის შეგრძნება უფროა?

— რატომ გგონია?

— ხანდახან მამაკაცებს რცხვენიათ იმის აღიარების, რომ ვიღაც უყვარდათ, ეწინააღმდეგებიან საკუთარ თავს. არადა, რაც უფრო მეტად უყვარს ადამიანს, მით ნაკლებია წინააღმდეგობა. ამისგან ხანდახან სულიც შეიძლება შეგეხუთოს.

— შენ საიდან იცი ამდენი, თუკი

არასდროს გყვარებია? — გამომცდელი მზერა მიაპყრო ზურამ.

— მცდელობა მქონდა და იქიდან.

— და მერე?.. არ გაამართლა შენმა მცდელობამ?

— მაშინ სხვანაირად აღვიქვამდი მოვლენებს. მეგონა, ადვილი იყო შეყვარება. მეგონა, ამისთვის მხოლოდ შეყვარების სურვილიც კმაროდა. დავიჯერე, რომ მიყვარდა. ამიტომაც არ მესმოდა, როგორ შეიძლებოდა, დამთავრებულიყო სიყვარული.

— სამწუხაროდ, ასეც ხდება.

— მერე კი მივხვდი, რომ თურმე არც არასდროს დაწყებულა. ხანდახან ყველაფერი დასაწყისშივე დამთავრებულია, შენ კი ამას ვერ ამჩნევ, იმიტომ, რომ თავს აიძულებ, მიეჩვიო არსებულ ყოფას... ვიცი, არ შეიძლება, მიატოვო ადამიანი მხოლოდ იმიტომ, რომ ის არ აღმოჩნდა, ვინც გეგონა, მაგრამ იყო კი საჭირო, გამეგრძელებინა მის გვერდით ცხოვრება მაშინ, როცა არ მიყვარდა? — მისდა უნებურად ნუკი გულის გადაშლის ხასიათზე დადგა.

— მორჩი ფსიქოლოგიას, ნუკი. ხომ ხედავ, დაძველდა შენი ცხოვრების აფიშები? დროა, შეცვალო პროგრამა. შენი ცხოვრების ათვლის წერტილი, ჩათვალე, რომ დღეს მოინიშნა, აი, აქ, — და საჩვენებელი თითი მაგიდაზე დააკაკუნა.

ნუკი თითქოს გამოაფხიზლა ამ სიტყვებმა. უნებლიეთ შეკრთა, ღაწვები აუფორაჯდა, თითქოს ყველაზე დიდი გულისნადები ყველაზე უადგილო ადგილას გააშიშვლა. ზურას შეუმჩნეველი არ დარჩენია მისი აფორიაქება და სიტუაციის განმუხტვა სცადა.

— მართლა და, რომელი საათია?

— არ ვიცი, — უხერხულად აიწურა გოგონამ მხრები.

— უნდა გავიდე, ჩემები რომ არ ვინახულო, დედაჩემი ხმას არ გამცემს. შენ გაერთე, მე გვიან დავბრუნდები, არ დამელოდო. შეგიძლია, უჩემოდ ივახშმო, კარგი?

— მაინც დაგელოდები...

— არა-მეთქი. შეიძლება, დავრჩე კიდეც მათთან. ყოველ შემთხვევაში, გაგაგებინებ, დაგირეკავ.

ნუკიმ უმწეოდ ახედა მის წინ მდგარ მამაკაცს და მორჩილად დაუქნია თავი.

ზურას წასვლის შემდეგ ნუკიმ სახლი მიალაგა, მტვერსასრუტით დაუარა ყველა ოთახს, მერე იატაკი სველი ჩვრით მოწმინდა და კვლავ კომპიუტერს მიუჯდა. ჯერ რამდენიმე თავისი ჯგუფელის სახელი და გვარი მისცა ძებნაზე, 3 მაშინვე იპოვა, მათ შორის — ნელიკოც. ისე გაუხარდა, თითქოს გათამაშებაში დიდძალი თანხა მოეგოს. ნელი იმწუთას არ იყო საიტზე, მაგრამ წერილი მაინც აფრინა: „თბილისში ვარ, აქ რომ შემოხვალ, შემომეხმიანე ან დამირეკე. ეს ჩემი ნომერია. გკოცნი“ და ტელეფონის ნომერიც მიუწერა. მერე ნელის ფოტოების დათვალიერებას და შეფასებას შეუდგა. მოულოდნელად ეკრანის ფანჯარაზე ვარსკვლავები აციმციმდა. ვიღაცამ შეტყობინება გამოუგზავნა. სასწრაფოდ გადავიდა წერილებში. ოჰოო! რა სიმპათიური ვიღაცაა?! შავსათვალიანი ახალგაზრდა მამაკაცი ღიმილით უმზერდა მთავარი ფოტოდან. ნუკიმ ჯერ მის სახელს შეხედა, მერე — ასაკს. „ჯეკბელურა“ — ასე ჟღერდა 26 წლის უცნობის „ვინაობა“. სხვა (უსათვალო) ფოტოებში საოცრად ლამაზი ლურჯი თვალები ჰქონდა უცნობს, ბევრად სიმპათიური იყო, ვიდრე ის, ვისი მეტსახელიც ჰქონდა მითვისებული.



„რა ლამაზი ხარ“, სწერდა „ჯეკბელურა“ და თავის მოწერილს შემართული ცერა თითის სმაილებით აგვირგვინებდა.

ნუკი შეყოყმანდა, ღირდა თუ არა პასუხის გაცემა. პირველ რიგში, მისმა ასაკმა დააფიქრა, მერე კი იმან, რომ მეტსახელით იყო უცნობი დარეგისტრირებული. მაინც ვერ მოითმინა და მორცხვობის გამომხატველი ყვითელი „კაცუნა“ გაუგზავნა.

„განსაკუთრებით ფეხები“, — არ ცხრებოდა ქართველი „მეკობრე“.

ნუკის გაეღიმა. ეს ფოტო განსაკუთრებული (დაჟინებული) მოთხოვნით გადაუღო წელან ზურამ, სკამზე დასვა, ფეხი ფეხზე გადაადებინა და წითელი სარაფანი მუხლს ზემოთ ოდნავ ააწევინა, ფეხები კარგად გამოაჩინეო. აი, შედეგიც. ვიღაცას თვალში მოხვდა მისი ფეხების სილამაზე. ამჯერად ღიმილის სმაილიკი აფრინა, თან თავადაც არ შორდებოდა ღიმილი სახიდან.

„ლაპარაკი არ იცი? ხმა გამეცი,“ — არ მოეშვა უცნობი.

„წერა მეზარება“, — როგორც იქნა, აღირსა პასუხი.

„გამეცნობი? ძალიან მომეწონე“, — „ჯეკბელურამ“ ახლა ყვავილები მოაყარა თავის გაცვეთილ ფრაზებს.

„მგონი, არ ღირს“, — გაიპრანჭა ნუკი.

„შენ რა იცი, ღირს თუ არა? ჯერ ხომ არ მიცნობ?“

„ჰოდა, რომ არ გიცნობ, იმიტომაც არ ღირს. სახელს რატომ მალავ?“

„ეგ რა პრობლემაა? დათო მქვია, თბილისელი ვარ. შენ სად ცხოვრობ?“

„მეც თბილისში“.

„სად ცხოვრობ-მეთქი, რომელ უბანში?“

„ვაკეში, ყიფშიძეზე“.

„შენ არ მოგწონვარ?“ — უტიფრობა გამოიჩინა დათომ.

ნუკიმ კოპები შეკრა. ერთი ამას დამიხედეთ, რამხელა წარმოდგენა აქვს თავის თავზე!

„ისე რა... გოგოსავით ლამაზი ხარ!“ — მისწერა და სიცილის სმაილები დაურთო. ესეც ასე, იქნებ მიხვდეს, რომ ყველასთან არ გაუვა თავისი უტიფრობა.

„კარგი, წავედი, ლამაზო გოგო. სხვა დროს ვილაპარაკოთ, ახლა მეჩქარება“, — მისდა მოულოდნელად, უეცრად დაემშვიდობა უცნობი და ნუკი გამშრალი (პირში ჩალაგამოვლებული) დატოვა.

ეს რას ნიშნავდა? გაოგნებული გოგონა კარგა ხანს თვალგაშტერებული მისჩერებოდა მონიტორს. რა ეწყინა? მერე რა, რომ მისი სილამაზე გოგოსას შეადარა? რა გაუტყდა? ტყუილი ხომ არ უთქვამს? ძალიანაც კარგი, თუ ეწყინა. მიხვდეს, რომ ყველა ქალი ერთნაირი არ არის და ყველას ადვილად ვერ შეაბამს. თავის დასამშვიდებლად ეს კი გაიფიქრა ნუკიმ, მაგრამ მიხვდა, რომ ახალი ნაცნობის საქციელმა ხასიათი გაუფუჭა.

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

# გზავნილები

## საკუთარ შეცდომაზე ნასწავლი ჭკუა

*მარი ჯაფარიძე*

**კიდევ ერთი ხუთშაბათი მოვიდა და ისევ მოგესალმებით. უკვე დიდი ხანი გავიდა (თითქმის 8 წელი), რაც „გზავნილები“ არსებობს... როგორი ამბავი არ მომისმენია და წამიკითხავს და თითქოს აღარაფერმა უნდა გამაოცოს... მაგრამ ერთმა ამბავმა, რომელიც ამ კვირას დამიმესიჯა მკითხველმა, ლამის გულის წასვლამდე მაცინა. ამ ამბავს გაგაცნობთ და შესაძლოა, თქვათ, რა გაცინებს სხვის უბედურებასა ზედაო, მაგრამ ის სიტუაცია რომ წარმოვიდგინე, რომელიც მესიჯშია აღწერილი, ნამდვილი ისტერიკა დამემართა... მაშ ასე, აქვე დატკბით და შემდეგ დანარჩენ გზავნილებს გაეცანით: „ფიზიკურად ვარ ძლიერი. ერთი გოგო მიყვარს, მას არ ვუყვარვარ, იგონებს, ვითომ ვაწუხებ და გასალახავად მამა მომიგზავნა. რა თქმა უნდა, გავლახე. არ მინდოდა, მაგრამ თავი არ დამანება. გამოჯანმრთელდა და კიდევ მომიგზავნა. კიდევ გავლახე. ოთხჯერ უკვე გავლახე და ასე უხერხულად ვარ. ნინ, მამაშენს უთხარი, ნუ მოდის ჩემს გასალახავად, ხომ ხედავ, რომ ვერევი. დამეხმარეთ, მაგრად მიყვარს ჩემი ნინო და მამამისს რაღა უნდა? რაგბ100“.**

## ძველი ამბავი

„სიხარულის განცდით გამოწვეული აღტკინება აგვიანებდა. მთელი დღე მოჟამული და გუნებამოშხამული დაიარებოდა თანამებრძოლებს შორის. თითქმის წელიწადია, მშობლიური ქალაქის ქუჩების სურნელი და ხმაური არ შეუგრძნია. თითქმის წელიწადია, ტყეს აფარებდა თავს და რუს ოფიცრებთან ერთად გადამწყვეტი იერიშისთვის გულმოდგინედ ემზადებოდა. თავს არ ზოგავდა და თანამებრძოლებისგანაც იმავეს მოითხოვდა. მშობლიური გარემოს, საკუთარი სახლისა და ლამაზი, ტირიფებიანი ქუჩის მონატრება ღამე არ აძინებდა და დღისით არ ასვენებდა. ქალაქის საბჭოში ერთ-ერთი პირველი შეიჭრა, თუმცა გამარჯვების დროშა სხვებმა აიტანეს. თვითონ ტყვედაყვანილ ქალაქის ხელმძღვანელებს გამოუძღვა გარეთ. დაპატიმრებულები საკუთარი ღირსების სრული შეგრძნებით გაჰყვნენ. თამამად, გამართულად მოაბიჯებდნენ, საკუთარ თავსა და სიმართლეში ბოლომდე დარწმუნებულები. ამ დარბაისელმა მამაკაცებმა მისი პატივისცემა უმალ მოიპოვეს, თავიანთი ვაჟკაცობითა და გულადობით. ის ბუმბერაზი ადამიანები უიარაღოდ, დანდობილად და ღირსების გრძნობით მოჰყვებოდნენ. ხელშეუხებელი და შეუბღალავი იყო ეს სიმამაცე. მათაც კარგად უწყოდნენ გამარჯვებული ხალხის რწმენა და ტრადიციები... ქუჩაში გამოსულებს ავი სიჩუმე შეეგებათ... მდუმარება გასროლამ დაარღვია, ერთს მეორე მოჰყვა... არც ერთი ამოოხვრა, არანაირი გმინვა და გოდება... ღირსეული და დარბაისლური იყო ის ბოლო წამებიც.

ეგონა უხაროდა, რომ ახალშექმნილი რესპუბლიკის ჩამოყალიბებაში მონაწილეობდა... ეგონა, უხაროდა, ვერ კი გრძნობდა... მებრძოლებს პირდაპირ ქუჩაში ცეკვა-თამაში გაეჩაღებინათ... არც ერთი არ იყო მისი კუთხის და არც ცეკვა იყო მათებური... მაგრამ თვალის ერთი შევლებაც საკმარისი იყო, რომ მიმხვდარიყო, ცეკვავდნენ, რადგან ასე იყო საჭირო და არა — გულის წადილით... ქალაქს უცხო ტომის არსებები დაჰპატრონებოდნენ და უმოწყალოდ ჯიჯგნიდნენ. სახლში უნდოდა წასვლა, მაგრამ ფეხებს ვერ იმორჩილებდა. ერთიანად აიტანა ზიზღისა და სიძულვილის შეგრძნებამ. თავს არ უტყდებოდა, მაგრამ სახლში წასვლის რცხვენოდა. მშობლიური ქუჩისკენ თავჩაქინდრული მიაბიჯებდა და თავს იმშვიდებდა: „ვინღა იქნება, ყველანი გაიქცეოდნენ... ან გემით, ან თვითმფრინავით... მეც ხომ გავიქეცი, მეც ხომ ტყეს შევაფარე თავი და არ დავხვედრივარ მაგათ... არც მაგენი აკლებდნენ ხელს... მებრძოლები კი არა, საშოვარზე გამოსული ბრბო იყო... კიდევ კარგი, ჩვენგან მხოლოდ ოქროულობა წაიღეს და დედაჩემი ცოცხალი გადამირჩა“. მხოლოდ მედალიონს, მამის სახსოვარს დარდობდა... ერთი ჭარმაგი ოფიცერი გაახსენდა, რომელმაც აქვე, მათი სახლის წინ დაღუპული მებრძოლის ცხედარს დაპატრონებულ მაროდიორს ტყვია დაახალა და სახეზე რომ დახედა, დაჭრილი მხეცივით აბღავლდა... ბევრი აღარ უფიქრია და ნაგანის ლულა პირში ჩაიდო... მაშინ ის მამა-შვილი სასწრაფოდ დაასაფლავეს მეზობლებმა...

სახლის ჭიშკარი როგორც კი შეაღო, შვებით ამოისუნთქა. ახლა ის მარტოა და არავინ შეაწუხებს... დედას ჩამოიყვანს და დებს მიხედავს... ზურგჩანთიდან ფულის მსხვილი დასტა ამოიღო, მაგიდაზე დაუდევრად დააგდო და აივანზე გავიდა... აივანი საერთო ჰქონდათ, თამილასთან და თემურთან. სინანულით გახედა თემურ თორიას სახლის ფანჯრებს და მოულოდნელად, რაღაც ლანდს შეასწრო თვალი... „ალბათ, თორიებს ძარცვავენ“, — იარაღი გადატენა და მეზობლის აივნის კარი ფეხით შეამტვრია. სიბნელეს თვალი მალე შეაჩვია და მის მახვილ სმენას ჩუმი ქვითინის ხმაც მისწვდა. მიმოიხედა. ყველაფერი ისე იყო, როგორც დატოვა... სულ ნაცნობი ნივთები ეცა თვალში. ნაცნობი ნივთი ძალიან ბევრი იყო — გასაკვირად ბევრი, მაგრამ არ გაჰკვირვებია. ის ხომ თავის სახლში იყო. იგრძნო, რომ ოთახში ვიღაც იყო, ვიღაც ძალზე ახლობელი. გუმანმა არც ახლა მოატყუა. მეზობელი ოთახიდან თემური გამოიძურწა და კედელთან აიტუზა: „ეტო ნე ტო, ჩტო

ტი დუმაეშ“ — ამოილუღლუღა ნირწამხდარმა. მივარდა, გადაეხვია და თვალებს დიდხანს მალავდა თემურის ათრთოლებულ მხრებში. თემური კი ციებიანივით კანკალებდა. ფრთხილად მოიცილა მისი ხელები. განჯინიდან სირჩები გამოიღო, თავის ვერცხლის სურას მოჰკრა თვალი და თემურს გახედა: — „სპასიბო, ბრატ, ტი სოხრანილ პოსუდუ ნაშუ ი ნე ტოლკო, ტი დომ ნაშ სოხრანილ“... როგორც უწინ, როგორც იმ ბედნიერ დროს, განჯინის უკან ხელი გადაყო და მოზრდილი შტოფი გამოაძვრინა. ეს მათი საიდუმლო იყო, ქალებს უმალავდნენ. — „გდე ტამილა“? — ღიმილით მოიკითხა. თემურმა პასუხის ნაცვლად არაყი ჩამოასხა და უხმოდ გადაკრა. ისევ დაისხა და შეხედა... ერთდროულად, უსიტყვოდ შესვეს. თემურმა თეფშით ცივი ღომი და მოხარშული დედალი დადო მაგიდაზე. ჩუმად შეექცეოდნენ. — „მამუ ვიდელ? ა სიოსტრი?“ — უარის ნიშნად თავი გააქნია და ისევ შესვეს. ერთიანად დაიძაბა. ეტყობა, შევთვერიო. თავისდა უნებურად, ყველაფერს აკვირდებოდა. აი, ეს ბროლის ლარნაკები ჩეხოსლოვაკიიდან ჩამოიტანეს მათმა დედებმა. ახლა ოთხივე აქ იყო. როიალიც გადმოეტანათ. „ნეტავ, პიანინო სად წაიღეს?“ — უნდოდა ეკითხა, მაგრამ გადაიფიქრა. თამილა შემოვიდა და გადაკოცნა. ცრემლსა და მწუხარებას მალავდა. ჯიუტად, გაკერპებული უსწორებდა თვალს მომავალს. თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს და არც არაფერი ჰქონოდეს დასაკარგავი. მეზობლები მოიგონეს, მაგრამ მათ შორის გაჩენილი ხრამი ვერ გადალახეს. ერთ სუფრასთან მსხდომ ადამიანებს უზარმაზარი უფსკრული ყოფდა. ცდილობდა, წარმოქმნილი სიცარიელე ამოევსო და წკვარამი გაეფანტა. ჯიბიდან ოქროს ძეწკვი და ჯვარი ამოიღო და თამილას გაუწოდა. ქალმა თმა უკან გადაიყარა, ძეწკვი კისერზე გაიკეთა და... ამ დროს თამილას კისერზე მედალიონმა გაიელვა... გაიელვა და უმალ გაქრა... მერე ყველაფერი აირია... შიშისაგან ლამის ბუდიდან გადმოცვენილი თვალები... ქალის კივილი და ღია ფანჯარა... ერთ ხელში შერჩენილი თმა და მეორეში ჩაბღუჯული მედალიონი... ქალი კოჭლობით გარბოდა და ვილაცასთან შეაფარა თავი... კაცი წინ გაიგდო და ქუჩაში გაიყვანა... „უხ, ტვოიუ მატ...“ — არ დაასრულა. დედა არ შეაგინა. მტირალ ტირიფს გასცდნენ მტირალი კაცები... არც გმინვა და არც ამოოხვრა... მოეჩვენა, რომ ლამაზად მოკვდა თემური. ცოტათი გულზე მოეშვა. საფლავი გაუთხარა. არავინ დაიხმარა... გულში იმეორებდა ამოჩემებულს „ზაკოპატ პროშლოე, ზაკრიტ პროშლოე, ოტკრიტ ბუდუშჩეე“.

რატომ მოვიგონე ეს ამბავი? იმიტომ, რომ იქ, იმ კუთხეში გასროლილი ტყვია და ჭურვი მავანთათვის ჭკუის სასწავლებელი უნდა ყოფილიყო. იყო დრო, როცა გვებადა მხოლოდ უფლებაწართმეული თავი, იყო პერიოდი უთავო უფლებიანობისა... ოჰ, როგორ მენატრება თავისუფლება... მავანთ კი გამოიყენეს თავის უფლება, არ დაკარგეს მშვიდობა და ხალასი. ულიბკა“.

## დომდე სთას ციიიცი?

„ლაშა ზაუტაშვილისა და ციცი ნიკოლეიშვილის სიყვარულის ამბავი მოულოდნელად დაიწყო და ასეთივე უცნაური ტემპით განვითარდა...

— საზოგადოებაში კევის ღლაჭუნი რომ უზრდელობაა, შენთვის ეს არავის უსწავლებია? — „მარშრუტკის“ უკანა სავარძელზე მჯდომი ბიჭის პირის მოძრაობით გამოწვეული ხმაურით შეწუხებულმა გოგონამ, თავისი სათქმელი გადაჭედილ ტრანსპორტში, ხმამაღლა დააფიქსირა...

— შენნაირი მახინჯი სიფათით რომ ჩნდები ზემოხსენებულ საზოგადოებაში, როგორ ფიქრობ, ეგ არ არის მათი შეურაცხყოფა? — დაუფიქრებლად წარმოთქვა დამცირებულმა ყმაწვილმა და დააკვირდა რა გაღიზიანებული გოგონას თვალ-წარბს, მის დამატყვევებლად ლამაზ პირისახეს, იმწამს მიხვდა თავისი ნათქვამის უსუსურობასა და ალოგიკურობას... შემდეგ იყო სხვადასხვა სოციალურ ქსელზე დაწყებული ურთიერთობა, ტელეფონის ნომრების გაცვლა, ბოდიშების მოხდა და... სიყვარულიც მოვიდა...

ლაშა, ჩემი საუკეთესო, რომ იტყვიან, „ტრუსიკის“ მეგობარია... მასთან ერთად გამოვიარე ცხოვრების უმძიმესი წუთები. ის გვერდში მედგა გაჭირვების, ტკივილის, სიხარულისა და ბედნიერების დროს... ყველაზე კარგი თვისება, რაც ჩემს ძმობილს ჰქონდა და რის გამოც ყველა, დიდი თუ პატარა, კაცი თუ ქალი, ნათესავი თუ მეზობელი პატივს სცემდა და აფასებდა, დედამიწაზე მყარად დგომა იყო... ციცის გამოჩენის შემდეგ კი... მისი სამყარო ოქროსფერ ბურუსში ჩაიძირა... წაერთვა უნარი, ერთმანეთისგან გაერჩია კეთილი და ბოროტი, ავი და კარგი, შავი და თეთრი... მიყვარსო, ამ ერთი სიტყვის წარმოთქმით ცდილობდა მისი გადასხვაფერებით აღშფოთებული მეგობრების საყვედურების მოგერიებას... ციცი და ლაშა საკუთარ თავს ერთ არსებად მიიჩნევდნენ, მათთვის არ არსებობდა სიტყვები: „ჩემი“ და „შენი“... იყო მხოლოდ „ჩვენი“... ახლა, თითოეული მათგანის მთავარი მიზანი ამ „ჩვენის“ გადარჩენა იყო... ერთი შეხედვით შესაშური ურთიერთობის მიღმა, ათასი სახის ინტრიგა ჩაიხლართა... ყველამ კარგად იცოდა, რომ ლაშას სიცოცხლე, თვალისჩინი და სამყაროს მანათობელი, შეყვარებული ანგელოზის ნიღაბს ამოფარებული ეშმაკი იყო...

— ჩვენ ვცდილობთ, სამყაროს სიდიადე მივიტანოთ ადამიანების შეგრძნებამდე, რათა ხელის გამოდება თუ არა, გაფაფხურება მაინც შეძლონო, აღნიშნავდა ხოლმე თვალებაციმციმებული და დანანებით ამატებდა: ჩემს გრძნობაზე ხელებს არავის შევაწმენდინებო...

გასულ თვეს დიდი ხნის უნახავ მეგობართან წასვლა გადავწყვიტე და რა თქმა უნდა, გადაწყვეტილების ასრულებაში ხელი არავის შეუშლია... როცა „მარშრუტკა“ დანიშნულების ადგილს მიუახლოვდა და ომახიანი „გააჩერეს“ შემდეგ, სუფთა ჰაერი ღრმად ჩავისუნთქე, სოფლის მთავარ ტრაფარეტზე აკრულმა წარწერამ — „დომდე სთას ციიიცი?“ (ინგლისური შრიფტით), მუცლის ტკივილის გამომწვევი სიცილი მიმგვარა... მოკითხვა-ჩახუტება-მუცლის ამოხეთქვის შემდეგ, სრულიად ლოგიკური კითხვა გამიჩნდა და პასუხის მოსმენისას, პირი 3X4 15 წუთის განმავლობაში მქონდა ღია... კითხვამ, რატომ ეწერა აბრაზე „სად არის ციცი?“, ლაპარაკის სალერღელი აუშალა დიტოს და აი, რა მიამბო: ციცი, ჩვენი მეზობელია... 2 თვეა, სახლიდან წავიდა და მას მერე არავინ არაფერი ვიცით — ცოცხალია თუ მკვდარი... საქართველოშია თუ... მამა აფხაზეთის ომში დაეღუპა, ძმამ და ბებომ გაზარდეს... ახლა ხომ ხვდები, რას გრძნობენ მისი ოჯახის წევრები და რას ვგრძნობთ ჩვენ... გვარის — ნიკოლეიშვილის მოსმენისას ხომ საერთოდ გავოგნდი და ვთხოვე, უფრო მეტი მოეყოლა დაკარგულზე... რაღა დაგიმალო, ძმაო და ცოტა გზასაცდენილი გოგო იყო... „ზასაობა“ ევასებოდა და ვერც მის ქალიშვილობაზე დავდებ თავსო... ცხადია, შემეძლო ყველაფერი მეთქვა დიტოსთვის, მისი ძმისთვის და სასოწარკვეთილი ბებოსთვის... ამით ჩემს ძმაკაცსაც გადავარჩენდი და ერთი საათით მაინც ვიქნებოდი გმირი... გმირობას ისევ დეტექტივობა ვამჯობინე და ცოტა ხნით, კახელი შერლოკ ჰოლმსის იმიჯიც მშვენივრად მოვირგე... ჩემს ხელთ არსებული ყველა ინფორმაცია ჩვენს საერთო მეგობარს, ლეოს გავანდვე და სამოქმედო გეგმის — „გადაარჩინე

ლაშა“ — სისრულეში მოყვანა დავიწყეთ...

ვხედავდი, როგორ უბრწყინავდა თვალები ლაშას, როგორ მონდომებით ცდილობდა „სიყვარულის კოშკის“ აშენებას... ერთი გაფიქრება კი ვიფიქრე, რა ცუდი ადამიანი ვარ, ამ ყველაფერს ხომ მე უნდა დავუსვა წერტილი-მეთქი, მაგრამ როგორც კი მახსენდებოდა, როგორ მოექცა ნილაბაფარებული ასპიტი თავისი ოჯახის წევრებს... დრო აღარ ითმენდა... ლევანმა (გეგმა იყო ასეთი) ციცის გულის მოგება გადაწყვიტა... ოცნების სასახლეები აუგო და ყოველდღიური ფინანსური დახმარების გაწევიდან დაწყებული, თაჯმაჰალის მონახულებით დამთავრებული, ყველა ოცნების ასრულებას დაჰპირდა. თაგვი ხაფანგში გაება...

ერთ კვირაში უკვე ლეოს ეფიცებოდა სიყვარულს... მასთან ერთად უნდოდა გაქცევა და კითხვაზე, მერე — ლაშა? — ვითომ სინანულით პასუხობდა: მოვიფიქრებ რამეს...

— გიო, ლაშა ვარ ძმაო, კაცურად, ამ საღამოს შემოიარე, რააა, გადაუდებელი საქმე მაქვს, — აღელვებულმა ამოილუღლუღა ყურმილის მეორე ბოლოდან შეშინებულმა ხმამ და ტელეფონი გათიშა... რასაკვირველია, საღამოს არ დავლოდებივარ და წუთის მეასედ ნაწილში გავჩნდი, ჩემს ბედკრულ ძმასთან და მისი ჩაწითლებული თვალების დანახვისას ყველაფერს ნათელი მოეფინა..

მოგატყუებთ, რომ გითხრათ, მეწყინა-მეთქი...

— ჩანთა ის აქსესუარია, რომლის გარეშეც ქალებს სიცოცხლე ვერ წარმოგვიდგენია, ის ხშირად მფლობელის სტატუსს უსვამს ხაზს. ამიტომ, მისი შერჩევისას, დიდი ყურადღება უნდა დაუთმო ხარისხსა და ზომასო, მითხრა ამ დილით. მე ხომ მის გამო წავედი, ყველაზე კარგი ჩანთა ვუყიდე, მან კი... მთელი გულით არჩეულ საჩუქარში ჩააწყო თავისი ბარგი და ისე წავიდა, არაფერი აუხსნია... ძალიან ცუდად ვარ ძმაო, თქვა, მომეხვია და დასჯის მოლოდინში მყოფი ბავშვივით გადმოსცვივდა ცრემლები...

საკუთარი თავი მეზიზღებოდა იმ წუთას...

როცა ლეო და ციცი ოცნების ასასრულებლად მიდიოდნენ, გოგონა შიშმა შეიპყრო... „მარშრუტკას“ „ოცნების ქვეყნის“ ნაცვლად, „კურდღელაური“ ეწერა... ციცი ახლა ძმასთან და ბებოსთან შესახვედრად მიდიოდა... ამ ამბიდან 3 დღისთავზე, ლაშა გონს მოეგო და „გადარჩენის“ აღსანიშნავ წვეულებაზე მისი ერთგული მეგობრები მიგვიპატიჟა.... ის იყო, ქეიფი ძალას იკრებდა, რომ კარზე, ბრახუნის ხმა გაისმა... ღია კარში, ციცის, სავარაუდოდ, მისი ძმისა და დამცველების განიერი სილუეტები გამოიკვეთა...

— ამან მომიტაცა და... მისგან... ის იყო... ამან დამაფეხმძიმა, — უცოდველი სიფათით აღნიშნა „შეურაცხყოფილმა“ გოგონამ და თითი ლაშასკენ გაიშვირა...

საკუთარ უცოდველობაში დარწმუნებულმა ლაშამ ყოფილი შეყვარებულის დამცველთა მრავალრიცხოვან არმიას მიმართა: შეუძლებელია, ციცი ჩემგან იყოს ფეხმძიმედ! პირველი, ჩვენ შორის არაფერი ყოფილა; მეორე — რომც მქონოდა, თავს აუცილებლად დავიცავდი და მესამე — მასზე სერიოზულად ვფიქრობდი და ქორწილამდე თითს არ დავაკარებდიო. ყველა დუმდა... ციციმ ღრმად ჩაისუნთქა და თავდახრილმა ამოილუღლუღა:

— მაშინ, ლეოა ჩემი შვილის მამა...

ახლა უკვე მისკენ შეტრიალდა კბილებალესილი ხროვა და მის პასუხს დაელოდა...

— თქვენს ლამაზმანთან რამე რომც მქონოდა, ვერ დავაფეხმძიმებდი, „სტერილური“ ვარ და ბავშვს ვერასდროს „გავაკეთებ“, — უსწრაფესად აღმოხდა განცვიფრებულს...

ჩემი ჯერიც მოვიდა...

ის იყო, ციციმ ხელი ჩემკენ გამობზიკა, რომ ძმის მიერ გადენილმა „ტყლაშანმა“, გათათხა იატაკზე... მოიგდო ზურგზე თავისი შემარცხვენელი და უჩუმრად წავიდნენ.

დღეს, ბევრს ვკაიფობთ ამ ამბავზე... ლაშა და ლეო, საკუთარ თავსაც არ უტყდებიან, რომ სრულიად შესაძლებელია, ბავშვი რომელიმე მათგანის იყოს... ჩემი ძმადნაფიცისთვის, ცხოვრება ტერორის რეჟიმით მიედინება, დამოკლეს მახვილის ქვეშ... P.S. მართალი ყოფილა რომ ამბობენ, ღმერთსაც აქვს თავისი ჯოჯოხეთი და ეს სიყვარულია ადამიანებისადმიო... მე მიყვარს ასეთი ჯოჯოხეთი... P.P.S. გილოცავთ ვალენტინობას, თქვენზე მარად შეყვარებული-რუისპირი (YELLOW).

## სხვისი საქმე

„ძალიან ლამაზი მამიდაშვილი მყავს და გოგონებიც თავზე საყრელად ჰყავდა. მთელი დღე არ ჩერდებოდა ზურას ტელეფონი. თვითონ სერიოზულად არავის უყურებდა. მაშინ 14 წლის ვიყავი. ერთი-ორს მართლა ძალიან უყვარდა, ჰოდა, ამ საწყალ გოგონებს სისხლს ვუშრობდი. დავურეკავდი და ვეუბნებოდი, ზურას საცოლე ვარ, შეეშვით-მეთქი. მერე ატირებულები წერდნენ. მართლა ბევრი გავამწარე, ვამბობდი, უტვინო გოგონებს ვერ ვიტან, ბიჭს არ უნდა და რას ეტენებიან-მეთქი? როცა მეც მეწვია სიყვარული და დავრწმუნდი მის არსებობაში, სწორედ მაშინ გამომეცალა ხელიდან ეს დიდი ბედნიერება. საკუთარ შეცდომებზე ვისწავლე ჭკუა, რომ სხვას ცხოვრება არ უნდა დაუნგრიო და არ ითამაშო სხვის გრძნობაზე. მაშინ ამდენი არ მესმოდა და ვერ ვაანალიზებდი შეცდომებს, ახლა კი ძალიან ვნანობ, მაგრამ გვიანია. თუ დამიბეჭდავ, ყველაზე კარგო მარ, გამახარებ. ქვრივი“.

## თარსი

„— გეუბნები, თარსია 13, თარსი, — ვუთხარი თსუ-ის პირველი კორპუსის კიბის მოაჯირზე დაყრდნობილ დიტოს და უდარდელად გავიცინე. მაშინ მართლა არ მესმოდა, რა მოსწონდა ჩემზე 13 წლით უფროს ბიჭს, 18 წლის გოგონაში და საკმაოდ არასერიოზულად ვუყურებდი მის ჩემდამი დამოკიდებულებას.

— თარსი და ეშმაკის ფეხი შენ ხარ, — გაბრაზება სცადა.

— ვარ, — დავუქნიე თავი და ისევ გავიცინე, — და იცი, რომ ლონდონში ბინა №13 არ არსებობს? — დიტომ ვითომ ვერ გაიგო, „დატუქსვა“ გააგრძელა:

— ჩამომაყენე ამხელა კაცი ლაწირაკი სტუდენტივით და მეკაიფები.

— რაო?! აქ მე დაგიბარე? — წარბები შევყარე უცებ, — წავედი, ლექცია მაქვს. კარგად! — უკვე მიმავალმა მივაძახე და უზარმაზარ კარში გავუჩინარდი. მსგავსი დიალოგი ჩვენ შორის ხშირად იმართებოდა და მის სასარგებლოდ არასდროს დასრულებულა. მე არაფერს ვგრძნობდი და მეგონა, რომ ერთმანეთისთვის მხოლოდ „ეგზოტიკას“ წარმოვადგენდით. არც მისი გრძნობებით თამაში მინდოდა, მაგრამ ასე გამოვიდა. მომდევნო წლებში „უნიში“ აღარ გამოჩენილა, მაგრამ არც ყურადღება მოუკლია. ყველა დღესასწაულს მილოცავდა და ნასვამი, გრძნობებზეც იწყებდა ლაპარაკს. სწორედ ეს იყო ჩემი შეცდომა. ვიცოდი, იმავე გრძნობით ვერასდროს ვუპასუხებდი, მაინც ვაძლევდი ნებას, რომ ვყვარებოდი და ალბათ, უნებლიეთ, იმედსაც. როდესაც ამას მივხვდი და ჩემი სახელისა და ნომრის დავიწყება ვთხოვე, გაგებით მოეკიდა და გაქრა ჩემი ცხოვრებიდან ახლა ისევ უცოლოდ დადის. მე კი ასე აღარავის მოვქცევივარ და კარგად მახსოვს, რომ მკვდარი ვერაფერს შეცვლი, ცოცხალი ცოდვებს მაინც მოინანიებ. პარიჟანკა“.

## მწყერები ჰყავთ...

„სინდისი არ მომცემს იმის უფლებას, რომ ერთი ძალიან მაგარი ამბავი არ მოგიყვეთ. მეზობლის კაცები, მათ შორის — ბიძაჩემიც, ჩემს ეზოში ნადირობენ ჩიტებზე. ამას წინათ, პროფესიონალმა მონადირეებმა გადაწყვიტეს, მწყრები მოეკლათ და შამფურზე შეეწვათ. დაანთეს ცეცხლი. ტოტებისგან შამფურები გამოთალეს... მაგრამ ერთი მწყერიც ვერ მოკლეს, მე კი სიცილისგან ადგილს ვერ ვპოულობდი. მერე, თაბახის ფურცელზე დიდი ასოებით დავწერე: თქვენი საქმე ისე არის, ზეცას წერო მიფრინავდა, ძირს შამფურსა თლიდნენ-მეთქი, — და ეზოში გავაკარი. ბიძია გამიჯავრდა, მაგრამ მეორე დღეს, ჩემი ირონიის შედეგად ჭკუანასწავლმა მონადირეებმა, ჯერ მწყერები დაიჭირეს და მერე ააგიზგიზეს ცეცხლი. ამას თავი დავანებოთ, უკეთესს გეტყვით: ბიძიამ ძმაკაცებს უთხრა, ხვალ ტყეში წავალ და 10 მწყერს ერთად მოგიყვანთ, თქვენ კი მაღარიჩი იკისრეთო. ნათქვამია, „როცა იტყუები, ისეთი ტყუილი უნდა თქვა, ფეხები ჰქონდეს, დადგომაც შეეძლოს და გაქცევაცო"... აქ ვერაფერს იჭერ და იქ რისი დამჭერი ხარო, დასცინეს ამხანაგმა მონადირეებმა. საღამოსკენ ბიძიას ნათესავმა ბიჭმა თავისი დაჭერილი მწყერები მოუყვანა, ვითომ შენ დაიჭირეო. ბიძიამ ძმაკაცებთან დაიწყო ტრაბახი და უნებლიეთ წამოსცდა, რომ მწყერები ნათესავის დაჭერილი იყო. ყველამ სიცილი დააყარა და მაღარიჩიც ბიძიამ იკისრა. განძის მაძიებლის მაძიებელი".

## კაკალი

მარ, ეს ჩემი მოგონილი ამბავი არაა, მაგრამ ავტორი ვინაა, არც ის ვიცი. დამიბეჭდე, გთხოვ. კაკალქვეშ იდგნენ, ზემოთ იცქირებოდნენ, სინანულით იქნევდნენ თავებს და უკვირდათ, ეს რანაირად გამხმარაო?! აბა, უყურე, კაცო ფოთოლი აღარ შერჩენია, ნაყოფი კი ისევ ისე ასხიაო! რა არი მაინც, რა არი, ეს დალოცვილიო! ბაწაწკმა მანქანის ძარიდან მოტორიანი ხერხი გადმოიღო და კაცებისკენ წამოვიდა, თან შორიდანვე იძახდა, ნწ, ნწ, ნწ, აფსუს, რა კაკალი გამხმარაო?!

მაშა, მაშაო! — უდასტურებდნენ ისინიც, თავებს აკანტურებდნენ, ისე უკვირდათ, თითქოს ჯერ არ ენახათ გამხმარი კაკალი, ამნაირად გამხმარნაყოფშერჩენილი, მაგრამ მაინც მოსაჭრელად გამეტებული.

თავებს აკანტურებდნენ და ცალი თვალი სახლის დერეფნისკენ ეჭირათ, სადაც გოგიას ცოლი ფუსფუსებდა, ჯამ-ჭურჭელს აჩხარუნებდა, სუფრას შლიდა და თან ლობიოს ბულულთან მიმჯდარ, მუშტისოდენა დედაბერს რაღაცას ეტუტუნებოდა.

ბაწაწკი მოვიდა, ხერხი ძირს დადგა (იქვე ეგდო ორი ცულიც, ორივე გრძელტარიანი, კარგად გალესილი), ახლა აქედან, ქვემოდან ახედა კაკალს, თითქოს ეფერებაო, დახეთქილ ქერქზე ჩამოუსვა ხელისგული და ირგვლივ შემოუარა.

გოგია ხმას არ იღებდა, კარგა ხნის გამოტირებული ჰქონდა ეს კაკალიც და იმისი ჩრდილიც, მაგრამ მეზობლების ვიშვიში მაინც თბილი ნაღვლით ავსებდა, გულს ეფონებოდა და როცა ცოლმა დაუძახა, მოდით, გოგი, მზად არიო, დერეფნისკენ თავჩაქინდრული, მოკუზული და რაღაცნაირად დადარდიანებული გაუძღვა კაცებს.

პირუჩუმრად შემოუსხდნენ მაგიდას, პირუჩუმრად გატეხეს პური და როცა გოგიამ არაყი დაასხა, მაშინღა ამოიდგეს ენა, ხელისგულებით მოიწმინდეს ტუჩები და, დილის მადლი შეგვეწიოსო, დაილოცეს. ჭანჭურის არაყი იყო.

— უჰ! — დაიძახა კვნიწმა.

— რა არის, კაცო, რა მაგარია! — პომიდვრის მწნილს დაეძგერა ბაწაწკიც.

მარტო დომბურს არ დაუძრავს კრინტი. იჯდა და ჩუმად აპარპალებდა თვალებს.

ცოტა ხანს უხმოდ ჭამდნენ და როცა მეორედაც გამოითუთქეს პირები, კვნიწმა, ეგ ისეა გადაყანტრული, მესერი არ დაიტანოსო...

— არა, არ დაიტანს! — თავი გააქნია ბაწაწკმა.

— რო დაიტანოს? — თავისას არ იშლიდა კვნიწი.

— შენ მე რას მასწავლი? — გაცხარდა ბაწაწკი, — რაც მე ხე მომიჭრია, შენ იმდენი თმა არ გექნება თავზე!

გოგია ეჭვით უყურებდა კაკალს, კაცების ლაპარაკს ყურს უგდებდა.

ეზოში ისევ ისე იდგა კაკალი — გამხმარი, ფოთოლგაძარცული, მწვანენაყოფშერჩენილი და ნიავს აყოლილი, ჩუმად ცახცახებდა. ჰო, ნიავს აყოლილი, თორემ მართლა ხომ არ ეცოდინებოდა, რომ უნდა მოეჭრათ, ტოტები დაესხიპათ, თანაბრად დაეხერხათ. განა ამეებისა რამე გაეგებათ ხეებს? არაფერი.

მოტორი ამუშავდა და იმისმა ტრახტრახმა მთელი სოფელი შეძრა. კაცები განზე გადგნენ, გულზე ხელებდაკრეფილი მიაჩერდნენ ბაწაწკს, რომელმაც კაკლის ზროს დაბლა, თითქმის მიწის პირზე მიადო ხერხის პირი და მუხლით მიაწვა. ჯაჭვი დაიჭიმა, დაიძაგრა, წუილი დაიწყო. მიწაზე ფქვილივით დაეფინა ნახერხი...

გოგიას ცოლი ნასუფრალს ალაგებდა და თან ცალი თვალი აქეთ ეჭირა...

რატომ შვიდჯერ მაინც არ შეიქაქანა ბაწაწკმა, რატომ შვიდჯერ მაინც არ მოიწურა შუბლიდან ოფლი და როცა არავინ ელოდებოდა, სწორედ მაშინ დაიჭრიალა კაკალმა, თითქოს თოფი ესროლესო, რაღაცამ დაიჭექა, მერე ერთი — ჰპუუო! და გრიალით გადაწვა ეზოში...

ხერხი გაჩერდა და ირგვლივ სიჩუმე ჩამოწვა.

ეზოში სიგრძეზე გაშოტილიყო ტოტებდალეწილი კაკალი, კენწეროთი სახლის დერეფანს უწევდა, დაცარიელებულიყო იმისი კუთვნილი სივრცე და ახლა, თითქოს ფარდა ჩამოხსნესო, ხევგაღმა გაწოლილი ხრიოკი სერი და ძველი, ვინ იცის, როდინდელი ციხის ნაშალი მოჩანდა.

— აკი მესერს დაიტანსო?! — იძახდა მამალი ინდაურივით გაფხორილი ბაწაწი და ახლა კაკლის შუატანისკენ მიათრევდა ხერხს.

— რა ვიცი, კაცო, რაღაც ფინთათ კი იყო გადალმერთილი და... — კეფას იქექავდა კვნიწი.

გოგიასაც დავიწყებოდა წელანდელი ნაღველი და წაქცეულ ხეს კმაყოფილი ღიმილით დასჩერებოდა. კაკალა მარო".

■

**ყურადღება!** **თუ გსურთ, თქვენი მესიჯი „გზავნილებში" დაიბეჭდოს, ტექსტი ვრცელი მესიჯით არ გამოგზავნოთ. ერთი მესიჯი (და არა — ამბავი) მხოლოდ 160 სიმბოლოს უნდა შეიცავდეს. ამიტომ, თუ ამბის მოყოლას ერთ მესიჯზე მეტი სჭირდება, გთხოვთ დაანაწევროთ და ცალ-ცალკე გამოგზავნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი მონათხრობი არ გამოქვეყნდება.**

*მომდევნო ნომრის თემა იქნება — „ყველაზე ტკბილი და ყველაზე მწარე მოგონება" ამბები შეგიძლიათ გამოგზავნოთ მესიჯებით ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწეროთ ელფოსტაზე:*

*marorita77@yahoo.com*

# „ბიჭები ძმაკაცის დის შეყვარებას „გრეხად“ მიიჩნევენ“

## „ისიც ძმად უნდა მიგეღო...“

**„გზის“ №5-ში დაიბეჭდა 15 წლის პაწუს მესიჯი. შეგახსენებთ, იგი გვწერდა, რომ მისი სიყვარულის ამბავი ბრაზილიურ სერიალს ჰგავს: „მეც მიყვარს და მასაც ვუყვარვარ, მაგრამ ერთად ვერასდროს ვიქნებით. ბექა 17 წლისაა. ალბათ, ახლა გაგეცინებათ და იტყვით, — ჯერ პატარები ყოფილხართო, მაგრამ მერწმუნეთ, სიყვარულმა ასაკი არ იცის!.. ჰო, ბექა ჩემი 21 წლის ძმის ძმაკაცი იყო (მას შემდეგ, რაც ის შემიყვარდა, მათ ძმაკაცობაზე წარსულში ვლაპარაკობ). დარწმუნებული ვარ, ძალიან მალე ასეთი არჩევანის წინაშე დავდგები: ან ძმა, ან სიყვარული და ამის მეშინია; არ ვიცი, ეს ყველაფერი თავიდან როგორ ავიცილო...“**

*ლიკა ქაჯაია*

**რუისპირი** (YELLOW):

„არ მესმის, ყველაფერს ასე ტრაგიკულად რატომ აღიქვამ? ხალხი ამბობს, — XXI საუკუნეაო და ხომ ხედავ, რაებს აკეთებენ, შენ კი რას განიცდი? ის მხოლოდ შენი ძმის ძმაკაცია და თუ მართლა ისე გიყვართ ერთმანეთი, როგორც ამბობ, საგანგაშო არაფერია. ვიცი, შენი ძმისთვის ძმაკაცისა და დაიკოს Love story ძნელად მისაღები და გასაგები იქნება, მაგრამ თუ ეს შენი ბედნიერებისთვისაა საჭირო, ადრე თუ გვიან, აუცილებლად გაპატიებს. P.S. ისე, ჯერ მართლაც, ძალიან პაწაწუნა ხარ“.

**ლუნა:**

„თუ შენი ძმა შეგნებული ადამიანია და იცის, რა არის სიყვარული, წესით, არჩევანის წინაშე არ უნდა დაგაყენოს, ბექასთან ყოფნის უფლება უნდა მოგცეს. მართალია, ბიჭები ძმაკაცის დის შეყვარებას „გრეხად“ მიიჩნევენ, მაგრამ ზოგჯერ, რაღაცრაღაცები უნდა დათმონ. აბა, შენ იცი, პაწუ, ამ კვირის „გზა“ შენს ძმიკოსაც წააკითხე და იქნებ ჩვენმა მესიჯებმა მასზე დადებითად იმოქმედოს. გკოცნი“.

**პინტურიჩიო:**

„ამ პატარა ბავშვს ამხელა დეპრესია საიდან? ან კიდევ, სად ზანაობთ? მეგობარს ჩემი დაიკო რომ შეუყვარდეს, ამის გამო ომი უნდა გამოუცხადო? ბოლოს და ბოლოს, ძმაკაცზე კარგი ვინ წაიყვანს, მაგრამ 15-16 წლის ასაკში ოჯახის შექმნა ნამდვილად ნაადრევია“.

**მია 92:**

„ძმას დაელაპარაკე და უთხარი, რომ ერთმანეთი გიყვართ, ჰოდა, ვინ იცის, იქნებ გაგიგოს კიდეც. თუ არჩევანის წინაშე დადგები, სიყვარული აირჩიე და მერწმუნე, ძმა ოდესმე აუცილებლად გაგიგებს. P.S. პირადად მე, ასე მოვიქცეოდი და შენი საქმისა, შენ იცი“.

**ცრემლუკა:**

„ჩემო პატარავ, თუ გინდა, ბედნიერი იყო, შენს წილ სიყვარულზე უარი არასდროს თქვა. დაფიქრდი და მიზნის მისაღწევად იბრძოლე!“

**თეთრო:**

„სიყვარულისთვის იბრძოლე, შენი ძმა კი, ადრე თუ გვიან, ყველაფერს შეეგუება. მთავარია, შენ და ბექას ერთმანეთი მთელი ცხოვრება გიყვარდეთ. ღმერთი გფარავდეთ. გკოცე“.

**ცოფიანი:**

„ცუდია, რომ ძმის მეგობარს ისე შეხედე, როგორც მამაკაცს. წესით, ძმად უნდა მიგეღო, მაგრამ რადგან ასე მოხდა, ველარაფერს იზამ... თუ ძმასაც ისე უყვარხარ, როგორც შენ გიყვარს, აუცილებლად გაგიგებს და არჩევანის წინაშე არ დაგაყენებს. ჩემო კარგო, სიყვარულზე უარი არავის გამო არ უნდა თქვა!“

**სვანის ასული:**

„ამ თემაზე უკვე ბევრი ითქვა და დაიწერა. პირველ რიგში, უნდა დარწმუნდე, რომ მასაც უყვარხარ, მაგრამ რა თქმა უნდა, ასეთ პატარა ასაკში არ უნდა გაიპაროთ. შენი ძმა ბექას ყველაზე კარგად იცნობს და იცის, როგორი ადამიანიცაა. შესაძლოა, თქვენმა რომანმა თავიდან მართლაც აღაშფოთოს, მაგრამ ამ ფაქტთან შესაგუებლად დიდი დრო ექნება და იმედია, არ შეეცდება ერთმანეთს დაგაშოროთ. ვფიქრობ, მას ყველაზე მეტად შენი ბედნიერება გაახარებს... სამყარო ჭკუიდან შეიშალა, ახლა ნათესავებიც კი ვეღარ ცნობენ ერთმანეთს და ძმის მეგობრის შეყვარება არა მგონია, დიდი ცოდვა იყოს. P.S. რა თქმა უნდა, იმას არ ვგულისხმობ, რომ ეს სასურველია და ყველამ თქვენ უნდა მოგბაძოთ“.

**ნიაკო:**

„ძმის ძმაკაცი რამ შეგაყვარა ან იმ ბიჭს სად ჰქონდა ტვინი? არა, რა, ამ სერიალებმა გამოაშტერა მთელი საქართველო! ჩემი ძმის მეგობრები ჩემთვის იგივე ძმები არიან და შენგან განსხვავებით, მათზე სხვანაირად არასდროს ვიფიქრებ!“

**ქვრივი:**

„სიყვარულზე წინ ნურაფერს დააყენებ, თუ რა თქმა უნდა, ის ბიჭი ამას იმსახურებს და გაღებულ მსხვერპლს მომავალშიც დაგიფასებს“.

**სოფო დეიდა:**

„პატარავ, ნურაფერს განიცდი, ჯერ ყველაფერი წინ გაქვს და ნამდვილ სიყვარულსაც მალე შეხვდები“.

**მაიკო (მორიელი):**

„აჯობებს, სიმართლე შენგან გაიგოს, მაგრამ უკეთესი იქნება, თუ ყველაფერს 1-2 წლის შემდეგ ეტყვი, რადგანაც ჯერ ძალიან პატარა ხარ და შეიძლება, დაშორება გაიძულოს. P.S. თუ დამიჯერებ, კარგი იქნება. წარმატებები!“

■

## „ჩვენი სიყვარული აკრძალული ხილია...“

**დუდუ:**

„გამარჯობა. მე „გზის“ მუდმივი მკითხველი ვარ და ახლა თქვენი დახმარების იმედი მაქვს. მოკლედ, 13 წლის ასაკში მამიდაშვილის ძმაკაცი მომეწონა (ახლა 16-ის ვარ). წელს არდადეგებზე მამიდასთან წაველი, იქ ვისვენებდი და ცხადია, მასაც შევხვდი, ხშირად ვნახულობდი. როცა შინ დავბრუნდი, დამიკავშირდა და სიყვარული ამიხსნა. დარწმუნებული ვარ, მართლა ვუყვარვარ და მის მიმართ არც მე ვარ გულგრილი, მაგრამ ჩვენი სიყვარული აკრძალული ხილია, რადგან მას ჩემი მამიდაშვილის „უტყდება“, სიმართლეს ვერ ეუბნება. ჰოდა, ამის გამო ბევრჯერ ვიკამათეთ. ბოლოს მითხრა, — მე ვერ ვეუბნები და ამიტომაც, ერთმანეთს უნდა დავშორდეთო! მისთვის წინააღმდეგობა არ გამიწევია. ყველას, განსაკუთრებით კი ბიჭებს გთხოვთ, გამოთქვათ თქვენი აზრი ამ ყველაფერთან დაკავშირებით. მაინტერესებს, მის ადგილას თქვენ როგორ მოიქცეოდით? წინასწარ გიხდით მადლობას!“

■

# „ნარკომანის გადაკიდებას მტერს არ ვუსურვებ!“

**რუისპირი (YELLOW):**

„მგონი, ნარკომანსაც აქვს სიყვარულის უფლება. რა, ის ადამიანი არ არის?! უყვარხარ, ხომ არ სძულხარ?!.“

**პინტურიჩიო:**

„თუ მოსვენებას არ გაძლევს, ვინმეს უნდა უთხრა. მართალია, მერე მათ შორის უსიამოვნება მოხდება, მაგრამ შენთვის ასე აჯობებს“.

**ლუნა:**

„ნარკომანის გადაკიდებას მტერს არ ვუსურვებ! მას გონება არეული აქვს და დარწმუნებული ვარ, შენ არ ხარ ერთად-ერთი, ვისაც სიყვარულს უხსნის (მომიტევოს, თუ ვცდები). ძმას ყველაფერი უთხარი და ეგ ბიჭი ჩამოიშორე, თორემ მასთან ურთიერთობა ხეირს არ დაგაყრის“.

**თეთრო:**

„შენებს ყველაფერი დროზე უთხარი და ის ბიჭი ჩამოიშორე, თორემ თუ მოგიტაცა, შენს თავს უბედურება მართლა დატრიალდება. იმედია, მისდამი გულგრილი ხარ, მისი ყურადღება სიამოვნებას არ განიჭებს. ნარკომანის გვერდით ბედნიერი ვერ იქნები, თავს დროზე უშველე. უფალი გფარავდეს“.

**ფანკა:**

„ნარკომანი ავადმყოფია და მას მკურნალობა სჭირდება. არა მგონია, ასეთ ადამიანს ნერვები მწყობრში ჰქონდეს, მისგან ყველაფერი მოსალოდნელია და ამიტომაც გირჩევ, თავს დროზე უშველო!“

**უცნობი:**

„ძმას ყველაფერი უთხარი, თორემ ეს დუმილი შეიძლება სანანებელი გაგიხდეს. შეიძლება, სიმართლის დამალვამ უბედურება მოგიტანოს“.

**სვანის ასული:**

„პატარავ, წინ მთელი ცხოვრება გაქვს — სტუდენტობა, ახალი ნაცნობები, თაყვანისმცემლები, ნამდვილი სიყვარული... თავადაც აცნობიერებ, რა საშიშია შენთვის მასთან ურთიერთობა და ფლირტიც კი, რაც თავისთავად, იმაზე მეტყველებს, რომ უჭკუო არ ხარ. ყველანაირად შეეცადე, მოერიდო, მისი თვალთახედვის არეში არ მოხვდე, სკოლაში სხვა გზით ან ვინმესთან ერთად იარე და შენთან მოახლოების უფლება არ მისცე. ვინ იცის, იქნებ არც ისე აკვიატებული ჰყავხარ და იოლად შეგეშვას. თუ ასე არ მოხდება, შენი პრობლემის მოგვარება ძმას მოუწევს (რა თქმა უნდა, არა ცემით ან ჩხუბით). P.S. შიშის საფუძველი ნამდვილად გაქვს“.

**გრუზინკა:**

„გენაცვალე, უნდა გიხაროდეს, უფროსი ძმა რომ გყავს და მისი იმედიც უნდა გქონდეს. ყველაფერს მოუყევი, ნურაფერს დაუმალავ და დაგეხმარება. ნარკომანის ცოლობისგან ღმერთმა დაგიფაროს“.

## „მის გვერდით ბედნიერი ვერ იქნები“

**„გზის“ №5-ში დაიბეჭდა 16 წლის ანუკის მესიჯი, რომელიც გვწერდა: „ერთი ჩვეულებრივი გოგო ვარ, სხვებისგან არაფრით გამორჩეული, მაგრამ თაყვანისმცემლები მაინც არ მაკლია... ჩემს უბანში ერთი ნარკომანი და სახელგატეხილი 23 წლის ბიჭი ცხოვრობს, რომელმაც ამას წინათ სიყვარული ამიხსნა და ახლა მოსვენებას აღარ მაძლევს; სკოლიდან რომ ვბრუნდები, გზაში მხვდება და მიმტკიცებს, — მიყვარხარო. არ ვიცი, რა ვქნა. ამ ამბავს სახლში ვერ ვამბობ, რადგან უფროსი ძმა მყავს და ეს რომ გაიგოს, ვიცი, უბედურება დატრიალდება, არადა, უკვე აღარ ვიცი, როგორ მოვიშორო თავიდან“.**



**გადარეული:**

„შენც დაემუქრე: თავს თუ არ დამანებებ, ყველაფერს ჩემს ძმას ვეტყვი-თქო. საინტერესოა, ამას ძმას რატომ უმალავ? ჯობს, სიმართლე უთხრა“.

**უცნობი:**

„დაელაპარაკე და აუხსენი, რომ მის შეყვარებას ვერასდროს შეძლებ, რომ ჯობია, დაგივიწყოს; თუ ამან არ გაჭრა, მაშინ შენი საიდუმლო ძმას უნდა გაანდო“.

**ატარექსია:**

„დარწმუნებული ვარ, ეგ ცუდი ბიჭი რაღაცით გიზიდავს, მოგწონს. საქმე იქამდე არ უნდა მიგეყვანა, რომ სიყვარული აეხსნა, მასთან ურთიერთობისგან თავი უნდა შეგეკავებინა. და კიდევ, მისი მოშორება გულით თუ გინდა, ამას ვიღაც-ვიღაცების ჩარევის გარეშეც მოახერხებ“.

**ქვრივი:**

„ნარკომანში ღირსებების ძებნას ნუ დაიწყებ. მერწმუნე, კაცი, რომელსაც ღირსება აქვს, ნარკომანი არასდროს გახდება! ძმას ყველაფერი მანამდე უნდა უთხრა, ვიდრე ცხოვრება დაგენგრევა“.

**აურა:**

„ნარკომანს მაქსიმალურად მოერიდე, მისგან კარგს არაფერს ელოდე! აბა, რა, დას ძმა ყოველთვის მხარში უნდა ამოუდგეს, მაგრამ თუ ამ საქმეში დედ-მამიშვილის ჩარევა არ გინდა, იმ ბიჭს თავად დაელაპარაკე და უთხარი, — თუ მართლა გიყვარვარ და ჩემი ბედნიერება გსურს, თავი დამანებე-თქო. თუ გაგიგებს, ხომ კარგი, თუ არა და, მაშინ სხვა გზა არაა, ყველაფერი ძმას უნდა უთხრა. ღმერთი შენკენ!“

**ქოთქოთა:**

„უბედურება, იცი, როდის დატრიალდება? — თუ სიმართლეს არ იტყვი. ხომ იცი, ჭორი რა ადვილად ვრცელდება, ჰოდა, შენი ძმაც შეიტყობს სიმართლეს და უფრო გაბრაზდება; იფიქრებს, რომ არ ენდობი. დაელაპარაკე და შეეცადე, ყველაფერი მშვიდობიანად მოაგვარონ. თუ უყვარხარ, ის ნარკომანი თავს დაგანებებს. წარმატებები!“

**მაიკო (მორიელი):**

„ჩემო კარგო, ადექი და ამ საქმეში ნათესავი ან პოლიციელი ჩარიე. თავს ნუ დაიღუპავ, ის დროზე უნდა ჩამოიშორო. წარმატებები!“ ■

# „მიცვალებული შემიყვარდა...“

GIRL FROM TBILISI:

„გამარჯობა. რომ არ გამჩენოდა იმედი იმისა, რომ ამ მესიჯს დამიბეჭდავდით, არც მოგწერდით. ჩემი თითქოსდა ბედნიერი, უდარდელი ცხოვრება ერთმა ამბავმა შეცვალა... ერთი უმხიარულესი გოგონა, რომელიც გამუდმებით მეგობრების გუნება-განწყობილების ამაღლებაზე ზრუნავდა, რომელიც მხიარულად, უდარდელად ცხოვრობდა, ჩაანაცვალა ნაღვლიანმა, მუდამ სევდიანმა არსებამ. წარმოიდგინეთ, მიყვარს ადამიანი, რომელსაც მის სიცოცხლეში არც ვიცნობდი. ჰო, მიცვალებული შემიყვარდა და ეს გრძნობა მტანჯავს, სიცოცხლეს მიმწარებს, მაგრამ ამავდროულად, მილამაზებს კიდეც... როცა მახსენდება, რომ ის ამქვეყნად აღარ არის, ფეხქვეშ მიწა მეცლება და მინდა, მიწა გასკდეს და ქვესკნელში ჩავვარდე... ძალიან გთხოვთ, ნუ გამკიცხავთ, არავინ იცის, ვის რა ელის. უბრალოდ, ახლა მართლაც, ჰაერივით მჭირდება თქვენი რჩევა. მერწმუნეთ, მე ის მართლა მიყვარს“.

*P.S. მაშ ასე, თუ დუდუსა და GIRL FROM TBILISI-ს წერილების წაკითხვის შემდეგ, მათთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.*



# მობილი-ზაცია

*იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.*



## ქალები

1. გთხოვთ, მომცეთ „გზა“ №5, მე-3 მესიჯის ავტორის ნომერი.

2. მარი, „მობილი-ზაციის“ მუდმივი მკითხველი ვარ. მომწონს ძალიან. გთხოვთ, მომცეთ მე-6 ნომერში გამოქვეყნებული წერილის, „მიყვარდა და მისი დაკარგვა არ მინდოდა“ ავტორის ტელეფონის ნომერი.

3. გთხოვთ, მომცეთ მე-6 ნომერში მოთავსებული წერილის — „მიყვარდა და მისი დაკარგვა არ მინდოდა, თან უკვე ფეხმძიმედ იყო“ — ავტორის ტელეფონის ნომერი.



## კაცები

4. მინდა გავიცნო ლამაზი და თბილი, 25 წლამდე გოგო სამეგობროდ. ვარ 23 წლის, შეძლებული, დედისერთა. თუ ამ ცხოვრებამ შენც გული გატკინა, გამომეხმაურე და ვიმეგობროთ!

5. ვარ 35 წლის, რუსთაველი მამაკაცი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 30-დან 40 წლამდე ასაკის მანდილოსანს. სასურველია, თბილისელი ან რუსთაველი, პატიოსანი ადამიანი.

6. ვარ 45 წლის, ცოლს გაცილებული კაცი, სიმპათიური. გამომეხმაუროს ქალბატონი, ვისაც ნამდვილად ოჯახი და სიყვარული უნდა, 45 წლამდე. ვარ თბილისელი.

7. მეც მინდა მოსიყვარულე და თბილი ხასიათის მანდილოსნის გაცნობა, ოჯახის შექმნის მიზნით. მე დათო მქვია. გთხოვთ, მომცეთ ნინიკოს ნომერი.

8. გთხოვთ, მომწეროთ მე-6 ნომრის 1-ელი მესიჯის ავტორის ნომერი.

9. გავიცნობ 22-25 წლის, კაი გოგოს. მეც სიმპათიური ბიჭი ვარ, 28 წლის. დათო.

10. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 33-37 წლის ქალბატონს, სულით ლამაზს, საღად მოაზროვნეს, თუნდაც იყოს განათხოვარი, ან რამე საპატიო ნაკლით! ვცხოვრობ რაიონში, ვარ 40 წლის. დათო.

11. ვარ 30 წლის. გავიცნობ სასიამოვნო გარეგნობის მანდილოსანს, ვარ დასაქმებული. გელოდებით, ლამაზებო.

12. გავიცნობ 30-დან 50 წლამდე ასაკის ქალბატონს, სამეგობროდ. გთხოვთ, აფერისტებმა თავი შეიკავოთ.

13. დამაინტერესა მეორე ნომრის მეორე განცხადებამ. გთხოვთ, ნომერი მომწეროთ. ზაზა.



## სხვადასხვა

• ყველას მოგესალმებით. თქვენი ერთგული მკითხველი ვარ, წლების მანძილზე. სურვილი გამიჩნდა, მომეწერა. არც მაქვს იმედი, რომ დაბეჭდავ, მარ. ვიმეგობროთ. თქვენი ლი23.

• კასკუ, მიყვარხარ ძლიერ, ძლიერ, რაც გადის დრო და ხანი... ჩემო ტკბილო და თბილო, როგორ ხარ, ნეტავ? ჩვენ არა გვიშავს, ვუძლებთ. შენი ნახვის იმედი და რწმენა მაძლებინებს. არაფერზე ინერვიულო, ჩემო სიცოცხლევ. ღვთის წყალობით მალე მოგვარდება ყველაფერი. დედა და ბავშვები კარგად არიან. სკოლაში დადიან. ძალიან ენატრები ორივეს. მანდ კოჩის ახლობელი ყოფილა და შეიძლება მოგიკითხოს. უშენოდ ალარაფრად ვვარგივარ. ისე არაფერი არ გვიჭირს. უბრალოდ, ლოდინმა გადამრია. ყველაფერი კარგადაა. ყოველ საღამოს შენთან მგონია თავი. ბავშვები არჩევენ სიმღერებს. დარეკვა ძნელია. ჩემო ტკბილო, შენთან მინდა. გკოცნი უთვალავს და გეხუტები. მიყვარხარ. ლიკუნა.

• პირველ რიგში მოგესალმებით, მადლობელი ვარ იმისთვის, რომ თქვენ ჩემში ისეთი იშვიათი გრძნობა გამოაფხიზლეთ, როგორიც ინტერესია... RESPECT ჩემგან!!! DARKSIDER.

• კასკუ, წუთიც არ არის შენზე ფიქრის გარეშე, შენით იწყება და მთავრდება ყოველი დღე, ჩემო სიცოცხლევ, ყოველდღე, ყოველ კვირას ველოდებით რაღაც ახალს, მაგრამ მაინც უსაშველოდ გაიწელა დრო, ყველაფერი კარგად იქნება, ოღონდ შენ გაუძელი ყოჩაღად ამ ლოდინს, ჩვენ აქ ერთმანეთს ვაძლებინებთ... მიყვარხარ, არ იცი როგორ. გკოცნი, გეფერები, შენი ქეთი. სულ ვცდილობ, წუწუნა მესიჯი არ გამომივიდეს, მაგრამ რა ვქნა, რომ მედარდები და ხალისიანად წერა არ გამომდის? ჩვენ კარგად ვართ, ეს არის, რომ მონატრებამ დამრია ხელი.

**ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საზღვარგარეთ... ბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ა | a | მ | m | ღ | gh |
| ბ | b | ნ | n | ყ | y |
| გ | g | ო | o | შ | sh |
| დ | d | პ | p | ჩ | ch |
| ე | e | ჟ | zh | ც | c |
| ვ | v | რ | r | ძ | dz |
| ზ | z | ს | s | წ | w |
| თ | t | ტ | t | ჭ | wh |
| ი | i | უ | u | ხ | x |
| კ | k | ფ | f | ჯ | j |
| ლ | l | ქ | q | ჰ | h |

• ბადრიკუნა, როგორ ხარ? უკვე 2 თვე გადის, არ მინახავხარ და ძალიან მომენატრე... ამდენ საქმეში გართულს რომ გამახსენდები, გული მეკუმშება... ის პატარა სულელი კარგადაა, ვნახეთ... პაემანი გვქონდა. თავს კარგად გრძნობს, როგორც შეიძლება, რომ იქ იგრძნოს. როცა განახავ, დაწვრილებით მერე მოგიყვები. ახალი არაფერია მასთან. 14-ში პროცესი ჩატარდა, მაგრამ 18-ში გადაიდო. არც არაფერი გარკვეულა ჯერჯერობით. ვიცი, რომ მისი ამბები ძალიან გაინტერესებს და იმიტომ გწერ. შენი ვაჟკაცი ამას წინათაც იყო ჩვენთან. დარჩენა უნდოდა, მაგრამ არ დატოვეს. აუ, რა მაგარი ვიღაცაა... ისე დაგემსგავსა, გაგიჟდები... დიდი კაცია... შენ გიკითხა და რა თქმა უნდა, ვუთხარით, რომ რეკავ და მის ამბავს კითხულობ. სხვა რა გითხრა... მენატრები... ყველას გვენატრები... გკოცნით და გვიყვარხარ... თავს მიხედე, მთავარი ეგაა. ცოტა გულგატეხილი მესიჯი გამომივიდა, მაგრამ ახლა უხასიათოდ ვარ და იმიტომ. ისე არ შეგეშინდეს, გულგატეხილი არ ვარ, მაგრად ვარ მაინც. ამას წინათ ჯემალის შვილის ქორწილში დაგვპატიჟეს. წარმოვიდგინე, რომ ყველა იქ იქნებოდა და შენ არ იქნებოდი. არც მე წავედი... ერთად რომ ვიქნებით, მერე ვიაროთ ყველგან... ამ კვირაში განცხადებას დავწერ პაემანზე და განახავ... გკოცნი, გეხუტები, შენი დაიკო.

• ჩემო სიცოცხლევ, მენატრები უზომოდ. უშენობა მიორმაგებს შენ მიმართ გრძნობას. რომ განხე, დავწყნარდი. ყველას გვენატრები, საბას — ყველაზე მეტად. თავს მიხედე, ბევრი დრო გაქვს იმისთვის, რომ ცოტა დაფიქრდე. გილოცავთ ვალენტინობას შენ და ბადრის. მასაც მოვიკითხავ დიდი სიყვარულით. მალე ყველა ერთად ვიქნებით. ღმერთი გფარავდეთ. ნინო.

• პატარავ, როგორ ხარ, დედი? როგორ მინდა, რომ ერთი ჩაგიხუტო... ახლა არ გენატრები სხვანაირად? როგორ ძლებ უჩემოდ, რომ აღარ მიჩქმეტ ლოყებს და აღარ მკბენ? საბუკა გენატრება ალბათ... ველოსიპედი ვუყიდეთ... უნდა ნახო, რა დღეშია... ღამე ლოგინთან აყენებს, ადგება თუ არა, მოახტება. ჯერ ეზოში ვერ ჩაჰყავს, ამინდები არ უწყობს ხელს, მაგრამ რომ დათბება, მერე ჩაიყვანს. ბაღში დადის და შეყვარებული ჰყავს, ბაბალე, რომელსაც გულში კოცნის ხოლმე... ნინო კიდევ შენს ტანსაცმელს სუნავს და ტირის... ბებიაშენი ეზოში რომ შემოდის და შენ ვერ გხედავს, მაშინ ტირის. მე კიდევ, სატირლად არ მცალია, აგურების „ცეხს“ ვაკეთებ, რომ ბლომად დავამზადო, თავში საცემად. იმდენი მჭირდება, რომ ვიყიდო, ძვირი დამიჯდება. იმედია, სპორტულები მოგეწონა... მთელი გულით ავარჩიე, შენ რომ მოგეწონებოდა, ისეთი... გიკოცნი ლამაზ და მწვანე თვალებს. დედა.

• გამარჯობა, ხვიჩა, როგორ ხარ? შენმა ამბავმა ძალიან მატკინა გული. გვაკლიხარ მეგობრებს და შენს ოჯახს. იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად იქნება. თავს გაუფრთხილდი, არ იდარდო. გახსოვდეს, რომ შენი ახლობლები ყოველთვის იზრუნებენ შენზე. უფალი გფარავდეს და ყველაფერი შენ სასიკეთოდ წარმართულიყოს. იმედს ვიტოვებთ, რომ ეს ყველაფერი მალე დასრულდება. ალინა.

• ხვიჩა, ყოველთვის ხალისიანად გეკითხებოდი, და ახლა კი ძალიან მიჭირს ამის კითხვა — როგორ ხარ? ვიცი, როგორ გიჭირს და გიძნელდება მანდ ყოფნა, როგორ გენატრება შენი ოჯახი და შენი პატარა. ისღა დამრჩენია, სიმხნევე და სიძლიერე გისურვო, ამ ყველაფრის დასაძლე-



ვად. იმედი არასოდეს დაკარგო. ყველაფერი კარგად იქნება. უფალი გფარავდეს, ამინ! ნათია ძაგანიშვილი. დაუკარით ოსური, ხვიჩა არის მოსული...

• უშენოდ დავივლი ქუჩებს, მოვწყდები სამყაროს წიაღს, ისევ ავაჟღერებ სიმებს, ღამეს გავუფანტავ წყვდიადს... უფსკრულთან შევდგები უცებ, მზერას მოვატარებ ბავშვურს, ისევ უსაშველოდ წვიმს და მე კი უშენობა არ მსურს. ელენე პირველი ანუ რემედეოსი. რუისპირს მოვიკითხავ. მაგარი ხაარ.

• ჩემო ლამაზო, როგორ ხარ? იცი, მე ვიზა მივიღე და 5 მარტს მივდივარ. ძაან ვნერვიულობ, ასე რომ გტოვებ. იქნებ ყველაფერი მოგვარდეს და გნახო მანამდე? დედას გაფიცებ, კარგად მოიქეცი. არ მანერვიულო, გთხოვ. ცუდი არაფერი გავიგო იქ შენზე, ორმაგად ვინერვიულებ. შენ ყველაზე კარგი ხარ, მარტო მე ვიცი. მიყვარხარ, გკოცნი უამრავს...

• მაარ, როგორ ხარ? მომენატრა „გზა“ და „გზავნილები“... რუისპირს გავიცნობდი დიდი სიამოვნებით. რემედეოსი.

• გაიხარე, კლეოპატრა, ძალიან საყვარელი ხარ. გმადლობ, რომ მიმიღე. თუ დამეხმარები, მადლობას გეტყვი, გენაცვალე. კლეოპატრა, რუი, ულიბკა, მაგრები ხართ, მიყვარხართ. თეონა.

• ძალიან დიდი ხანია, „გზას“ ვკითხულობ, თავიდან 9717-ის გაცნობა და მეგობრობა მინდოდა, მერე მისტერის და რუისპირის, მაგრამ ამ ადამიანებზე ამბავი ატყდა. ვიფიქრე, ალბათ ვერც შემამჩნევენ-მეთქი და აღარ დავწერე არაფერი. ახლა რამდენი ხანია ვფიქრობ, ულიბკას მივწერ, უბრალოდ, ვინატრებდი, მისნაირი მეგობარი მყოლოდა-მეთქი და სანამ გავბედე, ისეთი პოპულარული გახდა, ალბათ ვეღარც შემამჩნევს... თუმცა, მაინც მიხარია, ყველას რომ უყვარხართ... გაკოცეთ. ნინი.

• შაკო, ჩემო სიცოცხლევ და სიხარულო, ძალიან გვიყვარხარ და გვენატრები. იმედია, მალე ჩვენთან იქნები. გკოცნით ყველა.

• გამარჯობა, მარი! პირველად გწერ და მაინცდამაინც დიდი იმედი არ მაქვს, რომ ამ გზავნილს დამიბეჭდავ, მაგრამ ხომ იცი, იმედი ბოლოს კვდებაო და დიდი იმედი მაქვს, ამ გზავნილს „მობილი-ზაციის“ ფურცლებზე ამოვიკითხავ. ესეც არ იყოს, კარგად ვიცი, რომ ძალიან ბევრი გზავნილი მოგდის და ყველას „მობილი-ზაციაში“ ვერ გამოაქვეყნებ. ერთი ჩვეულებრივი გოგო ვარ (მგონი, ცოტა ბანალურად გამომივიდა), რომელიც „გზის“ ერთგული მკითხველია; ადამიანი, რომელსაც ძალიან ანაღვლებს „მობილი-ზაციაში“ განვითარებული მოვლენები. 10 წლიდან ჟურნალი „გზის“ ერთგული მკითხველი ვარ. განსაკუთრებით — ამ რუბრიკის ერთგული ვიყავი და ახლაც ვარ. ყოველთვის მაოცებდი, მარ, პირველად გწერ. მინდა გითხრა, ძალიან მიყვარს „გზა“ და „გზავნილები“. ვინ? ნანი, შალვა, რუისპირი, მისტერი. მე მარტოსული ობოლი ვარ, მამეგობრე მათთან, მარ, მჭირდება. გამომიქვეყნეთ, ობოლი ვარ, მეგობრები მინდა.

• მაინც ვერ ვხვდები, რამ განაპირობა ჩემი გაცნობის აუცილებლობა. ჯობია, სურვილი სურვილად დარჩეს და კიდევ, კლეოპატრას მინდა ვუთხრა, ასეთი სევდიანი ნუა. ქვრივი.

• ვიცი, ნათ, შეკვეთაც ბევრი მაქვს, მაგრამ ხომ იცი ჩემი მდგომარეობა, მეზარება კიდეც თექაზე მუშაობა. ასე მგონია, ღირებულს ვეღარ შევქმნი. ესკიზების ალება მეზარება. ქვრივი.

• გამარჯობა. დიდი ხანია, თქვენი მკითხველი ვარ და ძალიან მიყვარხართ. მეგობრებს თუ შევიძენ თქვენი სახით, ძალიან გამიხარდება. :-) გკოცნით და გეხვევით. ნინი-ბარამბო.

• გამარჯობა, მარი, დიდი ხანია, „გზის“ მკითხველი ვარ. თქვენი სამყარო ძალიან საინტერესოა. მინდა კლეოპატრას ვუთხრა, რომ არაჩვეულებრივია. სალომე.

• თუ თქვენ პატარა მკერდი, გალუნული ფეხები და უშნო სახე გაქვთ, გაჩეხეთ ტყე — შური იძიეთ ბუნებაზე! :) ატარექსია.

• მერე რა, რომ რასისტი ვარ? სამაგიეროდ, ლამაზი თვალები მაქვს (და არა მარტო) :) ატარექსია.

• მოკითხვა ნერვების დამწიწკვნელებს, არანორმალურებსა და აუტანლებს. ატარექსიას უყვარხართ თქვენ (წაგეაფერისტ-შეგეტენესავით). აუუუ, მე რა საკალელი არსება ვარ, ტო!

• მახინჯი ადამიანები რომ არ მიყვარს, ეგ ცოდვაა ვითომ? უი, სულ მინდოდა მეკითხა, აქ ვინმე უცხოპლანეტელი ხომ არა ხართ? აბა, რობოტები რომ ოხრად არიან, მივხვდი უკვე. ატარექსია.

• ვიცი, რომ ვერავინ გაიგებს, მე ახლა რაც ვიბჟუტურე, მაგრამ მნე პოფიალეტოვომუ. :) აეე! პოფიგისტობის დღეები დამეწყო. ატარექსია.

• მაარ, რას შვრები? გერმანულში თემის დაცვა მაქვს და სული მეხუთება, ისე ვნერვიულობ. არადა, ბაკურიანში უნდა წავსულიყავი, მაგრამ რა ვქნა? ბარამბო.

• აუ, რა ყინააავს?! მაგრამ ვაჟკაცურად ვუძლებ ამ სიცივეს. :) ლეკვი ლომისა სწორია, არც ჩვენ ვართ გალუნულები. :) მიყვარხააართ. P.S. აუ, მააარ, უსუსური კი არა, უწუწური. :).

• კლეოპატრა, მეც მიყვარხარ, ჩემო თბილუკა. მილე, ჭრიჭი, ციკო, ლაკვასტ, გრუზინკა, გაიხარეთ, კარგები ხართ, მიყვარხართ. ქ-ნო ნანი დუმბაძევ, ღმერთმა გაგახაროთ. ფლამინგო.

• თავადის ქალო, გაბედნიერებას გილოცავ, იხარე და იმრავლე. ოლეგარიო, დაბრუნდი, მოგვენატრეეე. გერასიმე, ძალიან ვწუხვარ. სულიერ სიმტკიცეს გისურვებ, გფარავდეს უფალი. ფლამინგო.

• მუკი, ძაან გვენატრები და გვიყვარხარ ყველას. ბავშვები სულ სიზმარში გხედავენ და მიყვებიან გახარებულები. ნია ისე განიცდის და ელოდება შეხვედრას, რომ გაგიჟებულია.

• მუკი, ნიკა ხან გემუქრება, უნდა მოვცხოო, ხან ტირის. ბაღიდან რომ გამომყავს, მანქანაში გეძებს. მეც მენატრები ძალიან. მაგრად დადექი და გაუძელი. თავს მიხედე, გთხოვ. იმ დღეს ძალიან არ მომეწონე. გამოგვხედე და ნუ ხარ მოწყენილი. ყველაფერს ვაკეთებთ, რაც კი შესაძლებელია. მაია გეტყვის. მენატრები. გკოცნით ბევრს.

• გიო, პაწი, ძაან მომენატრე და მიყვარხარ ძაან. დედიკომ შენი ტელეფონი მომცა და ძაან გამიხარდა. დიდი მადლობა. სულ მენატრები და გელოდები, მამიკო. ნიაკო.

• კაკადუ, შენი დედაი, ხომ ნახე, რამხელაც ვარ? ტანკივით გელოდები, უნდა დაგეჯახო. ვიცი, ახლა გეცინება. ნუ გეცინება. შენ გვერდით ვართ. კუკლა ნათია.

• ნიკოლის კახაში ეშლები და ეხუტება სულ. მომენატრე, შენი დედაი. ნიკოლი „გიოს“ ამბობს, გაძაღლებულია, გიჟია. კუკლა.

• კვირას, ეკლესიისკენ მიმავალი, ეს მგლოვიარე ადამიანი არ გავიშალე თოვლიან ასფალტზე?! მერე აღმოვაჩინე, რომ ძვირად ღირებული ბეჭედიც აღარ მეკეთა თითზე. აი, ასე! ქვრივი.

• ჩემი ნო, გრუზი, მემე, ფლამი, კლეოპატრა, შეწირული, კამი, როგორ ძლიერ მიყვარხართ. მე კუტრინა და ლაკვასტი გავიცანი და ბედნიერი ვარ. რა კარგები ხართ. მიყვარხართ. მილე.

• რას შვრებით, ხალხო? რუი, მისტერ, ულიბკა, ლაკვასტ, კლეოპატრა, სვანის ასულო და კიდევ ბევრს, მოკითხვა ჩემგან. ბარამბო.

• შურის, სიბილწის ვეება თალღებს, არ უწერიათ სიწმინდის განცდა; ქვესკნელის კიდე, იმ ფიქრთან ბრძოლა, რომელიც იყო და არის ახლაც. ღვთიური ძალა, ღვთიური მადლი, დაეშვებოდეს ცოდვებთან ფარდად; ნუ დაიშურებთ სიკეთეს... და იმ სიმდაბლეს, რომელიც გაცვდა. ნუ დაივიწყებთ უფლის სიყვარულს, ღმერთი ერთია, მამაა კაცთა და ჩვენ ვილოცოთ სულის ცხოვნისთვის, უფალი მოგვცემს სიმშვიდის განცდას; მარადისობის კანონს მივდიოთ, ღმერთი ერთია, მამაა აწ და... (მარადი) ლაკვასტი.

• მგოოონი, მე ვარ ყველაზე პატარა თუ არა, ნეტავ? რა ვიცი, 15 წლისა ვარ და... კამ-კამა.

• რა ბედნიერი ვაარ, რომ აქ ჯერ არ მიჩხუბიაა... აუ, რა ვი, რაააა... კამ-კამა.

• დიიიდი სიყვარულით მინდა მოვიკითხო სწეეტი. შე ძაან ტკბილოო... კლეოპატრა, მის რეალ, კარგები ხართ. ცრაზყ, შენი ნომერი წამეშალა და მომწ... მიყ... კამ-კამა.

• მართალი კაცი ქვაზე მაგარიაო! მართალი ყოფილა ეს ქართული ანდაზა. თან თუ ეს მართალი კაცი ხასიათით ჯიუტია, სალი კლდესავით შეუვალი ხდება და მისი გატეხა ციხის ცივმა საკანმაც კი ვერ შეძლო. თურმე ნუ იტყვი და, ჩვენს ქვეყანაში თურქეთის არაპატიოსან მოქალაქეს ქართველ, პატიოსან კაცზე უფრო მეტი დაფასება და პრივილეგია აქვს. როდემდე შეიძლება, თვალში ნაცარშეყრილებმა ვიაროთ და სამართალი ვეძიოთ? ქრთამი ჯოჯოხეთსაც კი ანათებს, მაგრამ ნუთუ სამართალმა ერთხელ მაინც არ უნდა იზეიმოს და ქართველმა კაცმა გამარჯვებულმა არ უნდა თქვას, სამართალმა პური ჭამაო?

• რუისპირ, მე ვცდილობ შენს ხარჯზე თავის წარმოჩენას? „გზაშიც“ პირველმა შენ მომწერე და ტელეზეც ნუ ატრიალებ „პლასტინკას“ ისე, როგორც შენ გინდა. მარტო მატყუარა კი არა, ნაგავიც ყოფილხარ. P.S. ეგ შხამი კი არა, დორბლია. საკუთარ თავზე მეშლება ნერვები, კაცი კი არა, მთხლე ხარ, მთხლე... ნაომი.

• თეთრო, შენ უფრო მაგარი ხარ. :-) მიყვარს შეგნებული ხალხი. გურულო, მეც მიყვარხარ, ბარტყი. :) ჩუპაჩუუპს, უკვე მომწონხარ. მაო, გამაოგნე. P.S. მარ, მადლობა, მაგრამ ზრდილობა სხვასაც დაანათლე. პატივისცემით, შენი თამუნია. :-) ნაომი.

• გადარეულო, რა საყვარლად მითხარი: „მაგრა, მაგრა მიყვარხარ, თაამ“. ჯიგარი ხარ, ვახუნხულა. :-) ქაჯების დედოფალი მიმიბლოკეს. :). მიყვარხააართ. ნაომი.

• ყველაფერს წარმოვიდგენდი, მაგრამ თუ ჩემს საყვარელ ჟურნალში ჩემზე ასეთებს წავიკითხავდი, ვერასდროოოოოოს!!! საკუთარ თავს ვეკითხები, ჩემი ბრალია, რუისპირმა ასეთები რომ მომწერა-თქო? მთავარი ის კი არაა, რა სიტყვებით შემამკო რუისპირმა, მთავარია, რატომ შეურაცხმყო. ურცხვად მეუბნება, რომ მე ვცდილობ მის ხარჯზე თავის წარმოჩენას. არადა, მეთამაშება... რუისპირ, შენს შეურაცხყოფას არ ვაპირებ, იცი, რატომ? მე რომ შენს შეურაცხყოფას შეურაცხყოფით ვუპასუხო, რით ვიქნები შენზე უკეთესი? (გვიან, მაგრამ მაინც შენზე ადრე მივხვდი.) რუის გულშემატკივრებს: ახლა არ მითხრათ, რუი ისედაც აღარ აპირებდა შენთვის მოწერასო. მილიონჯერ მაინც აქვს ეგ ნათქვამი, ჩემგან ყურადღებას ვეღარ ეღირსებიო, მაგრამ... მე მაინც მის უნებისყოფობას მის ასაკს ვაბრალებ. გაიზრდება, დალაგდება და აზრზეც მოვა. მარი, შენ კი მაპატიე, „იმის“ გამო... წასვლას ვაპირებ „გზიდან“ და ნუ გამაღიმებთ და ნუ იფიქრებთ, რომ რუის დამსახურებით მივდივარ. ნაომი.

• გერასიმე, ვიზიარებ შენს მწუხარებას, ჩემო კარგო. უფალი იყოს შენი მფარველი. კლეოპატრა.

• ჩუპა-ჩუპს და ნაომი, ერთს გეტყვით, უფალი იყოს თქვენი მფარველი. კლეოპატრა.

• დღეს პირველად ვიგრძენი, თუ როგორ შევჩვევივარ უშენობას, პირველად ვიგრძენი, რომ ჩემგან სამუდამოდ წახვედი. მერე რა, თუ ასეთი ძვირფასი იყავი (და ალბათ ამიტომაც არ მეთმობოდი ამდენ ხანს, თორემ გრძნობა უკვე აღარ არსებობდა). მერე



რა, რომ ახლა ჩემში სიცარიელე მეფობს, მუზასაც დაუძინია... არადა, როგორ მიხაროდა მისი გაღვიძება... და მაინც მიხაროდა შენით სიცოცხლე, წამი, საუკუნოდ გაწელილი, ნახვიდან ნახვამდე. შენით ამოსუნთქვა მიხაროდა, შენით ამოსუნთქვა. და აი, წახვედი და სამუდამოდ გაიხურე კარი, ჩემში კი სიცარიელე დატოვე, რომელსაც ველარავინ შეავსებს... და სიმარტოვე... მაგრამ მე ხომ უკვე დიდი ხანია, უშენოდ ვცხოვრობ, თურმე დიდი ხანია... არ ვიჯერებდი, არ მეთმობოდი, მაგრამ... დღეს პირველად ვიგრძენი, რომ შევჩვევივარ უშენობას და ამ სიცარიელეს... და ამ სიმარტოვეს... მერე რა, რომ ჩემი სუნთქვა იყავი... მერე რა, რომ ჩემი იდეალი ხარ. კლეოპატრა.

• უსუსურო, მადლობა რჩევისთვის, ჩემო კარგო. ჰო, მე უკვე მასთან ერთად ვცხოვრობ. შენც გფარავდეს უფალი. კლეოპატრა.

• 030, ბაჩი, როგორ ხართ? სად დაიკარგეთ, ხომ მშვიდობაა? კლეოპატრა.

• მარიკუნა, ხომ ხარ კარგად? ისე, გაძლება მოგცეს ღმერთმა, ჩვენ ხელში რამდენს უძლებ?! მიყვარხარ, ოღონდ მართლა. კლეოპატრა.

• სიზმარში ვნახე, „გზავნილები" იღუპებოდა, ველარ შველოდა მგზავნელთა გულის კეთილი ძგერა, სიყვარული ნელა-ნელა იკარგებოდა, ისმოდა მხოლოდ სიძულვილის ავბედი ღრენა. ნამსხვრევებად აპირებდა ქცევას ქალაქი, ცრემლების წვიმას დაეფარა იქაურობა, წყალს მიჰქონდა მარიამის თბილი ამაგი, სიყვარული აღარავის აღარ უნდოდა. მეც ავტირდი, სხვებთან ერთად დავიწყე დაშლა, ყველაფერი მხოლოდ ცრემლად გადავაქციეთ, გეხვეწებით, სიძულვილი გვეყოფა, კმარა, „გზავნილები" სიყვარულით გადაარჩინეთ. კლეოპატრა.

• ჩემო თბილუკა დაიკოებო, ფლამი, ედე, ლაკვასტ, ჭრიჭი, მილე, გრუზი, ძალიან მიყვარხართ. კლეოპატრა.

• არ გინდა, ოცნების კარები გააღო? გადამწვარ იმედებს ტკივილი გაუქრო? და მერე ახალი გრძნობები დაანთო, უსმინე, ცრემლები ღაწვებზე ხმაურობს. არ გინდა, ისწავლო ცხოვრება უჩემოდ, წახვიდე და ჩემზე ფიქრები დაკარგო, შენ გვერდით არ ვიცი, თავს რითი ვუშველო, რაც ჩაქრა, თავიდან როგორღა ავანთო? თუ რჩები, ისწავლე გრძნობების დალაშქვრა, ეცადე, გაიგო თან ჩემი სურვილი, მე ხომ არ მინდოდა არც შენი დაკარგვა, მაგრამ ყველაფერი ყოფილა ტყუილი. მე გირჩევ, წახვიდე, ჩემთან ნუ დარჩები, მე წარსულს როგორმე გავაქრობ გულიდან, ვიცი, რომ არასდროს არ შეგიყვარდები, დამტოვე ან დარჩი მეგობრად, თუ გინდა. მე შევძლებ შენიღბვას ძლიერი ქალივით, გატყუებ, რომ ვამბობ წარსულად, მიყვარდი და ალბათ ეს გრძნობა არასდროს გაივლის, მაშინაც და ახლაც ყველაფერს ნიშნავდი. არ გინდა, გააღო ოცნების კარები? და გულს მღელვარება აჩუქო თავიდან? უშენოდ სიცოცხლე მე მართლა არ მინდა. ...........ს. კლეოპატრა.

• აუ, მარ, ძალიან მომენატრა ჟურნალი ჟურნალში. მარ, შენ არა? კლეოპატრა.

• იცი, მარ, ძალიან ძველებიდან მონასტრის ბიჭი მახსენდება ხოლმე და... როგორაა ნეტავ? კლეოპატრა.

• „გზავნილებს" ამშვენებს მარიამ დედოფალ, მგზავნელნი, ქალაქში მძივებად მორთულნი, ფლამინგო, ლაკვასტი, ჭრიჭინა მეგობრად, ჩემს გულში მარადის არიან მოსულნი. ასევე გულს ათბობს ედე და მილენა, გრუზინკა, ლალოლა და ნანი დეიდა, თქვენს გულებს ულევი სითბო რომ სჭირდება, უფრო მეტს გაჩუქებთ, იცოდეთ, დღეიდან. რუისპირ, კუტრინა და ჯაყისმანელო, ძალიან გაფასებთ, ყოველთვის მახსოვხართ, ენიგმა, ბერბიჭა, თუმცა კი წახვედი, მარად მონატრება დატოვე სახსოვრად. ულიბკა კარგი ხარ, ხშირად გაიღიმე, გვიმრავლოს ახალი და კარგი მგზავნელი... კლეოპატრა.

• ბარჯაკუზა, დიდი მადლობა, ჩემო კარგო, მაგრამ არ გამოვა საინტერესო. ყველაფერი წარსულში დარჩა, ჩვენ უბრალოდ, მეგობრები ვართ. ძალიან კარგი ადამიანი და ჩემი იდეალია.

• მარ, 2008 წლის, „გზის" 26-ე ნომერში დაიბეჭდა გზავნილი, სათაურით — „სიკვდილო, დაგამარცხებ". მაინტერესებს, როგორაა ჩვენი მგზავნელი და შეძლო გამარჯვება?

• ბერბიჭას გზავნილები მომენატრააა. კლეოპატრა.

• არავინ იცის, რა ფასად მიჯდება სიცილი... მხიარულება... ეს ხუმრობები... არავინ იცის... და ვერც ვერავინ მიხვდება... კლეოპატრა.

• მყავს ქმარ-შვილი, მაგრამ არა გვაქვს საშუალება... შეშა, თბილი ტანსაცმელი, ვცხოვრობთ რაიონში, ვართ სიღარიბის ზღვარს მიღმა. ეს სიცოცხლეა? მადლობა.

• გამარჯობა, მარ. რუისპირის და ნაომის ჩხუბს ვაკვირდები და ნაომზე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ყალბი და აფერისტი არაა. ჩემი ხმა მას. ნაომი ჩემი ფავორიტია. ლინდა.

• რუი, როგორ მომწონდი და გაფასებდი. ახლა კი... მართლაც რომ გულისამრევი ყოფილხარ.

• ნაომ, ჩემო ლამაზო, უკვე მენატრება შენი სიცილი. რა კარგი იყო, შოკოლადნარევი კოცნააას. ლეოს ახლაც სტკივა ყბა. :) უყვარს ეს გოგო გურულოოოს. ჩემი შავტუხელა ხარ.

• ისევ შენ, მე და ზღვა... ცხოვრების ჟამთასვლამ დამტოვა კვლავ. რისთვის გეძებო? მაინც არ ხარ!.. ფიქრებში შემომრჩა შენ, მე და ზღვა, ნეტავ ამ ფიქრებს რა უნდა სხვა? სალო.

• უძირო ზღვა, ლამაზი ცა. მინდა, რომ მესმოდეს შორეთის ხმა. იქ, სადაც შენა ხარ და ნეტავ, სად? სად მეკარგები, ცხოვრების გზავ? ფიქრების რიალში გეძახი კვლავ...

• სადღაც მიქრის იალქანი, მიაქროლებს მგზავრებს, იმედების, სურვილების და ცრემლების გზაზე. სად აჩერებს იალქანი, ვის მოუწევს წასვლა? ვისთან წავა, ვის გარეშე, ან ვიღასთან წავა? რას ხმაურობს იალქანი, რა აწუხებს ნეტავ? ვიღაც ხარობს, ვიღაც ტირის, ღამეს ათევს თეთრად. მიქრის, მიქრის იალქანი, ეხეთქება ტალღებს. ზოგს გაიყვანს სამშვიდობოს, ზოგიც რჩება ზღვაზე. ტანო.

• მას შემდეგ, რაც წამოვიზარდე და ჩემთვის ალკოჰოლის მიღება რეკომენდებული გახდა, წრუწუნასავით ძალით რომ არ ჩამასხან პირში, ჩემი ნებით ვსვამ. სიმთვრალეც არაჩვეულებრივი მაქვს... ყველას ვკოცნი და ვეხუტები, იმის მიუხედავად, ვიცნობ თუ არა. ამ არაჩვეულებრივობაში შედის ისიც, რომ ისეთი რამის თქმა და გაკეთება მინდა, რასაც სხვა დროს არ გავაკეთებ. ამიტომაცაა, რომ ჩემი მეგობრები მონდომებით ცდილობენ ჩემს დათრობას (ცნობისთვის, 3-ჭიქიანი ვარ). იქ სიყვარულის სადღეგრძელოო... იქ მეგობრობისო... იქ, ვინც გვიძმოს და გვიდოსო... უფრო სწორად, დობა გაგვიწიოსო... და მეც მეტი არ მინდა. ჩემ მიერ წარმოთქმულ ფრაზებსა თუ საგმირო საქმეებს, მეორე დღეს მეგობრები სიცილ-ხარხარით განიხილავენ. მე კი სირცხვილისგან სახეზე ნაირ-ნაირი ფერი გადამდის და გადმომდის. ერთხელაც, ასევე ნასვამ მდგომარეობაში მყოფი, სტუმრად მივდიოდი. ნათესავთან ჩემთვის უცხო გოგონა დამხვდა. რამდენიმე დღის შემდეგ ეს გოგო ისევ შემხვდა... გადამეხვია კარგი ნაცნობივით. როგორ მიყვარს შენნაირი თამამი გოგონებიო, მითხრა. აბა, სად მე და სად — სითამამე? კიდევ ერთხელ გავიწურე სირცხვილისგან. უხერხულ მდგომარეობას მეგობრის დახმარებით დავაღწიე თავი, როცა შემახსენა, რომ ის გოგო მაშინ გავიცანი, როცა ღვინით ვიყავი შეჟუჟუნებული. ზემოთ ხსენებულმა და კიდევ მრავალმა სხვა, სიმთვრალეში ჩადენილმა შეცდომამ ვერ მასწავლა ჭკუა და მამიდაშვილის შვილის ნათლობაზე, რეკორდი მოვხსენი და 7 ჭიქა დავლიე. ალბათ ადვილად წარმოიდგენთ, რა დღეშიც ვიქნებოდი... ლოგინამდე ძლივს მივაღწიე და ნახევრად გათიშული, სახით დავემხე საწოლზე. უეცრად, ყველასთვის ნაცნობი და საყვარელი ლიკა ქაჯაია შემეხმიანა და მითხრა, შენი დაწერილი ერთ-ერთი ლექსი მომწერეო. ვაიმე, ჩემო თავო, უბედურო! როგორ გინდა

მსოფლიო ლიტერატურის მოთხრობები ლიტერატურის მოყვარულებისთვის!

ჟურნალ „რეიტინგთან" ერთად




**21 თებერვლიდან - ტომი №5**

**მთხრობელი - რიუნოსკე აკუტაგავა**

**ფასი ... 2 ლარი!!!**

28 თებერვლიდან
ტომი №6 - ჯეკ ლონდონი

ახლა ლიკა ქაჯაიას უთხრა, ნასვამი ვარ და ჩემი ლექსი ზეპირად არ მახსოვს-მეთქი? სირცხვილმორეული გავვარდი სტუმრებთან, დახმარება მათ ვთხოვე, მაგრამ ვერც ერთმა ჩემი ლექსი ზეპირად ვერ გაიხსენა, ისევე, როგორც მე. ამასობაში ბიძაჩემმა მომაკითხა და მანქანით შინ წამიყვანა. გეფიცებით, არ მახსოვს როგორ, მაგრამ სახლში რომ მივედი, ლიკასთვის უკვე მიწერილი მქონდა ლექსი. მაშინ ისე შემრცხვა, ახლაც მახსოვს, როგორ გამაცხელა ტანში... იმის მერე ვისწავლე ჭკუა და თუ ძალიან საჭირო არ გახდა, სასმელს პირს არ ვაკარებ. ველარც მეგობრები მაბრაზებენ და არც უხერხულ სიტუაციებში ვვარდები. ამას წინათ, მეგობარმა ბიჭმა მკითხა, როგორი სიმთვრალე გაქვსო? რომ ვუთხარი, სიყვარულის ბუშტი მისკდება, ყველას ვკოცნი და ვეხუტები-მეთქი, იმის მერე ჩემს დათრობას ცდილობს, მაგრამ ვერ მოგართვი, ვაჟბატონო! მუდამ თქვენი ლუნა.

• მარ, ნუ მოიშლი ნერვებს, ნურავის გამო, გთხოვ. ზოგჯერ ცდებიან ადამიანები. რას ვიზამთ. გკოცნი. ლუნა.

• დილა მშვიდობისა, მარიამულო! მადლობა, სიხარულო, ყველაფრისთვის! იმედია, უკვე კარგად ხარ! ლამაზ დღეს გისურვებ, მარ! მიყვარხარ. შენი ლუნა.

• ფიქრებს სევდიანს, გულს ტკივილიანს, როგორ მოსწყურდი ახლა... ფიქრმა შენ გარეშე დაღალულმა, მაინც ვერ შეიგრძნო დაღლა... შენი ნაპირები რომ ვერ მივაგენი, მიტომც სევდიანი ვდგავარ, შენთან რომ მოვიდე, მეშინია, იქნებ ვერც კი მიცნო, ვინ ვარ... შენ რომ სიყვარული არ შემინდო, შენ რომ ოცნებები ვერ გამიგო...

• ვერ დაგივიწყე, რადგან მე შენში უკვე ვიპოვე მარადისობა, მე უშენობა არ შემიძლია, როგორც მთაწმინდას, უთბილისობა. კამელიას. ძალიან მიყვარხარ. გრუზინკა.

• გამარჯობააა. ეეე, გერასიმე, ძალიან ჩამწყვიტა გული შენმა ამბავმა. მათთან ერთად ვიყავი, მაგრამ ვერაფერი ვუშველე. მშობლების დაკარგვა დიდი ტკივილია. თიკოელო.

• ბათოს ამბავი ძალიან გულის ამაჩუყებელია. მასეთ ქალს ღმერთი არ აპატიებს, მეგობარო. მარა საჯაროდ ამის დაწერა ჟურნალში სწორად არ მიმაჩნია, რადგან უამრავი უღირსი ქალი ისარგებლებს თქვენი სიკეთით. აღარ უნდა მოგიკლან გული, ასე სასტიკად. ჯობია, სხვა გზით გაიცნოთ ვინმე. წარმატებებს და ყველაფერს საუკეთესოს გისურვებთ. გრუზინკა.

• რაც ცაში თოვლის ღრუბელი იყო, ყველამ ხარაგაულის თავზე მოიყარა თავი. იმხელა თოვლია, ხალხი რომ დადის, მარტო თავები ჩანს. აბა, მოსიარულე თავების მნახველებს გელიით. მია.

• ჩემზე უბედური ადამიანი არა მგონია, არსებობდეს. ვიფიქრე, თბილისის ხმაურს გავექცევი, პაწას დავისვენებ სოფელში (ხარაგაულში), თოვლს ვნახავ-მეთქი და ვნახე კი არა, ლამის დამახრჩოს თოვლმა და ზაფხულამდე ვერც მიპოვიან. ისეთი სიწყნარეა, ფიფქების რახარუხის ხმაც კი ისმის. ასეთ დასვენებას თუ აპირებთ, გირჩევთ, სასწრაფოდ გადაიფიქროთ. მია.

• მადლობა უფალს, გამაჩნია ბედი, ძალმიძს მოვიხარო ქედი, რადგან შემიძლია ვიყვირო — დედი! განა ამას არ უნდა ბედი?! ჩვენი პირველი სიტყვა ხომაა დედი? როდესაც გვტკივა, ხომ ვყვირით — დედი! ყველასთვის ხომ არის ერთგული, როგორიც მტრედი? ყველასთვის ხომ არის ლამაზი, როგორიც გედი? მე მაქვს ბედი, რადგან ამაყად შემიძლია მოვიხარო ქედი და ხმის ჩახლეჩამდე ვიბღავლო: მე შენ მიყვარხარ, დედი! P.S. 18-12, ჩემი მუზა, ყველაფერ სიამოვნების მომნიჭებელს ჰქვია. ასე რომ, ბევრსახელიანია. შესაძლებლობა კი აუცილებლად არის, რადგან თქვენში სასიამოვნო ურთიერთობისუნარიან ადამიანს ვუმზერ.

• აუტანელ, პირადად ჩემთვის, კომპლიმენტი საჩუქარს უდრის, დიდსირმიანი მადლობა, საჩუქრისთვის!

• P.P.S. არ ვიცი, რატომ ჰქვია არასასწრაფოდ მოსულ სასწრაფოს კვლავ სასწრაფო, ასევე ვეჭვობ, რომ უინტერესოა, როდესაც არასაინტერესო ინტერესებით არის დაინტერესებული ინტერესის საინტერესო ორგანო, მაგრამ ვიცი, რომ თუ ხარ ცხოვრებით ბომჟიკი და ლოთი, ესე იგი არ გყვარებია კორჟიკი და შოთი. ჩემს მეზობელს კი ჰქვია ხატია, ალბათ უაზრო აზრიანი ფიქრები თავის ბაშკაში დატია, ამიტომ სახე აქვს თითქოს ჩერნობილის მუტაციაგანცდილი ბატია! :) მისტერ.

• მარი, მგზავნილების ხატად ქცეულო ჟურნალისტო, გულისფანცქალით ველოდე შენს დაჯილდოებას, მაგრამ იმედი გამიცრუვდა. ძალიან მეწყინა, რადგან შენი შემოქმედებით ცოცხალი სამყაროს სამკაულ ხარ. რითიც უამრავ მკითხველს შეაყვარე თავი და აღაფრთოვანე. გააკეთე ის, რაც საქართველოში არც ერთ ჟურნალს არ ღირსებია: ჟურნალში ჟურნალი შობე და ამ რუბრიკას „გზავნილები“ უწოდე. პიონერი ხარ ამ საქმეში. აბა, რომელ ჟურნალს აქვს ასეთი რუბრიკა? არც ერთს! მარტო ამიტომ გეკუთვნოდა ჯილდო. მგზავნილთა არმია თქვენზე ლოცულობს, რომ შენ ყველას მიეცი შესაძლებლობა, ჟურნალ „გზში“ თავისი აზრისა და ჩანაფიქრის ფიქსირებისა. განა ეს ცოტაა? „გზა“ მრავალტირაჟიანი ჟურნალია, იგი პოპულარულია არა მარტო საქართველოში, არამედ — საზღვარგარეთაც. ამას ხომ დანახვა და დაფასება უნდა! ხანდაზმული მგზავნელი გახლავარ, 82 წლის და ჩემს სულიერ საზრდოს ეს ჟურნალი წარმოადგენს. ლამის ჟურნალისტთა კავშირს მივწერო შენ შესახებ. არ ვიცი, შენი ნებართვის გარეშე ვერ ვიმოქმედებ. შენით მოხიბლული ნანი დუმბაძე.

• მგზავნელებო, ყველა ძალიან მენატრებით. „გზას“ ცალი თვალით ვკითხულობ. მინდა შემოგთავაზოთ ტარიელ ჭანტურიას ლექსი — „გადამთიელებს“, რომელსაც მე ჩვენს დიდ მეზობელს (რუსეთს) ვუძღვნი: გსურთ წაბილწვა ქართული, მიწისა და ცის? ხელებს ნუ აფათურებთ, აბა, აბა, ციც! საქართველოს ბუნება ხელს მიტომა შლის, ასი საუკუნეა, სისხლი მიტომ გვდის, რომ შენ დაგრჩეს მშვენება ამ მიწის და ცის?! სხვას არაფერს ინებებ? აბა! აბა! ციც! ნანი დუმბაძე.

• P.S. ნაომი, ჩემი ტკბილი გოგონა, შენმა სასიამოვნო ობერტონებით მდიდარმა ხმამ იმდენად მომხიბლა, სათქმელი დამავიწყდა. დიდი მადლობა, ჟურნალში ნომინაციებში გამარჯვებულად რომ მაღიარე. მესიამოვნა, მაგრამ შენმა ხმამ გამაოცა. წლების განმავლობაში მეტყველების კულტურას ვასწავლიდი და ასეთი ხმა არ მსმენია. ალბათ ლამაზი ხარ და კოხტა ბაგე გაქვს, ასეთი ხმა რომ ამოგდის. თითქმის ყოველდღე გირეკავ, არ მპასუხობ, სად ხარ? სად დამეკარგე? ნანი დუმბაძე.

• ცხოვრება პატარა წიგნს წააგავს. მისი ფურცლები ისე სწრაფად იშლება, რომ წაკითხვასაც ვერ ასწრებ. დღეები მიდიან და ფურცლებიც ნაწერით ივსება. გაივლის ჟამი, მოხუცდები და წიგნიც ბოლომდე შეივსება. აიღებ წიგნს და თვალს გადაავლებ შენს ცხოვრებას. ჯერ დაფიქრდები, სარჩევს თითს ჩააყოლებ, ნახავ გვერდს და დაიწყებ კითხვას. კითხულობ და თვალზე ცრემლი გადგება. ფიქრობ, რა უცებ გასულა სიცოცხლე, რა მალე შევსებულა ცხოვრების ფურცლები... ფურცელს გადაშლი, დაჭმუჭნილი და ჩაკეცილი ფურცელი შეგხვდება. ეს ხომ შენი ცხოვრების ყველაზე მტკივნეული გვერდია?! ჩაკეცილს გაასწორებ და ფურცვლას განაგრძობ. იფიქრებ, დრო გავა და როგორმე გასწორდებაო, მაგრამ ნუ გეგონება, რომ სანამ წიგნის ბოლოში გახვალ, გასწორდეს... ვერა, მეგობარო, ვერა! ისევ განაგრძობ კითხვას, გადააწყდები სანიშნს, დაგაინტერესებს და გვერდს ჩაიკითხავ, გაგეღიმება, ნოსტალგიაც შემოგაწვება და დანანებით იტყვი — ეჰ, რა დრო გასულა?! ცრემლსაც მოაყოლებ... ახლა სხვა გვერდზე გადაშლი, თავს გააქნევ და ჩაიბუტბუტებ — „წუთისოფელო, რა უსამართლო ხარ“, — და შემდეგზე გადახვალ. აქ ღმერთს მადლობას

შესწირავ ბედნიერებისთვის. წიგნის ბოლოში ცხოვრების ანალიზს წაიკითხავ, დაითვლი ბედნიერი ცხოვრების ფურცლებს, შემდეგ კი მტკივნეულს, ბოლოს შეაჯამებ. დაინახავ, რომ ბედნიერი ჭარბობს და ამაყად წამოიძახებ — „შეჩერდი, წამო, რა მშვენიერი ხარ!“

• მე შენ სიხარულს გაჩუქებდი, არ დამენანებოდა შენთვის ჩემი სიცოცხლე. მე ვინატრებდი შენზე ადრე სიკვდილს, რათა არ მენახა შენი გარდაცვალება. ჩვენ ერთად გავათენებდით გრძელ ღამეებს ზღვის პირას, ჩახუტებულები და ათრთოლებულები. მე შენ იმ ზღვასაც გაჩუქებდი, თავის ტალღებიანად. დილით ჩვენ ერთად შევხვდებოდით მზის ამოსვლას და ის მზეც შენი იქნებოდა და შენ ორი მზე გეყოლებოდა, ის და მე. ერთად ვივლიდით, ქვიშიან სანაპიროზე ფეხშიშვლები და ჭრელ ნიჟარებს მოვაგროვებდით. დაღლილები იქვე ჩამოვსხდებოდით და დიდხანს, უსიტყვოდ ვისაუბრებდით ერთმანეთზე მიყრდნობილები. გაზაფხულის სისხამ დილას შენ მე იასამნების დიდ თაიგულს მომიტანდი, პირველი იასამნების თაიგულს და ამ თაიგულით ხელში საყვარლად გამიღიმებდი და ჩაგეჩხვლიტებოდა მარჯვენა ლოყა ისე, მე რომ მიყვარს. ჩვენ ერთად ვუყურებდით მთვარეს და ამ მთვარიან ღამეებში ერთად ვივლიდით მთელ ქვეყანაზე. და არავინ იქნებოდა ჩვენ ირგვლივ, მხოლოდ მე, შენ და მთვარე. ჩვენ ერთნი ვიქნებოდით და არასოდეს დავშორდებოდით ერთმანეთს. ზამთრის ცივ ღამეს შენი სითბო გამაღვიძებდა და ჩვენ დავტოვებდით პირველ ნაფეხურებს ახალმოსულ, ფაფუკ თოვლში. მერე მე იმ თოვლში დავწვებოდი და ანგელოზს მოვხაზავდი, შენ კი შენი საყვარელი ღიმილით მეტყოდი, ანგელოზმა ანგელოზი დახატაო. ჩვენ ერთად ვივლიდით უღრან ტყეებში და ღამით, მგლების ყმუილით შეშინებულს, შენი ჩახუტება დამამშვიდებდა და შენი თბილი ხმა ჩამაძინებდა. სიცივისგან აკანკალებულს რომ დამინახავდი, შენს ქურთუკს გაიხდიდი, მომახურავდი და გალურჯებული ტუჩებით მეტყოდი, მე სულ არ მცივა, შენ გქონდესო. მე კი მეცოდინებოდა, რომ შენ ჩემზე მეტად გციოდა და სიხარულის ცრემლი მომადგებოდა თვალზე, რადგან ვნახავდი, თუ როგორ ზრუნავ ჩემზე. გადასასვლელზე გადასვლისას პატარა ბავშვივით ხელს მომკიდებდი და ისე გადამიყვანდი, მერე საფეთქელთან მაკოცებდი და გამიცინებდი. შენ მე შუა ზამთარში იებს მომიტანდი და მე კვლავ მომადგებოდა სიხარულის ცრემლი, რომელსაც შენ არ დაგანახვებდი. დილით ჩემს საწოლთან, პატარა კალათით, ფუმფულა, წითელბაფთიან ლეკვს დამახვედრებდი სველი დრუნჩით და მერე ერთად ვიხალისებდით მის სისულელეებზე, ერთად გავასეირნებდით და ერთად ვინერვიულებდით, როცა ავად გახდებოდა. მე შენ ჩემი ხელით მოგიქსოვდი თბილ შარფს, ცივ ზამთარში რომ არ გამცივებოდი და არ გეწვალა. მე შენ გაჩუქებდი ღიმილს, რომლის დანახვაზე შენც გაგეღიმებოდა. ვიცი, ზოგჯერ ვიჩხუბებდით და ისიც ვიცი, რომ ხშირად ეს ჩემი ბრალი უფრო იქნებოდა, ვიდრე შენი. მერე შენ დამიყვირებდი, მაგრამ როცა ჩემს აკანკალებულ ნიკაპს და ცრემლიან თვალებს დაინახავდი, ყველაფერს დაივიწყებდი, მომვარდებოდი, მაგრად, ძალიან მაგრად ჩამეხუტებოდი და ბევრს მაკოცებდი. როცა ვიღაც გოგოზე მე პატარა ბავშვივით ვიეჭვიანებდი, შენც ბავშვივით გამიღიმებდი და მეტყოდი, რომ მე ვარ შენთვის ერთადერთი და განუმეორებელი; ჰოდა, მეც დავმშვიდდებოდი და შერცხვენილი გაგიღიმებდი. ზოგჯერ მე შენ ცუდად მოგექცეოდი და მაშინ შენ მე ისეთი თვალებით შემომხედავდი, რომ მაგ მზერის ატანას სიკვდილს ვამჯობინებდი და მე თავს დავხრიდი დამნაშავე ბავშვივით. შენ მე ბევრ, ძალიან ბევრ ფუმფულა სათამაშოს და ფერად-ფერად ბუშტს მომიტანდი და მეც პატარა გოგოსავით გადავირეოდი სიხარულით. როცა გავიბუტებოდი, შოკოლადის კანფეტს მომცემდი და მეც ყველაფერი მაშინვე დამავიწყდებოდა. შენ ჩემთვის ყველაფერი იქნებოდი. ჩვენ ერთად ვუყურებდით ვარსკვლავებს და თითოეული მათგანის ჩამოვარდნის სურვილს ჩავუთქვამდით. მე შენს ბედნიერებას ვინატრებდი, შენ — ჩემსას. ზაფხულის ცხელ დღეებში ერთად ვიწუწავებდით ცივი, კამკამა წყლით, მაგრამ შენ მე ბოლომდე დასასველებლად ვერ გამიმეტებდი. ჩემს სველ თმას შენი თბილი ხელებით გადამიწევდი სახიდან და მაკოცებდი ნაზად. მერე მე საქანელას დავინახავდი, დავჯდებოდი და შენც დიდხანს, ძალიან დიდხანს მაქანავებდი და მე ბედნიერი ვიყვირებდი, რომ მე მივფრინავ, რომ მე ფრთები მაქვს. შენ ეს სიტყვები ძალიან შეგაშინებდა, ჩამომსვამდი, მაგრად, ძალიან მაგრად ჩამეხუტებოდი და მეტყოდი, რომ მე ბავშვი ვარ, სულელი ბავშვი. როცა ავად გავხდებოდი, შენ ჩემზე ინერვიულებდი და ღამით ვერ დაიძინებდი, მაგაზე კი მეც ვინერვიულებდი და აღარც მე აღარ დამეძინებოდა. ჩემს დაბადების დღეზე სიშავემდე წითელი ვარდების უზარმაზარ თაიგულს მომიტანდი და მე სიხარულით ხტუნვას დავიწყებდი. შუა ქუჩაში გამაჩერებდი, ათი ნაბიჯით დამშორდებოდი, მთხოვდი, — სამამდე დაითვალე და მერე ჩემკენ გამოიქეციო; ხელში ამიტაცებდი და დამაბზრიალებდი თოჯინასავით. ჩემი თმით ითამაშებდი და მეტყოდი, რომ მათი სურნელი მთელ ცხოვრებასაც კი გირჩევნია. შენ მე მეტყოდი... მიყვარხარ... და მერე... მერე მე გამომეღვიძებოდა და მივხვდებოდი, რომ ეს ყველაფერი სიზმარი იყო, მხოლოდ და მხოლოდ ლამაზი სიზმარი...



## გილოცავ!

• იაკუნა, ჩემო ულამაზესო და ჭკვიანო გოგო, 14 თებერვალს გილოცავ დაბადების დღეს. ნათელ მომავალს, ჯანმრთელობას და სიკეთეს გისურვებ. დედიკო.

• მარი გრძელიძე, გილოცავ დაბადების დღეს. ჩემო პატარა ფერიავ, გისურვებ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს. გფარავდეს წმინდა მარიამი. გკოცნის, შენი მამიკო მალხაზი.

• მარი გრძელიძე, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ღვთის წყალობას და ულევ, ლამაზ დღეს. გკოცნით, მამუკა, ირმა, მანანა, ვალერი.

• მარი გრძელიძე, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ია-ვარდებით მოფენილ გზაზე სიარულს. გკოცნით მამამა, ბუდუნა, გიორგი, ლევანი.

• სვეტა ჯავახაძე, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯამრთელობას და ულევ სიხარულს. გფარავდეს ღმერთი. გკოცნით, ნატო და მანანა.

**„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.**

# ტაიმ-აუტი

## ფენ-შუი — აქსესუარები და ფერების ენერგია

**ფენ-შუის სპეციალისტების აზრით, ტანსაცმლის ამორჩევა ადამიანს სიყვარულს, მატერიალურ კეთილდღეობას და ბიზნესში წარმატებას მოუტანს.**

* თეთრი ფერის სამოსს ადამიანის ცხოვრებაში სიხარული მოაქვს და იმედით ალავსებს. თეთრი სისუფთავისა და სინაზის ენერგიის მატარებელია. პაემანზე სასურველია ამ ფერის სამოსით წახვიდეთ.

* წითელი ფერი სიცოცხლის ხალისსა და ენერგიას შეგმატებთ. თუ ამ ფერის ტანსაცმელი არ გიყვართ, ჩაცმულობაში წითელი აქსესუარი — ჩანთა, ქუდი, ქამარი — გამოიყენეთ.

* სულიერად აგამაღლებთ და განწყობილებას გაგიუმჯობესებთ ვარდისფერი და ფორთოხლისფერი.

* თუ თავს შეუძლოდ გრძნობთ (ცივდებით ან მელანქოლიამ შემოგიტიათ), მწვანე ფერის სამოსი ჩაიცვით.



* ცისფერი გრძნობების გაკონტროლებაში დაგეხმარებათ. ამ ფერის ტანსაცმელი უმჯობესია, საქმიან შეხვედრებზე გეცვათ.

* შავი ფერი მარტოობასა და მწუხარებასთან ასოცირდება. ეცადეთ, იშვიათად გეცვათ ამ ფერის სამოსი. თუ გამოუვალი სიტუაცია გაქვთ, შავი ფერის ტანსაცმელზე ყვითელი ან წითელი აქსესუარი გაიკეთეთ.

### აქსესუარები თქვენი სტიქიის მიხედვით შეარჩიეთ

* ხის სტიქიის ადამიანებმა უმჯობესია მწვანე, ცისფერი, შავი და ყვითელი ფერისა და ხის სამკაულები ატარონ.

* ცეცხლის სტიქიის ადამიანებს ტყავისა და ბეწვის აქსესუარები მოუხდებათ. ფერებიდან — ფორთოხლისფერი და ყვითელი.

* წყლის სტიქიის ადამიანებს ცისფერი, ვერცხლისფერი, თეთრი, ოქროსფერი აქსესუარებისა და მინისა და ნიჟარების სამკაულებს ვურჩევთ.

* მეტალის სტიქიის ადამიანებმა ვერცხლისა და ოქროს სამკაულები უნდა ატარონ. ფერებიდან — ცისფერი, თეთრი, ყვითელი და მწვანე.

* მიწის სტიქიის ადამიანებს ნატურალური თვლებით შემკული სამკაულების ტარება მოუწევთ. მათზე დადებითად მოქმედებს წითელი ყვითელი და ფორთოხლისფერი ფერები. ■



# „გამომცემლობა პალიტრა L“-ის ახალი წიგნები

## ჩემი პირველი დღიური



პირველი დღიური დაბადებიდან სკოლამდელ ასაკამდე. შეავსეთ ალბომი თქვენი პატარას ცხოვრების მნიშვნელოვანი დეტალებით: ფოტოებით, გამოთქმებით, ნახატებით... მრავალი წლის შემდეგ კი ერთად გაიხსენებთ, როგორ დაიწყო ყველაფერი...

ფასი: 14.99

## მოეფერეთ პატარას

ხმოვანი წიგნი



ამ ხმოვან წიგნს, პატარები მაშინვე შეიყვარებენ. მხიარული ხმები კი, რომელსაც ჩანართების გადაშლისთანავე გაიგონებთ, ბავშვებს და მათ მშობლებს მეტად გაახალისებს.

ფასი: 15.99

## იყავი ყურადღებიანი



ეს წიგნი თქვენს პატარას გულისხმიერებას, თანადგომასა და სიკეთის კეთებას ასწავლის. წიგნის წაკითხვის შემდეგ ისინი თანატოლების მიმართ უფრო ყურადღებიანები, უფრო მზრუნველები გახდებიან.

ფასი: 8.99

## თქვი სიმართლე



ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ ბავშვები მიხვდებიან, თუ რა ცუდი შედეგი შეიძლება მოჰყვეს ყველაზე უწყინარ ტყუილსაც კი, რატომ არის ტყუილის თქმა ცუდი საქციელი და რატომ არის საჭირო სიმართლის თქმა ყველგან და ყოველთვის.

ფასი: 8.99

## დედამიწის საოცარი ადგილები



ამ წიგნის დახმარებით, იმოგზაურებთ დედამიწის გარშემო, დატკბებით ჩვენი პლანეტის მშვენიერებით. იხილავთ: საჰარის უდაბნოს, ავსტრალიის ქვის ტყეებს, ისლანდიის გეიზერებს... ბუნებრივი ფოტოების საშუალებით ახლოდან შეიგრძნობთ ამ საოცარ ადგილებს.

ფასი: 16.99

## ჭიამაიას გაკვეთილები



გადაშალეთ წიგნი და გაჰყევით ჭიამაიას... თითოეულ გვერდზე დასმული კითხვები კი პატარებს გაახალისებს და სიამოვნებით უპასუხებენ.

ფასი: 7.99

## დათუნიას ძილის დროა



წიგნი ყველაზე პატარებისათვის, სადაც მოთხრობილია დედიკო დათუნიასა და მისი ბელის ამბავი, რომელიც პატარებს ძლიერ გაახალისებს.

ფასი: 7.99

## გრანდიოზული ნაგებობები



წაიკითხეთ ეს წიგნი და გაიგეთ, როგორ შენდებოდა პირამიდები, ტაძრები, აკლდამები, ცათამბჯენები, კაშხლები, კოსმოსური სადგურები და სხვა გრანდიოზული ნაგებობები... შეიტყვეთ ამ ნაგებობებთან დაკავშირებული საიდუმლოებები.

ფასი: 16.99

## ინტელექტი დანაშაულის წინააღმდეგ



ამ წიგნიდან თქვენ შეიტყობთ, როგორ ხდება დანაშაულის გამოძიება. რა არის ბალისტიკა, კიბერდანაშაული, რით იხსნება უჩვეულო და დაუჯერებელი მოვლენები! როგორ კვეთენ გვამს, რას იკვლევენ დნმ-ის ანალიზით...

ფასი: 16.99

წიგნები სახლში მიტანით ფასნამატის გარეშე ტელ.: 38 26 73; 38 26 74 www.elva.ge

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში!

# „წიგნებისადმი ინტერესი დღემდე არ გამნელებია“

**„როგორც მონტენი ამბობდა: ადამიანს ყველაფრის მიმართ ცოცხალი ინტერესი უნდა ჰქონდეს. წიგნებისადმი ინტერესი ადრეული ბავშვობიდან გამიჩნდა და მოხარული ვარ, რომ დღემდე არ გამნელებია,“ — მითხრა 24-ე საჯარო სკოლის დირექტორმა გია მურღულიამ. ის „ერუდიტში“ სტუმრობაზე სიამოვნებით დამთანხმდა, ინტერვიუს ჩასაწერად მისულს კი მითხრა: „ჩემს მოსწავლეებს ვეუბნები — ასაკში შესვლას ერთი უპირატესობა აქვს, გამოცდებზე აღარ გავდივართ-მეთქი. დღეს ამ უპირატესობით, როგორც ჩანს, ვერ ვისარგებლებ“.**

*თამუნა კვინიკაძე*



## პრეამბულის მაგიერ

— **წიგნების სიყვარული ვინ ჩაგინერგათ?**

— კითხვა ბავშვობიდან მიყვარდა, ოჯახში ყოველთვის წიგნის კულტი იყო. კარგი ბიბლიოთეკა გვქონდა...

— **აბა, წიგნის მოპარავა არ დაგჭირდებოდათ.**

— (*იცინის*) ჯერ მითხარით, ეს ცოდვაა თუ არა?

— **გააჩნია, ვის მოჰპარავთ.**

— მართალია, ყოფილა შემთხვევა, როცა ჩემი მეგობრის სახლში, კარგი წიგნი მინახავს და მიკითხავს, აქვს თუ არა ის წაკითხული? თუ წაკითხული არა აქვს, ვეუბნები: უნდა წავიღო, იცი, როგორ მჭირდება? ზოგჯერ მიძალიანდებიან, მაგრამ ჩემი ხშირად გამაქვს. ისე, წიგნი ჩემთვისაც არაერთხელ მოუპარავთ...

— **მერე ეს არ გაღიზიანებთ?**

— მაღიზიანებს კი არა, ლამის შემომაკვდეს. ზოგჯერ არ ვიცი, ვის აქვს წაღებული, ამიტომ, თქვენი ჟურნალის საშუალებით ყველას მივმართავ: ვისაც რაიმე წიგნი გაქვთ ჩემგან წაღებული, უკან დამიბრუნეთ!

— **ლიტერატურული პერსონაჟებიდან, რომელთან იმეგობრებდით?**

— ოო! მე ძვირფასი ლიტერატურული გმირების სადღეგრძელოს ვსვამ ხოლმე... ბავშვობაში „საიდუმლო კუნძულიდან“ სმიტი მომწონდა, ასევე ათოსი — „სამი მუშკეტერიდან“ (მომწონს დიუმას თხრობის სტილი). მიყვარს ავთანდილი „ვეფხისტყაოსნიდან“. არაფერი ადამიანური მისთვის უცხო არ არის. ის იდუმალი პერსონაჟია, მასთან დაკავშირებით, ერთი სკანდალური აზრი გამიჩნდა და ამ თემაზე ერთ მშვენიერ დღეს წერილს დავწერ და სათქმელსაც იქ ვიტყვი.

— **1931 წელს, ეს მწერალი, მწერალთა ფედერაციამ, ორგანიზაციის რიგებიდან ერთხმად გარიცხა. „ცნობილია, როგორც რეაქციონერი და ანტისაბჭოთა მწერალი, რომელიც ამ 10 წლის განმავლობაში განუწყვეტლივ იბრძვის მხატვრული პროდუქციით და ზეპირი გამოსვლებით ფეოდალური თავადაზნაურული იდეოლოგიის, შოვინიზმისა და „შავი ჩოხის“ ტრადიციის დასაცავად. თავისი გამოსვლებით მან არაერთხელ საზოგადოების ზიზღი და სიძულვილი დაიმსახურა... პოლიტიკურად მავნე მხატვრულ ნაშრომებს აქვეყნებს და თავისი პოლიტიკური მავნებლობით ამაყობს მწერლობაში და საბჭოთა საზოგადოების წინაშე,“ — ვკითხულობთ გარიცხვის ოქმში. დაასახელეთ ეს მწერალი.**

— ძნელი მისახვედრი არ არის. ლაპარაკია კონსტანტინე გამსახურდიაზე.

— **ვინ არის ავტორი ლექსისა — „მე პატარა ქართველი ვარ“?**

— დუტუ მეგრელი.

— **1958 წლის ფეხბურთის მსოფლიოს ჩემპიონატზე, საბჭოთა კავშირისა და ბრაზილიის ნაკრებებს შორის გამართული მატჩის დროს, ერთმა საბჭოელმა ფეხბურთელმა, თავისი ფანტით, პელე ისე ოსტატურად მოატყუა, ბრაზილიელი ვარსკვლავი მოედანზე გაჩერდა და სიცილი აუტყდა, მერე ამ ფეხბურთელს დაეწია, ზურგზე შეახტა და აკოცა. დაასახელეთ ეს ფეხბურთელი.**

— ასეთი მოძრაობებით მიშა მესხი იყო ცნობილი, თუ კარგად მახსოვს, ეს მატჩი შვეციაში გაიმართა.

— **„მეფეებივით ფიქრობენ მთები.../ ღამე სველ ფეხებს კოცონთან ითბობს.../ მთვარეს მისდევენ მშიერი მგლები.../ მთვარემ არაგვში შეასწრო თითქოს.../ ისე მაკლიხარ, ისე მომწყურდი —/ ლამის არაგვი შევსვა პეშვებით,/ ერთი ხევიდან ძლივს ამოსული,/ უფრო უარეს ხევში ვეშვები...“ ვინ არის ამ სტროფის ავტორი?**

— ძალიან ნაცნობია, ტიციანის ხელწერას ჰგავს, მაგრამ ვიცი, მას არ ეკუთვნის. თუ შეიძლება, კითხვა გამიმეორეთ. (*გამეორების შემდეგ*) „განწყობით“ ოთარ ჭილაძეს ჰგავს.

— **გამოიცანით.**

— ოთარ ჭილაძე ჩემთვის უფრო დიდი პოეტია, ვიდრე — პროზაიკოსი.

— **საუდის არაბეთში ამის მოპოვება უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე — ნავთობის. რაზეა ლაპარაკი?**

— (*ფიქრობს*) მტკნარ წყალზე.

— **ოსკარ უაილდის აზრით: „ის ფილოსოფიაზე უფრო გონიერი და ძალაუფლებაზე უფრო ძლიერია. მისი ფრთები ალისფერია, როგორც ცეცხლი ისეთია მისი სხეული, ბაგენი მისი თაფლივით ტკბილია და სუნთქვა მისი საკმეველივით სურნელოვანი“. რის შესახებ წერდა ასე ოსკარ უაილდი?**

— ოსკარ უაილდი ცოტა უცნაური კაცი იყო, ამ სიტყვებს რაზე იტყოდა, თუ არა სიყვარულზე.

— **წამში ერთხელ არის, წუთშიც ერთხელ, თვეში არ არის და წელიწადში ორჯერაა. რაზეა ლაპარაკი?**

— (*იცინის*) როგორ? გამიმეორეთ. (*გამეორების შემდეგ*) ასო წ-ზე.

— **„უწიგნოდ თვალსაწიერის ისარი მოკლეა“. ვის ეკუთვნის ეს გამონათქვამი?**

— ილია ჭავჭავაძეს.

— **ეს მუსიკალური საკრავი ორნაირია, ენიანი და უენო. დაასახელეთ იგი.**

— პასუხის გაცემა მიჭირს.

— **მიგანიშნებთ, ის ჩასაბერი ინსტრუმენტების ჯგუფს განეკუთვნება.**

— სალამური ხომ არა?

— **დიახ, ერთი ქართული ანდაზა გვეუბნება: „ახალ კიტრს და ახალ ამბავს ძვირად ნუ იყიდი, მალე ...“**

— ეს ანდაზა არ მახსოვს.

— **„... მალე გაიაფდება“. ვინ შეარქვა ლუკა რაზიკაშვილს ვაჟა-ფშაველა?**

— სამწუხაროდ, ამ კითხვაზე ვერ გიპასუხებთ.

— **პეტერბურგში ყოფნისას, მეგობარმა — დიმიტრი ცისკარიშვილმა მწერალს ეს ფსევდონიმი შეარქვა.**

— დავიმახსოვრებ.

— **1801 წლის 12 სექტემბერს სომხეთის ეკლესიამ კათოლიკოს — იოსებ არღუნტინსკის მეთაურობით, თბილისში პარაკლისი გადაიხადა. რატომ?**

— როგორც თარიღი „მკარნახობს“, ამ დღეს გამოქვეყნდა მანიფესტი — ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შესახებ. მათ პარაკლისი ალბათ საქართველოს, როგორც სახელმწიფოს მოსპობის გამო გადაიხადეს.

— **აკაკი შანიძის „მთის კილოთა ლექსიკონის“ მიხედვით, როგორ ადამიანს უწოდებდნენ ფშავში უბედოს?**

— ალბათ, დაუქორწინებელს.

— **ცდებით, უბედოს უძეოდ გარდაცვლილს უწოდებდნენ. რა ჰქვია დღისა და ღამის გათანაბრებას?**

— ბუნიობა.

— **რომელ მეფეზე წერდა ლეონტი მროველი: „ამან განავრცო ენა ქართული და შექმნა მწიგნობრობაი ქართული?“**

— ფარნავაზზე.

— **რომელი ჯირკვლის ამოკვეთა ხდება გლანდების ოპერაციის დროს?**

— არ ვიცი.

— **ნუშისებრი ჯირკვლის. ფილმი — „იმერული ესკიზები“ კარგად გახსოვთ?**

— მგონი და თან, ეს ფილმი მომწონს.

— **რა სპექტაკლს დგამდნენ სოფლის სცენაზე პატარები?**

— (*იცინის*) „ოტელოს“.

— **დიახ. ჰოლანდიის რომელ ქალაქშია რემბრანდტის სახლ-მუზეუმი?**

— ამსტერდამში იქნება, ზუსტად არ ვიცი.

— **ნამდვილად ასეა. ნიზამი, ომარ ხაიამი, საიათნოვა — ამათგან რომელი იყო მათემატიკოსი?**

— ხაიამი.

— **რომელმა ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ უთხრა საფრანგეთის მოხუცებულ მეფეს — ლუდოვიკო XVI-ს შემდეგი სიტყვები: „ისეთი მოხდენით ატარებთ ასაკს, რომ ყველა ინატრებდა თქვენს ადგილზე ყოფნას?“**

— სულხან-საბა ორბელიანმა.

— **რა წოდება ჰქონდა ლავრენტი ბერიას?**

— საბჭოთა კავშირის მარშალი იყო.

— **რომელი ლიტერატურული გმირია ალონსო კეხადა: დონ კიხოტი, გულივერი, რობინზონ კრუზო თუ გრაფი მონტე კრისტო?**

— დონ კიხოტი.

— **რა ერქვა ძველ საბერძნეთში მონას, რომელსაც ბავშვებისთვის თვალყურის დევნება ევალებოდა?**

— ერთი წუთი მადროვეთ. (ფიქრობს) პედაგოგი ხომ არა?

— **გამოიცანით. იოსებ გრიშაშვილი — „ძველი თბილისის ლიტერატურულ ბოჰემაში“ წერდა: „ძველად ქალაქგარეთ მხოლოდ ორი დროის გასატარებელი ადგილი არსებობდა; მდაბიო ხალხისთვის — ორთაჭალის ბაღები და ევროპულად გაზრდილთათვის —...**

— ვერ დავასახელებ.

— **მუშთაიდის ბაღი. იოანე პეტრიწის განმარტებით, ძველად რიტორიკის 3 დარგი არსებობდა: თანამზრახველთა სათათბირო; საპაექრო, სადაც პოლემიკა იმართებოდა... დაასახელეთ მესამე დარგი, სადაც გამოჩნდება სიდიადე ორატორობისა.**

— ვერ გიპასუხებთ.

— **სასუფრო-სათამადო. დაბოლოს, დაასრულეთ გოეთეს ცნობილი გამონათქვამი: „კაცმა ყოველდღე უნდა მოისმინოს თუნდაც ერთი სიმღერა, თვალი შეავლოს კარგ სურათს და თუ ეს შესაძლებელია, წაიკითხოს რომელიმე...“**

— მთელი ცხოვრება ბრძნულ გამონათქვამებს ვაგროვებ და...

— **სწორ პასუხთან ახლოს ხართ.**

— ჩემ მიერ შეგროვებულ ფრაზებში ეს გამონათქვამიც შედის და ვერაფრით ვიხსენებ, როგორ სრულდება.

— **„... წაიკითხოს რომელიმე ბრძნული გამონათქვამი“.**

— კარგია, მომეწონა.

— **ბატონო გია, თქვენ მიერ შეგროვებული იგავარაკების კრებულიდან ერთი იგავი გვიამბეთ.**

— სიამოვნებით; ერთი კაცი საიქიოში მოხვდა, ძალიან კმაყოფილია, არაფერი აკლია, ყოველდღე, მასთან თეთრებში გამოწყობილი კაცი მოდის და ყველაფერს უსრულებს, კარგს სვამს, კარგად ერთობა, ერთ დღეს ამ თეთრებში გამოწყობილ კაცს ეუბნება, არაფერი მაკლია, მაგრამ სრული ჰარმონია რომ ვიგრძნო, სამსახური მჭირდება, მინდა, თავი საჭირო კაცად ვიგრძნოო. — ეს ერთადერთი რამ არის, რისი ასრულებაც არ შემიძლიაო, — უპასუხა მან. — რას ლაპარაკობ? — ძალიან გაბრაზდა. — ამას სჯობდა, ჯოჯოხეთში მოვხვედრილიყავიო. ეს კაცი დაიხარა და ყურში ძლივს გასაგონად ჩასჩურჩულა: — აბა, შენ თავი სად გგონიაო?

გენიალურია, სადაც არ არსებობს საქმე, იქ არ არსებობს ღმერთიც.

ერთი თანამედროვე იგავი:

ახალგაზრდა წყვილი საცხოვრებლად ცალკე სახლში გადავიდა. პირველივე დილა რომ გათენდა, ქალმა ფანჯრიდან გაიხედა, დაინახა — მოპირდაპირე სახლის აივანზე ვიღაც ქალი სარეცხს ფენდა. ქმარს უთხრა: — შეხედე, რა ჭუჭყიან თეთრეულს ფენს, ეტყობა, გარეცხვა კარგად არ იცის. ასე დღეების განმავლობაში გრძელდებოდა; კვირის ბოლოს, ისევ გაიხედა და მეუღლეს გაკვირვებულმა უთხრა, დღეს რა ქათქათა თეთრეული გამოფინა? ეტყობა, ვიღაცამ რეცხვა ასწავლა, — არა, ძვირფასო, — უთხრა ქმარმა, — უბრალოდ, დილით ფანჯარა გავწმინდე... ■



## გონების სავარჯიშო

### „გზის“ ერთგული მკითხველისათვის

### (კითხვები)

**ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ**

**„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი**

1. ვის ეძახდა სტალინი „პეშჩერნი მარქსისტს“?

2. ჩინური ტრადიციით, უმცროსმა მხოლოდ ორჯერ უნდა გაუსწოროს თვალი უფროსს. როდის?

3. რა არის აკროსტიქი?

4. დაასრულეთ რუსი მსახიობისა და შემდგომში საბჭოთა კავშირის კულტურის მინისტრის — ნიკოლაი გუბენკოს სიტყვები: „რუსკი ჩელოვეკ ბივაეტ სვაბოდნიმ ტოლკო...“.

5. ეს მეფე ლაშქრობიდან სამშობლოში დაბრუნებისას ავსტრიის ჰერცოგ — ლეოპოლდ V-ს ჩაუვარდა ტყვედ, რომელმაც იგი იმპერატორ ჰაინრიხ VI-ს გადასცა. იგი მხოლოდ 2 წლის შემდეგ, დიდი გამოსასყიდის ფასად გაათავისუფლეს. 1194 წლიდან იგი საფრანგეთის მეფეს ფილიპ II ოგიუსტს ეომებოდა და ამ ომშივე დაიღუპა. დაასახელეთ მისი ვინაობა.

6. რა არის „ნაღარი“?

7. ვისი დაწერილია რომანი — „კლისონი და ეჟენი“?

8. დაასახელეთ ცხოველი, რომელიც ხშირად მის მიერ გადაღრღნილი ხეების წაქცევისას იღუპება.

9. რა არის „ალთაფა“?

10. რა ნიშნავს „ნაურვალი“?

11. როგორი საწვავი იყიდება შეერთებულ შტატებში ბენზინგასამართ სადგურებზე, სადაც ასეთი შინაარსის ლოზუნგია გამოკრული: „შურისძიება ტერორის გარეშე“?

12. რა არის „ნაყრი“?

# ანეკდოტები



* * *

მილიონერი ინტერვიუს აძლევს ჟურნალისტს:

— რა არის თქვენი წარმატების საიდუმლო?

— მოთმინება და კიდევ ერთხელ მოთმინება.

— გასაგებია, მაგრამ შემიძლია, დაგისახელოთ უამრავი საქმიანობა, რომელშიც მოთმინება ვერ გიშველით.

— მაგალითად?

— მაგალითად, საცრით წყლის ტარება.

— ცდებით, ჩემო კარგო, უბრალოდ, უნდა აიღოთ საცერი და დაელოდოთ ზამთარს.

* * *

ატომური ენერგეტიკის ტექნოლოგიების გამოფენაზე ერთმანეთს რუსი და იაპონელი შეხვდნენ.

— რამდენი ადამიანი მუშაობს თქვენს ატომურ ელექტროსადგურში? — ჰკითხა იაპონელმა.

— ჯერ თქვენ მითხარით, თქვენთან რამდენი მუშაობს?

— ჩემთან 8 ადამიანი, — ამაყად განაცხადა იაპონელმა.

— მაშინ ჩემთან — 9, — იპოვა გამოსავალი რუსმა (რუსეთში ატომურ ელექტროსადგურებში 2000 ადამიანი მუშაობს).

მეორე დღეს იაპონელი რუსთან მივიდა:

— მთელი ღამე არ მეძინა... ფიქრისგან ლამის თავიც გამისკდა... უმორჩილესად გთხოვთ, ამიხსნათ, რას აკეთებს თქვენთან მეცხრე თანამშრომელი?

* * *

რუსეთში ქოლგების მწარმოებლები ნალექიან ზაფხულზე ოცნებობენ.

სანდლების მწარმოებლები — მშრალ ზაფხულზე.

ლუდის მწარმოებლები — ცხელ ზაფხულზე.

არყის მწარმოებლებს კი ოცნებისათვის არა სცალიათ — გამწარებული მუშაობენ.

* * *

„ნასას“ თანამშრომლები ადამიანის მარსზე გაგზავნას აპირებენ. რეალური კანდიდატი სამია: გერმანელი, ფრანგი და ქართველი. დაიბარებენ გასაუბრებაზე გერმანელს.

— რა რაოდენობის ჰონორარი უნდა გადაგიხადოთ?

— 3 მილიონი დოლარი.

— რატომ 3?

— ერთი მილიონი მე, ერთი ცოლს და ერთიც — ქალიშვილს.

გამოიძახეს ფრანგი. იმან 6 მილიონი მოითხოვა.

— რატომ 6?

— 2 მილიონი — მე, 2 მილიონი ცოლს, ორიც — საყვარელს.

გამოიძახეს ქართველი. ქართველმა 9 მილიონი მოითხოვა.

— რატომ 9?

— როგორ თუ რატომ? 3 მილიონი — მე, 3 მილიონი თქვენ და 3 მილიონიც გერმანელს. ხომ ამბობდა, სამ მილიონად გავფრინდებიო!..

* * *

ახალგაზრდა მამამ შვილი პედიატრთან მიიყვანა.

— ექიმო, ცოლი 2 კვირით მივლინებაში წავიდა და ბავშვი მე დამიტოვა. სუფთა ჰაერზეც დამყავს, „მარგანცოვკის“ აბაზანებსაც ვუმზადებ და მასაჟსაც ვუკეთებ, მაგრამ არაფერი შველის, დღითი დღე კლებულობს წონაში.

— რას აჭმევთ?

— რას ვაჭმევ?!. ფუ, ამის დედა ვატირე, ეგრეც ვიცოდი, რომ რაღაც დამავიწყდებოდა!..



* * *

გემის კაპიტანი ჟურნალისტს თავის თავგადასავალს უყვება:

— ცხოვრებაში ყველაზე საშინლად ის ამბავი მახსენდება, როცა ჩინეთის პორტში თოჯინებით დატვირთულები ღია ზღვაში გამოვედით და შტორმში მოვყევით.

— ძლიერი შტორმი იყო?

— ძალიან! ყველაზე საშინელი კი ის იყო, გემის ყოველი გადახრისას უკლებლივ ყველა თოჯინა ფართოდ რომ ახელდა თვალებს და ერთ ხმაზე ტიროდა: „დეედააააააა!“

* * *

დედ-მამა სტუმრად წასვლის წინ შვილს მოძღვრავს:

— მარტო მოგიწევს დარჩენა. იცოდე, არ გაბედო კაბინეტში შესვლა, არ გაბედო წიგნების კარადის გაღება, არ გაბედო ზედა თაროდან შავყდიანი წიგნის გადმოღება და მეხუთე გვერდიდან ას მეხუთე გვერდამდე წაკითხვა! ჩვენ გვიან დავბრუნდებით!.. ჭკვიანად მოიქეცი!..

დაბრუნებულები ხედავენ, რომ არ გაჭრა მათმა ხრიკებმა. როგორც დატოვეს შვილი კომპიუტერთან, ისევ ისე იჯდა.

* * *

— ძვირფასო, მოდი, ხუთ საათზე შევხვდეთ ერთმანეთს.

— კარგი, შევხვდეთ, ოღონდ მითხარი, შენ რომელ საათზე მოხვალ?

* * *

ადამიანთა უკანასკნელი სიტყვები:

მთვრალი მძღოლი: „ოხ, ეს ოხერი ბოძი, ბოლოს და ბოლოს, როდის გადაუხვევს გზიდან!“.

მძღოლის ცოლი: „შეგიძლია, გახვიდე, მარჯვენა მხარე თავისუფალია“.

სატვირთო ავტომობილის მძღოლი: „ეს ძველი ხიდი კიდევ დიდხანს გაძლებს“.

ფეხით მოსიარულე: „მწვანე არ ენთო, ეს ოხერი?“.

ავტოსკოლის ეგზამენატორი: „სანაპიროზე გამიჩერეთ მანქანა“.

ალპინიზმის ინსტრუქტორი: „უკვე მეხუთედ გაჩვენებთ, საიმედო მარყუჟი ასე იკვრება...“

ბიოლოგი: „დამერწმუნეთ, ეს გველი უვნებელია...“

ქიმიის მასწავლებელი: „ბავშვებო, ეს ცდა სრულიად უხიფათოა...“.

სტუდენტი ქიმიკოსი: „პროფესორო, მერწმუნეთ, ეს მართლაც საინტერესო რეაქ...“.

ცოლი: „ქმარი მაინც დილამდე არ დაბრუნდება...“

ქმარი: „ძვირფასო, როდის აქეთ გახდი ასეთი ეჭვიანი...“

ღამით მომუშავე ქურდი: „აქეთ მოიწი, აქ მაგათი დობერმან-პინჩერი ვერ მოგწვდება, ჯაჭვია მოკლე...“.

ავტომოყვარული: „ხვალვე შევამოწმებინებ მუხრუჭებს...“.

ლომების მომთვინიერებელი: „შენ არ ამბობდი, შუადღისას ხორცი ვაჭამეო...“

ყასაბი: „ჟორა, ერთი ეგ ნაჯახი გადმომიგდე...“



* * *

კაცი მივიდა ექიმთან. ექიმმა გასინჯა და ეუბნება:

— ოო, ჩემო კარგო, მარჯვენა ფილტვის ამოჭრა მოგიწევს.

— ხომ არ გაგიჟდი, ექიმო? ფილტვებს ცხოვრებაში არ შევუწუხებივარ, — შეშინდა პაციენტი.

— არა, ფილტვები სრულ წესრიგში გაქვთ... აი, ღვიძლი კი აღარ ეტევა, ისეა გადიდებული.

# გონების სავარჯიშო

## „გზის“ ერთგული მკითხველისათვის

### (პასუხები)

1. მაო ძე დუნს, რადგან მისი ძალაუფლება მუშების ნაცვლად გლეხობას ეყრდნობოდა.

2. მისალმებისას და დამშვიდობებისას.

3. ლექსი, რომლის სტრიქონთა თავკიდური ასოებისგან სიტყვა ან წინადადება გამოდის.

4. „ვ აკოპე“.

5. რიჩარდ ლომგული.

6. ხნულებს შუა დარჩენილი კორდი.

7. ნაპოლეონ ბონაპარტის.

8. თახვი.

9. სპილენძის ხელსაბანი ჭურჭელი.

10. კარგად მოვლილს.

11. მხოლოდ ამერიკასა და კანადაში მოპოვებული (მეპატრონეები არაბული ქვეყნებიდან შეტანილი საწვავით პრინციპულად არ ვაჭრობენ).

12. მცირეოდენი საჭმელი (მისგან წარმოდგება სიტყვა — „დანაყრება“).

## ჩვენი ფოტო გალერეა

რუბრიკა მოამზადა თემურ ივანიძემ

# ჰოროსკოპი

## 17-23 თებერვალი

### ვერძი

საქმეები ისე გადაანაწილეთ, რომ დასვენებისთვისაც მოიცალოთ. მეტი ყურადღება გამოიჩინეთ მეუღლისა და შვილების მიმართ.

### კურო

შესაძლოა, ახალმა შემოქმედებითმა საქმიანობამ მატერიალური სარგებელი და სულიერი სიმშვიდეც მოგგვაროთ. კარგი პერიოდია ცოდნის გასაღრმავებად.

### ტყუპი

ყურადღებით მოეკიდეთ სამსახურში დაკისრებულ მოვალეობას. დამატებითი შემოსავლის წყარო გაგიჩნდებათ და პრობლემებსაც მოაგვარებთ.

### კირჩხიბი

თუ მეგობრებთან ურთიერთობის გაფუჭება არ გსურთ, ნუ იჭორავებთ. მეტი ყურადღება სწავლასა და სამსახურს დაუთმეთ.

### ლომი

ახალი პროექტების განხორციელება თქვენგან მაქსიმალურ ყურადღებასა და პასუხისმგებლობას მოითხოვს. დილაობით ივარჯიშეთ და აუზს ეწვიეთ.

### ქალწული

რომანტიკული პაემნების სიხშირემ შესაძლოა, საქმიანობაში ხელი შეგიშალოთ. შეეცადეთ, დრო ყაირათიანად გაანაწილოთ და საქმეები არ გაიფუჭოთ.

### სასწორი

საზღვარგარეთიდან ახლობლები გეწვევიან. ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას. დასვენების დღეები ბუნების წიაღში გაატარეთ.

### მორიელი

მოთმინებით აღიჭურვეთ, ამ პერიოდში გარშემო მყოფების რჩევა-დარიგებების მოსმენა მოგიწევთ. ეცადეთ, ყველას მოუსმინოთ და თქვენთვის სასარგებლოდ იმოქმედოთ.

### მშვილდოსანი

გავლენიანი ნაცნობების წყალობით, ახალ სამსახურს დაიწყებთ. მეტი დრო გაატარეთ კოლეგებთან. ყურადღებით მოუსმინეთ მათ რჩევებს. ვალების აღებას არ გირჩევთ.

### თხის რქა

კოლეგებსა და მეგობრებთან კონფლიქტები გელით, თუ მათ კრიტიკას გააგრძელებთ. საყვარელ ადამიანს ეჭვიანობით ნუ გააწამებთ.

### მერწყული

მატერიალური კეთილდღეობა სურვილების ასრულებაში დაგეხმარებათ. კარგი პერიოდია ძველ მეგობრებთან და მივიწყებულ ნათესავებთან ურთიერთობის აღსადგენად.

### თევზები

შესაძლოა, ოჯახის წევრებმა ყველა სურვილი აგისრულონ. თუ გრძნობთ, რომ ყველაფერი ნერვებს გიშლით, უმჯობესია, ცოტა ხნით ქალაქგარეთ გაემგზავროთ და დაისვენოთ.

# ზოდიაქოს შვილები

**ზოდიაქოს თითოეულ ნიშანს უამრავი დადებითი და უარყოფითი თვისება აქვს. ასტროლოგების აზრით, ბავშვის განვითარებასა და ჯანმრთელობაზე მშობლების ზოდიაქოს დიდი გავლენა აქვს. ცნობილია, რომ ვერძი თავს განაგებს, მშვილდოსანი — ღვიძლს, მაგრამ შესაძლოა, ბავშვს ის ორგანოები კი არ აწუხებდეს, რომლის ნიშნითაც თავადაა დაბადებული, არამედ — დედის ან მამის. საკუთარი ნიშან-თვისებების გარდა, მშობლის ზოდიაქოსთვის დამახასიათებელი ნიშნებიც ექნება. საუკეთესო შემთხვევაა, თუ ორივე მშობელი ერთი ზოდიაქოს ნიშნითაა დაბადებული. ამ შემთხვევაში, ბავშვს ერთი ნიშნის დაავადებები ექნება. მაშ ასე:**

თუ პატარის ერთ-ერთი მშობელი **ვერძის** ზოდიაქოს ნიშნითაა დაბადებული, ბავშვს თავთან დაკავშირებული პრობლემები ექნება. ისიც მშობელივით ფიცხი და ჯიუტი იქნება.

თუ ერთ-ერთი მშობელი **კუროა**, შვილს შესაძლოა, სუსტი ყელი და ფარისებრი ჯირკვლის დაავადება განუვითარდეს. ხოლო სიზუსტე, აკურატულობა და პასუხისმგებლობის გრძნობა კუროს მემკვიდრეს ბავშვობიდანვე განვითარებული ექნება.

თუ ერთ-ერთი მშობელი **ტყუპია**, პატარა — კომუნიკაბელური, მოუსვენარი, ზოგჯერ მოუწესრიგებელი და არაპრაქტიკული იქნება. ტყუპის შვილს სასუნთქი ორგანოები ექნება სუსტი.

**კირჩხიბის** მემკვიდრე ემოციური და ფანტაზიორია. ხშირად იბუტება და შესაძლოა, კუჭის პრობლემებმა შეაწუხოს.

**ლომის** შვილი შემოქმედებითი ნიჭით, ლამაზი ნივთების სიყვარულით გამოირჩევა. ბავშვობიდან უნდა გაუფრთხილდეს გულს, რადგან ლომს სწორედ ეს ორგანო აქვს სუსტი.

აკურატული, მოწესრიგებული და მიზანსწრაფული შვილები ჰყავთ **ქალწულებს**. ისინი ბეჯითი მოსწავლეები და ერთგული, შრომისმოყვარე თანამშრომლები არიან. მათ ხშირად პრობლემები ექმნებათ ნაწლავებზე.

**სასწორის** შვილს შეუძლია, ნებისმიერი საკითხი დიპლომატიურად მოაგვაროს. ხშირად უჭირს არჩევანის გაკეთება. მან ყველაზე მეტად თირკმელს უნდა მიხედოს.

მისტიკური მოვლენებისადმი ინტერესი **მორიელის** შვილს პატარაობიდანვე უჩნდება. აქვს ლიდერის თვისებები. უნდა მოუფრთხილდეს სასქესო ორგანოებს.

როგორც უკვე გითხარით, **მშვილდოსანი** ღვიძლს „განაგებს“ და მისი შვილიც ამ ორგანოს უნდა გაუფრთხილდეს. მას ფილოსოფოსობა, მოგზაურობა და ზოგჯერ საკუთარ თავში ჩაკეტვა ახასიათებს.

**თხის რქის** პირმშო ნებისმიერ დაწყებულ საქმეს ბოლომდე უშეცდომოდ მიიყვანს. ძალიან მოწესრიგებული, მიზანსწრაფული და შრომისმოყვარეა. უნდა გაუფრთხილდეს ძვლოვან სისტემას, განსაკუთრებით მუხლებსა და ხერხემალს.

გამომგონებელია და სულ ახლის ძიებაშია **მერწყულის** შვილი. მისი სუსტი წერტილი სახსრებია.

**თევზის** ნიშნის ქვეშ დაბადებულ მშობელს მეოცნებე და ემოციური შვილი ჰყავს. იგი ფეხის ტერფებსა და ლიმფურ სისტემას უნდა მოუფრთხილდეს.

■



1. ამერიკული ავტომობილი
2. პაემანი
3. პარფიუმერიული სითხე
4. წყლის ცხოველი
5. ქართული ჟურნალი
6. ქვეყანა აზიაში
7. ატმოსფერული ნალექი
8. დაბრკოლება
9. სამშენებლო მასალა
10. გაფუჭებული კვერცხი
11. ფრანგი მწერალი
12. რისამე გაურცელების არე
13. ადამიანის მსგავსი მაიმუნი
14. ახალი ვენახი
15. მოხუცი ქალი
16. რძის ნაწარმი
17. რუსეთის პარლამენტი
18. საფრანგეთის პრეზიდენტი
19. პარკოსანი კულტურა
20. მრწამსი
21. საინფორმაციო საშუალებანი
22. ამერიკის შტატი
23. ერთგვარი საწერი მაგიდა
24. უმაღლესი შედეგი სპორტში
25. თეორიული მექანიკის დარგი
26. შორისდებული, გამოხატავს ტკივილს
27. ქალაქი საქართველოში
28. კოვბოური ფილმი
29. დიდი ხელკი
30. ქრისტიანული სიმბოლო
31. იტალიური მოხდილი ყველი
32. კატისებრთა ოჯახის მტაცებელი
33. ძვლოვანი წანაზარდი საქონლის თავზე
34. კრივის მოედანი
35. უგუმბათო ეკლესია



**წინა ნომრის სკანვორდის პასუხები** 1. ტინეიჯერი; 2. ცენტრი; 3. კეხურა; 4. როსინანტი; 5. ნაუტილუსი; 6. რახი; 7. იუანი; 8. კრიჭა; 9. ონდატრა; 10. ხაო; 11. წკირი; 12. სამიტი; 13. ოკლაჰომა; 14. რაჭა; 15. ტრავიატა; 16. კლიტე; 17. ლირა; 18. ტიტა; 19. შარდენი; 20. ყინვა; 21. ოინი; 22. კიმონო; 23. კარტოფილი; 24. ჰამლეტი; 25. აფრა; 26. დუბლინი; 27. ტბა; 28. კიკინი; 29. მტირალი; 30. ფლეიტა; 31. დმანისი; 32. მე; 33. კათმანდუ; 34. ომანი; 35. კარამბოლი; 36. აქცია; 37. ლონდონი; 38. ინფინიტი.
**სურათებზე:** 1. ტინა ტერნერი; 2. ბონო.

# სკანვორდი-კროსვორდი

| გ | ზ | ა | გ | ა | რ | თ | ო | ზ | ი | ს | ს | ა | შ | კ | ე | თ | ე | ს | ო | გ | ა | რ | ა | ნ | ტ | ი | ა | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |

**შევსების წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.

**გ**. საიდუმლო სახელმწიფო პოლიცია ფაშისტურ გერმანიაში; **ზ**. მთიდან დიდ გროვად წამოსული, ჩამორღვეული თოვლი; **ა**. რა ჰქვია შვარცენეგერს? **გ**. ქალაქი შოტლანდიაში; **ა**. დიეგო მარადონას მეორე სახელი; **რ**. ლექსის სხვადასხვა სტრიქონში ბოლო ბგერათა გამეორება; **თ**. ერთდროულად მცხოვრები დაახლოებით ერთი ასაკის ადამიანები; **ო**. ეშმაკობა, ხრიკი, ფანდი; **ბ**. ვირის, ძაღლის, კატისა და მამლის მშობლიური ქალაქი; **ი**. სისხლის აღრევა; **ს**. მოქნილი ჯოხი საქონლის გასარეკად; **ს**. ჩეხი კომპოზიტორი; **ა**. ქვითკირის სამარე; **შ**. ძალზე იშვიათი რამ; **კ**. საგვარეულო გაერთიანება ირლანდიასა და შოტლანდიაში; **ე**. ერთგვარი კრემიანი ნამცხვარი; **თ**. დაბა აღმოსავლეთ საქართველოში; **ე**. ლითონის საჟღარუნებელი; **ს**. თავის კანი თმიანად, რომელსაც ინდიელები მოკლულ მტერს აჭრიდნენ; **ო**. გოგრისგან გაკეთებული გრძელტარიანი ჭურჭელი ქვევრიდან ღვინის ამოსაღებად; **გ**. ვულკანური წარმოშობის ცხელი წყარო, საიდანაც პერიოდულად სცემს წყლისა და ორთქლის შადრევანი; **ა**. ქართველი მეფე-პოეტი; **რ**. ბრინჯაოს ძველი ქართული სახელწოდება; **ა**. სამხედრო ნადავლი; **ნ**. ღმერთის მიერ ევას შესაქმნელად გამოყენებული „ნახევარფაბრიკატი“; **ტ**. თვითმფრინავის კიბე; **ი**. მდინარე, რომელშიც მოინათლა იესო ქრისტე; **ა**. განთიადი; **ა**. რამდენიმე მუსიკალური ბგერის ჰარმონიული შეერთება.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**გ**. გორგონა; **ა**. ამონი; **ე**. ელცინი; **რ**. რეალი; **თ**. თაგვი; **ე**. ერშოვი; **თ**. თეირანი; **დ**. დრაქმა; **ა**. აბზაცი; **დ**. დიანა; **ა**. არქიელი; **ი**. იტალია; **ს**. სორბონა; **ვ**. ვაიმარი; **ე**. ელარჯი; **ნ**. ნაცია; **ე**. ემისია; **თ**. თივა; **ჩ**. ჩხიკვი; **ვ**. ვაჭარი; **ე**. ეტალონი; **ნ**. ნადეჟდა; **თ**. თხილი; **ა**. არშინი; **ნ**. ნიაგარა; **ე**. ესქილე; **რ**. რვალი; **თ**. თარაზო; **ა**. ასინეთა; **დ**. დრაკონი.

**გამუქებულ უჯრედებში იკითხება:**
**როცა გშია ზაქარია, ცივი ჭადი შაქარია**

# იაპონური სენსაცია სუდოკუ

**„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 3 | 6 | 1 | 2 | 4 | 9 | 7 | 8 |
| 1 | 7 | 9 | 8 | 5 | 6 | 2 | 3 | 4 |
| 8 | 2 | 4 | 3 | 9 | 7 | 6 | 1 | 5 |
| 3 | 6 | 1 | 4 | 7 | 5 | 8 | 2 | 9 |
| 7 | 4 | 8 | 9 | 1 | 2 | 3 | 5 | 6 |
| 9 | 5 | 2 | 6 | 3 | 8 | 1 | 4 | 7 |
| 6 | 9 | 5 | 2 | 4 | 1 | 7 | 8 | 3 |
| 4 | 1 | 3 | 7 | 8 | 9 | 5 | 6 | 2 |
| 2 | 8 | 7 | 5 | 6 | 3 | 4 | 9 | 1 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 4 | 2 | 5 | 8 | 9 | 1 | 6 | 7 |
| 6 | 9 | 1 | 3 | 4 | 7 | 2 | 5 | 8 |
| 5 | 8 | 7 | 1 | 6 | 2 | 4 | 3 | 9 |
| 2 | 6 | 3 | 4 | 7 | 8 | 9 | 1 | 5 |
| 9 | 1 | 4 | 6 | 5 | 3 | 8 | 7 | 2 |
| 7 | 5 | 8 | 2 | 9 | 1 | 6 | 4 | 3 |
| 1 | 2 | 5 | 9 | 3 | 4 | 7 | 8 | 6 |
| 8 | 3 | 9 | 7 | 1 | 6 | 5 | 2 | 4 |
| 4 | 7 | 6 | 8 | 2 | 5 | 3 | 9 | 1 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 7 | 6 | 5 | 2 | 9 | 3 | 4 | 8 |
| 2 | 3 | 5 | 7 | 4 | 8 | 9 | 1 | 6 |
| 9 | 4 | 8 | 3 | 6 | 1 | 2 | 5 | 7 |
| 5 | 9 | 3 | 1 | 7 | 6 | 4 | 8 | 2 |
| 8 | 2 | 7 | 4 | 9 | 3 | 5 | 6 | 1 |
| 4 | 6 | 1 | 8 | 5 | 2 | 7 | 9 | 3 |
| 3 | 5 | 4 | 6 | 8 | 7 | 1 | 2 | 9 |
| 6 | 1 | 9 | 2 | 3 | 5 | 8 | 7 | 4 |
| 7 | 8 | 2 | 9 | 1 | 4 | 6 | 3 | 5 |

### * მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | | 5 | 6 | | |
| | 8 | 9 | | 4 | 2 | | 7 | 1 |
| | | | 3 | 8 | | | | |
| 5 | 9 | | 1 | | | | | 4 |
| 4 | 6 | | 9 | | | | | |
| 8 | 7 | | | | | 9 | | |
| 7 | | 5 | | 1 | | | | 6 |
| 2 | 4 | 6 | 8 | 5 | 7 | | | |
| 9 | 1 | | 2 | | 6 | | | 7 |

### ** საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 9 | | | | | |
| | 6 | 4 | | | | | 3 | |
| | 5 | | 8 | 7 | | 1 | | |
| | | | | | | | 8 | 2 |
| 5 | | 7 | 6 | 4 | | | | |
| 4 | 2 | | | | | | | |
| | 7 | 9 | | 1 | 6 | 3 | 4 | |
| | | | | | | 2 | 9 | |
| | | 6 | 3 | | | 8 | | |

### *** რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 9 | | | 7 | | | 6 | 1 |
| | | 3 | | | | | | 5 |
| | 7 | | | 4 | | | | |
| | 5 | | | | | 8 | 1 | 6 |
| 6 | | 2 | 5 | | 1 | 4 | 7 | 9 |
| 8 | | 4 | 6 | 9 | | | | 2 |
| | | 7 | | 1 | | 6 | 3 | |
| | 4 | 1 | 2 | 6 | 8 | | | |
| | | 6 | | | | 1 | | 4 |

# ფოტოკურიოზები

















# თუკი ტკივილი მოსვენებას არ გაძლევთ

„ მუშაობას გულს ვერ ვუდებ, თავს ვერაფერს ვაბამ, თითქოს ტკივილის ტყვე გავხდი“

„...საშინელ სიმძიმეს ვგრძნობ ორივე ფეხზე და თითქოს ჩემი აღარ არის. მიჭირს ძველებურად სიარული“

„...მეჩვენება, თითქოს ხელებზე ცეცხლი მიკიდია“

თქვენ შეგიძლიათ გაიგოთ სპეციალიზებული ცენტრების მისამართები, სადაც იციან ტკივილის ყველა თანამედროვე მეთოდით მკურნალობა

**დარეკეთ ცხელ ხაზზე: +995 (32) 25 22 33**

# 50 წიგნი

რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ!

28 თებერვლიდან - 7 მარტამდე



ოსკარ უაილდი

14-დან — 21 მარტამდე



ჩარლზ დიკენსი

28 მარტიდან — 4 აპრილამდე



ერიხ მარია რემარკი




**14-დან — 21 თებერვლამდე**

წიგნი 7

მიხაილ ბულგაკოვი

„ოსტატი და მარგარიტა“

**წაიკითხე წიგნები უკეთესად იქნები!**

**უკვე გამოსული ტომები:** ონორე დე ბალზაკი, ჯეკ ლონდონი, შოთა რუსთაველი, ალექსანდრე დიუმა, უილიამ შექსპირი, ჟიულ ვერნი

**შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში!**

მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის წიგნის სპეციალური ფასი -7 ლარი

გამოიწერეთ „კვირის პალიტრა“ და მიიღეთ თითო ტომი 7 ლარად! ტელ: 38 26 73; 38 26 74 ელვა.ჯი



მარტიდან! ჟურნალი „ისტორიანი“
წარმოგიდგენთ!
ყველა დროის საუკეთესო ისტორიული რომანი. სრული ვერსია 8 ნაწილად
წიგნი I
კონსტანტინე გამსახურდია
დავით აღმაშენებელი
წიგნი 1
„ისტორიანის“ ყოველ ნომერთან ერთად, თვეში ერთხელ შეძლებთ
შეიძინოთ „დავით ალმაშენებლის“ თითო ნაწილი (წიგნის ფასი 3 ლარი)




აპდილ-h
სიროფი
ოთხფურცელა მარწყვბალახა, დარფილფილი,
ადჰადოტა ვასიკა, ძირტკბილა
მცენარეული ამოსახველებელი საშუალება
ამცირებს:
• ხველას
• ყელის ტკივილს
• ბრონქებში ნახველის შეგუბებას
სამკურნალო საშუალება მთელი ოჯახისათვის
АПДИЛ-h
СИРОП ИЗ ТРАВ ОТ КАШЛЯ
აპდილ-h
აჯანტა ფარმა ლიმიტედი, ინდოეთი
PSP №1
ჩემი ოჯახის აფთიაქი
ალმაშენებლის გამზ. 148/III
გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას. გვერდით მოვლენებზე
დეტალური ინფორმაციისათვის მიმართეთ ექიმს.




პირველი კლასის სამთო სასტუმრო
„ვერე პალასი“
გთავაზობთ
ყველა პირობას ზამთრისა თუ ზაფხულის სეზონის
სასიამოვნოდ და აქტიურად გატარებისთვის.
სასტუმროში:
• 43 კომფორტული და კეთილმოწყობილი ნომერი,
მათ შორის 7 ნახევრად ლუქსი;
• ორი რესტორანი,სადაც დააგემოვნებთ ქართულ და ევროპულ კერძებს. ;
• მწვანე ბარი და ღამის კლუბი;
• ბილიარდი
• საცურაო აუზი;
• საუნა და მასაჟი;
• ფიტნეს დარბაზი;
• საკონფერენციო დარბაზი;
• თხილამურების ქირაობა
www.verepalacebak.ge
E-mail verepalacehotelbakuriani@gmail.com
თითეულ ნომერშია ინდივიდუალური გათბობა, ფერადი ტელევიზორი საკაბელო არხებით, ტელეფონი ოთახში და სააბაზანოში, მინი ბარი, ფენი და უსაფრთხოების სისტემაა. ბიზნეს ცენტრში თქვენ ისარგებლებთ ფაქსით, ქსეროქსით, კომპიუტერითა და ინტერნეტით.
თბილისი, კოსტავას ქ. №47
ტელ: (995 32) 98 35 65
ფაქსი: (995 32) 99 68 67
მობ: (995 95) 15 84 48
ბაკურიანი, წაქაძის ქ. №12
ტელ: (995 26) 74 00 49
ფაქსი: (995 26) 74 00 50
მობ: (995 99) 11 60 45 (995 95) 30 06 40



გაეცანი ადამიანის სხეულის აგებულებას და
მედიცინის რევოლუციურ აღმოჩენებს!
რას ნიშნავს სხეულის კოდი და სად არის იგი მოთავსებული?
გაიგეთ უფრო მეტი !
21 თებერვლიდან - 28 თებერვლამდე
მხოლოდ „კვირის პალიტრის" მკითხველისთვის
სპეციალური ფასი 15 ლარი!
სამგანზომილებიანი (3D) გამოსახულებები
შეიძინეთ „კვირის პალიტრასთან" ერთად
„კვირის პალიტრის" ხელმომწერთა საყურადღებოდ!
წიგნის შეძენის მსურველები დაუკავშირდით „ელვა.ჯი"-ს
ტელ.: 38-26-73/38-26-74 კურიერი სერიის ყოველ ტომს ადგილზე მოგართმევთ!
ახალი
ადამიანის ორგანიზმი
ვულკანები და მიწისძვრები
რეპტილიები
ეს სამყარო
* - მალე
ტომი №13
სერია „ეს სამყაროა"-ს წიგნები: №1, №2, №3, №4, №5, №6, №7, №8, №9, №10, №11 და №12 იყიდება წიგნის მაღაზიებში!